N 1 '10
მართლმსაჯულება და კანონი
N1 Justice and Law #1(24)'10 Legal Journal of Judges Association of Georgia
9 771512 259002

N1(24)'10

მართლმსაჯულება და კანონი

N 1 (24)'10

მართლმსაჯულება და კანონი

Justice and Law

საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის იურიდიული ჟურნალი
LEGAL JOURNAL OF JUDGES ASSOCIATION OF GEORGIA

© 2010, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია
JUDGES ASSOCIATION OF GEORGIA

აკრძალულია აქ გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის წერილობითი ნებართვისა და წყაროს მითითების გარეშე.

რედაქტორი
ნინო ძიძიგური

რედაქტორის თანაშემწე
ირმა ბეკაური

ნომერზე მუშაობდნენ:
ბეკა ჭედია
ლეილა კოშკაძე
ნანა ფრიდონაშვილი
მარინე ვასაძე

დიზაინი:
ბესიკ დანელია

ფოტოუზრუნველყოფა:
დავით ხიზანიშვილი

სარედაქციო საბჭო:
კონსტანტინე კუბლაშვილი, ზაზა მეიშვილი,
ვალერი ცერცვაძე, გიორგი ხუბუა

Editorial Board:
KONSTANTINE KUBLASHVILI, ZAZA MEISHVILI,
VALERI TSERTSVADZE, GIORGI KHUBUA

Editor:
NINO DZIDZIGURI

Assistant to Editor:
IRMA BEKAURI

The issue was prepared by:
BEKA CHEDIA
LEILA KOSHKADZE
NANA PRIDONASHVILI
MARINA VASADZE

Designed by
BESIK DANELIA

Photo support by
DAVIT KHIZANISHVILI

English version of articles has been provided
by Candidates of Law faculty of Tbilisi State University

დაბეჭდილია „სი-ჯი-ეს“-ში
Printed in CGS

უაკ (UDC) 340.11+340.130.5
მ-306

ISSN 1512-388X

სარჩევი

კოტე კუბლაშვილი: „სისტემა, რომელიც შევქმენით სწრაფი
და ეფექტიანი მართლმსაჯულების წინაპირობაა“ 5

System that we Created is Precondition for the Speedy and Effective Administration of Justice”

კახა წიქარიშვილი
რამდენიმე მოსაზრება დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის გამიჯვნის შესახებ ევროპულ და ამერიკულ სისხლის სამართალში 14

KAKHA TSIKARISHVILI
Some opinions regarding the differentiation between preparation and attempt in American and West European Criminal Law

დავით მანაგაძე
საპროცესო შეთანხმება საზღვარგარეთ და საქართველოში 26

Plea Bargaining Abroad and in Georgia
DAVID MANAGADZE

მიხეილ გაბუნია
დანაშაულობის განსაზღვრის თანამედროვე მიდგომები 40

Modern Approaches to Define Criminality
MIKHEIL GABUNIA

გიორგი ბარაბაძე
თანამონაწილეობის ბუნების აქცესორული გაგებისათვის 54

For Understanding the Accessory Nature of Accomplicity
GIORGI BARABADZE

მალხაზ ნაკაშიძე
მმართველობის ნახევრად საპრეზიდენტო სისტემის ცნება და კლასიფიკაცია 64

The Concept and Classification of Semi-Presidential System of Government
MALKHAZ NAKASHIDZE

როგიზონ ხურცილავა
რამდენიმე მოსაზრება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სრულყოფასთან დაკავშირებით 81

Several Opinions Regarding the Further Development of the Civil Procedure Code of Georgia
ROBIZON KHURTSILAVA

ირმა მერაბაშვილი
სასამართლო სტრუქტურების ორგანიზაცია და მართლმსაჯულების ეფექტიანი განხორციელება სამოქალაქო ხასიათის საქმეებზე 93

Organization of Court Structures and Effectiveness of Justice Administration in the Civil Cases
IRMA MERABASHVILI

ფრიდონ ბასილაია
მოპასუხის მიერ პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობის შედეგები 108

Results of Not Filing the Response (Objection)
PRIDON BASILAIA

ია ხარაზი, ნატო უერთაშვილი, თემურ გერგედავა
საბაჟო რეჟიმების კლასიფიკაციის სამართლებრივი ასპექტები 122

Legal Aspect of Classification of Customs Regimes
IA KHARAZI, NATO UERTASHVILI, TEMUR GERGEDAVA

ქეთევან ჩახვაძე
ლტოლვილის სტატუსის მინიჭებისა და სამართლის სუბიექტთა თავისებურებანი დიდ ბრიტანეთში 133

Notable Features of Conferring the Refugee Status and of Subjects of Law in the Great Britain
KETEVAN CHAKHVADZE

მარიამ ჯიქია
ბავშვთა უფლებების დაცვა ჟენევის კონვენციების მიხედვით 140

Protection of the Child Rights under the Geneva Conventions
MARIAM JIKIA

ახალი წიგნები 151

„სისტემა, რომელიც შევქმენით სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების წინაპირობაა“

„ძირეულ საკანონმდებლო და სტრუქტურულ ცვლილებებს თუ დავუმატებთ სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზას – გარემონტებულ და ახლადაშენებულ სასამართლოს შენობებს, რომელთა ტექნიკური აღჭურვილობაც ევროპული სტანდარტების შესაბამისია, – თავისუფლად შეიძლება ვთქვათ, რომ რეფორმის უდიდესი ნაწილი წარმატებით განხორციელდა“, – აცხადებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი. გთავაზობთ მასთან ინტერვიუს სასამართლო სისტემაში განხორციელებული და მოსალოდნელი სიახლეების შესახებ.

თქვენ განაცხადეთ, რომ 2009 წლის ბოლოს, სასამართლო რეფორმის დიდი ნაწილი დასრულდა. რა ეტაპზეა რეფორმა და ამ პერიოდისთვის რა არის ყველაზე პრიორიტეტული?

– როცა განვაცხადე, რომ სასამართლო რეფორმის ძალიან დიდი ნაწილი დასრულდა, ეს ნიშნავს, რომ რამდენიმე წელზე გათვლილი რეფორმის გეგმის უმთავრესი მიზანი შესრულდა – ჩამოყალიბდა სრულიად ახალი სისტემა სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულება და ის საკმაოდ გამართულად ფუნქციონირებს.

სასამართლო რეფორმის დიდი ნაწილის დასრულებაში იგულისხმება პრინციპული, ძირეული საკითხები. მაგალითად, სასამართლოს და მოსამართლეების დამოუკიდებლობი-

სათვის შეიქმნა პირობები, როგორც საკანონმდებლო ასევე, სხვადასხვა სტრუქტურული რეორგანიზაციის თვალსაზრისით და სხვა ის უამრავი პრობლემა მოგვარდა, რომელიც სასამართლოს გამართულ ფუნქციონირებას განაპირობებს.

ამოქმედდა მოსამართლეთა შერჩევისა და დანიშვნის ახალი სისტემა, დაიხვეწა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის მექანიზმი, ვინაიდან ძველი სისტემა სასამართლოს დამოუკიდებლობას აფერხებდა. აქამდე გადაწყვეტილებებს იღებდა იუსტიციის უმაღლესი საბჭო, რომელიც პრეზიდენტის სათათბირო ორგანო იყო. მას არ ჰქონდა დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების საშუალება, რადგანაც საბოლოო გადაწყვეტილებას თავმჯდომარე – პრეზიდენტი იღებდა, საბჭოში მოსამართლეებიც უმცირესობაში იყვნენ. ამიტომაც, საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების შემდეგ, საბჭოს წევრების უმრავლესობა მოსამართლეები გახდნენ – 15-დან 9 წევრი მოსამართლეა. გარდა ამისა, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე გახდა საბჭოს თავმჯდომარე და ეს ძალზე მნიშვნელოვანი მიღწევაა სასამართლოს დამოუკიდებლობის თვალსაზრისით.

განვახორციელეთ სასამართლოს სტრუქტურული ცვლილება – საკასაციო სასამართლოს მხოლოდ საკასაციო ფუნქცია აქვს და აღარ განიხილავს პირველი ინსტანციის სასამართლოს საქმეებს. იგივე ფუნქცია აქვს ორ სააპელაციო სასამართლოს თბილისსა და ქუთაისში, რომლებიც მხოლოდ სააპელაციო საჩივრებს განიხილავენ. პირველ ინსტანციაში მოხდა სასამართლოების გამსხვილება, 22 დიდი სასამართლოდან 14 ახალი წესით ფუნქციონირებს და მათთან ერთად არის 24 მაგისტრატი სასამართლო – ესეც დამოუკიდებლობის ხარისხს ამყარებს.

ამ წლების მანძილზე სხვა უამრავი ცვლილება დავნერგეთ, როგორც საკანონმდებლო ასევე, სტრუქტურული და სასამართლოს ტექნიკური აღჭურვის თვალსაზრისით, რომელთა დეტალური ჩამოთვლაც მკითხველისათვის ალბათ, საინტერესო არ იქნება. უმთავრესი და უმნიშვნელოვანესია, რომ მივიღეთ სრულიად ახალი ტიპის მართლმსაჯულება.

მართლმსაჯულების სრული დამოუკიდებლობისათვის ერთადერთი, რაც დაგვრჩა, გასაკეთებელი ესაა, მოსამართლეთა უვადო დანიშვნა. როგორც ცნობილია, პროექტი არსებობს და მალე კონსტიტუციაში ამ მიმართულებითაც შევა ცვლილებები. უვადოდ დანიშნულ მოსამართლეს დამოუკიდებლობის, პრინციპულობის და სტაბილურობის უფრო მეტი განცდა აქვს.

მეტ-ნაკლებად შემცირდა მოსამართლეთა ნაკლებობით გამოწვეული სირთულეები, მით უფრო ახლა, როდესაც იუსტიციის უმაღლესი სკოლა ინტენსიურად ამზადებს მოსამართლეთა ახალ თაობას, რომელმაც უკვე ორი ნაკადი გამოუშვა. როგორ ფიქრობთ, მათი სწავლების პერიოდულობიდან გამომდინარე, რამდენად გამართლებულია ასეთი ხანგრძლივი პროცესი და საბოლოოდ, რამდენად კვალიფიციურ კადრებს ვიღებთ?

– მართალია, იუსტიციის უმაღლესი სკოლა 2006 წელს შეიქმნა, მაგრამ მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნის ახალი წესისათვის საჭირო გახდა საკანონმდებლო ცვლილებების მიღება. პირველი შედეგი მივიღეთ 2009 წლის გაზაფხულზე, როცა დავნიშნეთ 9 ახალი მოსამართლე, რომლებმაც იუსტიციის უმაღლეს სკოლაში გაიარეს სწავლების სრული კურსი.

ამ ადამიანების დანიშვნით სასამართლოს ახალი სისტემის შექმნა დასრულდა და მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნის ახალი სისტემა ამოქმედდა.

შეიცვალა და დაიხვეწა მომავალ მოსამართლეთა შერჩევისა და დანიშვნის კრიტერიუმები. სამოსამართლო კანდიდატმა გამოცდების ჩაბარების გარდა, უნდა გაიაროს იუსტიციის უმაღლესი სკოლის 14-თვიანი სასწავლო კურსი, რათა სრულყოფილად გამოიმუშაოს მოსამართლისათვის საჭირო უნარ-ჩვევები. გარდა თეორიული სწავლებისა, სამოსამართლო კანდიდატები სკოლაში პრაქტიკულ კურსსაც გადიან, იძენენ მოსამართლისათვის საჭირო უნარ-ჩვევებს, იხვეწებიან როგორც პროფესიონალები. ვფიქრობ, რომ სწავლების ეს კურსი გვაძლევს საშუალებას მივიღოთ მაღალკვალიფიციური კადრები. კანდიდატებმა, რომლებმაც სამოსამართლო კურსი გაიარეს განაცხადეს, რომ სასწავლო პერიოდი არ იყო საკმარისი კვალიფიკაციის ასამაღლებლად, ამიტომაც, სწავლების პერიოდი 14 თვემდე გავზარდეთ და თამამად შეიძლება ითქვას, რომ იუსტიციის უმაღლესი სკოლა საუკეთესო მოსამართლეებს ამზადებს. თუ ადამიანი 14 თვეს კარგად იმუშავებს საკუთარ თავზე, ის ნებისმიერი საქმის წარმატებით, პროფესიულად განხილვას შეძლებს.

რეფორმის ერთ-ერი ნაწილია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრება, რა წარმატებებია მიღწეული ამ მხრივ?

– მართლმსაჯულების გამართულად და ხარისხიანად მუშაობისათვის ძალზე მნიშვნელოვანი მომენტია ერთგვაროვანი პრაქტიკა. ერთგვაროვან პრაქტიკას უზენაესი სასამართლო ადგენს და ყველა ინსტანციის მოსამართლე ხელმძღვანელობს. ანუ, ყველა მოსამართლემ იცის, რომ ქვედა ინსტანციაში ერთგვაროვან პრაქტიკას თუ გადაუხვევს, ზედა ინსტანციაში მაინც ერთგვაროვანი პრაქტიკის საფუძველზე გამოვა გადაწყვეტილება. ერთგვაროვანი პრაქტიკის არსებობის შემთხვევაში, მხარეებმაც იციან, როგორი იქნება გადაწყვეტილება. ეს სისტემაც მართლმსაჯულების გამართულად მუშაობის გარანტია.

ერთგვაროვანი პრაქტიკის წარმატებული მუშაობის დასტურია ჩატარებული კვლევის შედეგები. მაგალითად, სამოქალაქო საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილების მხოლოდ 14 პროცენტი საჩივრდება ზედა ინსტანციაში. ხოლო სისხლის სამართლის საქმეების – 15-16 პროცენტი, რაც ერთგვაროვანი პრაქტიკის წარმატებულად მუშაობის დასტურია.

დიდი სამუშაოები ჩატარდა სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის საბოლოო ვარიანტის მისაღებად, ასევე ფართოდ იყო გაშუქებული ის ძირეული ცვლილებები, რაც ამ კოდექსით უნდა დამკვიდრდეს. თქვენი აზრით, კიდევ რა უნდა გაკეთდეს საზოგადოების უკეთ ინფორმირებისათვის?

– გეტყვით, რომ საზოგადოებისათვის უკვე ძალზე კარგადაა ცნობილი ამ სიახლის თაობაზე. ჩვენ ძალიან ბევრი გავაკეთეთ, რომ უპირველესად, ჟურნალისტებამდე მიგვეტანა ინფორმაცია, რადგან ჩემი აზრით, ჟურნალისტიდან საზოგადოებამდე მანძილი თითქმის არ არსებობს. მაქსიმალურად ვცდილობთ, ჟურნალისტების მეშვეობით საზოგადოებას სრული ინფორმაცია მივაწოდოთ. ამ რეჟიმში ურთიერთობა ორივე მხარისთვისაა სასარგებლო. უპირველესად, საზოგადოებისათვის, ვინაიდან ჟურნალისტი და საზოგადოება რეალურად დაინახავს რა ხდება და ინფორმაციას მხოლოდ რომელიმე დაინტერესებული მხარისაგან არ მიიღებს. საბოლოოდ, ამგვარი ურთიერთობით მიიღწევა ერთი მთავარი მიზანი – სასამართლოს გამჭვირვალობა, რაც ნიშნავს ობიექტურ სასამართლოს და ეს ყველა იმ ადამიანის სურვილია, ვინც ამ ქვეყანაში ცხოვრობს. აქვე ვიტყვი, რომ უპირველესად, ეს ჩემი სურვილიცაა და ამიტომაც, ვეცდებით უფრო მეტი გავაკეთოთ ამ მიმართულებით. საზოგადოება ჩვენგან დეტალურ ინფორმაციას ნებისმიერ დროს მიიღებს, რათა უკეთ იყოს ინფორმირებული მიმდინარე პროცესების თაობაზე.

ბევრი ითქვა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის უარყოფით და დადებით მხარეებზე. საქართველოში ეს ინსტიტუტი თქვენი თავმჯდომარეობის დროს ამუშავდება და საინტერესოა, როგორია თქვენი აზრი მისი განვითარების შესახებ?

– მე საკმაოდ ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და დარწმუნებული ვარ, რომ ეს ინსტიტუტი წარმატებით ამოქმედდება და განვითარდება. შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენ სრულყოფილად მზად ვართ ახალი პროცესის მისაღებად და დარწმუნებული ვარ, ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით პირველივე პროცესი წარმატებულად ჩატარდება. ეს არის მართლმსაჯულებაში საზოგადოების პირდაპირი მონაწილეობა, მოსამართლის, ადვოკატის, პროკურორის ჩაურევლად. დარწმუნებული ვარ, ამ სისტემამ უნდა გაამართლოს. უპირველესად, ის მოქალაქეებისათვის იქნება ძალიან კარგი, რადგან გაითავისებენ კონკრეტულ პასუხისმგებლობას ქვეყნის წინაშე. საზოგადოების წარმომადგენლები მიხვდებიან, რომ ამ ქვეყანაში მათ ეკითხებათ და მათი გადასაწყვეტია ბევრი რამ და პასუხისმგებლობა ქვეყნის წინაშე არ არის მხოლოდ საკუთარ თავზე და ოჯახზე ზრუნვა.

და მეორე, მოქალაქე ნახავს რამდენად რთულია საქმის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება. საზოგადოება მიხვდება, რომ მართლმსაჯულების განხორციელება ძალზე საპასუხისმგებლოა და სასამართლოს მიმართ კიდევ უფრო შეიცვლება საზოგადოების დამოკიდებულება.

დღეისათვის ბევრი მატერიალურ-ტექნიკური საკითხია მოგვარებული, რაც ეფექტურს ხდის მოსახლეობის მომსახურებას, კიდევ რა ცვლილებები იგეგმება ამ მიმართულებით?

– ზემოაღნიშნულს თუ დავუმატებთ, რომ სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა – გარემონტებული და ახლადაშენებული სასამართლოს შენობები ევროპული სტანდარტების შესაბამისია, რაც რეფორმის ცალკე დიდი ნაწილია, ჩემი აზრით, ეს ყველაფერი დადებით შეფასებას იმსახურებს. სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების შექმნისათვის

ძალზე ბევრი რამ გავაკეთეთ. კერძოდ, თუ რამდენად სწრაფად იხილება საქმეები სასამართლოში, 6 ათასი საქმის წარმოება გამოვიკვლიეთ და აღმოჩნდა, რომ საქართველოს სასამართლო სისტემა ევროპულზე სწრაფია. თუმცა, გვინდა კიდევ უფრო გავამარტივოთ და სწრაფი გავხადოთ მართლმსაჯულება, ამიტომაც სისტემა ელექტრონულ წარმოებაზე გადადის. ამ მიმართულებით, 2010 წლიდან რამდენიმე სასამართლოში საპილოტო პროგრამა ამუშავდება. მილიონ 200 ათასი ლარის ღირებულების სპეციალური აპარატურა შევიძინეთ ამ სისტემის გასამართავად, აპარატურა უკვე დამონტაჟებულია და მომავალ წელს მართლმსაჯულება გაცილებით უფრო სწრაფი გახდება.

დღეისათვის, მიმდინარე სასამართლო პროცესის აუდიოჩაწერა მიმდინარეობს მხოლოდ სამ სასამართლოში – უზენაეს სასამართლოში, რუსთავის, მცხეთის სასამართლოებში. ვაპირებთ, ეს სისტემა მთელი საქართველოს მასშტაბით ავამოქმედოთ, რადგან დღეს, რაიონულ სასამართლოებში პროცესის მსვლელობის თაობაზე ჩანაწერს სხდომის მდივანი აკეთებს და ეს დიდ დროს მოითხოვს. მაგალითად, საქმეს, რომელიც შეიძლება ერთ საათში გაკეთდეს, სამი საათი სჭირდება და ეს სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას აფერხებს.

ამიტომაც, მთელი საქართველოს მასშტაბით, ყველა სასამართლოში დამონტაჟდება აუდიოჩამწერი აპარატურა. ამ და სხვა ტექნიკური პროცესის სრულყოფილად გამართვას ორი წელი სჭირდება და შედეგად სრულფასოვან მართლმსაჯულებას მივიღებთ.

ცოტა ხნის წინათ შეხვედრა გქონდათ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან, საინტერესოა, რას ფიქრობენ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და მოწვეული უცხოელი ექსპერტები ქართველი მოსამართლეების პროფესიონალიზმზე?

– რა თქმა უნდა, არ არის გამორიცხული, რომ მთელ სისტემაში რომელიმე მოსამართლე არ იყოს მაღალი კვალიფიციკაციის და სწორედ იქით მივდივართ, რომ ეს ერთი-ორი შემთხვევაც აღარ არსებობდეს. აქვე გეტყვით, რომ მოსამართლეთა კვალიფიკაცია საგრძნობლად ამაღლდა, შესაბამისად, გადაწყვეტილებების ხარისხიც გაზრდილია და მოსამართლე სწრაფად, კვალიფიციურად იხილავს საქმეს. ვფიქრობ, უპირველესად, საზოგადოებამ, ხალხმა უნდა შეაფასოს ჩვენი საქმიანობა, მათ, ვისაც შეხება ჰქონიათ სასამართლოსთან. ექვს დიდ სასამართლოში ჩატარდა გამოკითხვა და აღმოჩნდა, რომ მართლმსაჯულების საქმიანობით საზოგადოების 54 პროცენტი კმაყოფილია. ეს შედეგი დადასტურდა მეორე კვლევითაც, კერძოდ კი, იმ მოქალაქეების გამოკითხვის შედეგად, რომელთაც სასამართლოსთან შეხება არ ჰქონიათ. კითხვაზე ენდობით თუ არა სასამართლოს – 57 პროცენტმა დადებითი პასუხი გასცა, ანუ, შედეგი დაახლოებით ერთნაირია. ასევე, დიდი კვლევა ჩაატარა გაერომ და ამ კვლევის საფუძველზე, მოსახლეობის ნდობამ მართლმსაჯულების მიმართ 66% შეადგინა. ასეთი კეთილგანწყობა და შედეგები მოსალოდნელიც იყო, რადგან სასამართლო ხელისუფლებამ დიდი სამუშაო ჩაატარა რეფორმის წარმატებით განსახორციელებლად და მაღალი პროცენტიც ამ მუშაობის შედეგია. მოსახლეობის დიდი ნაწილი უკვე თვლის, რომ სასამართლო კვალიფიციურია. მართლაც, 5-წლიანი რეფორმის სერიოზულად დადებითი შედეგი ნათელია.

ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნული, დადებით შეფასებას იმსახურებს – სისტემა, რომელიც ჩვენ შევქმენით სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების წინაპირობაა.

System that we Created is Precondition for the Speedy and Effective Administration of Justice"

IF WE THINK OF THE LOGISTICAL SUPPORT TO THE COURTS – RENOVATED AND NEWLY BUILT COURT HOUSES, THAT COMPLY WITH THE INTERNATIONAL STANDARDS, IN ADDITION TO THE LEGISLATIVE AND STRUCTURAL CHANGES, WE CAN SAY CONFIDENTLY THAT THE MAJOR PART OF THE REFORM WAS SUCCESSFULLY IMPLEMENTED," – STATEMENT OF THE CHAIRMAN OF THE SUPREME COURT OF GEORGIA, MR. KONSTANTINE KUBLASHVILI. WE OFFER YOU THE INTERVIEW WITH THE CHAIRMAN OF THE SUPREME COURT OF GEORGIA REGARDING THE IMPLEMENTED AND PLANED REFORMS WITHIN THE JUDICIARY.

You stated that the major part of the judicial reform was completed at the end of 2009. On which stage is the reform now and what is the top priority ?

– When I said that the major part of the judicial reform was completed, this means that the goal of the reform, that was envisaged for several years, was achieved – entirely new system of the speedy and effective administration of justice was established that functions very efficiently. When we say that the major part of the judicial reform was completed, we mean principle, major issue. For example, conditions were created to ensure the independence of judges and judiciary. These include legislative framework, structural reorganization as well as many other problems have been addressed that ensure effective functioning of the courts.

The new system of selection and appointment of judges have been activated, mechanism for the operation of the High School of Justice have

been improved, because the old system used to hamper the independence of the judiciary. Before, the High Council of Justice, that is the consultative body to the President, used to make decisions. It was not able to make independent decisions, as the final decision had to be made by the Chairman – the President and the judges were presented in the minority. Due to that, the Constitutional amendments were introduced that increased the number of judges from 9 to 15. Besides, Chairman of the Supreme Court became the Chairman of the Supreme Court and this is a significant achievement for ensuring the independence of the judiciary.

We carried out structural changes within the judiciary – Cassation Court's function is purely cassation and does no more handle the first instance cases. The similar is with the jurisdiction of Tbilisi and Kutaisi Appellate Courts, that handle only appeal claims. The courts have been merged on the first instance level, out of 22 courts we have now 14 courts functioning with the new rules and at the same time, 24 magistrate judges – which is also strengthening level of independence.

We introduced many other changes during this year. These are legislative as well as structural and logistical novelties including equipping the courts with new technologies. The most important here is that as a result, we have entirely new system for administration of justice.

The only step we still need to implement in order to achieve the full independence of the judiciary is the lifetime appointment of judges. As you know, there is the draft Constitutional amendments ready to be introduced. No doubt that judge with the life time appointment has a better sense of stability, to be more principle and independent.

As we understand, judiciary faces less problems related with the lack of judges, especially now, when the High School of Justice organizes trainings for the new generation of judges. Do you think it is reasonable to have such a long training process and finally, do you think we are getting the qualified persons ?

– Although the High School of Justice was established in 2006, it became necessary to introduce legislative changes in the rules for selection and appointment of judges. The first results became evident in the spring of 2009, when we appointed 9 judges that took the full course of trainings. Through appointing these persons, the creation of the new judiciary was completed and the new system for selection and appointment of the judges was completed.

Criteria for the selection and appointment of judges have been changed and improved. Judicial candidates have to undertake 14 months' courses in the High School of Justice, besides the judicial exam, in order to have all necessary skills. In addition to the theoretical knowledge, candidates also have practical courses in the High School of Justice, acquire necessary skills, grow as professionals. I believe that this training course enables us to receive the highly qualified staff. Candidates, that took this course said that the training course is not sufficient for raising the qualification. Thus, we increased the training course up to 14 months and we are confident that the High School of Justice trains the judges in the best manner. If the person dedicates himself / herself to this, he / she will be competent to handle any case successfully.

One of the goals of the reform is to ensure the uniform practice among the courts, do we have success in this direction?

– Uniform practice is one of the most important aspect of the effective administration of justice. The Supreme Court established uniform practice and judges of all instances are guided with that. In other words, all judges

know that if a judge will not follow this practice at the lower instance, decision on the higher instance will be made based on this uniform practice. This system is also guarantee of effective administration of justice.

The results of the conducted Survey is the prove of the successful implementation of the uniform practice. For example, 14 % of the civil case decisions are appealed in the higher instance. In criminal cases this figure is 15 – 16% and this is the prove for successful implementation of the uniform practice.

A lot of efforts have been made for the adoption of the final version of the Criminal Procedure Code. A lot of discussion have been held on the fundamental changes that will be introduced with this Code. What else do you think should be done in order to better inform public?

– Public is very well informed on all novelties. We did a lot in order to first educate journalists, because there is almost no distance between journalists and public. We use all efforts to use journalists for informing public. This cooperation is productive for both parties. First of all for public, because the journalist and public will realize what are the developments and will not receive information from interested parties only. Finally, we can reach one common goal with this – transparency of the judiciary, which means objective and impartial judiciary and this is the wish of all persons who live in this Country. I would also state here that this is also my desire and thus, we will do our best in this direction. Public will receive detailed information from us, to ensure their proper update on ongoing processes.

Much has been said on the pros and cons of the Jury Trial institute. This institute will start functioning in Georgia during your chairmanship. It is interesting to know your opinion on this development.

– I'm quite optimistic and confident that this institute will be successfully introduced and developed. I can say that we are fully prepared for the implementation of the new Criminal Procedure Code and I'm sure that the first jury trail will be conducted very successfully. This is a direct participation of public in the administration of justice, without a judge, attorney, or a prosecutor. I'm confident that this system will be successful. First of all, it will be good for citizens to realize individual responsibility before the state. Citizens will understand that they are involved in decision making process in the Country and the responsibility before the State does not mean to take care of yourself and your family.

And second, citizens will observe how difficult it is to handle a case and render decision on it. Public will realize that administration of justice is high responsibility and public attitude towards the courts will change.

Many of the logistical issues have been solved nowadays. This makes the services more effective. What are other changes planed?

– If we add to the above mentioned, that the court houses and the logistics of the courts in Georgia comply with the international standards, which is a separate huge part of the reform, all of this deserves positive evaluation. We used a lot of efforts for the establishment of speedy and effective administration of justice. In order to determine how much time does it take to administer the case in the courts, we studied 6 thousand cases and it appeared that Georgian judicial system is extremely fast. However, we want to make it even simpler and more speedy and for this reason we introduce electronic case management. Starting 2010, several pilot projects will start functioning in several courts. We purchased the equipment worth of 200 000 GEL in

order to make this system functioning. Equipment is already installed and starting next year, administration of justice will become faster.

Today, the audio recording of the trials is done in three courts only – in the Supreme Court, Rustavi and Mtskheta Courts. We plan to introduce this system throughout the Country because currently the trial secretary makes the minutes of the hearing which it too much time consuming. For example, that case hearing that may take only an hour, could last three hours, this definitely hampers speedy trail.

For this reason, the audio recording equipment will be installed in all courts throughout Georgia. It will take two years to make this system fully functional and at the end we will get effective administration of justice.

Recently, we had a meeting with the representatives of the Diplomatic bodies. It is interesting to know the opinion of the representatives of the Diplomatic bodies and invited foreign experts about the professionalism of the Georgian Judges.

– Obviously, we can not exclude, that there is not a single judge with a low qualification in the whole system, but we are striving to eradicate this one or two cases as well. We should also notice, that the qualification of the judges has increased considerably and relevantly the quality of the decisions is higher, the judges are considering the cases more quickly and in a more qualified way. I believe that first of all, our activities shall be evaluated by those people who had some contact with the judiciary. A survey was conducted in 6 big courts and it was revealed, that 54% of the public is satisfied with the justice performance. This result was further confirmed by another survey that was done among those citizens that did not have any contacts with the courts. 57% of the respondents gave positive responses to the question about whether they trust the court. This means that the results were almost the same. UN conducted a broader research and according to its findings, 66% of the population expressed their trust towards the judiciary. This kind of attitude was expected, since the judicial authorities made a lot of efforts to successfully carry out the reform. The high percentage of trust is the result of the made efforts. Big part of the population considers, that the judiciary is qualified and the serious positive outcome of the 5-year long reform is quite obvious.

Therefore, all the above mentioned facts deserve positive appraisal – the system created by us is the precondition for a quick and effective justice.

რამდენიმე მოსაზრება დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის გამიჯვნის შესახებ ევროპულ და ამერიკულ სისხლის სამართალში

კახა წიქარიშვილი
თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფო და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლის პირველი ნაწილით, „დანაშაულის მომზადებად ითვლება დანაშაულის ჩადენისათვის პირობების განზრახ შექმნა“. ამავე კოდექსის მე-19 მუხლის პირველი ნაწილით, „დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახი ქმედება, უშუალოდ მიმართული დანაშაულის ჩასადენად.“

კანონის ასეთი მკაფიო განმარტების მიუხედავად, სასამართლო პრაქტიკა იცნობს შემთხვევებს, როცა დანაშაულის მომზადების და მცდელობის გამიჯვნა საკმაოდ პრობლემატურია და სადავოა. ჩვენი აზრით, ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან დანაშაულის ჩადენა (ზოგჯერ) მრავალსაფეხურიანი პროცესია, რომელიც გრძელდება განზრახვის გამოვლენიდან დანაშაულის დასრულებამდე და ძნელია რაიმე „მაგიური ფორმულის“ გამოგონება, რომელიც მომზადებას და მცდელობას ერთმანეთისგან მათემატიკური სიზუსტით გამიჯნავს.

რაც შეეხება ევროპულ და ამერიკულ სისხლის სამართალს, აქ განსხვავებული მიდგომები არსებობს და საკანონმდებლო თუ დოქტრინალური განმარტებებიც მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან[1].

ჩვენი აზრით, ინტერესმოკლებული არ იქნება საკითხის განხილვა შედარებითი სამართლის კუთხით. ამისათვის ავი-

ღოთ რამდენიმე კაზუსი, სასამართლო პრაქტიკიდან და ვნახოთ, თუ როგორ დააკვალიფიცირა ესა თუ ის ქმედება სასამართლომ.

1. A-მ გადაწყვიტა ფოსტის დაყაჩაღება. ამისთვის იგი მოტოციკლით მივიდა ფოსტასთან. ავტოსადგომზე დააყენა მოტოციკლი და ფეხით გაემართა ფოსტის შესასვლელისაკენ. მას ერთ ჯიბეში ედო მუქარის წერილი მიმართული მოლარისადმი, მეორეში – სათამაშო პისტოლეტი. პოლიციამ A დააკავა ფოსტის კარებიდან ერთი იარდის მოშორებით და ბრალი დასდო ყაჩაღობის მცდელობაში. სასამართლომ ჩათვალა, რომ განსასჯელმა განახორციელა მხოლოდ მოსამზადებელი ქმედებები. იმ გარემოებებში, როდესაც „პირს ჯერ არც მიუღწევია იმ ადგილისათვის, სადაც უნდა ჩაედინა დანაშაული“ მისი ქმედებები ვერ დაკვალიფიცირდებოდა მცდელობად (**ინგლისი**);[2]
2. საიუველირო მაღაზიის მეპატრონე A-მ, რომლის ქონებაც დაზღვეული იყო მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისგან, გადამალა საკუთარი ძვირფასეულობა, დაიბა თავი და საშველად გამოცხადებულ პოლიციას აცნობა, რომ მასზე განხორციელდა ყაჩაღური თავდასხმა. სასამართლომ ჩათვალა, რომ მისი მოქმედება წარმოადგენდა მხოლოდ დანაშაულის მომზადებას, ვინაიდან უშუალოდ არ უკავშირდებოდა დამთავრებულ დანაშაულს და დაშორებული იყო მისგან. მცდელობის კვალიფიკაციისთვის საჭირო იყო A დაკავშირებოდა სადაზღვევო კომპანიას და მოეთხოვა თანხა (**ინგლისი**).[3]
3. B-მ დაუდევარი მართვისას დაამტვრია საკუთარი მანქანა, გადაიყვანა ის ახლომდებარე ტყეში და პოლიციას განუცხადა რომ მოპარეს. შემდეგ მისწერა სადაზღვევო კომპანიას და იკითხა, შეეძლო თუ არა მოეთხოვა თანხა მოპარული ავტომანქანისათვის. სასამართლომ ჩათვალა, რომ ბრალდებული არ გასცილებია დანაშაულის მომზადების სტადიას (**ინგლისი)**[4];
4. A-მ საჯარო ადგილებში დატოვა წარწერები, სადაც ახალგაზრდა ბიჭებს თავაზობდა ფულს და საჩუქრებს. მართალია, ეს წარწერები თავისთავად არ შეიცავდა რაიმე სახის გარყვნილ წინადადებას, მაგრამ ამ ქმედებით A მიზნად ისახავდა ახალგაზრდების მოზიდვას ამორალური მიზნებისათვის. პირველი ინსტანციის სასამართლომ A-ს მსჯავრი დასდო გარყვნილი ქმედების მცდელობაში, მაგრამ სააპელაციო სასამართლომ გააუქმა და ჩათვალა, რომ მისი ქმედებები არ გასცდენია მომზადების სტადიას (**ინგლისი**);[5]
5. B-ს სასიყვარულო კავშირი ჰქონდა C-სთან, რომელმაც გარკვეული პერიოდის შემდეგ მასთან ურთიერთობა გაწყვიტა, ახალ საყვარელთან – D-სთან ურთიერთობის გამო. B-მ მოიპოვა სანადირო იარაღის ტარების ლიცენზია და შემდეგ შეისყიდა სანადირო თოფი. დაამოკლა მისი ლულა და რამდენჯერმე გამოსცადა ვარგისიანობის შესამოწმებლად. სამი დღის შემდეგ მეუღლეს უთხრა, რომ მიდიოდა ესპანეთში, გამოიცვალა ტანსაცმელი და დაელოდა D-ს, რომელმაც თავისი გოგონა მანქანიდან ჩამოსვა სკოლასთან. შემდეგ შეიპარა მისი მანქანის უკანა სალონში და უბრძანა მანქანა წაეყვანა. როდესაც მანქანა მწვანე მინდორზე გადავიდა, B-მ ამოიღო თოფი, დაუმიზნა D-ს და უთხრა რომ „მას ეს არ მოეწონებოდა“. D-მ შებრძოლების შემდეგ მოახერხა მანქანიდან გადმოსვლა და გაქცევა. B-ს მსჯავრი დაედო მკვლელობის მცდელობაში. მაღალი ინსტანციის სასამართლომ ძალაში დატოვა განაჩენი და ჩათვალა რომ B-ს ქმედებები გასცდა მოსამზადებელ სტადიას და უკვე გადაიზარდა დანაშაულის მცდელობაში (**ინგლისი**);[6].
6. A-მ გადაწყვიტა B-ს მოკვლა საწამლავის მცირე დოზების გამოყენებით. სასამართლომ ჩათვალა, რომ პირველი დოზის მიცემა უკვე წარმოადგენდა დანაშაულის მცდელობას (**ინგლისი**);[7]

7. A-მ გადაწყვიტა რა შენობის განადგურება ცეცხლის წაკიდების გზით, შევიდა შენობის შიგნით და დაამონტაჟა ცეცხლგამჩენი საგნები. შემდეგ ის დაშორდა შენობას რამდენიმე მილით და B-ს შესთავაზა თანხა, რომ წასულიყო და მისთვის ცეცხლი გაეჩინა. B-მ უარით უპასუხა. შემდეგ A გაემართა შენობის მიმართულებით, მაგრამ მისგან ერთი მეოთხედი მილის მოშორებით ისევ შეჩერდა და დაიწყო ყოყმანი. ამ დროს ის დააკავა პოლიციამ. სასამართლომ ჩათვალა, რომ ქმედება წარმოადგენდა დანაშაულის მცდელობას (**აშშ, მასაჩუსეტი**);[8]
8. A-მ გადაწყვიტა დაეყაჩაღებინა მოლარე, რომელსაც თანამზრახველებთან ერთად ჩაუსაფრდა იმ შენობის კიბეებთან, სადაც მას უნდა გამოევლო. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ადგილი ჰქონდა დანაშაულის მცდელობას (**საფრანგეთი**);[9]
9. ანალოგიური შემთხვევა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ A ყაჩაღობის მიზნით მოლარეს ქალაქის ქუჩაში ეძებდა, სასამართლომ დააკვალიფიცირა დანაშაულის მომზადებად (**აშშ, ნიუ-იორკის შტატი);**[10]
10. A-მ პატიმრობიდან გაქცევის მიზნით დაიწყო საკნის გისოსების გადაჭრა. სასამართლომ მისი ქმედება დააკვალიფიცირა გაქცევის მცდელობად (**საფრანგეთი);**[11]
11. B-მ თითქოსდა, სამსახურში აყვანის წინ სამედიცინო შემოწმების მიზნით ახალგაზრდა ქალი აიძულა ტანსაცმელი მთლიანად გაეხადა. სასამართლომ ეს დააკვალიფიცირა გარყვნილი ქმედების ჩადენის მცდელობად (**საფრანგეთი**)[12].
12. A-მ გასაყიდად გამოიყვანა ავტომობილი, რომლის კილომეტრაჟი აჩვენებდა რეალურზე გაცილებით ნაკლებ განვლილ მანძილს. სასამართლომ მისი ქმედება დააკვალიფიცირა თაღლითობის მცდელობად (**საფრანგეთი);**[13]
13. A-მ C-ს მოკვლის მიზნით დაიქირავა B და გადაუხადა თანხა. სასამართლომ მისი ქმედება ჩათვალა განზრახ მკვლელობის მომზადებად (**საფრანგეთი);**[14]
14. A და C-ს წაასწრეს შემთხვევის ადგილას, სადაც ისინი იყურებოდნენ სათავსოს გასაღების ღრიჭოში და მათ გაქცევით უშველეს თავს. სათავსოსაგან მოშორებით აღმოჩენილ იქნა მათი ავტომანქანა ლითონის საჭრელი აპარატით (ავტოგენი). სააპელაციო სასამართლომ მათი ქმედება დააკვალიფიცირა ქურდობის მცდელობად (**ინგლისი);**[15]
15. ავტომანქანის გატაცების მიზნით A-მ ავტოსადგომზე მდგომ ავტომანქანებს ფეხით მოუსინჯა საბურავები, რათა გაეგო რომელ მათგანს ჰქონდა დაუკეტავი საჭე. სასამართლომ ეს შემთხვევა დააკვალიფიცირა ავტომანქანის გატაცების მცდელობად (**გერმანია).**[16]

როგორც ამ კაზუსებიდან ვნახეთ, დანაშაულსა და მცდელობას შორის ზღვარის გავლება ხშირად დელიკატურია და დამოკიდებულია, თუ რომელ თეორიას, ან რომელი ქვეყნის კანონმდებლობას იყენებს სასამართლო.

ჩვენი აზრით, დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის გამმიჯნავი საკანონმდებლო (სასამართლო) და დოქტრინალური ფორმულირებანი შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს:

1. ფორმულირებანი, რომლებიც ათვლის წერტილად ირჩევენ განზრახვის ობიექტურ გამოვლინებას;
2. ფორმულირებანი, რომლებიც ათვლის წერტილად ირჩევენ დანაშაულის დამთავრებას;

1. **ფორმულირებანი, რომლებიც ათვლის წერტილად ირჩევენ განზრახვის ობიექტურ გამოვლენას**	2. **ფორმულირებანი, რომლებიც ათვლის წერტილად ირჩევენ დანაშაულის დამთავრებას**
აშშ მოდალური სისხლის სამართლის კოდექსით, დანაშაულის მცდელობა წარმოადგენს „არსებით ნაბიჯს“ (substantial step) დანაშაულის განსახორციელებლად.	გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 22. „დანაშაულის მცდელობას ჩადის ის, ვინც თავისი წარმოდგენის შესაბამისად, უშუალოდ შეუდგება დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებას“ (unmittelbar ansetzt).
ინგლისის, 1981 წლის სისხლის სამართლის კანონით, „თუ პირი, დანაშაულის ჩადენის მიზნით, ჩაიდენს ქმედებას, რომელიც **უფრო მეტია, ვიდრე უბრალო მომზადება (more then preparatory)** დანაშაულის ჩასადენად, მაშინ ის პასუხს აგებს მცდელობისათვის.“	საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსის 121-ე მუხლით, დანაშაულის მცდელობა, ეს არის დანაშაულის „განხორციელების დასაწყისი“ (commencement d’execution).[17]
არაორაზროვნების თეორიის (unequivocality approach) მიხედვით, პირის ქმედებები დაკვალიფიცირდება მცდელობად, თუ ისინი ერთმნიშვნელოვნად, არაორაზროვნად ადასტურებენ პირის განზრახვას ჩაიდინოს დანაშაული[18].	შედეგთან სიახლოვის თეორიით, (proximity test) ქმედება წარმოადგენს დანაშაულის მცდელობას, თუ ის ახლოს არის დანაშაულის განხორციელებასთან. იგულისხმება სიახლოვე როგორც დროში, ასევე სივრცეში[19].
ბოლო აქტის თეორია (last act test) გულისხმობს, რომ დამნაშავე ახორციელებს რა მოქმედებათა სერიას, რომელშიც მცდელობა არის ბოლო მოქმედების (აქტის) განხორციელება[20].	
	შემადგენლობის თეორია გულისხმობს, რომ პირი მცდელობისას ასრულებს ქმედების შემადგენლობის რომელიმე ნიშანს, ან დამამძიმებელ გარემოებას.[21]

სტატიის დასასრულს, დასკვნის სახით უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი მიზანი იყო მოკლედ მიმოგვეხილა დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის გამმიჯვნელი ფორმულირებანი და დაგვეჯგუფებინა ერთი კონკრეტული ნიშნის მიხედვით.

თუმცა, როგორც ზემოთ მოტანილი კაზუსებიდან ჩანს, ქმედების კვალიფიკაცია ყოველთვის არ არის დამოკიდებული მომზადების ან მცდელობის საკანონმდებლო ან დოქტრინალურ განმარტებაზე. როგორც ჩანს, ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს სისხლის სამართლის პოლიტიკის საკითხები დაუმთავრებელ დანაშაულთან მიმართებაში.

მაგალითად, ჩვენი დაკვირვებით, ის ქვეყანა, რომელიც პრინციპულად დაუსჯელად აცხადებს დანაშაულის მომზადებას, ცდილობს უფრო გააფართოოს მცდელობის ფარგლები მომზადებასთან მიმართებაში[22].

ხოლო, ის ქვეყანა, რომელიც დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას არ ათავისუფლებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან,[23] პირიქით, ცდილობს გვიანდელ ეტაპზე გადაიტანოს მცდელობის დაწყების მომენტი და უფრო მეტი დრო მისცეს პოტენციურ დამნაშავეს დასაფიქრებლად და აზრის შესაცვლელად[24].

სავსებით შესაძლებელია, რომ ჩვენი პირველი დასკვნა მხოლოდ გარემოებათა დამთხვევას ემყარებოდეს და არა კანონზომიერებას, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ეს საკითხი უფრო ღრმა გამოკვლევას საჭიროებს.

შენიშვნები:

1 მოწინავე სამართლებრივი სისტემების დიდი ნაწილი დანაშაულის მომზადებას პრინციპულად დაუსჯელად აცხადებს, ჟან პრადელი, „შედარებითი სისხლის სამართალი“ (Edition Dalloz, 1995), გვ. 242. თუმცა, არსებობს გარკვეული გამონაკლისები ამ წესიდან, მაგალითად, ინგლისში, საფრანგეთსა და ამერიკაში დანაშაულებრივი შეთანხმება ისჯება როგორც დამოუკიდებელი დანაშაული (ინგ. conspiracy, fr. association des malfaiteurs). მძიმე დანაშაულთა მომზადება დასჯადია ესპანეთში, ნიდერლანდსა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში.

2 ანალოგიურ კაზუსს ავტორთა კოლექტივი იხილავს წიგნში „შედარებითი სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი“ (*Droit pénal général comparé,* (edition cujas, 2005.). ესპანელი, ინგლისელი და ნიდერლანდელი კრიმინალისტები ამ შემთხვევას დანაშაულის მომზადებად აკვალიფიცირებენ, ხოლო ფრანგი, გერმანელი, იტალიელი და შვეიცარელი კრიმინალისტები – მცდელობად. იხ.: გვ. 196.
ნიდერლანდის სასამართლომ თითქმის ანალოგიური შემთხვევა (ოღონდ იმ მცირეოდენი განსხვავებით, რომ ყაჩაღობის ჩადენის განზრახვით პირი მივიდა შენობის კართან და დარეკა ზარი, რა დროსაც დააკავა პოლიციამ) დააკვალიფიცირა დანაშაულის მცდელობად, მაგრამ ასევე მსგავსი შემთხვევა, რომელშიც შეიარაღებულ პირთა ჯგუფი ავტომანქანით მიუახლოვდა დასაყაჩაღებელ ბანკს, მაგრამ მანქანიდან არ გადმოსულა, დააკვალიფიცირა დანაშაულის მომზადებად. სასამართლომ მიუთითა, რომ როდესაც პირი ყაჩაღობის ჩადენის მიზნით მიუახლოვდება ბანკს, „მის ქმედებას ვერ დავაკვალიფიცირებთ აღსრულების დასაწყისად, ვიდრე ის არ დატოვებს ავტომანქანას ან გადადგამს დაგეგმილი დანაშაულის განსახორციელებლად საჭირო რაიმე სხვა მატერიალურ ნაბიჯს“, Jean Pradel *“Droit pénal général comparé”* (edition cujas, 2005.), გვ. 85.

3 (1915) 2. K.B. 342. ამ საქმეში სასამართლომ გამოიყენა შედეგთან სიახლოვის თეორია. (იხ.: ქვემოთ). ანალოგიური შემთხვევა გერმანიის სასამართლომ ასევე, დააკვალიფიცირა დანაშაულის მომზადებად (BGH Dallinger MDR 1966, 197).

4 Comer v. Bloomfield (1970) (55) Cr. App. Rep. 305, სასამართლომ გამოიყენა შედეგთან სიახლოვის თეორია. ანალოგიური შემთხვევა, რომელიც მოხდა საფრანგეთში ასევე, დაკვალიფიცირდა დანაშაულის მომზადებად, Crim. 22 Mai, 1984.

5 R. v. Rowley (1992) Cr. App. R. 95.

6 R. v. Jones (1990) 91. Cr. App. R. 351.

7 R. v. White 1910 2. K. B. ამ საქმეში ინგლისის სასამართლომ გამოიყენა პირველი აქტის თეორია, რომლის მიხედვითაც, საკმარისია პირმა განახორციელოს პირველი ქმედება მიმართული დანაშაულის ჩასადენად.

8 Commonwealth v. Peaslee (177 Mass) 277. ამ საქმეში ინგლისის სასამართლომ გამოიყენა შედეგთან სიახლოვის თეორია (იხ. ქვემოთ).

9 Chambre Criminelle, 13 Janvier, 1913, D. 1914. ასევე, მცდელობად დაკვალიფიცირდა ჩასაფრება და ლოდინი იმ ადგილას, სადაც უნდა გამოევლო ფულის გადამტან ავტომანქანას. Crim. 19 dec. 1970, JCP 1971.

10 People v. Rizzo 246. N.Y. სასამართლომ გამოიყენა შედეგთან სიახლოვის თეორია.

11 Crim 11 Juin, 1975.

12 Crim. 14 Juin, 1995.

13 Crim. 5 Juin, 1984.

14 „დანაშაულის მცდელობა ხასიათდება ისეთი მოქმედებებით, რომელთაც უშუალოდ შედეგად უნდა მოჰყვეს დანაშაულის დასრულება“ (ჩრიმ. 25 ოცტ. 1962).

15 Tosti (1997) Criminal Law Review 476.

16 BGH 22, 80.

17 ასეთ ფორმულირებას იმეორებენ სხვადასხვა ევროპული ქვეყნების, მაგ., ნიდერლანდის, ბელგიის, შვეიცარიის სისხლის სამართლის კოდექსები.

18 ამ თეორიას ამერიკული და ინგლისური სასამართლოები იყენებდნენ (მაგ., საქმეში Davery v. Lee, 1968), მაგრამ საბოლოოდ, მასზე უარი თქვეს. ჩვენი აზრით, ეს თეორია უსაშველოდ აფართოებს მცდელობას და მოიცავს როგორც მოსამზადებელ მოქმედებებს, ასევე განზრახვის უბრალო გამოვლენასაც კი.

19 ამ თეორიას ხშირად იყენებენ ამერიკული და ინგლისური სასამართლოები, ასევე, იყენებს ბელგიის უმაღლესი სასამართლო. Jean Pradel *“Droit pénal général comparé”* (edition cujas, 2005), გვ. 76.

[20] პირველად, ეს თეორია გამოიყენეს საქმეში Regina v. Egleton (London 1855), მაგრამ მას ხშირად აკრიტიკებენ იმის გამო, რომ მეტისმეტად ზღუდავს მცდელობის ფარგლებს. ვიდრე სავარაუდო მკვლელი ჩახმახს ხელს არ გამოკრავს, ის ბოლო მოქმედებას არ ახორციელებს და შესაბამისად, მცდელობისათვის პასუხს ვერ ვაგებინებთ.

[21] ფრანგულ სისხლის სამართალში ამ თეორიას მხარს უჭერენ ავტორები ორტოლანი და ვილეი. იხ.: Michele Laure Rassat – *DDroit Penal General* (2004), გვ. 312.

[22] წიგნში „შედარებითი სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი" (*Droit pénal général comparé,* (edition cujas, 2005.), სწორედ ფრანგი, გერმანელი და იტალიელი კრიმინალისტები უჭერენ მხარს სადავო შემთხვევის კვალიფიკაციას დანაშაულის მცდელობად, ხოლო ესპანელი, ნიდერლანდელი და ინგლისელი კრიმინალისტები იხრებიან დანაშაულის მომზადებისკენ.

[23] ასეთი ქვეყანაა ინგლისი და აშშ-ის ზოგიერთი შტატი.

[24] ასევე, ანალოგიური მოსაზრებაა აღნიშნული ამერიკულ ენციკლოპედიაში დანაშაულისა და მართლმსაჯულების შესახებ (American Encyclopedia of Crime and Justice. Vol II, p. 95).

Some opinions regarding the differentiation between preparation and attempt in American and West European Criminal Law

KACHA TSIKARISHVILI
Staff scholar of Tinatin Tsereteli institute of State and Law

According to art. 18 of the criminal code of Georgia "intentionally creating conditions for the commission of the crime constitutes preparation of the crime"

According to art. 19, part 1. "criminal attempt is an intentional conduct which is immediately directed towards the commission of a crime"

Despite such clear formulation of the law, there are many cases in which it is difficult for the court to draw a line between preparation and attempt. In our view, this is natural because, the commission of a crime is (sometimes) a step by step process which starts from the revelation of criminal intent to the completion of the crime e and it is difficult to invent a "magic formula", which will always make possible to draw a line between preparation and attempt.

As to European and American criminal law, the approaches are different and so are legislations and doctrines[1].

I think it will not be unnecessary if we examine this issue from a comparative viewpoint. Lets pick up cases from case-law of different countries and find out what was the ruling of the court.

1. **A** planned to rob a sub post office. He drove a motorbike to the post office, parked it outside and approached, wearing a disguise sun glasses and a crash helmet. He was carrying an imitation gun and a threatening note which he planned to pass to the cashier in the sub post office. He was walking down the street and when one yard from the post office

door, police who had been tipped off, grabbed the defendant and arrested him. The court found that defendant had only performed preparatory activities. In the circumstances in which defendant had not even reached the place of the crime, his conduct would not constitute a punishable attempt[2]. (**UK**)

2. **A**, a jeweler who had insured his stock against burglary, hid his jewelry, tied himself up, called for help and represented to the police that his premises had been burgled. His object was to obtain policy money from his insurance company. The court decided that his conduct constituted a mere preparation. For the attempt of the crime, A should have contacted the insurance company and bring a claim for money (**UK**)[3].
3. B crashed his car by negligent driving. He drove the car to the forest nearby and reported to the police that it was stolen. Then he wrote a letter to the insurance company asking whether or not he could claim money. The court held that defendant did not go beyond preparatory activities (**UK[4])**
4. BB left notes in public places offering money to the boys. These notes, which were not indecent in themselves and did not contain any propositions were designed to lure boys for immoral purposes. He was convicted of attempted incitement of a child under the age of 14 years to commit an act of gross indecency and appealed. Court of appeal held that his actions did not go further then preparatory stage **(UK)**[5]
5. B had an affair with a women who then started a relationship with another man, D. When she refused to resume their association, B applied for shotgun certificate and three days later bought some guns. He shortened the barrel of one of them and test fired it twice. Three days later he told his wife he was going to Spain to work on their chalet and left home dressed normally for work. He then changed into a disguise of overalls and crash helmet with visor down. He waited outside a school where D dropped his daughter off and then jumped into the rear seat and asked D to drive on. They drove to a grass verge where the appellant took the loaded sawn-off shotgun from a bag and pointed it at D at a range of some 10-12 inches and said: "you are not going to like this" the safety catch of the shotgun was in the on position. D grabbed the end of the gun and after a struggle managed to throw it out of the window and make his escape. Superior court affirmed the judgment and held that B s actions went further to preparatory activities **(UK)**[6]
6. **A** decided to poison **B** by using small doses of poison. The court held that giving the first portion of the poison to the victim already constituted punishable attempts (**UK**)[7]
7. **A** decided to burn a property not belonging to him and installed some incendiary items in it. Then he drove away for several miles and proposed money to B to go and ignite fire. After **B** had declined his proposal, **A** went to the direction of the building but then stopped about a quarter of a mile away and started to hesitate. At this point he was arrested by the police. The court held that his conduct constituted an attempted arson. (**USA, Massachusetts**)[8]
8. A decided to rob a cashier and together with accomplices waited for him near staircase. The court decided that his conduct constituted attempted robbery (**France[9]**)
9. A similar case, with a difference that the defendants were looking for the cashier in the streets of NY but never found him, was held by the court as preparation of the crime **(USA, NY[10])**
10. In order to escape from prison, A started to saw the prison bars. The court held his conduct as an attempted escape (**France**[11])
11. Under the pretext of medical examination, B forced a woman to undress. The court held that this was an attempted indecent conduct (**France[12]**)
12. For sale A exposed a car showing a reduced mileage. The court qualified this as an attempted fraud **(France)[13]**
13. **A** recruited **B** for killing C and paid him money. The court qualified his conduct as preparation of murder (**France[14]**).

14. When A and B were caught at the moment of looking into the locket of a shed, they run away. At a distance from the shed, a car was found equipped with metal cutting equipment. The court qualified this case as attempted theft(UK)[15].
15. For the purpose of stealing a car, A was testing the wheels of parked vehicles, in order to find out which one did not have a locked wheel. The court qualified this conduct as an attempted theft. **(Germany**[16])

As these cases show, the line between preparation and attempt is sometimes very thin and depends on specific test used by the court or specific legislation;

I think legislative and judicial formulations differentiating between preparation and attempt should be divided into two parts:

1. Formulations for whom the starting point is revelation of criminal intent;
2. Formulations, for whom the starting point is the completion of the crime

1. **Formulations for whom the starting point is revelation of criminal intent;**	2. **Formulations, for whom the starting point is the completion of the crime**
According to US model Penal Code, attempt is a "subustantial step" directed to the commission of the crime	According to German Penal Code (art. 22) "criminal attempt is committed by if the person, according to his own belief immediately embarks upon the commission of the crime" **(unmittelbar ansetzt)**
According to criminal law of 1981 of UK, "If the person, in order to ...commit a crime commits an act which is more then preparatory, he will be punished for the attempt"	Accordingb to art. 121 of the criminal code of France, attempt of a crime is "commencement of execution" [17]
According to unequivocality test,defendants conduct is of such nature which are "as as to be in itself sufficient evidence of the criminal intent with which it is done. A criminal attempt is an act which shows criminal intent on the face of it"[18].	According to proximity test, defendants actions should come close to the completed crime. This may mean time or special proximity[19].
The last act test means that the defendant exercises a series of actions and his last action constitutes criminal attempt.[20]	
	"Corpus delicti" theory, means that upon the attempt, defendant carries out some element of an offence or an aggravating circumstance" [21]

At the end, we should conclude by saying that our goal was to briefly overview legislative or case-law formulations delineating preparation and attempt and classify them under some principle;

Although, as it is apparent from the above mentioned cases, attribution of a conduct to attempt or preparation does not always depend upon legislative or judicial formulation. Apparently, what is also significant is the penal policy of a State regarding inchoate crimes.

For example, in our observation, the country which principally declares preparation as unpunished stage of criminal activity tries to move the line between preparation and attempt towards preparation; On the other hand, the countries in which the abandonment not a defense[22], try to move further the point of commencement of criminal attempt and give potential defendant more time to think and renounce from criminal activity[2323]

Similar opinion is stated in American Encyclopedia of Crime and Justice (American Encyclopedia of Crime and Justice. Vol II, p. 95).

It is quite possible that this conclusion is based on pure coincidence rather then some valid facts, but I believe that this issue needs further detailed research.

FOOTNOTES

1 Advanced legal systems leave preparation of a crime unpunished (Jean Pradel, Comparative Criminal Law" (Edition Dalloz, 1995). P. 242. However, there are exceptions from this rule. Conspiracy to commit crime is punishable in UK, US, France as separate crime. Preparation of particularly serious crime is punishable in Spain, Netherlands and some other countries.

2 (1915) 2. K.B. 342, in this case, the court used a proximity test. (see below). A similar case was attributed also to the ambit of preparatory activity by the Supreme Court in Germany (BGH Dallinger MDR 1966, 197).

3 Comer v. Bloomfield (1970) (55) Cr. App. Rep. 305. The court applied proximity test. A similar case, which happened in France was also attributed to the preparation by French court (Crim. 22 Mai, 1984.)

4 R. v. Rowley (1992) Cr. App. R. 95

5 R. v. Rowley (1992) Cr. App. R. 95

6 R. v. Jones (1990) 91. Cr. App. R. 351

7 R. v. White 1910 2. K. B. . In this case the court applied first act test according to which it is enough for defendant to commit first act from a series of acts directed to commission of the crime.

8 Commonwealth v. Peaslee (177 Mass) 277 . In this case the court used proximity test

9 Chambre Criminelle, 13 Janvier, 1913, D. 1914. Similarly was held to the act of waiting at the place where the car transporting the money should have passed. place where the money with

10 People v. Rizzo 246. N.Y. The court used proximity test.

11 Crim 11 Juin, 1975

12 Crim. 14 Juin, 1995

13 Crim. 5 Juin, 1984

14 "The attempt is characterized by actions which should immediately be followed by completed crime (Crim. 25 oct. 1962)

15 Tosti (1997) Criminal Law Review 476

16 BGH 22, 80

17 Similar formula is applied by criminal codes of some other European countries such as Netherlands, Belgium, Switzerland.

18 Rex. V. Barker (1924) This theory was applied by English and American courts but was finally rejected. In Our view this theory extends the borders of punishable attempt and covers also very preparatory actions as well as revelation of intent.

19 This theory is often applied by English and American courts. Also High Court of Belgium.- Jean Pradel *"Droit pénal général comparé"* (edition cujas, 2005) p. 76

20 This test was first applied in Regina v. Egleton (London 1855), It is often criticized because excessively limits borders of punishable attempt. Unless the suspected murderer pulls the trigger, he may not be made responsible for the attempt..

21 In French criminal law, this theory is supported by authors Ortolan and VIley. Michele Laure Rassat – *DDroit Penal General* (2004) p. 312

22 Such countries are UK and some US states.

საპროცესო შეთანხმება საზღვარგარეთ და საქართველოში

დავით მანაგაძე
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის დოქტორანტი, ასისტენტ-პროფესორი

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ძალას იკრეფს სისხლის სამართალწარმოების საერთაშორისო სამართლებრივი უნიფიკაციის პროცესი.

საერთო (*Common Law*) და რომანო-გერმანული სამართლის (*Roman Law*) სისტემის ქვეყნები ახდენენ საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელთა მთავარი მიზანია გაეროს „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით“[1] (*Universal Declaration of Human Rights*) და „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“[2] (*Convention* for the *Protection of Human Rights and Fundamental Freedoms*) ევროპის კონვენციით აღიარებული ფუნდამენტური უფლებების რეალიზაციის პროცედურული იმპლემენტაცია ეროვნულ დონეზე.

საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები პირდაპირ გავლენას ახდენენ ეროვნულ კანონმდებლობაზე, მიუხედავად მისი (ეროვნული კანონმდებლობის) კუთვნილებისა სამართლის სისტემისადმი, რამეთუ ევროპის „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ კონვენცია რატიფიცირებულია როგორც დიდი ბრიტანეთის[3] მიერ (საერთო სამართლის – *Common Law*), ასევე საფრანგეთისა[4] და გერმანიის[5] მიერ (რომანო-გერმანული სამართლის – *Roman Law)*.

ამგვარი გავლენის მთავარი ლეიტმოტივი ადამიანის უფლებებია.

შესაბამისად, იქმნება წინაპირობები, საერთაშორისო სამართლებრივი აქტების მეშვეობით ერთგვარი უნიფიცირებული მართლმსაჯულების სისტემის შექმნისა, რომელიც შეიცავს ეროვნული სამართლის სისტემების და სამართლის ისტორიული ფორმების საუკეთესო მიღწევებს.[6]

საპროცესო შეთანხმება – **Plea Bargain**[7] (ინგლ.) ზოგადად, ბრალდებულსა და ბრალმდებელს შორის შეთანხმებაა, რომელიც მიზნად ისახავს აღიარებითი ჩვენების მიღებას წარსადგენი ან/და წარდგენილი ბრალდების შემსუბუქების სანაცვლოდ.

კლასიკური გაგებით, საპროცესო შეთანხმება სამი ფორმისაა:[8]

- Charge Bargaining
- Sentence Bargaining
- Fact Bargaining

თითოეული ფორმის თავისებურებანი შეთანხმების შინაარსში გამოიხატება, კერძოდ:

Charge Bargaining – შეთანხმების საყოველთაოდ ცნობილი და ხშირად გამოყენებადი ფორმაა, რომელიც გულისხმობს მოლაპარაკებების წარმოებას ბრალმდებელსა და ბრალდებულს შორის – უფრო მძიმე დანაშაულში ბრალდების მოხსნის სანაცვლოდ, ნაკლებად მძიმე დანაშაულის აღიარების მიღების მიზნით. ამგვარი შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში, ბრალდებული წარდგება სასამართლოს წინაშე და სასამართლო უნდა დათანხმდეს შეთანხმების დადებას.

მაგალითად, ბრალმდებელი შეიძლება დათანხმდეს შეცვალოს ბრალდება I ხარისხის მკვლელობაში (განზრახ მკვლელობა) გაუფრთხილებლობით მკვლელობის ბრალდებით (სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით), თუ ბრალდებული აღიარებს დანაშაულს.[9]

Sentence Bargaining – შეთანხმების ფორმაა, როდესაც მოლაპარაკებები მიმდინარეობს კონკრეტული დანაშაულის ჩადენაში წარდგენილი ბრალის აღიარების სანაცვლოდ მსუბუქი სასჯელის მოთხოვნის პირობით.

ბრალმდებელი აღიარების მიღებით ზოგავს დროს და აღარ უხდება დამატებითი მტკიცებულებების მოძიება საკუთარი პოზიციის სასამართლოში დასასაბუთებლად.

ამ შემთხვევაში, ფაქტობრივად არ იცვლება ბრალდების შინაარსი და შესაბამისად, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული კვალიფიკაცია, საუბარია მხოლოდ გათვალისწინებულ სასჯელთაგან მსუბუქის მოთხოვნაზე.

როგორც პირველ შემთხვევაში, შეთანხმების ამ ფორმის დადება საბოლოოდ, სასამართლოს თანხმობას საჭიროებს.[10]

Fact Bargaining – შეთანხმების ფორმაა, როდესაც ბრალმდებელი და ბრალდებული თანხმდებიან სისხლის სამართლის საქმეზე გარკვეული ფაქტების არსებობაზე – სანაცვლოდ, ბრალმდებელს არ შეაქვს სასამართლოში წარსადგენ მტკიცებულების ნუსხაში სხვა ფაქტები.

ფაქტების ქვეშ იგულისხმება როგორც ნივთიერი, ასევე ვერბალური მტკიცებულებები.

მაგალითად, ბრალდებული არ უარყოფს ნარკოტიკული ნივთიერების შეძენის ფაქტს და ასახელებს კონკრეტულ პიროვნებას, ვისგანაც შეიძინა იგი. სანაცვლოდ, პროკურატურა თანახმაა უარი თქვას ავტომობილის მართვის მოწმობის გარეშე ავტომობილის მართვის ბრალდებაზე, ან სხვა ისეთ წვრილმან ბრალდებებზე, რომლებიც ფორმალურად წარმოადგენს სამართალდარღვევას, მაგრამ არ გამოუწვევია უშუალო ზიანი კონკრეტული პირისათვის.

ვფიქრობთ, რამდენიმე ისტორიული მაგალითი საინტერესო იქნება, რამდენადაც იგი ასახავს საპროცესო შეთანხმების ძირითადი პრინციპის ელემენტებს:

1633 წელს, **გალილეო გალილეის** „წმინდა ინკვიზიციამ“ შეუფარდა შინაპატიმრობა ყოველ-კვირეული მონანიების ფსალმუნების კითხვისა და კოპერნიკის სწავლების უარყოფის სანაცვლოდ.

1931 წელს, ცნობილმა განგსტერმა **ალ კაპონემ** თავი ცნო დამნაშავედ გადასახადების დამალვაში და შვიდნახევარი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა ალკატრასის ციხეში.

ბუნებრივია, რომ ამგვარი აღიარება იყო იძულებითი ნაბიჯი, სხვა უფრო მძიმე ბრალდებების წარდგენის საფრთხის გათვალისწინებით.

1969 წელს, **ჯეიმს ერლ რეიმ** სასიკვდილო განაჩენის ასაცილებლად თავი დამნაშავედ ცნო მარტინ ლუთერ კინგის მკვლელობაში და სასამართლომ მას 99 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

1973 წლის ოქტომბერში, **სპირო ტეოდორ ეგნიუს** ამერიკის შერთებული შტატების 39-ე ვიცე-პრეზიდენტს წარუდგინეს ბრალდება თაღლითური გზით გადასახადების დამალვასა და გამოძალვაში (მან ვერ შეძლო 1967 წელს 29500 აშშ დოლარის ოდენობით მიღებული შემოსავლის დასაბუთება).

სპირო ტეოდორ ეგნიუმ არ მოისურვა საქმის (ბრალდებების) განხილვა სასამართლოში. მოსალოდნელი მძიმე სასჯელის სანაცვლოდ, საპროცესო შეთანხმების შედეგად, სასამართლომ იგი დააჯარიმა 10.000 აშშ დოლარის ოდენობის ჯარიმით და მიუსაჯა სამი წლით თავისუფლების აღკვეთა, რომელიც პირობითად ჩაუთვალეს და რა თქმა უნდა, შეთანხმების ერთ-ერთი პირობა იყო მისი გადადგომა ვიცე-პრეზიდენტის პოსტიდან.

აშშ

აშშ-ის კონსტიტუციაში სამოქალაქო უფლებების გარანტიების შესახებ მუხლების არარსებობა, ქვეყნის არსებობის პირველივე წლებში დიდი პოლიტიკური უთანხმოების საგნად იქცა.[11]

შესაბამისად, მიღებული იქნა ე.წ. „უფლებათა ბილი“[12] (*Bill of Rights*), რომლითაც განისაზღვრა სამოქალაქო უფლებების გარანტიები და შეერთებული შტატების კონსტიტუციის განუყოფელ ნაწილად იქცა.

სტატიის თემატიკასთან დაკავშირებით, ჩვენთვის საინტერესოა „მეექვსე შესწორება“[13], რომ-ლითაც ბრალდებულს გარანტირებული აქვს „სისხლისსამართლებრივი დევნის ყველა შემთხვე-ვაში სწრაფი და საჯარო სასამართლოს უფლება, მიუკერძოებელი მსაჯულების (impartial jury) მონაწილეობით“ (სრული ტექსტი)[14]

ვფიქრობთ, სწრაფი მართლმსაჯულების უფლება გახდა ამოსავალი წინაპირობა საპროცესო შეთანხმების პრინციპების ჩამოყალიბებისათვის.

XX საუკუნის დასაწყისში ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლო პრაქტიკაში პირვე-ლად, ფართოდ დაინერგა საპროცესო შეთანხმება და მას შემდეგ, ეს ინსტიტუტი დისკუსიის საგა-ნია. აღსანიშნავია, რომ აშშ-ში სისხლის სამართლის საქმეთა დაახლოებით 90% – საპროცესო შეთანხმებით მთავრდება.

საპროცესო შეთანხმება (plea bargain) – ეს არის შეთანხმება პროკურატურასა და ბრალდებულს შორის – ბრალდების ფარგლებისა და სასჯელის შესახებ.

აშშ-ში გამოიყენება ზემოხსენებული საპროცესო შეთანხმების სახეები[15]:

- Charge Bargaining
- Sentence Bargaining
- Fact Bargaining

საინტერესო პრეცედენტი განხორციელდა ამერიკის ერთ-ერთ შტატში – ალიასკაზე[16], როდესაც 1975 წელს, ალიასკის მთავარმა პროკურორმა აკრძალა საპროცესო შეთანხმებების გაფორმება ბრალდებულებთან.[17]

მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებულების მხრიდან „ნაადრევი" აღიარებითი ჩვენებების მიცემა „სავალდებულო" აღარ იყო და მათ შეჯიბრებითობისა და უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპების სრული დაცვით შეეძლოთ სასამართლოსა და მსაჯულების (*impartial jury)* წინაშე წარდგომა, ალიასკის სასამართლო პრაქტიკამ დაადასტურა, რომ აღიარებითი ჩვენებების ხვედრითი წილი სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეების განხილვისას იგივე დარჩა – 70-80%.[18]

სამაგიეროდ, დაფიქსირდა გამოძიებისა და სასამართლო ხარჯების მკვეთრი ზრდა, რადგან პროკურატურა და სასამართლო ვალდებული იყო სრული მოცულობით განეხორციელებინა „უფლებათა ბილის", მე-6 შესწორების მოთხოვნა – სწრაფი მართლმსაჯულების შესახებ.

იმ შემთხვევაში, თუ გამოძიების ორგანოები და სასამართლო ვერ უზრუნველყოფენ სწრაფ და ეფექტიან სასამართლო პროცესის წარმართვას, მოქალაქეს წარდგენილი ბრალდება უნდა მოეხსნას და ხელმეორედ მისი (ბრალდების) წარდგენა არ შეიძლება.

განმეორებით ბრალდების წარდგენის აკრძალვა გარანტირებულია იმავე „უფლებათა ბილის" მე-5 შესწორებით.

მაგალითად, ნიუ-იორკის შტატში სასამართლოსათვის საქმის მოსამზადებლად *(ready for trial)*, დასაბუთებული ბრალდების წარსადგენად გამოძიებას აქვს 6-თვიანი ვადა, ეს ვადა ვრცელდება ყველა კატეგორიის დანაშაულზე, გარდა მკვლელობისა.

ფედერალური საგამოძიებო ბიუროს[19] მონაცემებით, 2008-2009 წლებში, აშშ-ში კრიმინალურ დანაშაულთა საერთო საშუალო მაჩვენებელი 100.000 მოსახლეზე იყო 454.4, ქონებრივი დანაშაულის რაოდენობა კი, 3212.5, რაც ერთ-ერთი მაღალი მაჩვენებელია მსოფლოში.

აშშ-ში საპროცესო შეთანხმების არსებობის მთავარ არგუმენტად გვევლინება „უფლებათა ბილის" ხსენებული მე-6 შესწორებით გარანტირებული სწრაფი მართლმსაჯულების უფლება.

საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის გარეშე ამერიკული მართლმსაჯულების სისტემა უბრალოდ ჩამოიშლება.[20]

ინდოეთი

ინდოეთის სასამართლო სისტემა იყო არაეფექტური და ვერ უზრუნველყოფდა სწრაფ და სამართლიან მართლმსაჯულებას. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით 2001 წელს, ინდოეთის ციხეებში განთავსებული იყო ერთი მილიონით მეტი პატიმარი, ვიდრე ამის შესაძლებლობას ციხეებში არსებული ადგილების რაოდენობა იძლეოდა.

პატიმრების 70.5% ჯერ კიდევ, ელოდებოდა სასამართლოს მიერ მათი საქმეების განხილვას. რაც ბუნებრივია, ასევე აისახებოდა დამატებით ეკონომიკურ დანახარჯებში.[21]

154-ე მოხსენებით, ინდოეთში შექმნილმა სპეციალურმა იურიდიულმა კომისიამ რეკომენდაცია გაუწია ცვლილებების შეტანას ინდოეთის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში და აღნიშნა, რომ „აუცილებელია საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება, რომლებიც ხელს შეუწყობენ სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის ვადების შემცირებას, როგორც პირველი, აგრეთვე სააპელაციო ინსტანციების სასამართლოებში. აუცილებელია იმ დაკავებულთა „ტანჯვის“ *(sufferings)*[22] შემცირება, რომლებიც სასამართლო განაჩენის მოლოდინში არიან.“

ამასთან, კომისიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ აუცილებელია სასამართლო სისტემის განტვირთვა განხილვის მოლოდინში არსებული საქმეებისაგან. უმრავლეს შემთხვევაში სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილ (ბრალდებულ) დაკავებულ პირებს უწევდათ ლოდინი 3-5 წლის მანძილზე, ვიდრე მათი საქმეები სასამართლოს მიერ განიხილებოდა.[23]

შესაბამისად, 2005 წლის ზამთრის სესიაზე, ინდოეთის პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი, უფრო ზუსტად, შესწორებები შეიტანა ინდოეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, რომელსაც დაემატა XXIA თავი და 265A-265L მუხლები.[24]

აღნიშნული ცვლილებებით, ინდოეთი ფაქტობრივად მიუერთდა იმ სახელმწიფოთა რიცხვს, რომლებმაც საკანონმდებლო დონეზე დაუშვეს საპროცესო შეთანხმების დადების შესაძლებლობა. ეს კანონი ინდოეთში 2006 წლის 5 ივლისს ამოქმედდა.[25]

ინდოეთის კანონმდებლობის მიხედვით, საპროცესო შეთანხმების დადების პროცედურა ხასიათდება თავისებურებებით და რამდენიმე დათქმით, კერძოდ:

– საპროცესო შეთანხმება შეიძლება დაიდოს ისეთ დანაშაულზე, რომლისთვისაც გათვალისწინებულია სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა 7 წლამდე ვადით. იმ შემთხვევაში, თუ სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით აღემატება 7 წელს, ან გათვალისწინებულია უვადო თავისუფლების აღკვეთა ან სიკვდილით დასჯა – საპროცესო შეთანხმების დადება დაუშვებელია;

– საპროცესო შეთანხმების დადება იკრძალება იმ შემთხვევაში, თუ დანაშაული ჩადენილია ქალის ან 14 წელს მიუღწეველი არასრულწლოვანის მიმართ, ასევე თუ დანაშაული თავისი ხასიათით საფრთხეს უქმნის ქვეყნის ეკონომიკურ-სოციალურ მდგომარეობას;

– განცხადება ბრალის აღიარების შესახებ ბრალდებულის მიერ უნდა გაკეთდეს ნებაყოფლობით;

– ბრალდებულს შეუძლია აღიარებითი განცხადებით მიმართოს უშუალოდ სასამართლოს, როდესაც იგი (ბრალდებული) ჯერ კიდევ, იმყოფება სასამართლო განხილვის მოლოდინში;

– ბრალდებულსა და დაზარალებულს ეძლევათ დრო, რათა შეათანხმონ მიყენებული ზიანის, აგრეთვე სასამართლო განხილვისას გაწეული ხარჯების ანაზღაურების პროცედურული საკითხები;

– იმ შემთხვევაში, თუ სასამართლომ განიხილა და დათანხმდა საპროცესო შეთანხმების გაფორმებას ბრალდებულსა და პროკურატურას შორის, სასამართლო უფლებამოსილია შეუფარდოს ბრალდებულს ინკრიმინირებული დანაშაულისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული სასჯელის მეოთხედი.

– განცხადებები და ფაქტები, რომლებიც მოპოვებულია ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმების შედეგად, არ შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა მიზნებისათვის, გარდა კონკრეტულ ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმების დადებისა;

– სასამართლოს მიერ საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილება საბოლოოა და არ შეიძლება გადაიხედოს სხვა ინსტანციის სასამართლოს მიერ.

ინდოეთში საპროცესო შეთანხმების პრინციპების ფორმირება გამომდინარეობდა დოქტრინიდან – ***Nolo Contendere***[26], ე.ი. – **არ მსურს შეწინააღმდეგება, შეცილება, ბრძოლა.**

Nolo Contendere – კონცეფცია გულისხმობს, სისხლის სამართლის საქმეებზე წარდგენილი ბრალდების მიღებას შეწინააღმდეგების გარეშე და სისხლის სამართალწარმოებისას ტექნიკურად უტოლდება ბრალის აღიარებას, რაც საპროცესო შეთანხმების დადებას შესაძლებელს ხდის.[27]

იტალიის რესპუბლიკა

ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებების მომძლავრება და მათი ტოტალური ჩართულობა სახელმწიფოსა თუ საზოგადოების საქმიანობის თითქმის ყველა სფეროში გახდა წინაპირობა, რომლის გათვალისწინებით იტალიის რესპუბლიკამ, ევროპაში რომანო-გერმანული სამართლის სისტემის სახელმწიფოთა შორის (*Roman Law*)[28] პირველმა დაუშვა ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმების შესაძლებლობა, რასაც იტალიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის *(Codice di Procedura Penale)*[29] მიხედვით **პატტეგგიამენტო** ეწოდება.

Pentito[30] – (**ის, ვინც მოინანია**, იტალ.) ასე უწოდებენ იტალიაში იმ ადამიანებს, რომლებიც წარსულში იყვნენ დამნაშავეთა ან ტერორისტული ორგანიზაციების წევრები და დაპატიმრების შემდეგ, გამოძიებისათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით, „მონანიება“ და სასამართლო სისტემასთან, გამოძიების ორგანოებთან თანამშრომლობა გადაწყვიტეს.

სასამართლოს მიერ განხილულ საქმეებში „მონანიებულებმა“[31] (*pentiti)* მონაწილეობის მიღება დაიწყეს 1970-იანი წლების დასაწყისიდან, როდესაც იტალიაში აქტიურად მოქმედებდნენ სხვადასხვა მაფიოზური დაჯგუფებები.

გამოძიებისათვის საინტერესო ინფორმაციის მიწოდების სანაცვლოდ, „მონანიებულების“ მიმართ გამოიყენება უფრო მსუბუქი სასჯელი – თავისუფლების აღკვეთის მინიმალური ვადების სახით, ზოგიერთ შემთხვევაში, სასამართლოები მათ საერთოდ ათავისუფლებდნენ სასჯელისაგან.

იტალიის მართლმსაჯულებასთან თანამშრომლობის შემდეგ „მონანიებულს“ შეეძლო სიცოცხლის დაცვის გარანტიების, ახალი სახელის, ფულადი სახსრების მიღება, რაც მას შესაძლებლობას აძლევდა დაეწყო ახალი ცხოვრება – ახალ ადგილას, ახალი სახელით, იტალიის ფარგლებს გარეთ გადასახლების შესაძლებლობის ჩათვლით.

ამგვარი პრაქტიკა ასევე, დანერგილია აშშ-ში[32], როდესაც ბრალდებულის (რომელიც საქმეში ფორმალურად მოწმის სახით ფიგურირებს) მიერ თანამზრახველების წინააღმდეგ მიცემული ჩვენება საფრთხეს უქმნის მის სიცოცხლეს, იგი შეიძლება მოხვდეს ე.წ. მოწმეთა დაცვის პროგრამაში[33] *(The United States Federal Witness Protection Program, WITSEC)*[34].

ფაქტობრივად, 1970-იანი წლებიდან იტალიის სასამართლოები და პროკურატურა აქტიურად იწყებს საპროცესო შეთანხმების დანერგვას პრაქტიკაში.

1973 წლის 29 მარტს, **ლეონარდო ვიტალე** *(Leonardo Vitale)*[35] ნებაყოფლობით გამოცხადდა პალერმოს პოლიციის განყოფილებაში და განაცხადა, რომ იყო მაფიის წევრი, მონაწილეობდა გამოძალვაში, ქონების განადგურებაში და ორ მკვლელობაში. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც მაფიის წევრი ნებაყოფლობით გამოცხადდა ‘მონანიებით“ და დაიწყო თანამშრომლობა იტალიის პოლიციასთან.

ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პიროვნება, რომელმაც გამოიყენა „მონანიების“ საშუალება იყო 1980-იან წლებში სიცილიური მაფიის[36] ერთ-ერთი თავკაცი – **ტომაზო ბუშეტა** *(Tommaso Buscetta)*[37].

მისი ჩვენებების საფუძველზე, 1983-87 წლებში სიცილიაზე გაიმართა სასამართლო პროცესების სერია იტალიის მაფიის ასეულობით წევრისა და თავკაცების მიმართ[38] – ე.წ. Maxi Trial[39] (Maxiprocesso – იტალ.)

მას შემდეგ, რაც იტალიის ხელისუფლებამ დაიწყო მაფიის წინააღმდეგ ბრძოლა და შესაძლებლად გამოაცხადა საპროცესო *შეთანხმების* ***(Pentito)*** გაფორმება, მაფიის რამდენიმე ათეულმა ცნობილმა თავკაცმა ისარგებლა ამ შესაძლებლობით და „მოინანია“ ჩადენილი დანაშაული.

ამდენად, იტალიის რესპუბლიკის სისხლის სამართალწარმოების სისტემაში საპროცესო *შეთანხმების* ***(Pentito)*** და მოწმეთა დაცვის პროგრამის არსებობას დიდი მნიშვნელობა აქვს.

ის ხელს უწყობს პირველწყაროდან დანაშაულის ჩადენის შესახებ ინფორმაციის მოპოვებას და მოწმეთა მიერ მიცემული უმნიშვნელოვანესი ჩვენებების საფუძველზე, შესაძლებელს ხდის ორგანიზებული დანაშაულებრივი სისტემის სხვა წევრების დაპატიმრებას.

დასკვნის სახით, შეიძლება ხაზგასმით აღინიშნოს საპროცესო შეთანხმების **(Pentito)** პრინციპის უმნიშვნელოვანესი როლი იტალიაში ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

საფრანგეთის რესპუბლიკა

საფრანგეთმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში[40] (Code de procédure pénale) საპროცესო შეთანხმების მარეგულირებელი ნორმები VII თავის 495-495/16 მუხლებში გვხვდება და მას გამარტივებული წარმოება ეწოდება.[41]

აღნიშნული ნორმები, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესწორებების შეტანის სახით, საფრანგეთმა 2004 წლის თებერვალში მიიღო. კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის ძირითადი მიზანი იყო ორგანიზებულ დანაშაულთან უფრო ეფექტიანი ბრძოლა და სასჯელის შემცირებით ბრალდებულისათვის გამოძიებასთან თანამშრომლობის სტიმულის მიცემა.

საფრანგეთის კანონმდებლობის შესაბამისად, საპროცესო შეთანხმების დადების პროცედურა – პლაიდერ ცოუპაბლე[42] მოსამართლის თანდასწრებით უნდა განხორციელდეს.

მაგალითად, ნარკოტიკების მომხმარებლის მიმართ შეიძლება საქმისწარმოების შეწყვეტა, თუ იგი დაეთანხმება პროკურორის წინადადებას მკურნალობის კურსის გავლის შესახებ.

გარდა ამისა, საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 495-ე მუხლი უშვებს რიგ დათქმებს, რომელთა არსებობის შემთხვევაში, დასაშვებად მიიჩნევა საპროცესო შეთანხმების დადება (გამარტივებული წესით საქმისწარმოება), კერძოდ:

– სამართალდარღვევები, რომლებიც დაკავშირებულია საგზაო მოძრაობის წესებთან და მათ დარღვევასთან, რომლებიც გათვალისწინებულია წინამდებარე კოდექსით;

– სახმელეთო ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესების დარღვევასთან დაკავშირებული დანაშაულები;

– სამართალდარღვევები, რომლებიც დაკავშირებულია სავაჭრო კოდექსის IV წიგნის, IV ნაწილის დარღვევებთან, იმ შემთხვევაში თუ სასჯელის სახით არ არის გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთა;

– დანაშაულები, რომლებიც დაკავშირებულია ნარკოტიკების მოხმარებასთან, ჯანმრთელობის კოდექსის L. 3421-1 მუხლის შესაბამისად;

– დანაშაულები, რომლებიც გათვალისწინებულია სამშენებლო კოდექსის g. 126-3 მუხლის დარღვევასთან; ამავე მუხლის მეორე ნაწილში ჩამოყალიბებულია ის გარემოებები, რომელთა არსებობის შემთხვევაში, გამარტივებული წესით საქმის განხილვის პროცედურა არ გამოიყენება, კერძოდ, თუ:

- ბრალდებულს დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის არ მიუღწევია 18 წლის ასაკს;
- გამოძიების პროცესში დაზარალებულმა დამნაშავის მიმართ წარადგინა ზიანის ანაზღაურების შესახებ განცხადება;
- დანაშაულებზე, რომლებიც დაკავშირებულია საგზაო მოძრაობის წესების დარღვევასთან, დაზარალებული გარდაიცვალა ან მიადგა ჯანმრთელობის ზიანი.
- პოლიციის მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად, დადგინდება დანაშაულის ჩამდენი პირი და საკმარისი იქნება მის მიმართ მოპოვებული მტკიცებულებები გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად.[43]

როგორც ვხედავთ, საფრანგეთის კანონმდებლობა ძალზე შეზღუდულად უშვებს საპროცესო შეთანხმების დადების შესაძლებლობას (გამარტივებული წესით საქმის წარმოების შესაძლებლობას).

ესტონეთი

ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც ესტონეთში ძალაში შევიდა 2004 წლის 1 ივლისს, ალტერნატივის სახით, ასევე გათვალისწინებულია გამარტივებული ფორმის *(Settlement Procedure)* სამართალწარმოება.[44]

ესტონეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის §239/1 შესაბამისად, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება სისხლის სამართლის საქმის გამარტივებული წესით წარმოების შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქმე ეხება პირველი ხარისხის დანაშაულს, ე.ი. დანაშაულს, რომლისთვისაც სასჯელის სახით გათვალისწინებულია 4 ან მეტი წლით თავისუფლების აღკვეთა ან უვადო თავისუფლების აღკვეთა.

გამარტივებული წესით საქმის წარმოების ინიციატორი შეიძლება იყოს პროკურორი (ესტონეთის სსსკ § 223 (4), § 240), ეჭვმიტანილი ან ბრალდებული (ესტონეთის სსსკ § 242 (1).

სასამართლოში საქმის განხილვის დაწყებამდე, გამარტივებული წარმოებით საქმის განხილვის შეთანხმების ირგვლივ პროკურატურა აწარმოებს მოლაპარაკებებს ბრალდებულთან და მის დამცველთან, ადგენს დანაშაულის ხასიათსა და საზოგადოებრივ საშიშროებას და დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის ოდენობას.

თუ ეჭვმიტანილთან/ბრალდებულთან მიღწეულია შეთანხმება, რომელიც წერილობითი ფორმის ხელმოწერილ დოკუმენტს წარმოადგენს, პროკურორი ამზადებს გამარტივებული წარმოებით საქმის განხილვის შესახებ წარდგინებას და გადასცემს მას სასამართლოს. თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ პროკურატურის წარდგინება არ აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნებს, მას შეუძლია:

– უკან დააბრუნოს პროკურატურის წარდგინება და მისცეს მხარეებს შეთანხმების ხელახალი შესაძლებლობა;

– უკან დააბრუნოს პროკურატურის წარდგინება და საქმის მასალები, თუკი მიიჩნევს, რომ საქმეზე საჭიროა დამატებითი მასალების წარმოდგენა;

თუ სასამართლო დარწმუნდება, რომ პროკურატურის წარდგინება აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნებს და შეთანხმება შედგენილია ეჭვმიტანილის/ბრალდებულის ნების შესაბამისად, სასამართლო დაადასტურებს შეთანხმებას და შეწყვეტს საქმის შემდგომ განხილვას.

ამგვარად, ესტონეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი აკეთებს მნიშვნელოვან დათქმას გამარტივებული წარმოებით საქმის განხილვის შესაძლებლობის შესახებ. კერძოდ, შეთანხმება პროკურატურასა და ეჭვმიტანილს/ბრალდებულს შორის შესაძლებელია, თუ საქმე არ ეხება პირველი ხარისხის დანაშაულს და სასამართლო დაადასტურებს ამგვარ შეთანხმებას.

რუსეთის ფედერაცია

რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შემდეგ, რომლებიც ძალაში შევიდა 2009 წლის 14 ივლისს,[45] შესაძლებელი გახდა სასამართლოში საქმის განხილვამდე პროკურატურასა და ეჭვმიტანილს/ბრალდებულს შორის თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების მიღწევა. აღნიშნული პროცედურა რეგულირდება რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 40.1 თავით (Глава 40.1. Особый порядок принятия судебного решения при заключении досудебного соглашения о сотрудничестве).

აღნიშნული ცვლილებებით, რუსეთის ფედერაცია მიუერთდა იმ ქვეყნების რიცხვს, რომლებმაც საკანონმდებლო დონეზე დაუშვეს საპროცესო შეთანხმების დადების შესაძლებლობა.

შუამდგომლობა სასამართლო განხილვამდე შეთანხმების მიღწევის შესახებ, პროკურორის სახელზე წერილობითი ფორმით უნდა წარმოადგინოს ეჭვმიტანილმა ან ბრალდებულმა, შუამდგომლობას ასევე, ხელს უნდა აწერდეს დამცველი.[46]

ეჭვმიტანილს ან ბრალდებულს აქვს უფლება შუამდგომლობა სასამართლო განხილვამდე შეთანხმების შესახებ წარმოადგინოს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებიდან წინასწარი გამოძიების დამთავრებამდე, ნებისმიერ დროს.

შუამდგომლობაში უნდა იყოს აღნიშნული რა მოქმედებებს განახორციელებს ეჭვმიტანილი/ბრალდებული დანაშაულის გახსნისათვის, დანაშაულის სხვა თანამონაწილეთა გამოვლენისათვის, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების დაბრუნებისათვის.

თუმცა, გამოძიების ორგანოებს აქვთ უფლება უარი განაცხადონ თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების დადებაზე. ასეთ შემთხვევაში, წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე გაგრძელდება ჩვეულებრივი წესით.

სასამართლო განხილვამდე თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში, მხარეებს შორის ფორმდება წერილობითი დოკუმენტი, სადაც დეტალურად უნდა იყოს გაწერილი, რა ვალდებულებებს კისრულობს ეჭვმიტანილი/ბრალდებული გამოძიებასთან თანმშრომლობის ფარგლებში.

აღნიშნული დოკუმენტი – შეთანხმება – სისხლის სამართლის საქმის მასალებთან ერთად უნდა წარედგინოს სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია დაამტკიცოს შეთანხმება.

თუ სასამართლო დარწმუნდება, რომ შეთანხმება დადებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით, იგი უარს განაცხადებს შეთანხმების დამტკიცებაზე და საქმის განხილვას განაგრძობს საერთო წესით.

აღსანიშნავია, რომ თუ ეჭმნიტანილის/ბრალდებულის მხრიდან გამოძიებასთან თანამშრომლობა შემოიფარგლება დანაშაულში მხოლოდ საკუთარი მონაწილეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებით, ეს გარემოება სასამართლოსათვის არ წარმოადგენს საქმის გამარტივებული წესით განხილვის საფუძველს.[47]

შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ რუსეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არაპირდაპირ მიუთითებს, რომ სასამართლო განხილვამდე თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ჯგუფური დანაშაულის შემთხვევაში.[48]

საქართველო

საქართველოს უახლეს ისტორიაში სისხლის სამართალწარმოებაში განხორციელებული საკანონმდებლო ცლილებებიდან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში 2004 წლის 13 თებერვლის ცვლილებები.[49]

კერძოდ, საუბარია 2004 წლის 13 თებერვალს, საქართველოს პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილ კანონზე **„№ 3287-IIს – საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.“**[50]

ამასთან, საქართველოს სამართლებრივ სისტემაში უამრავი ცვლილება განხორციელდა, რომლებიც შეეხო როგორც სისტემის სტრუქტურულ მოწყობას, ასევე შესაბამის კანონმდებლობასაც.

აღნიშნული ცვლილებებით, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში შემოღებულ იქნა **საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი,** რომელიც თავისთავად არ ყოფილა განცალკევებული საკანონმდებლო ნოვაცია. იგი საქართველოს პარლამენტს წარედგინა სხვა საკანონმდებლო პროექტებთან ერთად და მათ მთლიანობაში, **„ანტიკორუფციული ღონისძიებების შესახებ“** საკანონმდებლო პაკეტი ეწოდა.

საქართველოში საპროცესო შეთანხმების შემოღების შემდეგ, იურისტ-მეცნიერთა, პრაქტიკოსთა და საზოგადოების სხვა წარმომადგენლების მხრიდან არ შეწყვეტილა კამათი და განსჯა მისი ავკარგიანობის შესახებ, დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ. ამდენად, საპროცესო შეთანხმების არსებობა/არარსებობის საკითხი დღესაც მწვავე დისკუსიებს იწვევს.

ამ თემისადმი დიდი ყურადღების მიუხედავად, ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოქვეყნებული შრომები, რომლებიც შეეხება მის ცალკეულ პროცესუალურ ასპექტებს, ზოგადად, ურთიერთგანსხვავებულადაა გაშუქებული თემის ესა თუ ის პროცესუალური საკითხი. ამასთან, თეორიაში გამოთქმულია შეხედულება, რომლის თანახმადაც, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის შემოღების იდეა მცდარია და ეწინააღმდეგება არა მარტო სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის პრინციპებს, არამედ მთლიანად, მის ძირითად დებულებებსაც, რასაც ვერ დავეთანხმებით.

დღეს, XXI საუკუნის დასაწყისში, კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ინფორმაციას უდიდესი, შეიძლება ითქვას, სასიცოცხლოდ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ინფორმაციის არსებობა/არარსებობა, ფლობა ან დაკარგვა გახდა სხვა რესურსების მობილიზაციის და შესაძლებლობების გამოყენების წინაპირობა.

ამგვარად, ინფორმაცია არის უდიდესი რესურსი, რომლის სწორად გამოყენების შემთხვევაში, შესაძლებელია მიღწეულ იქნას კანონით დასახული/განსაზღვრული მიზანი, ნაკლები დანახარჯებით და შესაბამისად, შესაძლებლობას იძლევა დამატებითი რესურსები მიმართულ იქნას მოსალოდნელი ზიანის ეფექტური პრევენციისათვის.

საქართველოში საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის შემოღების ერთ-ერთი მიზანი იყო სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა, ორგანიზებულ დანაშაულთან და კორუფციასთან ბრძოლა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს საპროცესო შეთანხმების ორ ფორმას:

ა) შეთანხმება ბრალზე

ბ) შეთანხმება სასჯელზე.

ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ შეიცავს რაიმე შეზღუდვებს ან დათქმებს სხვადასხვა კატეგორიის დანაშაულთან დაკავშირებით საპროცესო შეთანხმების დადების შესაძლებლობაზე.

ვფიქრობთ, ამგვარი თავისებურება პროკურატურას ანიჭებს გარკვეულ თავისუფლებას საპროცესო შეთანხმების დადების პროცესში. სხვადასხვა დანაშაულის ეფექტურად გამოძიებისათვის საჭირო ხდება გამოძიების განსხვავებული ტაქტიკის გამოყენება. ამავე დროს, ამგვარი თავისუფლება შეიცავს საფრთხეებსაც. მაგალითად, პროკურატურა მხოლოდ თავისი ნების შესაბამისად, შესაძლოა კანონსაწინააღმდეგო დაინტერესების სანაცვლოდ, დადებს შეთანხმებას ბრალდებულთან, მხოლოდ აღიარებითი ჩვენების საფუძველზე, წარადგენს ბრალდებას.

ვფიქრობთ, ამგვარი საფრთხეების დაშვება შესაძლებელია, მაგრამ საერთო სასამართლოების როლის გაძლიერება, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება სრულიად გამორიცხავს პროკურატურის მხრიდან ყოველგვარ „არაკანონიერ თავისუფლებას“.

მით უფრო, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, ისევე როგორც სხვა, აღნიშნული ქვეყნების კანონმდებლობით, საპროცესო შეთანხმების დამტკიცება ხდება სასამართლოს მიერ და მხოლოდ ამის შემდეგ იძენს პროკურატურასა და ბრალდებულს შორის შეთანხმება სრულ ლეგიტიმაციას.

2009 წლის 9 ოქტომბერს, საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სრულიად ახალი რედაქცია.[51] აღნიშნული კოდექსის 333-ე მუხლის პირველ ნაწილის თანახმად, იგი ძალაში შევა 2010 წლის 1 ოქტომბერს (გარკვეული დათქმების გათვალისწინებით).

აღსანიშნავია, რომ ახალი საპროცესო კოდექსი ასევე უშვებს საპროცესო შეთანხმების დადების შესაძლებლობას ბრალდებულსა (განსასჯელს) და პროკურორს შორის, კერძოდ, კოდექსის 21-ე თავში ასახულია საპროცესო შეთანხმების დადების პროცედურები.

აქედან გამომდინარე, შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ საპროცესო შეთანხმებამ, როგორც ინსტიტუტმა, მიუხედავად მისი ყოველმხრივი კრიტიკისა, საფუძვლიანად მოიკიდა ფეხი საქართველოს სისხლისსამართალწარმოებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. *http://www.ohchr.org/EN/UDHR/Pages/Language.aspx?LangID=geo – 1948 წლის 10 დეკემბერს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ დაამტკიცა და გამოაცხადა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, რეზოლუცია 217 A (III) - Universal Declaration of Human Rights*.
2. http://www.hri.org/docs/ECHR50.html - *Convention* for the *Protection of Human Rights and Fundamental Freedoms* Rome, 4.XI.1950.
3. http://www.evrosud.ru/ratifikaciya.htm - ratificirebuila 08.03.1951.
4. http://www.evrosud.ru/ratifikaciya.htm - ratificirebuila 03.05.1974.
5. http://www.evrosud.ru/ratifikaciya.htm - ratificirebuila 05.12.1952.
6. http://iuaj103.valuehost.ru/modules.php?name=Pages&go=showcat&cid=25 - Особый порядок вынесения приговора при согласии обвиняемого с предъявленным обвинением – «Сделка о признании вины»? *Роговая С.А.* 2006, Киев.
7. http://en.wikipedia.org/wiki/Plea_bargain
8. http://www.enotes.com/everyday-law-encyclopedia/plea-bargaining
9. http://www.enotes.com/everyday-law-encyclopedia/plea-bargaining
10. http://www.enotes.com/everyday-law-encyclopedia/plea-bargaining
11. http://www.loc.gov/rr/program/bib/ourdocs/billofrights.html – აშშ კონგრესის ბიბლიოთეკა.
12. „უფლებათა ბილი“ ეს არის კრებსითი სახელწოდება აშშ კონსტიტუციაში შესული პირველი ათი შესწორებისა, რომლებიც კონგრესმა 1791 წელს მოიწონა და 1798 წლის ბოლომდე რატიფიცირებული იქნა შტატების მიერ.
13. http://www.law.cornell.edu/anncon/html/amdt6frag1_user.html#amdt6_hd4
14. "In all criminal prosecutions, the accused shall enjoy the right to a speedy and public trial, by an impartial jury of the State and district where in the crime shall have been committed, which district shall have been previously ascertained by law, and to be informed of the nature and cause of the accusation; to be confronted with the witnesses against him; to have compulsory process for obtaining witnesses in his favor, and to have the Assistance of Counsel for his defence."
15. http://www.enotes.com/everyday-law-encyclopedia/plea-bargaining
16. ფართობით აშშ შტატებს შორის არის პირველ ადგილზე 1 717 854კმ, მოსახლეობის რაოდენობით 48-ზე. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 1990 წელს ალიასკაზე ცხოვრობდა 550.000 ადამიანი, 2009 წლისათვის მათი რიცხვი 698.473-მდე გაიზარდა.
17. http://www.ajc.state.ak.us/Reports/plea91Exec.pdf
18. http://www.ajc.state.ak.us/Reports/plea91Exec.pdf
19. http://www.fbi.gov/ucr/cius2008/documents/pressreleasecius08.pdf
20. http://www.statemaster.com/encyclopedia/Plea-bargain#Claims_in_favor_of_plea_bargaining
21. http://www.legalserviceindia.com/article/l87-Plea-Bargaining.html
22. http://www.indlawnews.com/display.aspx?4762#_ftnref8 - **Evolution of Plea Bargaining in India.**
23. http://www.indlawnews.com/display.aspx?4762#_ftnref8
24. http://www.kja.nic.in/article/PLEA%20BARGAINING.pdf
25. http://www.indlawnews.com/display.aspx?4762
26. http://topics.law.cornell.edu/wex/nolo_contendere , Keeney v. Tamayo-Reyes (90-1859), 504 U.S. 1 (1992).
27. Stephano Bibas (July 2003). "Harmonizing Substantive Criminal Law Values and Criminal Procedure: The Case of *Alford* and Nolo contendere Pleas". *Cornell Law Review* vol. 88 (no. 6). Retrieved 2007-05-10.
28. http://en.wikipedia.org/wiki/Roman_law, http://en.wikipedia.org/wiki/Civil_law_(legal_system)
29. http://www.altalex.com/index.php?idnot=2011 - Codice di Procedura Penale, Art. 444.
30. http://en.wikipedia.org/wiki/Pentito
31. სასამართლო ოქმებში მათ უწოდებდნენ – collaboratori di giustizia (ital.), collaborators with justice (ingl.).
32. კანონი ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ, The Organized Crime Control Act of 1970 (Pub.L. 91-452, 84 Stat. 922 October 15, 1970) .
33. Kelly, Robert J.; Chin, Ko-lin; and Schatzberg, Rufus. Handbook of Organized Crime in the United States. Santa Barbara, Calif.: Greenwood Publishing Group, 1994.
34. http://en.wikipedia.org/wiki/United_States_Federal_Witness_Protection_Program
35. http://en.wikipedia.org/wiki/Leonardo_Vitale

36. http://en.wikipedia.org/wiki/Mafia
37. http://en.wikipedia.org/wiki/Tommaso_Buscetta
38. Dickie, John (2004). *Cosa Nostra. A history of the Sicilian Mafia*, London: Coronet.
39. http://en.wikipedia.org/wiki/Maxi_Trial
40. http://ledroitcriminel.free.fr/la_legislation_criminelle/code_de_procedure_penale.htm
41. http://ledroitcriminel.free.fr/la_legislation_criminelle/code_de_procedure_penale/code_de_procedure_penale_legisl_2.htm
42. http://fr.wikipedia.org/wiki/Plaidoyer_de_marchandage
43. http://ledroitcriminel.free.fr/la_legislation_criminelle/code_de_procedure_penale/code_de_procedure_penale_legisl_2.htm
44. http://www.juridicainternational.eu/public/pdf/ji_2004_1_116.pdf
45. http://www.rg.ru/2009/07/03/izmeneiya-uk-dok.html - Федеральный закон Российской Федерации от 29 июня 2009 г. N 141-ФЗ, "О внесении изменений в Уголовный кодекс Российской Федерации и Уголовно-процессуальный кодекс Российской Федерации"
46. Дубовик Николай Павлович. Особый порядок судебного разбирательства и его место в системе упрощенных производств по уголовным делам : Дис. ... канд. юрид. наук : 12.00.09 : Москва, 2004 174 с.
47. http://www.zakonrf.info/upk/317.6/
48. Рыжаков А.П., Досудебное соглашение о сотрудничестве: постатейный комментарий к новой главе УПК РФ Издательство "Дело и сервис", 2010.
49. http://www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=69&kan_det=det&kan_id=635
50. გამოქვეყნებულია №6 სს მაცნეში, 09.03.2004, ნაწილი I.
51. გამოქვეყნებულია №31 მაცნეში, 03.11.2009, ნაწილი I, N1772-IIს.

Plea Bargaining Abroad and in Georgia

DAVID MANAGADZE
PhD Student, Assistant Profesor, Grigol Robakidze University

The article discusses notable features of the plea bargaining in the criminal procedure legislation of foreign countries. The article includes a comparative review which was made based on the examples of several countries. It also canvasses the motives of plea bargaining defined in the legislation.

The article sets out a main conceptual position in respect of plea bargaining according to the Criminal Procedure Code of Georgia (both the current and the draft).

დანაშაულობის განსაზღვრის თანამედროვე მიდგომები

მიხეილ გაგუნია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის დოქტორანტი

„დანაშაულობა“ კრიმინოლოგიის მეცნიერების ძირითადი ასპექტია. ჩვენს მიერ აღნიშნული მიმართულებით ჩატარებულმა მეცნიერულმა კვლევებმა ნათლად ცხადყო, რომ კრიმინოლოგიის მეცნიერებაში „დანაშაულობის“ ფენომენი განსაზღვრული არ არის, შესაბამისად, მსოფლიო კრიმინოლოგიაში ეჭვქვეშ დგება ამ მეცნიერების როგორც იურიდიულ მეცნიერებად მიჩნევის საკითხი. აქვე, ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში კრიმინოლოგიას სოციალურ მეცნიერებათა რიცხვს მიაკუთვნებენ, რუსეთში, საქართველოსა და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში კი, იგი იურისტთა შესწავლის კომპეტენციად მიიჩნევა.

ტერმინი „დანაშაულობა“ (criminality) იშვიათად გვხვდება ინგლისურენოვან ლიტერატურაში, უფრო ხშირად ავტორები შემოიფარგლებიან ტერმინით „crime“ (დანაშაული). დანაშაული კი, ეტიმოლოგიურად აღნიშნავს ქმედებას, რომელიც არღვევს საზოგადოებაში დადგენილ ქცევის წესს, სოციალურ ნორმებს. რუსულ ენაში „преступление“ მომდინარეობს სიტყვიდან „переступать“ და ნიშნავს ზღვარს გადასვლას, გადაცდომას.[1] ანალოგიურად განიმარტება დანაშაული გერმანულ ენაზე „vergehen, verbrechen“; საზოგადოებაში დადგენილი ნორმალურ ურთიერთობათა საზღვრების დაცვა მართლ-

ზომიერად განიხილება, ხოლო ასეთი ურთიერთობების დარღვევა არამართლზომიერად, უსამართლოდ.[2] ტერმინთა აღნიშნულ სიმრავლეს ემატება ცალკეულ ქვეყნებში დანაშაულის სოციოლოგიაში მიღებული ტერმინები და ცნებები, ამერიკულში – „დელიქვენტობა“, ინგლისურ-ამერიკულ სისხლის სამართალში – „ტრიზნი“, „ფელონიები“ და „მისდამინარი“. ინგლისურ სამართალში ეს ტერმინები შუა საუკუნეებიდან გვხვდება და სხვადასხვა ცნების შინაარსს გამოხატავს. „ტრიზნი“ ნიშნავს სახელმწიფოს ღალატს, „ფელონიები“ ისეთ დანაშაულობათა კატეგორიებს, როგორიცაა მკვლელობა, გაუპატიურება, ქურდობა თუ სხვა. „მისდამინარი“ უფრო ნაკლებად საშიშ დანაშაულობათა აღმნიშვნელია და გამოხატავს იოლი ფორმის დანაშაულობებს, რომლებიც ემიჯნებიან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს – სიყალბე, ცრუმოწმეობა და სხვა. ამ ტერმინებს შორის ინგლისურ და ამერიკულ კრიმინოლოგიაში ყველაზე მეტად გავრცელებულია „დელიქვენტობა“, რომელიც განისაზღვრება ერთ შემთხვევაში, როგორც არანორმალური ქცევის გამოვლენა (ლეზლი ვილკინსი), ხოლო მეორე შემთხვევაში როგორც სამართლის დარღვევისადმი ფსიქოლოგიური ტენდენცია. ის თავისებურად გამოხატავს კანონსაწინააღმდეგო მოქმედების განწყობასაც და თვით კანონსაწინააღმდეგო მოქმედებასაც.[3]

დანაშაულობის კვლევაში უპირველესად, დგას დანაშაულის რაობის საკითხი. არის თუ არა დანაშაული დამახასიათებელი ფაქტისათვის თავისთავად, თუ დანაშაულობის განმსაზღვრელია ეპოქა, სოციალური ჯგუფი, სახელმწიფო, კოდექსი. მიუხედავად მრავალგვარი თვალსაზრისისა, არსებობს ზოგიერთი ისეთი დანაშაული, რომელიც ყველგან, ყოველთვის, ყოველგვარი კანონებით ქვეყნის დასაბამიდან უდავოდ დანაშაულად ითვლება და ასეთად ჩაითვლება, ვიდრე ადამიანი ადამიანად რჩება. ეს ნიშნავს, რომ ფაქტში უნდა ვეძებოთ დანაშაული და მისი დანაშაულებრივი ხასიათი ამ ფაქტიდან იქნება მისაწვდომი პრედიკატიზების გარეშე, მაგრამ შემოწმების შემთხვევაში, აღმოჩნდება, რომ ეს ასე არაა. ვერ დავასახელებთ ვერც ერთ ფაქტს, რომელიც სამყაროს დასაბამიდან ყოველთვის და ყველგან ყველას მიერ ითვლებოდა დანაშაულად.[4]

კრიმინოლოგიაში არსებობს დანაშაულობის განსაზღვრების რამდენიმე მიდგომა. მათში ასახულია ავტორთა ფილოსოფიურ შეხედულებათა, სოციოლოგიური სკოლებისა და მიმართულებების, სამართლებრივ და რელიგიურ წარმოდგენათა გავლენა. თითქმის ყველა მეცნიერულ ნაშრომში ხაზგასმულია დანაშაულობის ისტორიულობისა და სოციალური ბუნების გათვალისწინების პრიორიტეტულობა. მაგრამ მიუხედავად შემოთავაზებულ მიდგომათა მთელი მრავალფეროვნებისა, ამ ეტაპზე კრიმინოლოგებს არ ძალუძთ მოგვცენ დანაშაულობის ცნება.[5]

თანამედროვე კრიმინოლოგიაში დანაშაულობის გაგება-შემეცნების ორი ძირითადი მიდგომა არსებობს: 1. ლეგალისტური – დანაშაულობა არის ის, რაც აკრძალულია კანონით; 2. სოციალურ-რეაქციული, რომლის თანახმად, დანაშაულებრივია ის, რაც იკიცხება საზოგადოების, სახელმწიფოს მიერ და რისთვისაც დაწესებულია სასჯელები.[6]

დანაშაულობის ლეგალისტური განსაზღვრის მომხრეთა შორის გავრცელებულია დანაშაულობის შემდეგი ტიპის ცნებები: „დანაშაულობა მთლიანი სიოციალურ-სამართლებრივი მასობრივი მოვლენაა, რომლის საფუძველს შეადგენს დანაშაულის ნიშნების მქონე ქმედებათა და ასეთ ქმედებათა ჩამდენ პირთა ერთობლიობა გარკვეულ ტერიტორიაზე და გარკვეული დროის განმავლობაში“;[7] დანაშაულობა სოციალური, ისტორიულად ცვალებადი, მასობრივი, სისხლისსამართლებრივ-სისტემური მოვლენაა, რომელიც თავის მხრივ, ვლინდება საზოგადოებრივად საშიშ სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებათა და მათ ჩამდენ პირთა ერთობლიობაში გარკვეულ ტერიტორიაზე დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში.[8] მსგავსი დეფინიციების

არგუმენტაციას საფუძვლად უდევს დებულება, რომ დანაშაულობის მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს მისი სისხლისსამართლებრივი ხასიათი, მასში სისხლის სამართლის კანონში ჩამოყალიბებულ აკრძალვათა დარღვევის ინდივიდუალური აქტების გაერთიანება, რაც საშუალებას იძლევა განვასხვაოთ დანაშაულობა სხვა სამართალდარღვევებისა და ამორალური გადაცდომისაგან.[9] პროფესორ ზ. წულაიას შეხედულებით, „დანაშაულობა სისხლისსამართლებრივი მოვლენაა, ვინაიდან მასში შემავალ დანაშაულთა წრეს განსაზღვრავს სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ხოლო დანაშაულობის სამართლებრივი ელემენტი განასხვავებს მას ისეთი სოციალური მოვლენისაგან, როგორიცაა ამორალური გამოვლინებანი, ხოლო მართლწინააღმდეგობის ხარისხი განასხვავებს მას ისეთი სამათალდარღვევებისაგან, როგორიცაა ადმინისტრაციულსამართლებრივი, დისციპლინური და სამოქალაქოსამართლებრივი.“[10] აღნიშნულ განმარტებაში დანაშაულობა წარმოჩენილია სისხლისსამართლებრივ მოვლენად. თუმცა, ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან კრიმინოლოგია საბჭოთა მეცნიერების მიერ იურისტთა შესწავლის კომპეტენციად მიიჩნეოდა; მეცნიერები, მათ შორის, გერცენზონი და შლიაპოჩნიკოვი კრიმინოლოგიას სისხლის სამართლის მეცნიერების შემადგენელ ნაწილად განიხილავდნენ, შესაბამისად, დანაშაულობის კრიმინოლოგიურ კვლევას სათანადო ყურადღება არ ეთმობოდა. აღნიშნულ საკითხს ეხმაურება პროფესორი გ. ნაჭყებია, როდესაც აღნიშნავს, რომ ...იმხანად კრიმინოლოგიის უგულებელყოფის გამო, სისხლის სამართლის მეცნიერების საგანში შეტანილი იყო დანაშაულობა და მისი მიზეზები.[11]

ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ არ შეიძლება საზოგადოებაში ადამიანთა ქცევის რეგულირება, თუ მათი საქციელი არ შეფასდა და მათი ჩადენისათვის არ დადგინდება პასუხისმგებლობის ზომა. ამა თუ იმ მოქმედების სისხლისსამართლებრივი შეფასება, უპირველესად, არის მისდამი სახელმწიფოს დამოკიდებულების შედეგი. ასეთი შეფასების ძირითადი აზრია, რომ ადამიანის (მოქალაქის) მოქმედებათა და საქციელთა მთელი მრავალფეროვნებიდან გამოყოფა და ამა თუ იმ საზოგადოების ინტერესების შესაბამისად, ფასდება ისეთები, რომლებიც საზოგადოებას ყველაზე მეტად ვნებენ და უფრო „საზოგადოებრივად საშიშნი“ არიან. მოცემული ნიშანი ძირითადია ქმედების დანაშაულებრივად აღიარებისათვის. სისხლისსამართლებრივ კატეგორიებს და ცნებებს ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვთ არა მარტო სისხლის სამართლის მეცნიერებისათვის, არამედ სხვა სამართლებრივ და სოციალურ-სამართლებრივი მეცნიერებებისთვისაც, მათ შორის, კრიმინოლოგიისათვისაც.[12] ამდენად, ლეგალისტური მიდგომიდან, ნათლად ჩანს, რომ დანაშაულად (საერთოდ, დანაშაულობად) ითვლება სისხლის სამართლის კოდექსით აკრძალული ქცევა. ლეგალისტი კრიმინოლოგები აზუსტებენ დანაშაულის განსაზღვრებას და შემოიფარგლებიან მხოლოდ სისხლის სამართლის კანონების დარღვევით.

ჩვენ არ ვიზიარებთ ე.წ. ლეგალისტ-კრიმინოლოგთა მიდგომებს დანაშაულობის ცნების განსაზღვრისას. ვინაიდან, მხოლოდ სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების მიჩნევა დანაშაულად კრიმინოლოგიაში არაა მართებული მსჯელობა. შეხედულება დანაშაულობაზე არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ კანონით, კრიმინოლოგიაში დანაშაულობად უნდა მივიჩნიოთ არამარტო სისხლის სამართლის კანონით აკრძალული ქმედებანი, არამედ განსაკუთრებით, ის ამორალური ქმედებანი, რომელნიც, ასევე, მომეტებულ საშიშროებას წარმოადგენენ ქართული სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის. ასეთებად კი, უპირველეს ყოვლისა, გვესახება ნარკოტიკების მოხმარება (და მთლიანობაში ნარკომანია), პროსტიტუცია, ალკოჰოლიზმი და თვითმკვლელობა. მსგავსი ქმედებანი საზღვარგარეთის კრიმინოლოგიაში „უმსხვერპლო

დანაშაულობად იწოდებიან“.[13] ე.წ. „უმსხვერპლო დანაშაულობის“ არსი მდგომარეობს შემდეგში, კერძოდ: ობიექტური ზიანი, რომელიც მოაქვს უარყოფით, გადახრით ქცევას (დევიაციას) და საზოგადოების სუბიექტური შეფასება აღნიშნული ზიანის მიმართ, ხშირად ერთმანეთს არ ემთხვევა. ასეთი შეუთავსებლობა დაკავშირებულია საზოგადოებაში ზნეობრივი პრინციპების ცვალებადობასთან. მაგალითად, საზოგადოება სათანადოდ ვერ აფასებს ნარკომანიის გავრცელებას, პროსტიტუციისაგან მიღებულ ზიანს, თვითმკვლელობათა რიცხვს და სხვა მსგავს მოვლენებს. აშშ-სა და დასავლეთ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში საფუძველი ჩაეყარა მიმდინარეობას, რომლის თანახმად, ე.წ. „უმსხვერპლო დანაშაულობა“ როგორიცაა – ნარკოტიკების მოხმარება, პორნოგრაფია, პროსტიტუცია, აზარტული თამაშები, მამათმავლობა და სხვა — ამოღებულიყო სისხლის სამართლის კანონმდებლობიდან და მომხდარიყო მათი დეკრიმინალიზაცია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ასეთ დროს სწორედ მსხვერპლთან გვაქვს საქმე და არა სხვა მოვლენასთან. კერძოდ, მსგავსი ინდივიდები, რომლებიც ეწევიან ხსენებულ საქმიანობას, უპირველეს ყოვლისა, ზიანს აყენებენ საზოგადოებას, თავიანთ და სხვის ოჯახებს, მოზარდ-ახალგაზრდობას; ხოლო თეზისი, რომ ნარკოტიკების მოხმარება, ალკოჰოლიზმი, თვითმკვლელობა და სხვა დევიანტური მოვლენები – სუბიექტის უაღრესად პირადული პრობლემა და მორალური უფლებაა – ჩვენი მოსაზრებით მცდარი ლოგიკაა. მართალია, ცხოვრებისეული პირობები ყოველ კონკრეტულ ინდივიდს სხვადასხვაგვარი აქვს, როგორც გაუმჯობესებული, ასევე, რთული და ტრაგიკულიც კი, მაგრამ თუ მთლიანობაში განვიხილავთ, მაშინ არ შეიძლება, რომ ისინი არ მივიჩნიოთ სოციალურ ბოროტებად, რომელსაც არ გააჩნია არც მორალური და არც კანონისმიერი გამართლება. პირები, რომლებიც ხდებიან ნარკომანიის, ალკოჰოლიზმისა თუ სხვა დევიაციური გამოვლინებების მსხვერპლნი, ალბათობის მაღალი ხარისხით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საბოლოოდ, პოტენციურ დამნაშავეებად ყალიბდებიან. ისინი ვეღარ უმკლავდებიან ცხოვრებისეულ სირთულეებს (მაგალითად, ვერ გამოიმუშავებენ საარსებო მინიმუმს), ამავე დროს არ გააჩნიათ შესაძლებლობა თავიანთი გადახრითი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისა და ძალაუნებურად, თავისთავად, ხდებიან დამნაშავეები (ალკოჰოლის, ნარკოტიკის მიღების დაუოკებელი მოთხოვნილებიდან გამომდინარე, იძულებულნი არიან ჩაიდინონ სხვადასხვა სახის დანაშაული). ხოლო ისეთი მოვლენა, როგორიცაა თვითმკვლელობა, შუასაუკუნეების რუსეთში მიჩნეული იყო დანაშაულად და კვალიფიცირდებოდა სისხლის სამართლის წესით. თვითმკვლელობის ნებისმიერი მცდელობისათვის დაწესებული იყო უმკაცრესი სისხლისსამართლებრივი სანქციები, რადგან თვითმკვლელობა, ისევე, როგორც სხვა სახის დევიაციური მოვლენები, მიჩნეული იყო მომეტებულ საზოგადოებრივ საშიშროებად, რაც საბოლოოდ, აფერხებს საზოგადოების ნორმალურ ფუნქციონირებას.[14] ამდენად, ზოგიერთი კრიმინოლოგის მისწრაფება, „გათავისუფლდეს“ იურისპრუდენცია მსგავსი ქმედებებისა და მათ წინააღმდეგ ბრძოლისაგან, მცდარია და საფუძველს მოკლებული. თუმცა, ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ ნებისმიერი დევიანტური გამოვლინების დანაშაულად მიჩნევა და მისი დარეგულირება სისხლის სამართლის წესით, ბუნებრივია უტოპიამდე მიგვიყვანს. კანონთა სიმრავლე სახელმწიფოში იგივეა, რაც დიდი რაოდენობა მკურნალებისა: ნიშანი ავადმყოფობისა და უძლურებისა – აღნიშნავს სპენსერი.[15]

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კრიმინოლოგიაში დანაშაულობის შემეცნების მეორე მიმართულებას წარმოადგენს სოციალურ-რეაქციული მიდგომა. ამ მიმართულების წარმომადგენლები დანაშაულობის ლეგალისტური მხარის წინააღმდეგ ჯერ კიდევ, 30-იან წლებში გამოდიოდნენ. ტ. სელინი აღნიშნავდა, რომ „დანაშაულებრივის და შესაბამისად, ტერმინ „დამნაშავის“ არსის

ცვალებადობა კარგად ცნობილი ფაქტია. ამასთან, იბადება კითხვა: როგორ უნდა შევუთავსოთ მსგავსი ცვალებადობა იმ საყოველთაო კატეგორიების შემუშავების მცდელობას, რომლებიც საჭიროა ნებისმიერი მეცნიერული კვლევის ჩასატარებლად? კრიმინოლოგიური კვლევის ძირითადი ერთეულების, ანუ ელემენტების იურიდიულ განსაზღვრათა უპირობოდ მიღება არღვევს მეცნიერების ძირითად კრიტერიუმს. მეცნიერი თავისუფალი უნდა იყოს, რომ თვითონ განსაზღვროს მოვლენა მის მიერვე შერჩეულ მასალაში, აღნიშნოს მისი ის თვისებები, რომლებიც უნივერსალური ხასიათის მატარებლებად ივარაუდებიან. არსებობს იმის უამრავი მაგალითი, როცა კანონში გამოხატული სახელმწიფო პოლიტიკა ზღუდავდა და ნულოვან ნიშნულამდე დაჰყავდა ან წინასწარ კარნახობდა მეცნიერული კვლევის შედეგს ამა თუ იმ დარგში."[16] შემდგომ წლებში, ამ იდეამ სულ უფრო მეტი მომხრე ჰპოვა ამერიკელ სოციოლოგთა შორის. მარკ კოლვინი, რომელიც ეფუძნებოდა რ. აგნიუს, მ. გორფრედსონის დაძაბულობის თეორიას, ტ. ჰირშის თავშეკავების თეორიას და რ. აკერმანის სწავლების თეორიის დასკვნებს აღნიშნავდა, რომ დანაშაულთა უმრავლესობის მიმართ იძულების სისტემის დინამიკა მოუწესრიგებელ ხასიათს ატარებს, განსაკუთრებით ქრონიკულ ან ჩვეულებრივ ფორმებში. ანალოგიურს ვარაუდობდნენ სხვა სოციოლოგებიც. ქცევის ნორმებს, როგორც ისინი აღნიშნავენ, ადგენს ხელისუფლება და არა ხალხი. ამიტომ ღიად რჩება საკითხი: საიდან იცის ხალხმა, რომ მან უნდა იმოქმედოს სწორედ ამ ნორმების შესაბამისად. ნორმები ხომ ყოველთვის არ განსაზღვრავენ ქცევის ზუსტ წესებს. საჭიროა კონცეფცია, რომელიც დაადგენს, თუ რა მიაჩნია მოსახლეობას ყველაზე მისაღები ქმედების ნორმად. საბოლოოდ, მეცნიერები რადიკალურ დასკვნამდე მიდიან, რომ ყურადღება უნდა მიექცეს მოსახლეობის რეაქციას ქცევაზე და არა იმას, იგი აკრძალულია თუ არა კანონით.[17]

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ქვეყნებში და სხვადასხვა დროს დანაშაულად ცნობილ ქმედებათა წრე მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. ერთ სახელმწიფოში დანაშაულად მიჩნეული ქმედება, მეორე სახელმწიფოში ჩვეულებრივ მოვლენად აღიქმებოდა. გარდა ამისა, ის რაც ადრე დანაშაულად მიიჩნეოდა, მაგალითად, ჰომოსექსუალიზმი, დღეისათვის დეკრიმინალიზაცია განიცადა და დანაშაულად არ ითვლება. აქედან გამომდინარე, ხაზგასმით გვსურს აღვნიშნოთ, რომ რეალობაში არ არის ისეთი ობიექტი, ისეთი ქმედება, რომელიც თავისთავად, შინაგანად იყოს დანაშაულებრივი. დანაშაულს როგორც ინდივიდუალურ ქცევით აქტს და დანაშაულობას როგორც სოციალურ ფენომენს არ გააჩნიათ ბუნებრივი, ონტოლოგიურად (არსებითად) განსაზღვრული რეფერენტი სოციალურ სინამდვილეში. დანაშაული არ არის ონტოლოგიური რეალობა, იგი მხოლოდ კრიმინალური პოლიტიკის პროდუქტია.[18] დანაშაულს (საერთოდ, დანაშაულობას) განსაზღვრავს კონკრეტული კანონმდებელი კონკრეტულ სახელმწიფოში და კონკრეტულ დროს, რომელიც უპირველეს ყოვლისა, გამოხატავს მმართველი ფენის, უმცირესობის ინტერესებს.[19] დანაშაული და დანაშაულობა რელაციური (შეფარდებითი) კონვენციალური, სოციალური კონსტრუქტებია.[20]

არსებული თეორიების განხილვას მივყავართ დასკვნამდე, რომ დანაშაულობა სოციალური მოვლენაა. აქედან გამომდინარე, იგი განპირობებულია არა ადამიანის ბიოლოგიური ბუნებიდან, თუმცა, ეს უკანასკნელი გავლენას ახდენს პიროვნების დანაშაულებრივ ქცევაზე. დანაშაულობა ისტორიული წარმომავლობისაა, იგი უშუალოდ, მიზეზობრივადაა დამოკიდებული საზოგადოებრივ პროცესებზე. დანაშაულობის დონე და ხასიათი განპირობებულია სოციალურ ეკონომიკურ სხვადასხვა სისტემებში და სხვადასხვა ქვეყნებში ადამიანთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის ადგილობრივი გარემოებებით. დანაშაულობის კონკრეტული ფორმები განისაზღვრება კონკრე-

ტული ქვეყნის სახელმწიფოსა და საზოგადოების მიერ, რაც ცალსახად განპირობებულია იმ გარემოებით, რომ სხვადასხვა ქვეყნებში არის სხვადასხვა მიდგომები დანაშაულებრივისა და არადანაშაულებრივის მიმართ (ერთ ქვეყანაში დანაშაულად ცნობილი ქმედებათა წრე, მეორე ქვეყანაში შესაძლოა უდანაშაულოდ ითვლებოდეს); დანაშაულობის მაჩვენებლების ზრდა დაკავშირებულია დროსთან და ტერიტორიასთან. დანაშაულობა წარმოადგენს საზოგადოებრივად საშიშ პროდუქტს, ზიანს აყენებს უპირველესად, საზოგადოების ნორმალურ ფუნქციონირებას, ამდენად მის საწინააღმდეგოდ უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება სოციალური ზომების გამოყენებას. სწორედ სოციალური ზომების გამოყენება კონტროლის განხორციელების თვალსაზრისით, გვაძლევს ეფექტს და ამავდროულად, საზოგადოებას მხოლოდ მისი გამოყენება შეუძლია დანაშაულის წინააღმდეგ. სახელმწიფოს მხრიდან კი, მხოლოდ სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით დაპირისპირება დანაშაულობის მიმართ, არ იძლევა სასურველ შედეგს და ხშირ შემთხვევაში, პირიქით, კიდევ უფრო ზრდის დანაშაულობას ქვეყანაში. ჩვენი მოსაზრება უსაფუძვლო რომ არ იყოს, მოვიშველიებთ საქართველოს იურუდიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გ. ნაჭყებიას შეხედულებას დანაშაულის შესახებ, სადაც მეცნიერი განმარტავს, რომ „დანაშაული სოციალური მოვლენაა და მას ძირითადად, სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები განაპირობებენ, ამიტომ დგება საკითხი, თუ რამდენად მორალურია ამ პირობებში დანაშაულს ვებრძოლოთ სასჯელის მეშვეობით, მაშინ როდესაც დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობისათვის გადამწყვეტია დანაშაულის გამომწვევი მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების წინააღმდეგ სოციალურ-ეკონომიკური, იდეოლოგიურ-პოლიტიკური და სხვა ამგვარი ღონისძიებების განხორციელება. სახელმწიფომ, უპირველეს ყოვლისა, ამ ღონისძიებათა განხორციელებაზე უნდა იზრუნოს და მხოლოდ, ამის შემდეგ შეიძლება მას უფლება ჰქონდეს დანაშაულის ჩადენის წინააღმდეგ დააწესოს სისხლისსამართლებრივი სასჯელი, როგორც დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის დამხმარე საშუალება“.[21] მაგალითისათვის აღვნიშნავთ, რომ არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს ისეთ ქმედებათა სისხლის სამართლის წესით დაკვალიფიცირება, როგორიცაა „ცემა“ (სსკ მუხლი 125), „ალიმენტის გადახდისათვის ჯიუტად თავის არიდება“ (სსკ მუხლი 176), შვილად ან შვილობილად აყვანის წესის დარღვევა (სსკ მუხლი 173), ნივთის დაზიანება ან განადგურება გაუფრთხილებლობით (სსკ მუხლი 259) და სხვა ისეთი ქმედებები, რომლებიც მიჩნეულნი არიან კანონმდებლის მიერ ნაკლებად მძიმე დანაშაულობად. ასეთი ქმედებები საზოგადოებისათვის უმნიშვნელო საფრთხეს წარმოადგენს და ამდენად აბსოლუტურად საკმარისია მათ მიმართ ადმინისტრაციულსამართლებრივი ან სამოქალაქო-სამართლებრივი ზომების გამოყენება. გამომდინარე იქედან, რომ მოხდეს თანხვედრა ერთი მხრივ, კრიმინოლოგიისა და სისხლის სამართლის ინტერესებისა, ხოლო მეორე მხრივ, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესებისა, ჩვენი შეხედულებით, მეტად მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოს მხრიდან მხოლოდ ისეთ ქმედებებს მიეკუთვნოს დანაშაულებრივის სტატუსი და შესაბამისად, აისახოს სისხლის სამართლის კოდექსში, რომლებიც მომეტებულ საზოგადოებრივ საშიშროებას წარმოადგენენ საქართველოს მოქალაქეებისა და ქართული სახელმწიფოსათვის. მაშასადამე, ამოსავალი წერტილი დანაშაულობის განსაზღვრისა უნდა იყოს არა მმართველი ფენის შეხედულება კონკრეტული ქმედების მიმართ, არამედ საზოგადოება და მისი ინტერესები. სწორედ საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარეა, რომ კრიმინოლოგია დანაშაულობას განიხილავს როგორც სახესხვაობას გადახრითი ქცევებისას, რასაც არსებობის ობიექტური საფუძველი აქვს. ვინაიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შესაძლოა რომელიმე კონკრეტული ანტისა-

ზოგადოებრივი ქცევა სსკ-ის მიერ არ იყოს ცნობილი დანაშაულად, თუმცა, იგი არსებითად, არღვევდეს ისტორიულ-ნაციონალურ ტრადიციებს.

კრიმინოლოგიის მეცნიერების განვითარების ამ კონკრეტულ ეტაპზე, 21-ე საუკუნეში, შეიძლება ითქვას, რომ დანაშაულობა სამართლებრივი მოვლენაცაა. მიუხედავად იმისა, რომ სამართალიც სოციალური კატეგორიაა, დანაშაულობის სამართლებრივ ხასიათზე მითითება პრინციპულ ხასიათს ატარებს. იგი ეფუძნება საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპს – nullum crimen sine lege – (არ არსებობს დანაშაული კანონის გარეშე), რაც განმტკიცებულია მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობებით, მათ შორის, საქართველოს კანონმდებლობით. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პირველივე მუხლში ნათქვამია, რომ სისხლის სამართლის კოდექსი „განსაზღვრავს თუ რომელი ქმედებაა დანაშაულებრივი“.[22]

დანაშაულობა ისტორიულად ცვალებადი მოვლენაა. საზოგადოების ცვლილებასთან ერთად, მისი სოციალურ-ეთიკური, იდეოლოგიურ-პოლიტიკური, ორგანიზაციულ-მმართველობითი, სამეცნიერო-ტექნიკური და სხვა ობიექტური მიზეზების გამო, იგი თვისებრივად და ხარისხობრივად იცვლება. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ასახვა ჰპოვა ისეთმა მუხლებმა როგორიცაა „შიდსის შეყრა“ (სსკ მუხლი 131), „გენეტიკური მანიპულაცია“ (სსკ მუხლი 136); „კომპიუტერულ ინფორმაციასთან არამართლზომიერი შეღწევა“ (სსკ მუხლი 284), ეგმ-ის დაზიანებული პროგრამის შექმნა, გამოყენება ან გავრცელება“ (სსკ მუხლი 285)... მსგავსი ქმედებები არ შეიძლებოდა ჩადენილი ყოფილიყო შიდსის ვირუსის აღმოჩენამდე, კომპიუტერის გამოგონებამდე და მის მასობრივ გამოყენებამდე. ისტორიული ანალიზი მოწმობს, რომ მსგავსი ანტისაზოგადოებრივი ქმედებები განპირობებულია არსებითი ცვლილებებით სოციალურ-ეკონომიკური, სამცნიერო-ტექნიკური, პოლიტიკური და სხვა მსგავსი ფაქტორებით. ამასთან, ზოგიერთი ცვლილება ქმედების დანაშაულებრივად მიჩნევისა ხშირ შემთხვევებში, დაკავშირებულია მმართველი ფენის სუბიექტურ დამოკიდებულებასთან ამა თუ იმ მოვლენის მიმართ იდეოლოგიური და რელიგიური მოთხოვნებით. თვალსაჩინოებისათვის, გავიხსენოთ შუასაუკუნეების ევროპისათვის დამახასიათებელი ინკვიზიციური პროცესები, სადაც ადამიანებს სდევნიდნენ და აწამებდნენ განსხვავებული რელიგიური შეხედულებების გამო. ასევე, გავიხსენოთ ჰიტლერისა და სტალინის ეპოქა, როდესაც ხორციელდებოდა მასობრივი დევნა პირებისა, რომლებიც არ იზიარებდნენ ერთ შემთხვევაში, ფაშისტურ, ხოლო მეორე შემთხვევაში – ბოლშევიკურ შეხედულებებს, იდეოლოგიას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ხაზგასმით გვსურს აღვნიშნოთ და საზოგადოების წინაშე ვამტკიცოთ, რომ რეალობაში არ არის ისეთი ობიექტი, ისეთი ქმედება, რომელიც თავისთავად, შინაგანად იყოს დანაშაულებრივი. დანაშაულს როგორც ინდივიდუალურ ქცევით აქტს და დანაშაულობას, როგორც სოციალურ ფენომენს არ გააჩნიათ ბუნებრივი, ონტოლოგიურად (არსებითად) განსაზღვრული რეფერენტი სოციალურ სინამდვილეში. დანაშაული არ არის ონტოლოგიური რეალობა, იგი მხოლოდ კრიმინალური პოლიტიკის პროდუქტია.[23] დანაშაულს (დანაშაულობას) განსაზღვრავს კონკრეტული კანონმდებელი კონკრეტულ სახელმწიფოში და კონკრეტულ დროს, რომელიც უპირველეს ყოვლისა, გამოხატავს მმართველი ფენის, უმცირესობის ინტერესებს.[24]

საქმე ის გახლავთ, რომ დანაშაულობა მთელი მსოფლიოს მასშტაბით თანდათანობით და ეტაპობრივად იზრდება, საზოგადოებრივი სისტემის განურჩევლად. სამწუხაროდ, ჯერჯერობით, არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ დანაშაულობის მატება შეწყდება. მეცნიერ-კრიმინოლოგების გათვლებით, უახლოეს წლებში, მსოფლიოში დანაშაულობის საშუალო წლიური მატება მოსა-

ლოდნელია 3-5%-ით.[25] მოსალოდნელი საშუალო კოეფიციენტი აღრიცხული დანაშაულებისა შეადგენს 6-8 ათასს 100.000 მოსახლეობაზე. მათი ფაქტობრივი რაოდენობა კი, იქნება დასახელებულ ციფრებზე 2-3-ჯერ მეტი. ასე, რომ 2015-2020 წლებისათვის, დამნაშავეთა რაოდენობა შესაძლოა მოსახლეობის რაოდენობას მიუახლოვდეს.[26]

დანაშაულობის მატება მიმდინარეობს ნორმალური საზოგადოებრივი თანაცხოვრების გარემოს ნგრევის, ოჯახების რღვევის, ალკოჰოლიზმის, ნარკომანიის, თვითმკვლელობათა და სხვა გადახრითი ქცევების გავრცელების პარალელურად. საზოგადოების აღნიშნული ავადმყოფური ცვლილებანი მიმართულია კაცობრიობის თვითგანადგურების ტენდენციისაკენ.[27] დასახელებული პათოგენური პროცესები კი, ძნელად საკონტროლებელია სახელმწიფოს მხრიდან. ჯერ-ჯერობით, ცვლილებები უკეთესობისაკენ არ შეიმჩნევა. დადებითი ძვრების განსახორციელებლად, ალბათ, საჭიროა კიდევ უფრო დიდი გლობალური კრიზისის წარმოქმნა – კატასტროფის ზღვარზე მყოფი კრიზისისა, რამაც შესაძლოა გამოაფხიზლოს კოლექტიური გონება და აიძულოს მსოფლიო საზოგადოება, რომ გააცნობიეროს, გაითვითცნობიეროს თუ რას უქადის მომავალში დანაშაულობა კაცობრიობას. აქვე აღვნიშნავთ, რომ საზოგადოება შეეჩვია იმ გარემოებას, რომ დანაშაულობა საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის ჩვეულებრივი დამახასიათებელი მოვლენაა. უპირველეს ყოვლისა, ეს შეეხება მოსახლეობაში განსაკუთრებით გავრცელებულ დანაშაულთა ზოგიერთ სახეებს, მაგალითად, ქურდობა, ძარცვა, მექრთამეობა და ა.შ. თუმცა, მოსახლეობის მოთმინება დანაშაულობის განსაკუთრებით საშიში გამოვლინებების მიმართ, განუსაზღვრელი არ არის. აშკარად არსებობს ზღვარი, რომლის იქითაც შესაძლოა წარმოიშვას სტიქიური რეაქცია, რამდენადაც „დანაშაულობის წინაშე შიში და გამოუვალი მდგომარეობის არსებობა ყოველდღიური პრობლემა ხდება და ავსებს საზოგადოების მოთმინების ფიალას.“[28] ამდენად, მეტად მნიშვნელოვანია, რომ დანაშაულობა, როგორც ნეგატიური სოციალური მოვლენა სათანადოდ აისახოს საზოგადოების მსოფლმხედველობაში. შესაბამისად, საზოგადოებისა და სახელმწიფოს რეაქცია დანაშაულობაზე (სოციალური კონტროლი) არ უნდა იყოს უშედეგო. აუცილებელია სახელმწიფომ მიმართოს ისეთ ზომებს, რომელიც მეტ სარგებელს მოიტანს, ვიდრე ზიანს. ასეთად კი, უპირველეს ყოვლისა, ალტერნატიული იუსტიციის ფორმირება და სასჯელის ჰუმანიზაციის პროცესების ტენდენცია გვესახება.

ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ პიროვნებათა ხანგრძლივი ყოფნა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მათი ფსიქიკის შეუქცევად ცვლილებას იწვევს, რის შემდეგაც სასჯელმოხდილი პირების სრული უმრავლესობა აგრძელებს კრიმინალურ საქმიანობას უფრო სრულყოფილად და პროფესიულ დონეზე, ვიდრე ამას აქამდე სჩადიოდა და შესაბამისად, გათავისუფლების შემდეგ საზოგადოებას უფრო მეტ ზიანს აყენებს; ხოლო მეორე მხრივ, სისხლის სამართლის რეპრესია წამოშობს ახალ დანაშაულებს. ამდენად, დღეისათვის, სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, ქვეყანაში სათანადო კრიმინოლოგიური ბაზის შექმნა, რის საფუძველზეც პრაქტიკულად, განხორციელდება და შემუშავდება დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის თეორიული და პრაქტიკული საფუძვლები.

სახელმწიფოში, სადაც ადამიანებზე ზრუნვა მხოლოდ დეკლარილებულია და ხშირად, სხვადასხვა ლოზუნგებით სპეკულირებადია, ხოლო სინამდვილეში არ ტარდება პრაქტიკული ღონისძიებანი, დანაშაულობათა, დევიაციათა რიცხვი ყოველთვის მაღალია.

დღეისათვის, სასჯელის ჰუმანიზაციის ტენდენციების თვალსაზრისით, ლიდერობენ იტალია და საფრანგეთი, სადაც დაინერგა ე.წ. „კრიმინოლოგ-კლინიცისტების“ პროფესია, რომლებიც

დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ საზოგადოებაში და მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებზე, პატიმართა რეაბილიტაციის საკითხებთან მიმართებაში. კრიმინოლოგიის აღნიშნული დარგის განვითარებამ გამოიწვია სადამსჯელო პოლიტიკის ჰუმანიზაცია ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფოში. საფრანგეთში ამას მოჰყვა პენიტენციარული სისტემის რეფორმა, რომლის ფარგლებშიც შეიქმნა სოციალურ-აღმზრდელობითი სამსახური, პატიმრებს გაუჩნდათ პროფესიული განათლების მიღების, სწავლების შესაძლებლობა სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებებში და აუცილებელი სამედიცინო დახმარების მიღება თავისუფლების აღკვეთის ადგილების ფარგლებს გარეთ.[29] ვფიქრობთ, აღნიშნული მოდელის შეთავაზება ქართული პენიტენციარული სისტემისათვის დღესდღეობით, მნიშვნელოვანი იქნება. ჯერ ერთი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პიროვნებათა ხანგრძლივი ყოფნა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მათი ფსიქიკის შეუქცევად ცვლილებას იწვევს, რის შემდეგაც სასჯელმოხდილი პირების სრული უმრავლესობა აგრძელებენ კრიმინალურ საქმიანობას უფრო სრულყოფილად და პროფესიულ დონეზე. ხოლო, მეორე მხრივ, სისხლის სამართლის რეპრესია წამოშობს ახალ დანაშაულებს, რომლებსაც სჩადიან სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში, რაც ხშირ შემთხვევაში, ლატენტურ ხასიათს ატარებს. დანაშაულობათა შედარება, პროგნოზირება და მიზეზები საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ საინტერესო დასკვნები. უპირველესად, ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ საზოგადოების მაღალი ეკონომიკური დონე (თუ საზოგადოებაში შენარჩუნებული არ არის ისტორიული ტრადიციები) არ აბრკოლებს დანაშაულობათა ზრდას. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც მსოფლიოში ეკონომიკურად უმდიდრესი სახელმწიფოა, ამავე დროს გამოირჩევა დანაშაულობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლით, იგივე შეიძლება ითქვას გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაზე, დიდ ბრიტანეთზე, საფრანგეთსა და იტალიაზე.[30] ამავე დროს, იაპონიაში, რომელიც ძალზედ განვითარებული ქვეყანაა და არცერთ დასახელებულ სახელმწიფოზე ნაკლებ განვითარებული არაა ეკონომიკურად, დანაშაულობის დონე საკმაოდ დაბალია.[31] იაპონიაში, საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებული ისტორიული ტრადიციების შესაბამისად, მოსახლეობა ვალდებულად თვლის თავს შეინარჩუნოს პატივისცემა ოჯახისადმი, საზოგადოებისა და ერისადმი. იაპონელთა ცხოვრების წყობა განისაზღვრება ოჯახის პატრიარქალური სტრუქტურით, საზოგადოებაში ძლიერად მოქმედებს ოჯახურ-ნათესაური ტრადიციები, პატივისცემა უფროსებისადმი, სიძულვილი იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც ცხოვრობენ არაკანონიერი გზით მიღებული შემოსავლებით. ხელისუფლება დიდ ძალისხმევას ხარჯავს, რათა შეინარჩუნოს ოჯახური ურთიერთობების ძლიერი სისტემა, საზოგადოება და საზოგადოებრივი ცნობიერება ავსებენ და აძლიერებენ ოჯახის გავლენას. ახალგაზრდობა კარგად არის ინტეგრირებული საზოგადოებაში, თაობათა შორის კონფლიქტი პრაქტიკულად არ არსებობს ან ასეთის არსებობის შემთხვევაში, წყდება მშვიდობიანად, ურთიერთშეთანხმებით. დანაშაულობასთან ბრძოლაში მონაწილეობს მთლიანად მოსახლეობა, დანაშაულობის თავიდან აცილების სისტემები ეფექტურად მოქმედებენ დასახლებულ სექტორებში, ქუჩებში, სკოლის მოწაფეებში, მასში ჩართულნი არიან მრავალრიცხოვანი სტუდენტური, ახალგაზრდული, ქალთა ორგანიზაციები. პოლიცია აწარმოებს სისტემატურ გასვლებს სახლებში, აძლევს რჩევებს მოქალაქეებს ოჯახური დავების შემთხვევაში და აგვარებს მათ. მოქალაქეები დადებითად არიან განწყობილნი პოლიციის მიმართ, მორალურად, თავს ვალდებულად თვლიან ნებისმიერი კანონდარღვევის შემთხვევაში, ინფორმაციით უზრუნველყონ სამართალდამცველი ორგანოები და მათდამი ნდობა საკმაოდ მაღალია. შესაბამისად, იაპონია ერთ-ერთი

ყველაზე გამორჩეული და მისაბაძი ქვეყანაა დანაშაულობის დაბალი დონის მხრივ მსოფლიო საზოგადოებისათვის.[32] შვეიცარია, იაპონიის მსგავსად, დანაშაულობის მხრივ ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებლის მქონე ქვეყანაა.[33]

ჩვენთვის მეტად საყურადღებოა იმ ფაქტორების გამოკვლევა, დანაშაულობაზე რა ზემოქმედების საშუალებები არსებობს აღნიშნულ ქვეყანაში და კრიმინოლოგიური თვალსაზრისით, რით განსხვავდება შვეიცარია სხვა დანარჩენი ევროპული სახელმწიფოებისაგან. ვფიქრობთ, შვეიცარიისა და იაპონიის მიღწევები დანაშაულობის თავიდან აცილების საქმეში ყველაზე მეტად მისაღები უნდა იყოს საქართველოსათვის, მით უმეტეს, როდესაც საქართველოს საზოგადოებაში არსებობს სინთეზი ევროპულსა და აზიურ ტრადიციებს შორის.

კრიმინოლოგიურმა გამოკვლევებმა ცხადყვეს, რომ შვეიცარიაში დანაშაულობის დაბალი დონე განპირობებულია მთელი რიგი კომპლექსური ფაქტორების არსებობით. კერძოდ:

– შვეიცარიაში უმეტესწილად, ძირძველი მოსახლეობა ცხოვრობს, თაობიდან თაობამდე ოჯახები ცხოვრობენ ერთი და იმავე ადგილას, ამდენად ადამიანები კარგად იცნობენ ერთმანეთს და ითავისებენ ერთმანეთის პრობლემებს და აქტიურად მისდევენ დამკვიდრებულ ტრადიციებს;

– სამოქალაქო პასუხისმგებლობის შეგნება მოსახლეობის მხრიდან ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ პროცესებთან მიმართებაში, მათ შორის დანაშაულობაზე (შვეიცარიაში ღრმად აქვთ გაცნობიერებული ურთიერთდახმარების მოვალეობა და სოლიდარობა; ადგილობრივ მოსახლეობაში გავრცელებულია ანდაზა, რომლის თანახმად „ყველა მოქალაქე თავისთავად პოლიციელია“);

– პოლიციის დეცენტრალიზაცია და მისი ორიენტაცია საზოგადოების ინტერესებზე – დანაშაულობაზე განსაკუთრებული რეაქციების არარსებობა, თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივად ძალიან ხშირად გვევლინება პირობითი მსჯავრი, ხოლო თავისუფლების აღკვეთის სახით განაჩენის დადგენისას, სჭარბობს მცირე ვადის სანქციები.

– დაოჯახებული ქალები პრაქტიკულად არ არიან დაკავებულნი პროფესიული საქმიანობით. ამდენად, მათ აქვთ შესაძლებლობა უკეთ მოუარონ თავიანთ შვილებს და წარმატებით აღზარდონ ისინი, აქედან გამომდინარე, დანაშაულობის ძალზედ დაბალი დონეა ახალგაზრდობაში, მოზარდ თაობაში 18 წლამდე, ფაქტობრივად არ ფიქსირდება კანონდარღვევები.

– სასკოლო პროგრამები მოიცავენ ძალიან ბევრ აკრძალვებს, მასწავლებელს აქვს საკმაოდ მაღალი სოციალური სტატუსი. ყოველივე ამას შეიძლება დავუმატოთ ის გარემოება, რომ ახალგაზრდებს შორის შვეიცარიაში არ არის უმუშევრობა და ოჯახის განვითარება ქვეყანაში, სადაც უმთავრეს როლს სოფლის საზოგადოება ასრულებს, დაფუძნებულია ტრადიციულ პატრიარქალურ ურთიერთობებზე. ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ სასამართლო განაჩენების 2/3, რომლებიც შეეხება თავისუფლების აღკვეთას – პირობითია.[34] ამდენად, დანაშაულობის შედარებამ და გაანალიზებამ სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე, საშუალება მოგვცა დაგვედგინა დანაშაულობის გამომწვევი და ამავე დროს, მისივე კონტროლის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი – საზოგადოების ტრადიციული ღირებულებები. ამის შესახებ დიურკგეიმი წერდა, რომ თუ რომელიმე საზოგადოებაში ტრადიციული ინსტიტუტები თავიანთ ძალას კარგავენ, თუ სუსტდება კავშირი ინდივიდისა საზოგადოებასთან – ღირებულებათა სისტემა იმსხვრევა და წარმოიქმნება ანომია.[35] ანომიიდან დანაშაულობამდე კი, ერთი ნაბიჯია.

გამომდინარე იქედან, რომ ნაშრომში განვითარებული და შეძლებისდაგვარად, დასაბუთებული დებულებანი ნაშრომის შინაარსში გადმოვეცით, დასკვნით ნაწილში მათ აღარ შევეხებით.

მოკლედ აღვნიშნავთ, რომ ქართულ კრიმინოლოგიაში დანაშაულობა და მასთან დაკავშირებული საკითხები დღემდე შეუსწავლელია. ნაშრომში განხილული რიგი საკითხებისა კი, საერთოდ არ არის შეტანილი ქართულ სახელმძღვანელოებსა თუ მონოგრაფიებში. ბუნებრივია, რომ ერთ სამეცნიერო სტატიაში დანაშაულობის სიღრმისეული შესწავლა და განსაზღვრა ვერ მოხერხდება. აღნიშნული საკითხი საჭიროებს ვრცელ და შრომატევად კვლევას, თუმცა, მომდევნო კვლევებისათვის ნაშრომში განხილული საკითხები შესაძლოა სასარგებლო აღმოჩნდეს.

ჩვენი მოსაზრებით, კრიმინოლოგიური შეხედულება დანაშაულობაზე უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად, კერძოდ: დანაშაულობა შესაძლოა მივიჩნიოთ ფენომენად, რომელიც ხასიათდება ორი უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმით: განსაზღვრულისა და განუსაზღვრელის ერთობლიობით. უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრულობის მომენტი დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, რომ დანაშაულობა ვლინდება დანაშაულთა ერთობლიობის სახით, ე.ი. დანაშაულად ცნობილ ქმედებათა წრით, რომლებიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსით და ისეთი ამორალური ქმედებებით, რომლებიც მომეტებულ საზოგადოებრივ საშიშროებას წარმოადგენენ (ნარკომანია, პროსტიტუცია, ალკოჰოლიზმი და თვითმკვლელობა), სწორედ ეს უკანასკნელია ამოსავალი, საბაზო კრიტერიუმი. მოცემულ შემთხვევაში, შესაძლოა მხედველობაში მივიღოთ დებულება, რომ კრიმინოლოგია არის მეცნიერება დანაშაულობისა და განსაკუთრებით საშიშ ამორალურ ქმედებათა შესახებ, რომ მისი შემეცნება და არა რომელიმე სხვა სოციალური ფენომენისა შეადგენს მის აზრობრივ დატვირთვას. განუსაზღვრელის სივრცე კი, იწყება იქ, სადაც მთავრდება ნორმირებული ცნებები და კრიმინოლოგია ისწრაფვის უფრო ღრმად შეიცნოს დანაშაულობის კანონზომიერებანი და განსაზღვროს მასზე სოციალური კონტროლის განხორციელების თავისებურებანი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მეცნიერება იძულებულია მიმართოს ცნებებს, კატეგორიებს, ემპირიულ მონაცემებს მის მოსაზღვრე სამეცნიერო დარგებში — იურისპრუდენციაში, სოციოლოგიაში, ფილოსოფიაში, ფსიქოლოგიაში, დევიანტოლოგიაში. ჩვენი აზრით, აქ კი, არ არის და არც შეიძლება იყოს ფორმულირებული და ერთმნიშვნელოვნად გამოკვეთილი საზღვრები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ. ნაჭყებია. „სისხლის სამართლის მეცნიერების საგანი“. თბ. 1998;
2. გ. ნაჭყებია. „სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა და დანაშაულის ცნება“. თბ. 2002;
3. ზ. წულაია. „კრიმინოლოგია“. ზოგადი ნაწილი. თბ. 2003;
4. „კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა საქართველოში“. გ. ღლონტის რედაქციით. თბ. 2008;
5. ე. კოდუა. „სოციოლოგია“. II ნაკვეთი. თბ. 1998;
6. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;
7. Энциклопедический словарь. СПТ. 1898. Т. XXV;
8. Социальные отклонения. Под ред. В.Н. Кудрявцева и С.В. Бородина. М. Юридическая литература. 1989;
9. Криминология. Учебник для юридических институтов и факультетов. М. 1992;
10. Лунеев В.В. Преступность XX века. М.2005;
11. Бурлаков В.Н., Гилинский Я.И., Шестаков Д.А. Преподавание криминологии в современных условиях. Вестн. СПБГУ. 1996. Сер. 6, вып. 3;
12. С.М. Иншаков. Зарубежная криминология. М. 1997;
13. Г.И. Шнайдер. Криминология. М. 1994;
14. Д.Ж. Массионис. Социология. СПТ. 1999;
15. Duden. Standartworterbuch. 2003;
16. Schwartz M. Contemporary Criminology. Wadsworth Publishing Co. 1996;
17. Schur E. Crimes Without Victims. Englewood Cliffs;
18. Hulsman L. Critical Criminology and the Concept of Crime. 1997;
19. The Problem of Crime. P. 13-14; Tierney J. Criminology: Theory and Context. P. 14-15; Hulsman L. Critical Criminology and The Concept of Crime; Barkan S. Criminology. A Sociological Understanding. New Jersey. 1997;
20. Hess H., Scheerer S. Was ist Kriminalitat? Kriminologische Journal. 1997.

შენიშვნები:

1 იხ. Энциклопедический словарь. СПТ. 1898. Т. XXV. С. 90.

2 იხ. Duden. Standartworterbuch. 2003. S. 970-978.

3 იხ.: ე.კოდუა, „სოციოლოგია“, II ნაკვეთი, თბ., 1998, გვ. 228.

4 იხ.: ე.კოდუა, ‘სოციოლოგია“, II ნაკვეთი, თბ., 1998, გვ. 228-229.

5 იხ.: „კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა საქართველოში“, გ. ღლონტის რედაქციით, თბ., 2008, გვ. 41-42.

6 იხ.: Schwartz M. Contemporary Criminology. Wadsworth Publishing Co. 1996. P. 31-63.

7 იხ.: კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა საქართველოში, გ. ღლონტის რედაქციით, თბ., 2008, გვ. 46.

8 იხ.: იქვე.

9 იხ.: დასახელებული ნაშრომი, გვ. 46-47.

10 იხ.: ზ. წულაია, „კრიმინოლოგია“, ზოგადი ნაწილი. თბ. 2003. გვ. 45.

11 იხ.: გ. ნაჭყებია, „სისხლის სამართლის მეცნიერების საგანი“, თბ., 1998წ, გვ. 28.

12 იხ.: კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა საქართველოში., გ. ღლონტის რედაქციით, თბ., 2008, გვ. 46-47.

13 იხ.: Schur E. Crimes Without Victims. Englewood Cliffs. 1965.

14 იხ. Социальные отклонения. Под ред. В.Н. Кудрявцева и С.В. Бородина. М. Юридическая литература. 1989. С. 106.

15 იხ. Криминология. Учебник для юридических институтов и факултетов. М. 1992. С. 32-35.

16 იხ. კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა საქართველოში. გ. ღლონტის რედაქციით. თბ. 2008. გვ. 48.

17 იხ.: კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა საქართველოში, გ. ღლონტის რედაქციით, თბ., 2008, გვ. 49.

18 იხ.: Hulsman L. Critical Criminology and the Concept of Crime. 1997. P. 71.
19 შეად. Hess H., Scheerer S. Was ist Kriminalitat? Kriminologische Journal. 1997. Heft 2.
20 იხ.: The Problem of Crime. P. 13-14; Tierney J. Criminology: Theory and Context. P. 14-15; Hulsman L. Critical Criminology and The Concept of Crime; Barkan S. Criminology. A Sociological Understanding. New Jersey. 1997. P. 15.
21 იხ.: გ. ნაჭყებია, სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა და დანაშაულის ცნება, თბ., 2002, გვ. 3.
22 იხ.: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 1.
23 იხ.: Hulsman L. Critical Criminology and the Concept of Crime. 1997. P. 71.
24 შეად: Hess H., Scheerer S. Was ist Kriminalitat? Kriminologische Journal. 1997. Heft 2.
25 იხ.: Лунеев В.В. Преступность XX века. . М.2005. С. 455.
26 იხ.: დასახელებული ნაშრომი, გვ. 458-459.
27 იხ.: Бурлаков В.Н., Гилинский Я.И., Шестаков Д.А. Преподавание криминологии в современных условиях. Вестн. СПБГУ. 1996. Сер. 6, вып. 3. С. 122.
28 იხ.: Лунеев В.В. Преступность XX века. . М.2005. С. 464.
29 იხ.: С.М. Иншаков. Зарубежная криминология. М. 1997. С. 199-200.
30 იხ.: Г.И. Шнайдер. Криминология. М. 1994. С 35-38.
31 იხ.: С.М. Иншаков. Зарубежная криминология. М. 1997. С 8.
32 იხ.: Г.И. Шнайдер. Криминология. М. 1994. С 41.
33 იხ.: С.М. Иншаков. Зарубежная криминология. М. 1997. С. 202.
34 იხ.: Г.И. Шнайдер. Криминология. М. 1994. С 36-37; ასევე, С.М. Иншаков. Зарубежная криминология. М. 1997. С. 202.
35 იხ.: Д.Ж. Массионис. Социология. СПТ. 1999. С. 126-127.

Modern Approaches to Define Criminality

MIKHEIL GABUNIA
PhD Student at Law Department Humanitarian and Social Faculty of Georgian technical University

In view of the requirements of the Constitution of Georgia, for establishing a democratic system, political and economic freedom, and for raising the level of the legal culture and morale of the population, and for reinforcing the moral norms that have developed in Georgia over the centuries, the development of the field of criminology is of utmost importance. The most essential concept in this field is criminology, the correct definition and exploration of which is a key objective for the scientists. The goal of the science of criminology, which is to provide social control on criminality, clearly depends on the correct definition of criminology as a concept. Besides, as the phenomenon of criminality has not been established yet, considering the criminality as a separate legal science is questioned. As it is mentioned in the article, in a number of western countries the criminology is considered not a legal but a social science which is linked to the new understanding of this complex phenomenon of criminality.

At this stage, based on the researches we have carried out, as it was mentioned above, we can infer that criminality is a phenomenon which is characterized by the unity of two most significant criteria of definability and un-definability. Specifically, it consists of a set of actions known as a crime and which are envisaged by the Criminal Code and of such immoral acts which pose increased threats for the community (such as, drugs abuse, prostitution, alcoholism, and suicides). The latter represents a key, fundamental criterion. In this case we can accept the assumption that criminology is a science of crimes and especially of dangerous immoral acts and their cognizance, and not that of any other social phenomenon, make its meaning; as for the un-definability, it starts where the scope of normalized concepts finish and the science of criminality aspires to more deeply perceive the regularities of criminality and determine the peculiarities of exercising social control on it and thus the science has to employ concepts, categories, empirical data available in the related sciences such as jurisprudence, sociology, philosophy, psychology, and deviantology; we consider that there is no and cannot be clear boundaries among them.

თანამონაწილეობის ბუნების აქცესორული გაგებისათვის

გიორგი ბარაბაძე
სამართლის დოქტორი

სისხლის სამართლის თეორიაში, თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულის პრობლემატიკა ერთ-ერთი ურთულესია. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ ინსტიტუტს ცხადია, საკმაოდ ხანგრძლივი კვლევის ისტორია აქვს. თუმცა, მიუხედავად ამისა, იგი დღემდე რჩება მრავალი მეცნიერისა და პრაქტიკოსი მუშაკის კვლევისა და განსჯის საგანი.

თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულის დროს, თანამონაწილეთა პასუხისმგებლობას გარკვეული თავისებურებები ახასიათებს. მისი სპეციფიკაა, რომ ამ ფორმით გამოვლენილი დანაშაულის დროს ფაქტობრივად ჩადენილია ერთი დანაშაული. თუმცა, ამ დანაშაულისათვის პასუხს აგებს ორი ან მეტი პირი. სწორედ, მსგავსი გამორჩეული სპეციფიკა განსაზღვრავს თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულის დროს ამ დანაშაულში მონაწილე პირთა პასუხისმგებლობის გარკვეულ თავისებურებას. ეს თავისებურებები პოლემიკურია, როგორც თეორიული, ისე მისი პრაქტიკული გადაწყვეტის კუთხით. კერძოდ, მასში მჭიდროდაა გადაჯაჭვული ისეთი ზოგადი საკითხები, როგორიცაა: სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველი, ბრალი, მიზეზობრივი კავშირი, დანაშაულებრივი შედეგი, დამნაშავის ქმედების სოციალურ-პოლიტიკური და იურიდიული შეფასება და სხვ.

ამდენად, მიზანშეწონილია თვით ამ ინსტიტუტის შესწავლა თანამონაწილეობის ბუნების გარკვევით დაიწყოს. თანამონაწილეობის პრობლემატიკაში ამ საკითხის გამოკვლევა, კერძოდ, სისხლის სამართლის თეორიაში ასახული ცალკეული

პოზიციების მოძიება, შეფასება და გონებამახვილური განჭვრეტა, ყველა სხვა თანდართულ პრობლემათა ღრმად ჩაწვდომისა და წამოყენებული დებულების სათანადოდ ახსნის აუცილებელი გზამკვლევია. საგულისხმოა, რომ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში ამ საკითხზე ორი ურთიერთსაწინააღმდეგო თეორია ჩამოყალიბდა. ერთი მათგანი თანამონაწილეობის აქცესორულ ბუნებას აღიარებს. აქცესორულობის პრინციპის თანახმად, თანამონაწილეობის ცენტრალურ ფიგურას ამსრულებელი წარმოადგენს, რომლის ქმედებასაც დამოუკიდებელი იურიდიული მნიშვნელობა აქვს. სხვა თანამონაწილეთა ქმედებები კი, მოკლებულნი არიან ამგვარ თვისებას და ისინი დამოკიდებულ, დამატებით ხასიათს ატარებენ.

სიტყვა „აქცესორული“ ლათინური წარმოშობისაა და ნიშნავს დამატებითს, დამოკიდებულს, მიერთებითს. თუ ხსენებულ ტერმინს თანამონაწილეობას შევუთავსებთ, მაშინ თანამონაწილეობა უნდა გავიგოთ, როგორც თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის ერთგვარი დამოკიდებულება ამსრულებლის მიერ ჩადენილ ქმედებაზე. აქედან გამომდინარე, თანამონაწილეობის აქცესორული თეორიის არსი მდგომარეობს იმის აღიარებაში, რომ თანამონაწილეთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დამოკიდებულია ამსრულებლის პასუხისმგებლობაზე, რომ მათ ქმედებას არა აქვს დამოუკიდებელი იურიდიული მნიშვნელობა და მის კვალიფიკაციას ამსრულებლის ქმედების კვალიფიკაცია განსაზღვრავს.

თანამონაწილეობის ბუნების აქცესორულ გაგებას უპირისპირდება მეორე მიმართულება, რომელიც თანამონაწილეობის დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის თეორიის სახელწოდებით არის ცნობილი. აღნიშნული თვალსაზრისით, თანამონაწილის ქმედების კვალიფიკაცია არ არის ამსრულებლის ქმედების კვალიფიკაციაზე დამოკიდებული და ერთიანი დანაშაულებრივი ქმედების თითოეული მონაწილე არ კარგავს თავის დამოუკიდებლობას პასუხისმგებლობის მხრივ. ამ თეორიის წარმომადგენლები არ გამოყოფენ იმ ფიგურას, რომელიც განსაზღვრავდა პასუხისმგებლობის არსებობას ან უარყოფას თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულისათვის. ისინი აღნიშნავენ, რომ დანაშაულებრივი საქმიანობის ერთიანობა არ შეიძლება გახდეს საფუძველი თანამონაწილეთა დანაშაულის შემადგენლობის გაიგივებისათვის. თანამონაწილეთა მხარესაა დანაშაულის დამოუკიდებელი შემადგენლობა, რომლის შინაარსი არა სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის რომელიმე მუხლის დისპოზიციიდან, არამედ ზოგადი ნაწილის შესაბამისი ნორმიდან გამომდინარეობს და არეგულირებს თანამონაწილეობას. მაშასადამე, დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის პრინციპის დედააზრი იმის აღიარებაა, რომ თითოეული თანამონაწილის პასუხისმგებლობის საფუძველი ძევს არა ამსრულებლის ქმედებაში, არამედ მათ საერთო ქმედებებში, კერძოდ, დანაშაულის ორგანიზაციაში, წაქეზებასა და დახმარებაში. შესაბამისად, თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშაულში, თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტა დიდად არის დამოკიდებული საერთოდ ვცნობთ თუ არა, ან რა მოცულობით ვაღიარებთ აქცესორულობის პრინციპს.

როგორც ცნობილია, სისხლისსამართლებრივ თეორიაში აქცესორულობის სხვადასხვა ფორმები გვხვდება. კერძოდ: ა) თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის ჰიპერაქცესორული ბ) უკიდურესი გ) ლიმიტირებული დ) მინიმალური აქცესორულობა.

ა) თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის ჰიპერაქცესორული ფორმა გულისხმობდა, თანამონაწილეთა პასუხისმგებლობისა და მათი დასჯადობის ოდენობის მთლიან და აუცილებელ დამოკიდებულებას ამსრულებლის პასუხისმგებლობასა და მისი დასჯადობის ოდენობაზე. პასუხისმგებლობის მსგავსი ე.წ. ჰიპერაქცესორული ფორმა გავრცელებული იყო შედარებით ადრინდელი

პერიოდის სისხლის სამართლის ლიტერატურაში და ძირითადად, მხოლოდ სოლიდარული პასუხისმგებლობის მიმდევრები აღიარებდნენ. ამ ფორმის მომხრენი ამტკიცებდნენ, რომ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობა არა მარტო იმ მხრივ არის დამოკიდებული ამსრულებლის ქმედებაზე, რომ ამ შემთხვევაში, არც თანამონაწილეობას შეიძლება ჰქონდეს ადგილი, არამედ იმ მხრივაც, რომ ამსრულებლის პირადი თვისებები, რომლებიც ამძიმებენ ან ამსუბუქებენ მის პასუხისმგებლობას, ზეგავლენას ახდენენ აგრეთვე თანამონაწილეთა პასუხისმგებლობაზე, ამძიმებენ ან ამსუბუქებენ მას.

ბ) უკიდურესი აქცესორულობა იმაში გამოიხატება, რომ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობას მხოლოდ მაშინ აქვს ადგილი, როდესაც ქმედება შეიძლება ბრალად შეერაცხოს მთავარ დამნაშავეს, ე.ი. როდესაც მან მართლსაწინააღმდეგოდ და ბრალეულად შეასრულა დანაშაულებრივი ქმედება.

გ) ლიმიტირებული აქცესორულობის დროს, თანამონაწილეთა პასუხისმგებლობისათვის აუცილებელია მხოლოდ ის, რომ დამნაშავე მოქმედებდეს მართლსაწინააღმდეგოდ. ანუ, აქცესორულობის ეს ფორმა გულისხმობს, რომ თანამონაწილეობა შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, როდესაც ერთი პირი მოქმედებდა განზრახ, ხოლო მეორე გაუფრთხილებლობით ან ყოველგვარი ბრალის გარეშე. მსგავს შემთხვევებში, სისხლის სამართლის მიხედვით თანამონაწილეობას შეუძლებელია ადგილი ჰქონდეს, ვინაიდან, ის ვინც განზრახ აქეზებს სხვა პირს, რომელიც არ ითვალისწინებს თავისი ქმედების სოციალურად საშიშ შედეგს, პასუხს აგებს არა როგორც წამქეზებელი, არამედ როგორც შუალობითი ამსრულებელი.

დ) მინიმალური აქცესორული ფორმისათვის საკმარისია, რომ ამსრულებელმა შეასრულოს კანონით გათვალისწინებული შემადგენლობა, მაგრამ საჭირო არ არის მისი არც მართლსაწინააღმდეგოდ და არც ბრალეულად შესრულება. მსგავსად ლიმიტირებული აქცესორობისა, საუბარი თანამონაწილეობაზე აქაც დაუშვებელია, რამდენადაც ამსრულებელი არა თუ ბრალეულად, არამედ მართლსაწინააღმდეგოდაც არ მოქმედებს, თვით დანაშაულს არა აქვს ადგილი, არათუ დანაშაულში თანამონაწილეობას.

საგულისხმოა, რომ საბჭოურ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში გასული საუკუნის 80-იან წლებამდე, თანამონაწილეობის ბუნების საკითხში გაბატონებული იყო თანამონაწილეთა დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის თეორია. რაც ძირითადად, იმ არგუმენტებზე იყო დაფუძნებული, რომ ამ თეორიის დებულებები ეწინააღმდეგებიან პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციისა და მხოლოდ საკუთარი ქმედებისათვის, პირადი ბრალისათვის პასუხისმგებლობის პრინციპებს. ამიტომ, თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის დამოუკიდებელი ხასიათის აღიარება ნიშნავდა, თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის უარყოფას ყოველგვარი დამოკიდებულებისა ამსრულებლის ქმედებისაგან და მისი პასუხისმგებლობისაგან. თუმცა, ხაზგასასმელია, რომ აქცესორული თეორიის მოწინააღმდეგეთა უმრავლესობა, ერთი მხრივ, უარყოფს აქცესორულობის პრინციპს, ხოლო მეორე მხრივ, იზიარებენ ამ თეორიის მთელ რიგ დებულებებს. კერძოდ, ისინი აღნიშნავენ რომ ამ პრინციპზე უარის თქმა არ ნიშნავს, რომ ამსრულებლის ქმედებას არ ეძლევა განსაზღვრული მნიშვნელობა სხვა თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის წესისა და ფარგლების დადგენისათვის. მაგალითად, მ. შნეიდერი ერთი მხრივ, კატეგორიულად უარყოფს თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის აქცესორულ თეორიას, ხოლო მეორე მხრივ, მიუთითებს, რომ ეს არ ნიშნავს, რომ ამსრულებლის მოქმედებას არ ეძლევა მნიშვნელობა სხვა თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის წესისა და ფარგლების განსაზღვრისათვის.

მსგავსი წინააღმდეგობა შეიმჩნევა ი. გრიშაევისა და ა. კრიგერის მსჯელობაშიც. ისინი მართალია, ცდილობენ კრიტიკულად შეაფასონ თანამონაწილეობის აქცესორული ბუნება, მაგრამ მეორე მხრივ, აღნიშნავენ: „უარვყოფთ რა თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის უცილობელ დამოკიდებულებას ამსრულებლის პასუხისმგებლობისაგან, ჩვენ ამასთანავე არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამსრულებელი სწორედ ის პირია, რომელიც საერთო წესით რეალიზაციას უკეთებს ყველა თანამონაწილეთა დანაშაულებრივ განზრახვას. ამიტომ, თუ მან შესძლო დანაშაულის ჩადენა და ექსცესს ადგილი არ ჰქონია, დანარჩენმა თანამონაწილეებმა, ბუნებრივია, პასუხი უნდა აგონ განსაკუთრებული ნაწილის იმ მუხლით, რომელიც ითვალისწინებს ამსრულებლის მიერ ჩადენილ დანაშაულს“.

ასევე დასძენს ვ. პროხოროვიც, რომელიც წერს, რომ თანამონაწილეობა თავისი იურიდიული მნიშვნელობით დამოუკიდებელია და არა აქცესორული. თუმცა, იმავდროულად აღნიშნავს, რომ ერთი მხრივ, წამქეზებლებს და დამხმარეთა, ხოლო მეორე მხრივ, ამსრულებლების ქმედებას შორის არსებობს გარკვეული კავშირი, რომელიც განაპირობებს პირველთა პასუხისმგებლობის მოცულობის დამოკიდებულებას ამსრულებლის ქმედების ხასიათისაგან. საგულისხმოა, რომ მსგავს შეუსაბამობას ადგილი აქვს სხვა მეცნიერთა შრომებშიც.

მოტანილი ციტატებიდან ნათლად ჩანს, თანამონაწილეთა დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის მომხრეთა არათანმიმდევრობა, რომ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობა არ შეიძლება დასაბუთდეს, თუ არ იქნა აღიარებული მისი ერთგვარი დამოკიდებულება ამსრულებლის პასუხისმგებლობაზე. თუ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის წესისა და ფარგლების განსაზღვრა ამსრულებლის ქმედების მიხედვით ხდება და მათი პასუხისმგებლობა ამსრულებლის ქმედების ხასიათზეა დამოკიდებული, ეს არც მეტი, არც ნაკლები თანამონაწილეთა აქცესორული ბუნების აღიარებაზე მიუთითებს. გარდა ამისა, თანამონაწილეთა პასუხისმგებლობისა და სასჯელის ინდივიდუალიზაციის საკითხის განხილვისას დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის მომხრე კრიმინალისტთა უმრავლესობა ისეთ დასკვნებს აკეთებს, რასაც თვით აქცესორობის მომხრეებიც კი, არ მოითხოვენ.

სამართლიანად მიუთითებს აქცესორული თეორიის მომხრე, პროფ. ო. გამყრელიძე იმ ავტორთა მსჯელობის არათანმიმდევრობაზე, რომელთაც დასაშვებად მიაჩნიათ, რომ ისეთი წმინდა პერსონალური მომენტი, როგორიცაა მაგალითად, გამეორება, რომელიც მხოლოდ ამსრულებელს ახასიათებს, შეერაცხოს აგრეთვე იმ თანამონაწილესაც, თუ მას ეს მომენტი გათვალისწინებული ჰქონდა. ასეთი დასკვნა შეუძლია გააკეთოს მხოლოდ მან, აღნიშნავს ავტორი, ვინც უკიდურესი აქცესორობის პრინციპის მომხრეა. მით უმეტეს, გასაკვირია, რომ ამ აზრს იზიარებს თანამონაწილეთა დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის მომხრეთა დიდი უმრავლესობა.

თანამონაწილეობის აქცესორული ბუნების მიუღებლობის ძირითადი მიზეზი ცალკეულ ავტორთა მიერ ამ თეორიის შეცდომით გაგებიდან გამომდინარეობს, რაც გამოიხატება მათ შეხედულებებში, თანამონაწილეთა დასჯადობის პროპორციულ დამოკიდებულებაში ამსრულებლის ბრალის ხარისხზე. ყველა ის ავტორი, რომელიც უარყოფს აქცესორობის პრინციპს, ეს პრინციპი გაგებული აქვთ მექანიკურად, სახელდობრ, როგორც თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის სრული დამოკიდებულება ამსრულებლის პასუხისმგებლობაზე. სწორად აფასებს მათ პოზიციას პროფ. თ. წერეთელი, რომელიც თვლის, რომ ამ კრიმინალისტების კრიტიკა არსებითად მიმართულია თანამონაწილეობის ე.წ. „ჰიპერაქცესორული თეორიის წინააღმდეგ“, რომელიც როგორც შევნიშნეთ, თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის მოცულობას განსაზღვ-

რავს ამსრულებლის პასუხისმგებლობაზე სრული დამოკიდებულებით, მათ შორის, პერსონალური ნიშნების ჩათვლით (არაერთგზისობა, რეციდივი და სხვ.). სინამდვილეში, თანამონაწილეობის აქცესორული ბუნების აღიარება სულაც არ ნიშნავს, რომ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობა და მათი დასჯადობის ოდენობა მთლიანად და აუცილებლად არის დამოკიდებული ამსრულებლის პასუხისმგებლობაზე და მისი დასჯადობის ოდენობაზე. მისი არსი, იმ აუცილებელი ობიექტური დებულების შეცნობაში აისახება, რომ ამსრულებლის გარეშე არ არის თანამონაწილეობა, რომ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის განსაკუთრებული პირობები და ფორმები შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამსრულებელმა შეასრულა თანამონაწილეთა მიერ მოფიქრებული დანაშაულის შემადგენლობა, ან უკიდურეს შემთხვევაში, დაიწყო მისი შესრულება. სამართლიანად აღნიშნავს პროფ. მ. კოვალიოვი: „თანამონაწილეთა საერთო პასუხისმგებლობის საფუძველს დანაშაულში მონაწილე ყველა პირის ქმედებათა ერთიანობა წარმოადგენს. ამ ერთიანობის ბერკეტი ამსრულებელია და თუ იგი არ არის, თანამონაწილეობაც ინგრევა, როგორც ხუხულა“.

აქცესორული თეორიის მოწინააღმდეგენი ამ თეორიის დამცველებს ხშირად საყვედურობენ, თითქოს აქცესორობის პრინციპის დაცვით ყველა თანამონაწილე პასუხს აგებს იმ დანაშაულისათვის, რომელიც ამსრულებელმა ჩაიდინა, ანუ სხვისი ბრალის გამო. ამიტომ, მათი აზრით, აქცესორობის აღიარება სისხლის სამართლის იმ ფუნდამენტური პრინციპის უგულებელყოფას ნიშნავს, რომლის თანახმად, ინდივიდმა პასუხი უნდა აგოს მხოლოდ საკუთარი ქმედებისა და საკუთარი ბრალისათვის, რომ ეს თეორია ეწინააღმდეგება პერსონალური პასუხისმგებლობის პრინციპს და ხელს უწყობს ობიექტურ შერაცხვას.

იმ დებულების აღიარება, რომ თანამონაწილის ქმედების იურიდიული შეფასება და მისი პასუხისმგებლობის ფარგლები დამოკიდებულია ამსრულებლის ქმედების კვალიფიკაციაზე და რომ ყველა თანამონაწილეთა განზრახვის განხორციელება ამსრულებლის ქმედებაში ხდება, არ ნიშნავს სხვისი ქმედებისათვის და სხვისი ბრალისათვის პირის პასუხისმგებლობას. თანამონაწილეთა ქმედება მიზეზობრივ კავშირშია დანაშაულებრივ შედეგთან. ცხადია, უშუალო მიზეზობრივ კავშირში დანაშაულებრივ შედეგთან მხოლოდ ამსრულებლის ქმედებაა, მაგრამ ეს არ გამორიცხავს იმ დანარჩენ თანამონაწილეთა მიზეზობრივ კავშირსაც, რომლებიც ამსრულებლის ქმედების მეშვეობით ებმებიან მიზეზობრიობის ჯაჭვში. თითოეული თანამონაწილე, მისი ქმედების შედეგად, მჭიდროდ არის დაკავშირებული ამსრულებელთან. ამ კავშირის რეალიზება კი, ხდება იმით, რომ დანაშაულის ობიექტური მხარის შემადგენლობა, რომელიც ჩაფიქრებული ჰქონდათ თანამონაწილეებს, სრულდება იმ პირის მიერ, რომელ დანაშაულებრივ განზრახვასთანაც მათ მიიყვანეს ან მათ შეუწყვეს ხელი. ამიტომ, მათი ქმედებაც მიმართულია საერთო დანაშაულებრივი შედეგისაკენ. მაგრამ, ამ საერთო დანაშაულებრივი შედეგის მიღწევის გზაზე თითოეულ მათგანს მხოლოდ მისთვის ნიშანდობლივი როლი აკისრია, რომლის მეშვეობითაც ჩართულია ერთიანი უმართლობის განხორციელებაში. ამიტომ, ერთპიროვნული დამნაშავის მსგავსად, თანამონაწილეც პასუხს აგებს მხოლოდ იმ დანაშაულებრივი შედეგისათვის, რომელიც მისმა ქმედებამ გამოიწვია და რომელიც მისი განზრახვით იყო მოცული.

სავსებით სამართლიანად შენიშნავს პროფ. თ. წერეთელი, რომ „დამდგარი დანაშაულებრივი შედეგი მათი ერთობლივი საქმიანობის პროდუქტია. ცხადია, თანამონაწილეთა ობიექტური როლი ამ შედეგის წარმოშობაში სხვადასხვაგვარია, როგორც მიზეზობრიობის ხასიათის, ისე მისი აქტიურობის მიხედვით... მაგრამ, ეს სხვადასხვაობა არ გამორიცხავს, რომ თითოეული

თანამონაწილე ობიექტურად და სუბიექტურად დაკავშირებულია იმავე დანაშაულთან, რომელსაც ამსრულებელი განახორციელებს და მასთან ერთად, ერთ ორგანულ მთლიანობას წარმოადგენს. მ. კოვალიოვი ასევე დასძენს, რომ „ყველა თანამონაწილე ნამდვილად პასუხს აგებს იმ დანაშაულებრივი შედეგისათვის, რომელიც უშუალოდ ამსრულებლის მიერაა მიყენებული, მაგრამ ისინი ამსრულებლის მეშვეობით თვითონაც მონაწილეობენ მის განხორციელებაში, განზრახული ჰქონდათ დანაშაულებრივი გზით მიეღწიათ ამ შედეგისათვის. ამსრულებლის ქმედებებში მათი ფიზიკური და სულიერი ენერგიის ნაწილიცაა ჩაქსოვილი, ამიტომაც დანაშაული მათი ერთობლივი მეცადინეობის ნაყოფია, რომელმაც საბოლოო ანგარიშით თავი მოიყარა ამსრულებლის ქმედებაში... ყველა თანამონაწილე – აგრძელებს მსჯელობას ავტორი, – არის მონაწილე საერთო ბრალისა, მაგრამ ისინი პასუხს აგებენ არა სხვისი, არამედ ერთობლივი ქმედებისათვის და თავისი, საკუთარი ბრალის ფარგლებში.

აქცესორული თეორიის მოწინააღმდეგეთა მხრიდან საკითხისადმი მსგავსი მცდარი მიდგომა და პოზიციათა გაურკვევლობა შეიძლება ავხსნათ, რომ აქცენტი გადატანილია იმაზე, თითქოს თანამონაწილენი საერთოდ არ ასრულებენ დანაშაულის შემადგენლობას. ამათან, მხედველობიდან რჩებათ ის ობიექტური რეალობა, რომ ისინი უშუალოდ არ ასრულებენ დანაშაულის შემადგენლობას, არამედ ამსრულებლის მეშვეობით არიან ჩართულნი ერთიანი უმართლობის განხორციელებაში. აქედან გამომდინარე, აქცესორული ბუნება გულისხმობს, რომ თანამონაწილეთა ქმედებები დამოკიდებულია ამსრულებლის მიერ დანაშაულის შესრულებაზე და არ გულისხმობს ამსრულებლის ქმედების ობიექტურ, მექანიკურ შერაცხვას თანამონაწილეებისადმი. ამიტომ, აქცესორობის პრინციპი წინააღმდეგობაში არ მოდის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპთან.

თანამონაწილეთა დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის თანმიმდევარი წარმომადგენლები აქცესორული თეორიის იმ ძირითადი დებულების წინააღმდეგნი არიან, რომ ამსრულებლის გარეშე არ არის თანამონაწილეობა. ამასთან, ამ დებულების აღიარება ნიშნავს თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის სრულ დამოკიდებულებას ამსრულებლის პასუხისმგებლობაზე. თითქოს თანამონაწილის სასჯელის ზომის განსაზღვრა ხდებოდეს ამსრულებლის სასჯელის მიხედვით. აქედან დასკვნა: დაუშვებელია თანამონაწილეთა გათავისუფლება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან, როცა ამგვარ პასუხისმგებლობაში არ არის მიცემული ამსრულებელი და თანამონაწილის აქცესორული თეორია ანგარიშს არ უწევს ამსრულებლის ექსცესის შესაძლებლობას და ქმნის ობიექტური შერაცხვის შესაძლებლობას.

მცდარი მოსაზრებაა, რომ ამსრულებლის გათავისუფლება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან ან სასჯელისაგან, თითქოსდა ავტომატურად იწვევს თანამონაწილეთა გათავისუფლებას ამგვარი ღონისძიებისაგან. თანამონაწილის სასჯელის ზომა არათუ დამოკიდებული არ არის ამსრულებლის სასჯელის ზომაზე, პირიქით, თანამონაწილის დასჯადობისათვის მნიშვნელობა არა აქვს ამსრულებლის დასჯადობის ფაქტს. ანუ, აქცესორობის პრინციპი სრულიადაც არ გულისხმობს თანამონაწილის სასჯელის განსაზღვრას ამსრულებლის სასჯელის მიხედვით.

ამ თეორიის პრინციპებია, რომ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობა უნდა დადგეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცდა, რომ ამსრულებელმა ჩაიდინა ან დაიწყო დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა. გამომდინარე აქედან, საქმე ის როდია, რომ თანამონაწილე მიცემული იქნება პასუხისგებაში მხოლოდ მაშინ, როცა ამსრულებლის პასუხისმგებლობის საკითხი დადგება,

არამედ მაშინ, თუ დადგინდება ამსრულებლის მიერ დანაშაულებრივი ქმედების დაწყების ან ჩადენის ფაქტი. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება მივცეთ სისხლის სამართლის პასუხისგებაში სხვა თანამონაწილენი დანაშაულში თანამონაწილის პრინციპით. მაგრამ, ცხადია, სრულიად დასაშვებია შემთხვევები, როცა თანამონაწილეებს შეიძლება დაეკისროთ პასუხისმგებლობა, ხოლო ამსრულებელი მისგან გათავისუფლდეს. საუბარია ისეთ პირად გარემოებებზე, რომლებიც მხოლოდ ამსრულებლის პიროვნებას შეეხება და არ ვრცელდება სხვა თანამონაწილეზე. ამიტომ, თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის გათავისუფლებას ვერ დაედება საფუძვლად ის გარემოება, რომ დანაშაულის ამსრულებელი ვერ დადგინდა, ან დადგენილია, მაგრამ ვერ შეიპყრეს, გარდაიცვალა, ეპატია სასჯელი და სხვ.

რაც შეეხება თვალსაზრისს, რომ თანამონაწილეობის აქცესორული თეორია ანგარიშს არ უწევს ამსრულებლის ექცესის შესაძლებლობას და ამით ქმნის ობიექტური შერაცხვის შესაძლებლობას, შევნიშნავთ, რომ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის აქცესორული ხასიათის არც ერთი მიმდევარი (მათ შორის, ჰიპერაქცესორული თეორიისაც კი) არ მოითხოვდა თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის ასეთ უპირობო დამოკიდებულებას ამსრულებლის ქმედებისადმი. თანამონაწილე ამსრულებლის ექცესისათვის პასუხს არ აგებს, ვინაიდან მის მხარეს არ არის პასუხისმგებლობის სუბიექტური წანამძღვარი. აღნიშნული საკითხი, უპირველეს ყოვლისა, ბრალის საკითხია და ამიტომაც, ბრალის სისხლისსამართლებრივ დებულებათა გამოყენებით უნდა გადაწყდეს. „თუ ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი მოქმედებს საზოგადოდ, შენიშნავს პროფ. ო. გამყრელიძე, ის თანაბრად შეეხება, როგორც ამსრულებელს, ისე თანამონაწილეს და ამ პრინციპის მიხედვით, უნდა გადაწყვიტოს ამსრულებლის ექსცესის საკითხი თანამონაწილეობის დროს, როგორც აქცესორული თეორიის მომხრემ, ისე მისმა მოწინააღმდეგემ.“

ვიდრე დავასრულებდეთ აქცესორული ბუნების საკითხზე მსჯელობას, აქვე უნდა შევეხოთ ერთ მნიშვნელოვან საკითხსაც. კერძოდ, ამსრულებლისა და თანამონაწილის სხვადასხვა მუხლებით კვალიფიკაციის შემთხვევები ეწინააღმდეგება თუ არა თანამონაწილეობის აქცესორულ ბუნებას და ქმნის თუ არა საპირისპირო თვალსაზრისის მტკიცების საფუძველს. აქცესორული ბუნების ზოგიერთ მოწინააღმდეგეს მოჰყავს მოსაზრება, რომ სასამართლო პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც თანამონაწილეთა ქმედებების კვალიფიკაცია სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლის მიხედვით ხდება და ამით თითქოსდა მტკიცდება თანამონაწილეობის დამოუკიდებელი, არააქცესორული ბუნება. „თუ აქცესორულობა ნიშნავს, წერს უ. კობიაშვილი, რომ თანამონაწილე პასუხს აგებს დანაშაულის იმ შემადგენლობისათვის, რომლითაც პასუხისმგებელია ამსრულებელი და იმავე სანქციის ფარგლებში, რომლითაც კანონი ამსრულებლის ქმედებას ემუქრება, მაშინ აქედან გარდაუვლად გამომდინარეობს, დასკვნა მათი ქმედებების ერთიანი კვალიფიკაციის აუცილებლობის შესახებ... ამასთან დაკავშირებით, განაგრძობს მსჯელობას ავტორი, თანამონაწილეობის აქცესორული ბუნების საწინააღმდეგოდ მიუთითებს ფაქტიც, რომ ერთი მხრივ ამსრულებლის, ხოლო მეორე მხრივ, თანამონაწილეთა ქმედების კვალიფიკაცია ყოველთვის და აუცილებლად როდი ხდება სისხლის სამართლის კოდექსის ერთი და იგივე მუხლით. სასამართლო პრაქტიკაში არცთუ იშვიათად გხვდება შემთხვევები ამსრულებლისა და თანამონაწილეთა ქმედებების სხვადასხვა მუხლებით დაკვალიფიცირებისა“.

მსგავსი არგუმენტი, დამაჯერებლობას ვერ მატებს აქცესორული თეორიის მოწინააღმდეგე კრიმინალისტთა მოსაზრებებს. ცხადია, აქცესორული თეორიის მიხედვით თანამონაწილის

ქმედებას არა აქვს დამოუკიდებელი იურიდიული მნიშვნელობა და მისი ქმედების კვალიფიკაციას ამსრულებლის ქმედება განსაზღვრავს. თუმცა, ამავდროულად, ამ თეორიის მომხრენი უშვებენ გამონაკლისს საერთო წესიდან და მიუთითებენ, რომ ზოგჯერ ხდება სხვადასხვა მუხლებით კვალიფიკაციის შემთხვევაც, მაგრამ ეს გარემოება სულაც არ გამორიცხავს თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის აქცესორულ ხასიათს.

ხაზგასასმელია, რომ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის გადამწყვეტია ყველა თანამონაწილის მიერ ერთი და იგივე ტიპის უმართლობის განხორციელება. როგორც ცნობილია, შემადგენლობები თავისი შინაარსის მიხედვით ორ ჯგუფად იყოფა: ა) სხვადასხვა უმართლობის შემადგენლობები; ბ) ტიპური უმართლობების შემადგენლობები. თანამონაწილეობა გამოირიცხება იმ შემთხვევაში, თუ თითოეული მონაწილის ქმედება სხვადასხვა მუხლებით დაკვალიფიცირდება და ეს მუხლები სხვადასხვა უმართლობის შემადგენლობებს ითვალისწინებენ. მაგრამ თანამონაწილეობის ბუნებას არ ცვლის და აქცესორობას არ ეწინააღმდეგება სხვადასხვა მუხლებით კვალიფიკაცია ტიპური უმართლობის შემადგენლობებში. თანამონაწილეობის დროს სხვადასხვა მუხლით კვალიფიკაცია თუ ერთი უმართლობის ტიპზე აგებული შემადგენლობის ფარგლებს არ სცდება, მაშინ არ არის საფუძველი თანამონაწილეთა აქცესორული ბუნების უარყოფისათვის. მაგრამ, თუ ეს პირობა დარღვეულია, აქ საუბარი თანამონაწილეობაზე დაუშვებელია და დგება მათი დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის საკითხიც. ამიტომ, დანაშაულში თანამონაწილეობისათვის მთავარია მატერიალურად ერთგვაროვანი დელიქტის ტიპი, რომელსაც თანამონაწილენი უნდა ახორციელებდნენ, თუნდაც იგი სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლში იყოს მოცემული.

თუ მაგალითად, პირის წაქეზება მიმართული იქნება გაუპატიურებაზე, მაგრამ ამსრულებელი ჩაიდენს მკვლელობას, მაშინ მათი ქმედების სხვადასხვა მუხლით კვალიფიკაცია ერთი უმართლობის ტიპზე აგებული შემადგენლობის ფარგლებს გასცდება. ასეთ პირობებში, თანამონაწილეობაც აღარ იარსებებს და შესაბამისად, წამქეზებელი დამოუკიდებლად აგებს პასუხს გაუპატიურების მომზადებისათვის, ხოლო ამსრულებელი – მკვლელობისათვის. მაგრამ, თუ წამქეზებელი აქეზებს გაუპატიურებაზე და ამსრულებელი სწორედ ამ დანაშაულს ჩაიდენს, ასეთ შემთხვევაში თუ წამქეზებლის ქმედება დაკვალიფიცირდება მუხლით, რომელიც პასუხისმგებლობას ითვალისწინებს შემამსუბუქებელ ან დამამძიმებელ გარემოებაში, ხოლო ამსრულებლის ქმედება დაკვალიფიცირდება მუხლით, რომელიც დასჯადობას იგივე შემადგენლობისათვის ადგენს ამ გარემოებების გარეშე, მაშინ სახეზეა თანამონაწილეობა მისი უცვლელი „ფორმულით" – „თანამონაწილე პასუხს აგებს იმ უმართლობისათვის, რომელსაც უშუალოდ ჩადის ამსრულებელი".

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, დასკვნის სახით შევნიშნავთ, რომ თანამონაწილეთა ქმედებები თავისი ბუნებით აქცესორული ხასიათისაა. მათი ქმედებათა ხასიათის სხვადასხვაგვაროვნება არ ქმნის თითოეული მათგანის ქმედებაში დამოუკიდებელი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ძიების საფუძველს. მსგავსი კანონზომიერებიდან გამომდინარე, ამსრულებელი არის ის მთავარი ფიგურა, რომელიც ობიექტური უმართლობის კუთხით თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის ფარგლებს განსაზღვრავს. დანაშაულში თანამონაწილეობა გვაქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ყველა მონაწილე ერთიან მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, ანუ ერთიან უმართლობას ჩადის. მაშასადამე, თანამონაწილეობა აქცესორულია. ე.ი. დამოკიდებულია

ამსრულებლის მიერ განხორციელებულ უმართლობაზე და შესაბამისად, ყველა მონაწილე ამსრულებელთან ერთად ჩადენილი უმართლობისათვის აგებს პასუხს. საპირისპირო ხედვის მტკიცება, თანამონაწილეთა დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის თეორიის გაზიარება, რეალურად თავად ამ ინსტიტუტის უარყოფას ნიშნავს. რასაც ამტკიცებდა ამ მიმართულების თანმიმდევარი დამცველი ა. ფოინიცკი – „თანამონაწილეობის დროს რამდენი დამნაშავეც არის, იმდენივეა დანაშაულიც“. ასეთი შეხედულება, სამართლიანად აღნიშნავდა პროფ. თ. წერეთელი, თანამონაწილეობის ინსტიტუტის სრული გაუქმებაა და ემყარება იდეას, რომ პასუხისმგებლობის ერთადერთი საფუძველი სუბიექტის ანტისოციალური ფსიქიკური განწყობაა და არა მასთან ერთად ქმედება. აქედან გამომდინარე, თანამონაწილეობის აქცესორობის პრინციპის აღიარება აუცილებელია იმდენად, რამდენადაც საქმე თვით ამ ინსტიტუტის არსებობას ეხება.

ამგვარად, აქცესორობის პრინციპი ითვალისწინებს შემდეგს:

1) ამსრულებლის მიერ დანაშაულის ჩადენას, რაც ნიშნავს, რომ თანამონაწილეობა არსებობს მხოლოდ მაშინ, თუ ამსრულებლის ქმედებამ დასჯად სტადიას მიაღწია. ე.ი. თანამონაწილის დასჯადობისათვის აუცილებელია, რომ ამსრულებელს მოსამზადებელი ქმედება მაინც ჰქონდეს ჩადენილი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება ადგილი ჰქონდეს არა თანამონაწილეობას დანაშაულში, არამედ უშედეგო წაქეზებას ან დახმარებას, რომელიც არ შეიძლება დაისაჯოს როგორც თანამონაწილეობა.

2) თანამონაწილის აქცესორული ბუნების მტკიცება, არამც და არამც არ ნიშნავს თანამონაწილეთა დასჯადობის სრულ დამოკიდებულებას ამსრულებლის დასჯადობაზე. ასეთი შეხედულება თანამონაწილეთა პასუხისმგებლობას განიხილავს, როგორც პასუხისმგებლობას არა საკუთარი, არამედ სხვისი ბრალისათვის და იგი შეუთავსებელია სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპთან.

3) თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის აქცესორული ხასიათი არ გამორიცხავს მათი პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციას. კერძოდ, სასჯელის ზომის კონკრეტიზაციას დანაშაულში მათი მონაწილეობის ხასიათისა და ხარისხის, აგრეთვე მათი ბრალისა და ჩადენილი ქმედების სოციალური საშიშროების ხარისხის მიხედვით.

4) აქცესორობის პრინციპის თანახმად, თანამონაწილეთა პასუხისმგებლობას არ გამორიცხავს ამსრულებლის სასჯელისაგან გათავისუფლება (ბრალდებულის თავდებქვეშ გადაცემის, შეწყალების, თუ სხვა მსგავსი გარემოების საფუძველზე, რომელიც ამსრულებლის პიროვნებას შეეხება).

5) თანამონაწილის აქცესორული ბუნება არ ეწინააღმდეგება ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპს, ვინაიდან იგი იძლევა შესაძლებლობას, რომ ამსრულებლის ან თანამონაწილის მხარეს მოცემული პერსონალური ხასიათის შემამსუბუქებელი თუ დამამძიმებელი გარემოებების გათვალისწინებით მათი ქმედებები სხვადასხვა მუხლით დაკვალიფიცირდეს.

ასეთია აქცესორული პასუხისმგებლობის ზოგადი პრინციპები და სწორედ ასე უნდა გავიაზროთ ამ თეორიის არსი. წინააღმდეგ შემთხვევაში, საპირისპირო თვალსაზრისის მტკიცება, ნებით თუ უნებლიეთ ჩვენ თანმიმდევრულად მიგვიყვანს თანამონაწილეთა დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის აღიარებამდე და თვით ამ ინსტიტუტის გაუქმებამდე.

For Understanding the Accessory Nature of Accomplicity

GIORGI BARABADZE
Doctor of Law

In the article the author canvasses the problem related to the nature of accomplicity and states that the actions of the accomplices are of accessory nature. Various characters of their actions do not provide the basis for initiating a separate case of criminal investigation. According to the author, based on the similar lawfulness, a principal offender is a key figure who defines the boundaries of liabilities of the accomplices in terms of objective wrongfulness. Then the author weighs in with the argument that that the accessory principle envisages the following:

a) Commission of crime by the principal offender, which means that the accomplicity exists only when the action of the principal offender reaches the punishable stage;
b) Proving that the accomplicity is of accessory nature does not mean at all that the punishment of the accomplices only depends on the punishment of the principal offender;
c) The accessory nature does not exclude the individualization of the accomplice's liability;
d) According to the accessory principle, releasing the principal offender from sentence does not exclude the liability of the accomplice.
e) The accessory nature does not oppose the principle of individual liability as it allows for qualifying the actions of the principal offender and an accomplice by different articles taking into consideration the principal offender's or an accomplice's attenuating and aggravating circumstances of personal type.

მმართველობის ნახევრად საპრეზიდენტო სისტემის ცნება და კლასიფიკაცია

მალხაზ ნაკაშიძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

შესავალი

თანამედროვე კონსტიტუციური სამართლის მეცნიერებაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს მმართველობის ნახევრად საპრეზიდენტო სისტემა წარმოადგენს. იგი განსაკუთრებით აქტუალური საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გახდა, ვინაიდან ბევრ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში სწორედ მმართველობის ეს მოდელი იქნა შემოღებული. მართალია, სსრ კავშირის დაშლიდან თითქმის ორი ათეული წელი გავიდა, მაგრამ პრაქტიკა ადასტურებს, რომ ბევრმა პოსტსაბჭოთა ქვეყანამ ვერ შეძლო წარსულის გავლენისაგან გათავისუფლება და კონსტიტუციური მმართველობისათვის დამახასიათებელი თუნდაც, მეტ-ნაკლებად სრულყოფილი სისტემისა და ინსტიტუტების ჩამოყალიბება. მთავარი ტენდენცია, რაც პოსტსაბჭოურ სივრცეში გამოიკვეთა აღმასრულებელი ხელისუფლებით აღჭურვილი სახელმწიფოს მეთაურის (ანუ „ძლიერი“ პრეზიდენტის) ინსტიტუტისა და „სუსტი“ პარლამენტის დაფუძნება იყო. მიუხედავად იმისა, რომ ამ ტერმინებმა (ძლიერი პრეზიდენტი, სუსტი პარლამენტი) თითქმის საყოველთაოდ დაიმკვიდრეს ადგილი პოლიტიკურ და ყოფით ლექსიკაში, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ არსე-

ბობს მათი სიღრმისეული სამეცნიერო კვლევა. ხშირად, სამეცნიერო ლიტერატურაში პრეზიდენტის სიძლიერე და პარლამენტის სისუსტე ნახევრად საპრეზიდენტო მმართველობის სისტემის თავისებურებებად არის წარმოჩენილი. თუმცა, ამ საკითხზე ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა რთულია, რადგან თვით ნახევრად საპრეზიდენტო მმართველობის სისტემის ფუნქციონირება ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. მმართველობის ამ მოდელის სირთულიდან გამომდინარე, ბოლო პერიოდში, სულ უფრო ხშირად გამოყოფენ მის სხვადასხვა ქვეტიპს. თუმცა, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ეს საკითხები ნაკლებად არის გაშუქებული. დღეს, როდესაც საქართველოში საკონსტიტუციო რეფორმა მიმდინარეობს, მეტად აქტუალურად და საინტერესოდ მიგვაჩნია მმართველობის ნახევრად საპრეზიდენტო სისტემის ძირითადი ნიშნებისა და კლასიფიკაციის წარმოდგენა. ამიტომაც, წინამდებარე ნაშრომში მმართველობის ნახევრად საპრეზიდენტო სისტემის არსი და კლასიფიკაცია იქნება განხილული.

I. მმართველობის ნახევრად საპრეზიდენტო სისტემის ცნება და ნიშნები

სამეცნიერო ლიტერატურაში მმართველობის ნახევრად საპრეზიდენტო სისტემას ხშირად ახასიათებენ, როგორც მმართველობის საპარლამენტო და საპრეზიდენტო სისტემების გარკვეული ნიშნების გაერთიანების შედეგად ჩამოყალიბებულ მოდელს. თუმცა, ეს მხოლოდ ზოგადი შეფასებაა და ნახევრად საპრეზიდენტო მოდელი გაცილებით რთული თავისებურებებით ხასიათდება. ვიდრე ამ თავისებურებებს განვიხილავდეთ, უნდა აღინიშნოს მმართველობის ნახევრად საპრეზიდენტო სისტემის შექმნის წინაპირობების შესახებ, რასაც ხშირად სათანადო ყურადღებას არ უთმობენ სამეცნიერო ლიტერატურაში. ამ თვალსაზრისით უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ მოდელს ხშირად, საფრანგეთის მეხუთე რესპუბლიკის სისტემას უწოდებენ. ეს შემთხვევითი არ არის. საფრანგეთის 1958 წლის კონსტიტუციის მიღებას წინ ოთხი რესპუბლიკა უძღოდა და სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებულია, რომ ახალი სისტემის შექმნა, რომლის ინიციატორიც პრეზიდენტი შარლ დე გოლი იყო, სტაბილურობის მოთხოვნამ და საპარლამენტო მმართველობის სისუსტემ განაპირობა. კერძოდ, რაში მდგომარეობდა ეს სისუსტე? ერზა სულეიმანი (Suleiman) მიუთითებს, რომ საფრანგეთის მეოთხე რესპუბლიკა იყო პარტიების რეჟიმი („regime des parties"), რომელიც გულისხმობდა: 1. მულტიპარტიულ სისტემას; 2. პარლამენტის უზენაესობას; 3. სამთავრობო არასტაბილურობას.[1] სულეიმანის აზრით ის, რომ საფრანგეთის მეოთხე რესპუბლიკა მულტიპარტიულ სისტემად ხასიათდებოდა ნათელია, მაგრამ მთავარია, რომ ეს იყო პოლარიზებული პარტიული სისტემა ძლიერი დისციპლინისა და ორგანიზების გარეშე მოქმედი პარტიებით. ამიტომ არცერთ პარტიას არ შეეძლო შეექმნა საპარლამენტო უმრავლესობა. პარტიები უფრო მეტად ჩამოყალიბებული იყო როგორც ერთი და იგივე პოლიტიკური შეხედულებების მქონე პირების ასოციაციები, ვიდრე საზოგადოების მყარი მხარდაჭერის მქონე ორგანიზაციები. ამიტომაცაა, რომ საფრანგეთმა ამ მუდმივი არასტაბილურობის პირობებში 25 მთავრობა გამოიცვალა თერთმეტი წლის განმავლობაში.[2]

ასეთი ვითარების გამო, დე გოლი შედარებით მოქნილი, სტაბილური და ქმედუნარიანი მმართველობის სისტემის შექმნის ინიციატივით გამოვიდა. ეს ინიციატივა პარტიული რეჟიმის ქმედით კონსტიტუციურ რეჟიმად გადაქცევის მცდელობა იყო. რა იყო დე გოლის ახალი კონსტიტუციის მთავარი მიზანი? კონსტიტუციის პროექტის ავტორების მთავარი ამოცანა მუდმივი

სამთავრობო არასტაბილურობის დაძლევა და აღმასრულებელი ხელისუფლების ოპერატიული და ეფექტიანი მოქმედების მიღწევა იყო, რასაც იმ პერიოდში, საფრანგეთის წინაშე არსებული სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და საგარეო პრობლემების გადაწყვეტა მოითხოვდა. მათი აზრით, ამ მიზნის მიღწევა სახელმწიფო ხელისუფლების მექანიზმში პრეზიდენტის როლის გაზრდით უნდა მომხდარიყო. ახალი კონსტიტუციის ავტორებს აღარ სურდათ მეოთხე რესპუბლიკის მსგავსად, ძირითადი დრო მუდმივ სამთავრობო ცვლილებებში გაეტარებინათ. თავად დე გოლი მიიჩნევდა, რომ სულაც არ იყო საჭირო საფრანგეთის სახელმწიფოს აუცილებლად მმართველობის ფორმად იმ დროისათვის პრაქტიკაში საყოველთაოდ გავრცელებული ორი ფორმიდან (საპრეზიდენტო და საპარლამენტო) ერთ-ერთი მიეღო. მისი აზრით, სავსებით დასაშვები იყო საფრანგეთს ახალი სისტემა შეექმნა, რომელიც ქვეყნის მოთხოვნებს შეესაბამებოდა. თავდაპირველად, დე გოლი ამ სისტემას ახასიათებდა, როგორც „სპეციფიკური თავისებურებების" მქონე მმართველობის სისტემას, რომელშიც შენარჩუნებული იყო საპარლამენტო სისტემის მექანიზმებიც და გათვალისწინეული იყო ასევე, საპრეზიდენტო რესპუბლიკის თავისებურებები. მოგვიანებით, სისტემამ ე.წ. ნახევრად საპრეზიდენტო მოდელის სახელწოდება მიიღო.

სწორედ, საფრანგეთის მეხუთე რესპუბლიკის შექმნის შემდეგ დაიწყო ნახევრად საპრეზიდენტო მმართველობის სისტემის აქტიური მეცნიერული კვლევა.[3] ცნება „ნახევრად საპრეზიდენტო რეჟიმი" პირველად, გამოიყენა ჟურნალისტმა და გაზეთ „Le Monde"-ს დამფუძნებელმა ჰუბერტმა, 1959 წელს. თუმცა, ამ დროს ამ ცნების შინაარსი საკმაოდ განუსაზღვრელი იყო. პირველად, აკადემიურ დონეზე „ნახევრად საპრეზიდენტო რეჟიმის" კონცეფცია შეიმუშავა ფრანგმა პოლიტოლოგმა მორის დიუვერჟემ, რომელმაც ეს ტერმინი პირველად, პოლიტიკური ინსტიტუტებისა და კონსტიტუციური სამართლის სახელმძღვანელოს მე-11 გამოცემაში გამოიყენა, რომელიც 1970 წელს დაიბეჭდა. 1980 წელს, დიუვერჟეს ავტორობით აღნიშნულ საკითხზე გამოქვეყნდა პირველი სტატია ინგლისურ ენაზე, რომელიც 1997 წელს პოლიტიკური კვლევების ჟურნალის 25 წლის ისტორიაში პირველ, ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ნაშრომად აღიარეს.[4]

რა იყო ესოდენ პოპულარული მმართველობის სისტემის შესახებ დიუვერჟეს მიერ ჩამოყალიბებული სამეცნიერო შეხედულებების არსი? დიუვერჟეს განმარტებით, პოლიტიკური რეჟიმი[5] ნახევრად საპრეზიდენტოდ მიიჩნევა თუ კონსტიტუცია ადგენს სამ ელემენტს: ა) რესპუბლიკის პრეზიდენტი აირჩევა პირდაპირი არჩევნებით; ბ) ის ფლობს საკმაოდ მნიშვნელოვან უფლებამოსილებებს; 3) პრემიერ-მინისტრი და მინისტრები წარმოადგენენ პრეზიდენტის ოპოზიციას, ფლობენ აღმასრულებელ ხელისუფლებას და დარჩებიან ხელისუფლებაში, ვიდრე პარლამენტი არ იქნება მათთან ოპოზიციაში.[6] კონცეფციის დამფუძნებელი დიუვერჟე იცავდა მის გამოყენებას კონცეპტუალურ დონეზე, მაგრამ ყოველთვის არ ითხოვდა სხვა რეჟიმების, თუნდაც საპრეზიდენტო ან საპარლამენტო მმართველობისაგან განსხვავებით უფრო მეტი უპირატესობა მიენიჭებინათ ამ რეჟიმისათვის. აღნიშნული სამი თავისებურების გარდა, სისტემის ფუნქციონირებაში ის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ასევე, ისეთ პოლიტიკურ ინსტიტუტებს ანიჭებდა, როგორიცაა პოლიტიკური პარტიები. დიუვერჟე კონცეფციის პირველი ფორმულირებიდან მოყოლებული ხაზს უსვამდა, რომ პოლიტიკური პარტიების ფაქტორი ფუნდამენტური იყო ნახევრად საპრეზიდენტო რეჟიმის მოქმედებისათვის. მაგალითად, 1971 წელს, მან აღნიშნა, რომ „როცა ვაფასებთ თუ რატომ ფუნქციონირებს ნახევრად საპრეზიდენტო რეჟიმი ასე განსხვავებულად, პოლიტიკური პარტიების სტრუქტურა და მათ შორის ურთიერთობები უფრო მეტად მნიშვნელოვანია, ვიდრე კონსტიტუციური ხელისუფლების შტოები.[7] უკვე 1978 წლისათ-

ვის, დიუვერჟე განსხვავებული შეხედულებებიდან თავის სტანდარტულ ფორმულირებაზე ჩამოყალიბდა და დამატებით მიუთითებდა, რომ ნახევრად საპრეზიდენტო რეჟიმის მექანიზმები დიდადაა დამოკიდებული საპარლამენტო უმრავლესობის ბუნებასა და პრეზიდენტსა და უმრავლესობას შორის ურთიერთობებზე".[8]

ნახევრად საპრეზიდენტო სისტემის განსხვავებული განსაზღვრება მოგვცა ამ მოდელის ასევე, ცნობილმა მკვლევარმა ჯოვანი სარტორიმ (შარტორი). მან დიუვერჟესაგან განსხვავებით, ნახევრად საპრეზიდენტო სისტემის ხუთი კრიტერიუმი წარმოადგინა: 1. სახელმწიფოს მეთაური (პრეზიდენტი) არჩეულია საყოველთაო კენჭისყრით – პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით – უფლებამოსილების ფიქსირებული ვადით; 2. სახელმწიფოს მეთაური აღმასრულებელ ხელისუფლებას ინაწილებს პრემიერ-მინისტრთან და სახეზეა ძალაუფლების ორმაგი სტრუქტურა, რომლის განსაზღვრის სამი კრიტერიუმია: 2.1. პრეზიდენტი დამოუკიდებელია პარლამენტისაგან, მაგრამ არა აქვს უფლება მარტო და დამოუკიდებლად მართოს ქვეყანა, ამიტომ მისი ყველა წინადადება უნდა წარედგინოს და განხილულ იქნას მთავრობაში; 2.2. პირიქით, პრემიერ-მინისტრი და მისი კაბინეტი დამოუკიდებელია პრეზიდენტისაგან, მაგრამ დამოკიდებულია პარლამენტზე – პარლამენტის ნდობა ან უნდობლობა (ან ორივე) ნებისმიერ შემთხვევაში, საჭიროებს საპარლამენტო უმრავლესობის მხარდაჭერას. 2.3. ნახევრად საპრეზიდენო სისტემის აღმასრულებელი ხელისუფლების ორმაგი სტრუქტურა ითვალისწინებს განსხვავებული ბალანსის მექანიზმებს. ასევე, იძლევა აღმასრულებელი ხელისუფლების ფარგლებში ხელისუფლების გადანაწილების შესაძლებლობას, ისე, რომ ყველაზე მკაცრ პირობებში აღმასრულებელი ხელისუფლების ყოველ შემადგენელ ერთეულს „ავტონომიის პოტენციალი" ნამდვილადაქვს.[9]

ამდენად, ამ სისტემაში პრეზიდენტი არის სახელმწიფოს მეთაური, რომელიც საპარლამენტო რესპუბლიკისაგან განსხვავებით პირდაპირი წესით აირჩევა. პრეზიდენტი მანდატს უშუალოდ ხალხისაგან იღებს, რაც კიდევ უფრო ამაღლებს მის სტატუსს. პრეზიდენტი კონსტიტუციით პირდაპირ არ არის აღიარებული აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურად. აღმასრულებელ ხელისუფლებას მთავრობა ახორციელებს, თუმცა, პრეზიდენტისათვის კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილებები მას აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებაში ჩარევის უფლებას აძლევს. კერძოდ, უპირველესად, პრეზიდენტი ნიშნავს პრემიერ-მინისტრს და პრემიერ-მინისტრის წარდგინებით მთავრობის წევრებს. პრეზიდენტი მონაწილეობს მთავრობის მუშაობაში და თავმჯდომარეობს მის სხდომებს. პრეზიდენტს კონსტიტუციით დადგენილ შემთხვევებში, შეუძლია პარლამენტის ქვედა პალატის დათხოვნა და თავის მხრივ, პარლამენტს პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენება შეუძლია მხოლოდ იმპიჩმენტის პროცედურით.

ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში მმართველობის ნახევრად საპრეზიდენტო ფორმა აქტუალური გახდა მე-20 საუკუნის 90-იანი წლების შემდეგ, პოსტსაბჭოური ქვეყნების კონსტიტუციურ პრაქტიკაში. ამ პერიოდიდან გააქტიურდა სამეცნიერო მუშაობა ამ მოდელის კვლევის მიმართულებით. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ პოლარიზებულ ან ახალ დემოკრატიებში, სადაც ხშირად გვხდება პოლიტიკური და ეკონომიკური გარდამავალი პერიოდი, რომლის განმავლობაში მათი ელექტორატი და პარტიული სისტემა სწრაფად ცვალებადია, მოქნილი ნახევრად საპრეზიდენტო სისტემის შემოტანა გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს.[10] სწორედ, ამგვარი შეხედულებების გამო. ბევრმა საბჭოთა რესპუბლიკამ, მათ შორის, საქართველომ (თუმცა, მოგვიანებით) სახელმწიფო მმართველობის ფორმად ნახევრად საპრეზიდენტო სისტემა აირჩია. სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ქვეყნების მმართველობის სისტემები შერეულ მოდელად მოიხსენიება.[11]

ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში კონსტიტუციური სამართლის მეცნიერებაში განსაკუთრებული ადგილი რუს ავტორებს უკავიათ, რომელთა ნაშრომები ამ საკითხების კვლევის მნიშვნელოვან წყაროებს წარმოადგენს. ამ მხრივ აღსანიშნავია, პროფესორ ჩირკინის კვლევები. მისი აზრით, ბოლო ათი წლის პრაქტიკა ადასტურებს, რომ სახელმწიფოს მმართველობისათვის მნიშვნელოვანია არა მარტო და შეიძლება არა იმდენად ხელისუფლების დანაწილება და ურთიერშეკავებისა და გაწონასწორების სისტემა (იგი უზრუნველყოფს დემოკრატიზმს მართვაში, გამორიცხავს მთელი სახელმწიფო ხელისუფლების ერთი რომელიმე ორგანოს ხელში თავმოყრას), რამდენადაც ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს შორის ურთიერთზემოქმედებასთან, ურთიერთშეთანხმებულობასთან დაკავშირებული აუცილებელი ურთიერთკავშირების დადგენა. შერეული და „ჰიბრიდული“ სახელმწიფო მმართველობის შექმნა აუმჯობესებს სახელმწიფო ორგანოებს შორის ურთიერთზემოქმედებას. თუმცა, ეს ხდება პარლამენტის როლის შესუსტებით, ან პრეზიდენტის უფლებამოსილებების შემცირებით, ან მთავრობის როგორც პარლამენტის, ასევე პრეზიდენტისადმი დაქვემდებარებით. მისი აზრით, ამა თუ იმ პლუსებს, ყოველთვის თან სდევს განსაზღვრული მინუსები...[12]

პროფესორ ჩირკინის აზრით, „მმართველობის შერეული, „ჰიბრიდული“ ფორმები უზრუნველყოფს ქვეყნის მართვის სტაბილურობას, გამორიცხავს კონიუნქტურული პარტიული მოსაზრებებით მთავრობების ხშირ ცვლას, უზრუნველყოფს პარტიების კონსოლიდაციას. ეს პროცესი ადგილობრივი თვითმმართველობის დარღვევის გარეშე უზრუნველყოფს სახელმწიფო ხელისუფლების როლის გამყარებას ადგილებზე და სახელმწიფოს ერთიანობას. მისი აზრით, ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ქვეყნებისათვის, რომლებსაც არა აქვთ ხანგრძლივი საპარლამენტო მმართველობის გამოცდილება და სადაც პარტიული სტრუქტურების ჩამოუყალიბებლობასა და საპარლამენტო მმართველობის მექანიზმების უქონლობას მუდმივ რყევამდე მივყავართ.[13] ასევე, ჩირკინი მიუთითებს, რომ მმართველობის ჰიბრიდული (შერეული) ფორმები აფერხებენ მთავრობის სხვადასხვა კონიუნქტურული, პარტიული მოსაზრებებით შეცვლას, მეორე მხრივ, მათ აქვთ გარკვეული მინუსები – ირღვევა ხელისუფლების დანაწილება, ურთიერთშეკავებისა და გაწონასწორების სისტემა, ძლიერდება საპრეზიდენტო ხელისუფლება და ზოგჯერ, მისი მატარებლები ავტორიტარიზმის ტენდენციებს შეიცავენ.[14]

ჩირკინის მოსაზრებით, არ შეიძლება ნახევრად საპრეზიდენტო სისტემა ჩავთვალოთ შერეულ რეჟიმად მხოლოდ იმიტომ, რომ მის მახასიათებლებში არის ისეთი ნიშნები, რომლებიც აქვს სხვა ორ სისტემას. ნახევრად საპრეზიდენტო სისტემა განსაკუთრებული და ცალკე მმართველობის სისტემაა, რომელსაც აქვს თავისი ბუნება და ამიტომ ნაკლებად სამართლიანია ვთქვათ, რომ საპარლამენტო და საპრეზიდენტო სისტემა იყო მათი „მშობელი“. ნახევრად საპრეზიდენტო სისტემას აქვს თავისი საკუთარი სპეციფიკური ინსტიტუციური ნიშნები. ისინი არ შეიძლება შეიქმნას მხოლოდ საპარლამენტო რეჟიმის ზოგიერთი ნიშნის გაძლიერებით (მაგალითად, პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევის შემოღება), ან საპრეზიდენტო სისტემის ზოგიერთი ნიშნის დასუსტებით (მაგალითად, აღმასრულებელი ხელისუფლების ორი განსხვავებული ლიდერისათვის გადაცემით). ნახევრად საპრეზიდენტო სისტემა მოიცავს როგორც საპარლამენტო რესპუბლიკის, ისე საპრეზიდენტო რესპუბლიკის ზოგიერთ ნიშანს და ამ მხრივ, ის შერეული სისტემაა...[15]

ასეთი შეფასების პარალელურად, ჩირკინი ყურადღებას ამახვილებს ნახევრად საპრეზიდენტო სისტემის უარყოფით მხარეებზე და მისი აზრით, უპირველესად, ირღვევა ამა თუ იმ მმართველობის ფორმისათვის დამახასიათებელ მართვის სტრუქტურების ერთიანობა და ერთდროულად,

წარმოიშობა ურთიერთობების ახალი სახეები, კოლიზიები და შეუთანხმებლობები, რომლებიც არ იყო „გამოცდილ“ მმართველობის ფორმებში. ირღვევა შექმნილი ხელისუფლების დანაწილების სტანდარტები, რომელსაც აქვს თავისი მყარი ფორმები, როგორც საპრეზიდენტო, ისე საპარლამენტო რესპუბლიკაში, ხდება სხვადასხვა საწყისების შერევა და ეს ყოველთვის არ უზრუნველყოფს კონსტიტუციური კანონიერების დაცვას.[16]

როგორც ვხედავთ, მმართველობის ნახევრად საპრეზიდენტო სისტემის ერთ-ერთ უმთავრეს თავისებურებას პრეზიდენტის განსაკუთრებული სტატუსი და აღმასრულებელი ხელისუფლების პარლამენტის წინაშე პასუხისმგებლობა და აღმასრულებელი ხელისუფლების ორმაგი სტრუქტურა წარმოადგენს. ამასთან, მმართველობის ნახევრად საპრეზიდენტო სისტემა იმდენად რთული მოდელია, რომ დღემდე, სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთი მისი ქვეტიპი ჩამოყალიბდა. სისტემის კლასიფიკაციაში ისიც მნიშვნელოვანია, რომ იგი სხვადასხვა კრიტერიუმებზე დაყრდნობით კარგად ხსნის მმართველობის ნახევრად საპრეზიდენტო სისტემის ბუნებას.

II. ნახევრად საპრეზიდენტო მმართველობის სისტემების კლასიფიკაცია

ნახევრად საპრეზიდენტო სისტემის კლასიფიკაციას სხვადასხვა კრიტერიუმები უდევს საფუძვლად, მაგრამ ამ კლასიფიკაციის ძირითადი კრიტერიუმები პრეზიდენტსა და ხელისუფლების სხვა ინსტიტუტებს შორის ურთიერთობები, პარტიული სისტემა და პარლამენტში პოლიტიკური ძალების ფრაგმენტაციაა (ცხრილი 1). თანამედროვე მეცნიერთა შრომებიდან ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია დიუვერჟეს, შუგარტის (Shugart), კერის (Carey), ელჯის (Elgie), სკაჩისა (Skach) და ტსეის (Tsai) გამოკვლევები. მათი კლასიფიკაცია შემდეგი სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ:

ცხრილი 1. ნახევრად საპრეზიდენტო მმართველობის სისტემის კლასიფიკაციის კრიტერიუმები

მკვლევარები	კლასიფიკაციის კრიტერიუმები	ქვეტიპი
დიუვერჟე	პრეზიდენტის ხელისუფლება, პარტიული სისტემა, სისტემის შექმნის კონტექსტი	ცერემონიალური პრეზიდენტი, სრულუფლებიანი პრეზიდენტი, დაბალანსებული პრეზიდენტი და მთავრობა
შუგარტი და კერი	პრეზიდენტის კონსტიტუციური ხელისუფლება	პრეზიდენტ-საპარლამენტო სისტემა, პრემიერ-საპრეზიდენტო სისტემა
ელჯი	პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის ხელისუფლება	ფართოდ პრეზიდენციალიზებული სისტემა, ცერემონიალური პრეზიდენტი ძლიერი პრემიერ-მინისტრით, პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის დაბალანსებული ხელისუფლება

მკვლევარები	კლასიფიკაციის კრიტერიუმები	ქვეტიპი
სკაჩი	პარტიული სიტუაცია პარლამენტში	კონსოლიდირებული უმრავლესობის მმართველობა, გაყოფილი უმრავლესობის მმართველობა, გაყოფილი უმცირესობის მმართველობა.
ტსეი	პრეზიდენტისა და პარლამენტის კონსტიტუციური ხელისუფლება, პარტიული სიტუაცია პარლამენტში	სისტემა პრეზიდენტის დომინირებით, სისტემა პრემიერის დომინირებით, სისტემა პარლამენტის დომინირებით, „თანაცხოვრება“ და ბალანსირებული ხელისუფლების სისტემა

შენიშვნა: ცხრილი აღებულია Jung-Hsiang, Tsai, Sub-types of Semi-presidentialism and Political Deadlock, French Politics, 2008, 6, (63-84), p. 66.

ამდენად, დიუვერჟე ნახევრად საპრეზიდენტო რეჟიმის რამდენიმე ტიპს გამოყოფს: 1. სისტემა „სიმბოლური პრეზიდენტით“ (ავსტრია, ირლანდია, და ისლანდია); 2. სისტემა „სრული ძალაუფლების მქონე პრეზიდენტით“ (საფრანგეთი); 3. სისტემა, პრეზიდენტისა და მთავრობის ბალანსით (ვეიმარის გერმანია, ფინეთი და პორტუგალია).[17] დიუვერჟესთან ერთად, რომელიც სხვადასხვა ნახევრად საპრეზიდენტო სისტემის მაგალითზე ნახევრად საპრეზიდენტო რეჟიმის განსხვავებულ ტიპებს გამოყოფდა, შუგარტი და კერი იყვნენ პირველი მეცნიერები, რომლებმაც ნახევრად საპრეზიდენტო სისტემის სახეებს შორის უფრო მეტად სისტემურ განსხვავებებს მიაქციეს ყურადღება. ისინი გამოყოფდნენ ნახევრად საპრეზიდენტო სისტემის ორ ტიპს: პრემიერ-საპრეზიდენტო და პრეზიდენტ-საპარლამენტო სისტემას. შუგარტისა და კერისათვის პრემიერ-საპრეზიდენტო და პრეზიდენტ-საპარლამენტო სისტემას შორის მთავარი განსხვავებაა, რომ პრემიერ-საპრეზიდენტო სისტემაში პრემიერ-მინისტრი და კაბინეტი ექსკლუზიურად, საპარლამენტო უმრავლესობის წინაშეა ანგარიშვალდებული, მაშინ, როდესაც პრეზიდენტ-საპარლამენტო სისტემაში პრემიერ-მინისტრი და კაბინეტი ორმაგად პასუხისმგებელია პრეზიდენტისა და საპარლამენტო უმრავლესობის წინაშე.[18] ამ ავტორების მიხედვით, პრემიერ-საპრეზიდენტო სისტემა გულისხმობს, რომ პრემიერ-მინისტრი მხოლოდ საკანონმდებლო ორგანოს წინაშეა პასუხისმგებელი. ეს ნიშნავს, რომ როდესაც პარლამენტი პრემიერ-მინისტრად ირჩევს პრეზიდენტთან ოპოზიციაში მყოფ პირს, პრეზიდენტმა უნდა მიიღოს დანიშვნა. შუგარტის ტერმინოლოგიით, ამ პროცესის შედეგია, რომ დანიშნული კაბინეტი, რომელიც საპარლამენტო უმრავლესობის მხარდაჭერით სარგებლობს, ექვემდებარება არა პრეზიდენტს, არამედ პარლამენტს და ამგვარად, პრეზიდენტსა და პრემიერს შორის ურთიერთობები მეტად საქმიანია.[19] პრემიერ-საპრეზიდენტო სისტემისა და პარტიული სისტემის ურთიერთზემოქმედება პარლამენტში აჩვენებს თუ როგორ მუშაობს პრაქტიკაში ურთიერთობები პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს შორის და როგორ ექვემდებარება პრემიერ-მინისტრი პრეზიდენტს, როგორ თანამშრომლობს პრეზიდენტი ოპოზიციონერ პრემიერ-მინისტრთან. შუგარტის მიერ მოტანილი პრემიერ-საპ-

რეზიდენტო სისტემის კონფიგურაცია ინსტიტუციური კონფიგურაციაა, რომელსაც პრეზიდენტსა და პრემიერს შორის საქმიან ურთიერთობებამდე მივყავართ.[20]

პრეზიდენტ-საპარლამენტო სისტემაში სიტუაცია სხვაგვარია. აქ პრეზიდენტი ინარჩუნებს პრემიერისა და კაბინეტის დათხოვნის უფლებას და პრეზიდენტსა და პრემიერს შორის ურთიერთობები იერარქიულია, თუმცა, პრემიერ-მინისტრი რჩება პარლამენტის წინაშე პასუხისმგებელი. თუ საკანონმდებლო ორგანო შეეცდება პრემიერ-მინისტრად დანიშნოს პრეზიდენტის პოლიტიკური ოპონენტი, მაშინ პრემიერ-მინისტრი რისკის ქვეშაა, ვინაიდან ის შეიძლება პრეზიდენტმა დაითხოვოს. ამისაგან განსხვავებით, როცა პარლამენტი დათხოვნილია და პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრად თავის მოკავშირეს დანიშნავს, პარლამენტს შეუძლია გადააყენოს პრემიერ-მინისტრი. ამდენად, პრემიერ-საპრეზიდენტო სისტემა მოიპოვებს პრეზიდენტ-საპარლამენტო სისტემასა და არაოფიციალურ ექსტრაკონსტიტუციურ ფაქტორებს შორის ურთიერთზემოქმედების ფუნქციას. შუგარტის აზრით, ეს პრეზიდენტ-საპარლამენტო სისტემის განსაზღვრული კონფიგურაცია, რომელიც პრეზიდენტისა და საკანონმდებლო ორგანოს საქმიან ურთიერთობებს აყალიბებს.[21]

სკაჩის კლასიფიკაციის მიხედვით, ნახევრად საპრეზიდენტო სისტემაში შეიძლება გამოვყოთ: 1. უმრავლესობის კონსოლიდირებული (გაერთიანებული) მმართველობა; 2. უმრავლესობის გაყოფილი მმართველობა; 3. გაყოფილი უმცირესობის მმართველობა. მოკლედ განვსაზღვროთ რას ნიშნავს თითოეული მათგანი. უმრავლესობის კონსოლიდირებული (გაერთიანებული) მმართველობა ნახევრად საპრეზიდენტო სისტემის ინსტიტუციური კონფლიქტების შემცირების ერთერთ ყველაზე საუკეთესო ტიპს წარმოადგენს, როდესაც პრემიერ-მინისტრს აქვს მყარი საპარლამენტო უმრავლესობა და პრეზიდენტიც ამ უმრავლესობიდანაა. სკაჩი ამას უმრავლესობის გაერთიანებულ მმართველობას უწოდებს. საკანონმდებლო უმრავლესობა ზრდის შესაძლებლობას, რომ მთავრობა უფრო მეტად სტაბილური იქნება, რომელიც თავის მხრივ, მთავრობას შემუშავებული დღის წესრიგის მიღწევისათვის დროის უფრო დიდ პერიოდს აძლევს. შესაძლებლობები, რომ პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს ექნებათ პოლიტიკის მსგავსი დღის წესრიგი და ითანამშრომლებენ, რათა მიაღწიონ ერთიან დღის წესრიგს, იზრდება.[22]

ეს ქვეტიპი არ არის დაცული კონფლიქტებისაგან. თუ პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი უმრავლესობის ფარგლებში სხვადასხვა ფრაქციისაგან არიან, კონფლიქტი შეიძლება განვითარდეს, რადგან მოდელის დაძაბული ურთიერთობები სტრუქტურირებულია ნახევრად საპრეზიდენტო კონსტიტუციაში აღმასრულებელი ხელისუფლების ორად გაყოფის გამო, სადაც ყოველთვის პოტენციური კონფლიქტია. პრეზიდენტსა და პრემიერს შორის განსხვავებულობის ინდივიდუალობამ შეიძლება უთანხმოებამდე მიგვიყვანოს, იმასთან დაკავშირებით თუ ვინ უნდა უხელმძღვანელოს მთავრობას. თავისი ლიდერობის მიმართ პრეზიდენტის სპეციფიკურმა რწმენამ და ლეგიტიმურობამ იგი შეიძლება პრემიერ-მინისტრზე დომინირებამდე მიიყვანოს, რომელიც თავის მხრივ, შეიძლება შეეწინააღმდეგოს ამ დომინირებას, რამაც შეიძლება ძალაუფლების დემონსტრირების მოქმედებები გამოიწვიოს. ალტერნატივაში პრეზიდენტს შეუძლია გადაწყვიტოს ეს დომინირება, რადგან ის კარგავს თავისი პრემიერ-მინისტრის ნდობას და ეჭვი შეაქვს მის ქმედუნარიანობაში. ნახევრად საპრეზიდენტო სისტემის 40-წლიანი გამოცდილების შემდეგ, ფრანგი პოლიტოლოგები და კონსტიტუციონალისტები აღნიშნავენ, რომ გაერთიანებული უმრავლესობის მმართველობის პირობებში რთულია გაგება, თუ ვინ იღებს გადაწყვეტილებებს და ყველაფრი ყოველთვის გარკვეული არ არის.[23]

გაყოფილი უმრავლესობის მმართველობის დროს საკანონმდებლო ორგანოში არის მყარი და შეთანხმებული უმრავლესობა, რომელიც შედგენილია ერთი პარტიის ან პარტიათა კოალიციის მიერ, მაგრამ პრეზიდენტი არის იმ პარტიიდან, რომელიც უმრავლესობის წინააღმდეგ გამოდის, ან არ არის არცერთი პარტიიდან. გაყოფილი უმრავლესობა ხშირად, ფრანგულ ლიტერატურაში მოიხსენიება, როგორც „თანაცხოვრება“, რაც გულისხმობს იდეას, რომ ორი შეუთავსებელი მეგობარი იძულებულია იცხოვროს ერთად. აქედან გამომდინარე, როდესაც საკანონმდებლო უმრავლესობა მხარს უჭერს მთავრობას, არსებობს გარკვეული უწყვეტობა და მთავრობისადმი ნდობის იმედიც. ამ ქვეტიპს ბევრად უფრო დიდი მიდრეკილება აქვს კონფლიქტებისადმი, ვიდრე გაერთიანებული უმრავლესობის მმართველობას. თუ პრეზიდენტს აქვს თავისი საკუთარი დღის წესრიგი და არ სურს დაუთმოს იგი პრემიერ-მინისტრს, ჩვეულებრივ, ძალიან ღრმაა საკანონმდებლო ორგანოსა და პრეზიდენტის განცალკევება იდეოლოგიური (ან სხვა) თვალსაზრისით. როდესაც პრეზიდენტს შეუძლია განახორციელოს თავისი უფლებამოსილებები ბოლომდე, მაშინ მოდელის დაძაბულმა ურთიერთობებმა შეიძლება კონფლიქტამდე მიგვიყვანოს. ამ შემთხვევაში, პრეზიდენტი ხშირად ინარჩუნებს შესაძლებლობას განახორციელოს ძალაუფლება დეკრეტების მეშვეობით ან საგანგებო სიტუაციისა და შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის სტატუსის გამოყენებით. პრეზიდენტს შეუძლია გამოიყენოს ეს უფლებამოსილებები პრემიერ-მინისტრის საკანონმდებლო უმრავლესობის გასაწონასწორებლად.[24]

გაყოფილი უმცირესობის მმართველობის ვითარებაში არც პრეზიდენტი, არც პრემიერ-მინისტრი და არც რომელიმე სხვა კოალიცია არ სარგებლობს არსებითი უმრავლესობით საკანონმდებლო ორგანოში. ნებისმიერი აშკარა უმრავლესობის არარსებობამ ნახევრად საპრეზიდენტო სისტემაში შეიძლება არამუდმივ სცენარამდე მიგვიყვანოს, რომელიც ერთი მხრივ, იცვლება საკანონმდებლო კოალიციიდან და სამთავრობო ცვლილებებიდან გამომდინარე, მეორე მხრივ, პრეზიდენტის მხრიდან ძალაუფლების შენარჩუნებისათვის უწყვეტი ჩარევით. ეს შეიძლება იყოს სხვა სცენარი – დიდი საკანონმდებლო უმოძრაობა, სამთავრობო არასტაბილურობა და კაბინეტი, რომელიც უმცირესობის მთავრობას წარმოადგენს. პრეზიდენტი ცდილობს თავისი უფლებამოსილებები ხანგრძლივ კონსტიტუციურ ვადაში განახორციელოს. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა, როდესაც ქვეყანაში ეკონომიკური სიტუაცია მოითხოვს კანონმდებლობის სწრაფ მიღებას, რათა გადაწყდეს კრიზისები, როგორც პოსტკომუნისტურ რუსეთში, სადაც საკანონმდებლო უმრავლესობა ეწინააღმდეგებოდა მნიშვნელოვანი კანონმდებლობის პროექტების შედგენას, გადაცემასა და განხორციელებას, რამაც რუსეთი პრეზიდენტის დომინირებამდე მიიყვანა, რომელიც ნებისმიერი კანონმდებლობის მიღების მთავარი საშუალებაა. ...ეს ქვეტიპი როგორც გაყოფილი უმცირესობის მმართველობა, თავისი არსით, პრეზიდენციალიზმის პოტენციურად ყველაზე პრობლემური ტიპია, ისევე როგორც პარლამენტარიზმის დროს პოტენციურად, ყველაზე პრობლემატურია უცირესობის მთავრობა. პრეზიდენტი ამ ტიპის დროს არის ხელისუფლებაში თავისი მთელი უფლებამოსილების ვადით ან მანამდე, ვიდრე საკანონმდებლო ორგანოში არ იქნება ფორმირებული უმრავლესობა. საერთოდ, პრეზიდენტს შეუძლია გამოაცხადოს ახალი არჩევნები, უმრავლესობის ფორმირების მცდელობის მიზნით, მაგრამ არანაირი გარანტია, რომ უმრავლესობა იქნება ჩამოყალიბებული მას არა აქვს, თუ პარტიული სისტემისათვის არ არის დამახასიათებელი მაჟორიტარიზმისა და კოალიციების ფორმირება და, თუ პარტიები უკვე სპეციალურად მოტყუებულნი არ არიან უპარტიო პრეზიდენტის მიერ.[25]

რობერტ ელჯის მიხედვით, ნახევრად საპრეზიდენტო სისტემა შეიძლება დაიყოს მეტად პრეზიდენციალიზებულ, ცერემონიალურ და დაბალანსებულ სისტემებად. ელჯის აზრით, **მეტად პრეზიდენციალიზებული** ნახევრად საპრეზიდენტო სისტემა – „გამარჯვებულს მიაქვს ყველაფერი“ – ბუნების მქონე თანამდებობით შეიძლება ნიშნავდეს, რომ ამ დროს პრეზიდენტის ხელმძღვანელობის ძალიან მაღალი ხარისხით, პერსონალიზებული სისტემა წარმოიშობა. მისი აზრით, ეს მდგომარეობა საზიანოა დემოკრატიისათვის, რადგან პრეზიდენტმა შეიძლება იგნორირება გაუკეთოს დემოკრატიის პროცესს თავისი საკუთარი შეხედულებებისა და/ან ინტერესების გამო. ამ მოქმედებით პრეზიდენტს შეუძლია შევიდეს კონფლიქტში საკანონმდებლო ორგანოსთან, რომლის წევრებიც სახალხო ლეგიტიმაციის ალტერნატიულ წყაროს ეყრდნობიან.[26] ელჯის მოსაზრებით, მაგალითად, ბევრ ყოფილ საბჭოთა ქვეყანაში, როგორიცაა სომხეთი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, ტაჯიკეთი და უზბეკეთი, მეტად პრეზიდენციალიზებული ნახევრად საპრეზიდენტო სისტემის არჩევანი ავტორიტარული ტენდენციების არსებობაზე მიუთითებს.[27]

ელჯი მიუთითებს, რომ **ნახევრად საპრეზიდენტო სისტემა ცერემონიალური პრეზიდენტით** საპარლამენტო სისტემის მსგავსად მუშაობს. პრეზიდენტი არის სიმბოლური ლიდერი, რომელსაც აქვს მცირე კონსტიტუციური უფლებამოსილებები და რომელიც ქვეყნისათვის მოქმედებს უფრო როგორც ფიგურალური მეთაური, ვიდრე აქტიური გადაწყვეტილების მიმღები პირი. რეალური ხელისუფლება პრემიერ-მინისტრის ხელშია, რომელიც პასუხისმგებელია ქვეყნის ყოველდღიური განვითარების ყველა ასპექტზე. პოლიტიკური პრაქტიკა ამ სისტემის ქვეყნებში საპარლამენტო ქვეყნების პრაქტიკას წააგავს უშუალოდ არჩეული ფიგურალური პრეზიდენტით და ძლიერი მთავრობის მეთაურით, როგორც გერმანიასა და საბერძნეთში.[28]

ელჯის განმარტებით, **დაბალანსებული ნახევრად საპრეზიდენტო სისტემა** მეტად ორაზროვანია. არის ამ სისტემის რამდენიმე წარმატებული მოდელი, როგორიცაა პორტუგალია... ამდენად, დაბალანსებულ ნახევრად საპრეზიდენტო სისტემას შეუძლია ფუნქციონირება, თუმცა, ძალიან სარისკოა. აქ არის ჩვეული აღმასრულებელი ხელისუფლების შიდა კონფლიქტი პოლიტიკური „თანაცხოვრების“ ჩათვლით, რომელიც ამ სისტემაში ყალიბდება. ამიტომ ელჯის აზრით, ამ გარემოებების მხედველობაში მიღებით ლინცი, ვალენსუელა და ლაიპჰარტი მართებულად გამოდიან მმართველობის ამ ფორმის წინააღმდეგ.[29]

ტსეის მიხედვით, ნახევრად საპრეზიდენტო სისტემაში სახელისუფლებო ურთიერთობის კლასიფიკაციას როგორც აღვნიშნეთ, საფუძვლად უდევს პრეზიდენტისა და პარლამენტის კონსტიტუციური უფლებამოსილებები და პარტიული ფრაგმენტაცია პარლამენტში. მისი აზრით, სახეზეა **ნახევრად საპრეზიდენტო სისტემა პრეზიდენტის დომინირებით,** როცა პრეზიდენტი ფაქტობრივად ხელმძღვანელობს მთავრობას და საპარლამენტო უმრავლესობას, აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება, **ნახევრად საპრეზიდენტო სისტემა პრემიერის დომინირებით,** როცა პრემიერი საპარლამენტო უმრავლესობის მეშვეობით აკონტროლებს საკანონმდებლო პროცესს, **ნახევრად საპრეზიდენტო სისტემა პარლამენტის დომინირებით,** სადაც პრეზიდენტს არა აქვს მნიშვნელოვანი უფლებამოსილებები, როგორიცაა ბრძანებულებების გამოცემის უფლება, როდესაც კაბინეტი არის უმცირესობის მთავრობა (როდესაც ოპოზიცია აკონტროლებს საპარლამენტო უმრავლესობას პრეზიდენტისა და მთავრობის წინააღმდეგ, მხოლოდ პარლამენტს აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება). **ნახევრად საპრეზიდენტო სისტემა „თანაცხოვრება“**, არის სიტუაცია, როდესაც პრეზიდენტი და პრემიერი იყოფენ აღმასრულებელ

ხელისუფლებას, მაგრამ არიან სხვადასხვა პარტიიდან და აქვთ განსხვავებული ლეგიტიმაციის ხარისხი. პრეზიდენტის ლეგიტიმაცია არის პირდაპირი არჩევნებიდან, მაგრამ იგი დაკავშირებულია პარლამენტში ადგილების უმრავლესობის კონტროლთან. **ნახევრად საპრეზიდენტო სისტემა ხელისუფლების ბალანსით** გულისხმობს ხელისუფლების ბალანსს პრეზიდენტსა და პარლამენტს შორის, როცა პრეზიდენტიც და პარლამენტიც ფლობს მნიშვნელოვან უფლებამოსილებებს, მაგრამ ერთმანეთის წინააღმდეგ დგანან. ეს წარმოიშობა მაშინ, როდესაც არცერთი მხარე არ ფლობს საპარლამენტო უმრავლესობას.[30]

ამგვარი კლასიფიკაცია არის მიღებული საზღვარგარეთის ქვეყნების სამეცნიერო ლიტერატურაში, მაგრამ რაც შეეხება საქართველოს, უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ნახევრად საპრეზიდენტო მმართველობის სისტემების კლასიფიკაცია ფართოდ არ არის გაშუქებული. თუმცა, ზოგიერთი ავტორი ყურადღებას ამახვილებს ნახევრად საპრეზიდენტო მოდელის ცალკეულ ნაირსახეობებზე. მაგალითად, ავთანდილ დემეტრაშვილი მიიჩნევს, რომ თუ პრეზიდენტი და საპარლამენტო უმრავლესობა (შესაბამისად, მთავრობა) ერთ პოლიტიკურ სპექტრს წარმოადგენენ, მმართველობა ნახევრად საპრეზიდენტოა, თუ განსხვავებულ პოლიტიკურ ძალებს – მმართველობა ნახევრად საპარლამენტოა.[31] ზაზა რუხაძეც, მმართველობის შერეული ფორმის შიგნით ცალკე გამოყოფს ნახევრად საპრეზიდენტო და ნახევრად საპარლამენტო რესპუბლიკას.[32] ოთარ მელქაძე, ნახევრად საპრეზიდენტო სისტემას ყოფს საპრეზიდენტო-საპარლამენტო და საპარლამენტო-საპრეზიდენტო სისტემებად. ის საპარლამენტო-საპრეზიდენტო მოდელად განიხილავს საფრანგეთს, პორტუგალიასა და ფინეთს, ხოლო საპრეზიდენტო-საპარლამენტო მოდელად მიიჩნევს ბელორუსიას, თურქეთს, რუსეთს, უკრაინას და ამ მოდელს საპრეზიდენტო რესპუბლიკის ევროპულ მოდელს უწოდებს, რომლებმაც მისი აზრით, ხელისუფლების დანაწილების საპირწონე კიდევ უფრო გადახარეს პრეზიდენტისაკენ.[33]

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში ნახევრად საპრეზიდენტო სისტემის ქვეყნების კლასიფიკაციისათვის ყველაზე მეტად შუგარტისა და კერის მიერ წარმოდგენილი კრიტერიუმები გამოიყენება. ამიტომაც, სხვადასხვა ლიტერატურაში ნახევრად საპრეზიდენტო სისტემის ქვეყნებს ორ ძირითად სახედ – პრემიერ-საპრეზიდენტო და პრეზიდენტ-საპარლამენტო სისტემად ყოფენ. დღეისათვის, მსოფლიოში არსებული ნახევრად საპრეზიდენტო სისტემის ამგვარი კლასიფიკაციიდან შეიძლება მოვიყვანოთ შვედი ავტორის ტომას სედლის (Sedelius) შეფასება **(ცხრილი 2),** რომელშიც ასევე, საქართველოც არის გათვალისწინებული.

ცხრილი 2.
ნახევრად საპრეზიდენტო ქვეყნების კლასიფიკაცია ტომას სედლის მიხედვით

№	ქვეყანა[34]	კონსტიტუციის ტიპი	პოსტკომუნისტური კონსტიტუციის მიღების წლები
1	სომხეთი	პრეზიდენტ-საპარლამენტო	1995
2	აზერბაიჯანი	პრეზიდენტ-საპარლამენტო	1995
3	ბელორუსი	პრეზიდენტ-საპარლამენტო	1994
4	ბულგარეთი	პრემიერ-საპრეზიდენტო	1991
5	ხორვატია	პრეზიდენტ-საპარლამენტო (1900-2000), პრემიერ-საპრეზიდენტო (2000-)	1990

6	საქართველო	პრეზიდენტ-საპარლამენტო	1995
7	ყაზახეთი	პრეზიდენტ-საპარლამენტო	1995
8	ყირგიზეთი	პრეზიდენტ-საპარლამენტო	1993
9	ლიტვა	პრემიერ-საპარლამენტო	1992
10	მოლდოვა	პრემიერ-საპრეზიდენტო (1994-00) (2000)	1994
11	მონღოლეთი	პრემიერ-საპრეზიდენტო	1992
12	პოლონეთი	პრემიერ-საპრეზიდენტო	1992
13	რუმინეთი	პრემიერ-საპრეზიდენტო	1991
14	რუსეთი	პრეზიდენტ-საპარლამენტო	1993
15	ტაჯიკეთი	პრეზიდენტ-საპარლამენტო	1994
16	თურქმენეთი	პრეზიდენტ-საპარლამენტო	1992
17	უკრაინა	პრეზიდენტ-საპარლამენტო (1991-2005) პრემიერ-საპრეზიდენტო (2006)	1996
18	უზბეკეთი	პრეზიდენტ-საპარლამენტო	1992

შენიშვნა: cxrili aRebulia Sedelius Thomas, The Tug-of-War between Presidents and Prime Ministers: Semi-Presidentialism in Central and Eastern Europe, Utgivare: Universitetsb-iblioteket, 2006, p. 90.

აღნიშნული ცხრილი ერთ საერთო ტენდენციას ასახავს, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების უმეტესობაში ნახევრად საპრეზიდენტო მმართველობის ფორმის პრეზიდენტ-საპარლამენტო სისტემა მოქმედებს. ეს კი, მიუთითებს, რომ ამ ქვეყნებში ერთი მხრივ, ძლიერია პრეზიდენტის ფორმალური სტატუსი და მეორე მხრივ, სუსტია პოლიტიკური პარტიები ან პრეზიდენტის პარტიას ჰყავს საპარლამენტო უმრავლესობა, რის გამოც პრეზიდენტის ფორმალური სტატუსი კიდევ უფრო იზრდება პოლიტიკური რესურსების გამოყენებით. თუმცა, პოსტსაბჭოურ სივრცეში ზოგჯერ, არის შემთხვევები, როდესაც პრეზიდენტ-საპარლამენტო სისტემა იცვლება პრემიერ-საპრეზიდენტო სისტემით. აღნიშნული ტენდენცია კარგად არის ნაჩვენები ცნობილი მეცნიერების სამუელსისა (David J. Samuels) და შუგარტის (Matthew S. Shugart) მიერ შემოთავაზებულ კლასიფიკაციაში (ცხრილი 3). ცხრილში კარგად ჩანს, პერიოდულად, თუ როგორ იცვლება ნახევრად საპრეზიდენტო მმართველობის სისტემა და გარკვეულ პერიოდში იგი მუშაობს, როგორც პრემიერ-საპრეზიდენტო, ხოლო გარკვეულ პერიოდში, როგორც პრეზიდენტ-საპარლამენტო სისტემა. ეს კლასიფიკაცია მართალია, არ მოიცავს ყველა ყოფილ საბჭოთა ქვეყანას, მაგრამ აქ გათვალისწინებულია საქართველო და ამ მხრივ, იგი ჩვენთვის საინტერესოა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ავტორები ამ კლასიფიკაციაში პოსტსაბჭოური სივრციდან ნახევრად საპრეზიდენტო მმართველობის არცერთ სისტემურ მოდელად არ განიხილავენ მაგალითად, აზერბაიჯანს, თუმცა იგი შერეულ მოდელად არის მიჩნეული სამეცნიერო ლიტერატურაში.

ცხრილი 3. ნახევრად საპრეზიდენტო ქვეყნების კლასიფიკაცია სამუელსისა და შუგარტის მიხედვით

№	პრემიერ-საპრეზიდენტო		პრეზიდენტ-საპარლამენტო	
	ქვეყანა	წლები	ქვეყანა	წლები
1.	სომხეთი-2	(2005-2007)	სომხეთი-1	(1998-2005)
2.	ბულგარეთი	(1990-2007)	ავსტრია	(1994-2007)
3.	ხორვატია	(2000-2007)	საქართველო	(2004-2007)
4.	ფინეთი	(1945-2007)	მადაგასკარი-2	(1993-1997)
5.	საფრანგეთი	(1962-2007)	მოზამბიკი	(1994-2007)
6.	ირლანდია	(1952-2007)	ნამიბია	(1990-2007)
7.	ლიტვა	(1991-2007)	პერუ	(1980-92, 2000-2007)
8.	მაკედონია	(1991-1993)	პორტუგალია-1	(1978-1980)
9.	მადაგასკარი-1	(1991-1993)	რუსეთი	(1992-2007)
10.	მალი	(1992-2007)	სენეგალი	(2000-2007)
11.	მოლდოვა	(1991-2001)	შრი ლანკა	(1978-2007)
12.	მონღოლეთი	(1992-2007)	ტაივანი	(1997-2007)
13.	პოლონეთი	(1989-2007)	უკრაინა-1	(1992-2005)
14.	პორტუგალია-2	(1980-2007)		
15.	რუმინეთი	(1990-2007)		
16.	სლოვაკეთი	(1998-2007)		
17.	სლოვენია	(1991-2007)		
18.	უკრაინა-2	(2005-2007)		

შენიშვნა: ცხრილი აღებულია David J. Samuels and Matthew S. Shugart, Presidents, Parties, Prime Ministers: A Framework for Analysis, Forthcoming, Cambridge University Press, April 2009, p. 73.

დასკვნა

ამდენად, ნახევრად საპრეზიდენტო სისტემა, რომელიც მმართველობის სხვა ფორმებთან შედარებით ახალ მოდელს წარმოადგენს, რამდენიმე არსებითი თავისებურებით ხასიათდება. სისტემის მთავარი ნიშანია სახელმწიფოს მეთაურის – პრეზიდენტის პირდაპირი არჩევა, აღმასრულებელი ხელისუფლების კოლეგიური ორგანოს – მთავრობის არსებობა პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით და მთავრობის ანგარიშვალდებულება პარლამენტის წინაშე. ნახევრად საპრეზიდენტო მმართველობის სისტემის პრაქტიკა ადასტურებს, რომ ამ სისტემის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია აღმასრულებელი ხელისუფლების ორმაგი, ე.წ. ბიცეფალური სტრუქტურა. მართალია, ნახევრად საპრეზიდენტო მმართველობის ქვეყნების კონსტიტუციები როგორც წესი, პრეზიდენტს არ განიხილავენ აღმასრულებელი ხელისუფლების მატარებელ ინსტიტუტად, მაგრამ პრაქტიკულად, სახეზეა პრეზიდენტის მნიშვნელოვანი უფლებამოსილებები აღმასრულებელ

ხელისუფლებაში. ასევე, ამ სისტემის მნიშვნელოვან თავისებურებად მიიჩნევა ე.წ. „თანაცხოვრება“, როდესაც პრეზიდენტი ეკუთვნის ერთ პოლიტიკურ პარტიას, ხოლო პარლამენტის უმრავლესობა სხვა პოლიტიკური პარტიის ხელშია. ეს მმართველობის ნახევრად საპრეზიდენტო სისტემის ზოგადი დახასიათებაა. თუმცა, კონსტიტუციური სამართლის თეორიასა და კონსტიტუციურ პრაქტიკაში მმართველობის აღნიშნული სისტემის არაერთი სახე ჩამოყალიბდა. მათ შორის, ორი ძირითადი ქვეტიპი გამოიყოფა: პრემიერ-საპრეზიდენტო და პრეზიდენტ-საპარლამენტო სისტემა. ამგვარი კლასიფიკაცია მმართველობის ნახევრად საპრეზიდენტო სისტემის სხვა მნიშვნელოვან მხარეებსაც წარმოაჩენს. მათ შორის, ერთ-ერთ უმთავრეს თავისებურებას პრეზიდენტსა და საპარლამენტო უმრავლესობას, ასევე, საპარლამენტო უმრავლესობასა და მთავრობას შორის არსებული ურთიერთობები წარმოადგენს. ამდენად, საქართველოში მიმდინარე საკონსტიტუციო რეფორმის პროცესში, ვფიქრობთ, კარგად უნდა გაანალიზდეს მსოფლიო პრაქტიკა და ყველა აღნიშნული თავისებურების გათვალისწინებით, საქართველოსათვის ეფექტიანი მმართველობის სისტემა ჩამოყალიბდეს.

შენიშვნები:

1 Erza N. Suleiman, Presidentialism and Political Stability in France, in The Failure of Presidential Democracy, Comparative Perspectives, Volume 1, Edited b Juan J. Linz and Rturo Valenzuela, The John Hopkins University Press, Baltimore and London, 1994, p. 141.

2 Ibid, p.140.

3 სამეცნიერო კვლევებში ხშირად შეხვდებით მოსაზრებას, რომ ნახევრად საპრეზიდენტო სისტემა პირველად, ჯერ კიდევ, ვეიმარის რესპუბლიკის კონსტიტუციით იყო განსაზღვრული. მართალია, ეს კონსტიტუცია შერეული მოდელის გარკვეულ ნიშნებს შეიცავდა, მაგრამ ნახევრად საპრეზიდენტო სისტემის ფუნდამენტური კვლევები მაინც საფრანგეთის მეხუთე რესპუბლიკას უკავშირდება.

4 Robert Elgie, Semi-Presidentialism in Europe, *Oxford University Press*, 1999, p. 1-2.

5 ევროპულ სამეცნიერო ლიტერატურაში, ნახევრად საპრეზიდენტო მმართველობის ფორმის აღსანიშნავად გამოიყენება რამდენიმე ცნება, მათ შორის: „semi-presidential regime“, „semi-presidential system“. ამიტომაც, ჩვენც დიუვერჟეს სამეცნიერო მოსაზრებების განხილვისას გამოვიყენებთ ქართულ შესატყვისს „რეჟიმი“, თუმცა მასში ბუნებრივია, არ იგულისხმება პოლიტიკური რეჟიმი, არამედ მმართველობის ფორმა კონსტიტუციური სამართლებრივი გაგებით. სხვა დანარჩენ შემთხვევაში კი, გამოვიყენებთ „მმართველობის სისტემა“-ს და „მმართველობის ფორმა“-ს, რაც დამკვიდრებულია ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში.

6 Duverger Maurice: A New Political System Model: Semi-Presidential Government. In: *European Journal of Political Research,* 1980, Vol. 8, No. 2; p. 166.

7 Robert Elgie, The Politics of Semi-Presidentialism, p. 18, is available on the Website: <http://fds .oup.com/www.oup.co.uk/ pdf/0-19-829386-0.pdf>, [accessed: 31.12.2009].

8 Duverger, M. (1978) *Echec au roi.* Paris, In: Robert Elgie, Albin Michel, in: Semi-Presi-dentialism: Concepts, Consequences and Contesting Explanations, *Political Studies Review*, 2004, VOL 2, p. 326.

9 Giovanni Sartori, Comparative Constitutional Engineering: An Inquiry into Structures, Incentives and Outcomes, 2nd ed. (London: Macmillan, 1997), in: Robert Elgie, Varieties of Semi-Presidentialism and Their Impact on Nascent Democracies, *Taiwan Journal of Democracy*, Volume 3, December, 2007, No.2, p. 59-60.

10 Petra Schleiter, Edward Morgan-Jones, Semi-Presidential Regimes: Providing Flexibility or Generating Representation and Governance Problems?, *Paper presented at the annual meeting of the American Political Science Association, Marriott Wardman Park, Omni Shoreham, Washington Hilton, Washington, DC*, Sep 01, 2005, p. 23, the article is available on the Website: <http://www. allacademic.com/meta/ p40927_index.html>, [Accessed: 2009-09-10].

11 Robert Elgie, Varieties of Semi-Presidentialism and Their Impact on Nascent Democracies, Taiwan Journal of Democracy, 2007, Volume 3, No.2: 61.

12 Чиркин В.Е., Нетипичные формы правления в современном государстве, жур. «Государство и право», 1994, № 1, с. 109-116.

13 тамже, с. 113.

14 Чиркин, В. Е., Современное государство, «Международные отношения» М., 2001, с. 155.

15 тамже, с. 148-149.

16 იხ.: Чиркин В.Е., Нетипичные формы правления в современном государстве, გვ. 113.

17 იხ.: Duverger Maurice: A New Political System Model: Semi-Presidential Government, გვ. 167-177.

18 Robert Elgie, The perils of semi-presidentialism, Are they exaggerated? Institutional affiliation, *Democratization,* 15 (1), p. 7. Full text is available on the Website: <http://doras.dcu.ie/4514/>, [Accessed: 31.12.2009].

19 იხ.: Elgie Robert, Two Cheers for Semi-Presidentialism, გვ. 7.

20 Elgie Robert and McMenamin Iain, Variation With Semi-Presidentialism: Cohabitation, Cabinet Stability and Non-partisan Prime Ministers, *Paper presented at the annual meeting of the American Political Science Association, Hyatt Regency Chicago and the Sheraton Chicago Hotel and Towers, Chicago, IL, Aug 30, 2007, p. 7,* Full text is available on the Website: <http://www.allacademic. com/meta/p208883_ index.html>, [Accessed: 2009-09-1].

21 Ibid, p. 7.

22 Cindy Skach, Constitutional Origins of Dictatorship and Democracy, *Constitutional Political Economy,* No.16, 2005, p. 349.

23 Ibid, p. 350.

24 იხ.: Cindy Skach, Constitutional Origins of Dictatorship and Democracy, გვ. 350.

25 იქვე, გვ. 351.

26 Elgie Robert, Two Cheers for Semi-Presidentialism, in Elgie, Robert (2005) *Variations on a theme.* Journal of Democracy, 16 (3), p. 6, Full text is available on the Website: <http://doras.dcu.ie/64/ 1/Two _cheers _for_SP.doc> , [Accessed: 31.12.2009].

27 Ibid, p. 8.

28 იხ.: Elgie Robert, Two Cheers for Semi-Presidentialism, გვ. 9.

29 იქვე, გვ. 15-16.

30 Jung-Hsiang Tsai, Sub-types of Semi-presidentialism and Political Deadlock, *French Politics*, 2008, #6, p. 68-73.

31 ავთანდილ დემეტრაშვილი, ირაკლი კობახიძე, კონსტიტუციური სამართალი, სახელმძღვანელო ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის, თბ., 2008, გვ. 109.

32 ზაზა რუხაძე, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, სახელმძღვანელო იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, რედ. ვალერი ლორია, ბათუმი, 1999, გვ. 181.

33 ოთარ მელქაძე, კონსტიტუციონალიზმი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2005, გვ. 137.

34 ამ სიიდან ავტორის მიერ ამოღებულია ბოსნია და ჰერცოგოვინა, რადგან მისი აზრით, კონსტიტუციის მოდელი დასახასიათებლად ძალიან რთულია.

The Concept and Classification of Semi-Presidential System of Government

MALKHAZ NAKASHIDZE
Assistant Professor
Batumi Shota Rustaveli State University

The present paper canvasses the concept of semi-presidential system, its main characteristics and presents the classification of this system. The system of governance is considered to be semi-presidential if the Constitution provides for three components: a) The direct election of the President of the Republic; b) The President possesses significant powers; 3) The Prime Minister and Ministers are the opposition to the President and are in charge of the Executive Power and will remain in power till the Parliament opposes them.

Besides this general definition, the system of semi-presidential government has other significant features which provide for classification of this system into various models. The classification of semi-presidential government is expounded by the modern scientists, such as by Duverger, Shugart and Carey, Elgie, Skatch and Tsay in the research papers. The first researcher of the system, Duverger identified three types of semi-presidential system: 1) The system with the "symbolic President" (Austria, Ireland and Island); 2. The system with the "President with full powers" (France); 3. The system, where the President and the Government balance each other (Weimer German, Finland and Portugal). According to Duverger the classification is based on the President's powers, the party system, and the context of creating

the system. The subtypes of the model are as follows: Ceremonial President, President with full powers, Balanced President and the Government. Shugart and Carey consider that the Constitutional power of the President to be the basis of the classification. The sub-types are as follows: Presidential-Parliamentary system, Primer-Presidential system. According to Elgie the system classification is based on the powers of President and Prime Minister and the model is divided into: a widely Presidentialized system; a ceremonial President with the strong Prime Minister; and the balanced powers of President and Prime Minister. The basis of the classification suggested by Scatch is the situation of the parties in the Parliament and the system is divided as follows: Governance of consolidated majority; Governance of Divided Majority; and Governance of Divided Minority. Finally, Tsay used the following criteria for the classification: the Constitutional powers of the President and the Parliament; and the situation of parties in the Parliament. The system per se is divided into: the President dominated system; the Primer dominated system; the parliament dominated system, and 'cohabitation' and the balances system of powers.

Thus, the semi-presidential system is a complex model and the classification of the system based on various criteria explains well the nature of the semi-presidential system. Given the Constitutional Reform underway in Georgia, the international practice shall be analyzed appropriately and an effective governance system for Georgia shall be formulated taking into account all the mentioned peculiarities.

რამდენიმე მოსაზრება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სრულყოფასთან დაკავშირებით

რობიზონ ხურცილავა

ხონის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანაშემწე, სამართლის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი

მე-20 საუკუნის 90-იან წლებში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, დამოუკიდებელმა საქართველომ დაიწყო დემოკრატიულ, სამართლებრივ საწყისებზე აგებული კანონმდებლობის შექმნა. 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებული იქნა საქართველოს კონსტიტუცია, რომლის პრეამბულაშივე აღნიშნულია სახელმწიფოს ურყევი ნება დაამკვიდროს დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობლება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო[1].

სასამართლო წესით ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვა გარანტირებულია საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებით და ნორმებით. სასამართლო დაცვის უფლება არის ყველა დანარჩენი უფლება თავისუფლებების განხორციელების აუცილებელი გარანტია, რომელთა დაცვა სახელმწიფოს ვალდებულებაა. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის, აგრეთვე, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების კონვენციის მე-6 მუხლის, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მიხედვით, მართლმსაჯულება უნდა პასუხობდეს სამართლიანობის მოთხოვნებს და უზრუნველყოს უფლებების ეფექტიანი აღდგენა. სასამართლოს დაცვა

უნდა იყოს სრული, რაც გულისხმობს ნებისმიერი პირის არა მხოლოდ შესაძლებლობას მიმართოს სასამართლოს, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, მიიღოს სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება.[2] უფლების სასამართლო წესით დაცვა ასევე, უზრუნველყოფილია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილით, რომლის თანახმადაც, საქმის განხილვას სასამართლო შეუდგება იმ პირის განცხადებით, რომელიც მიმართავს მას თავისი უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად.

ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიღებამდე, საქმეთა განხილვა დაკავშირებული იყო რთულ პროცედურებთან, რაც საბოლოოდ, აჭიანურებდა საქმეზე გადაწყვეტილების მიღებას და შესაბამისად, მის აღსრულებას. მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, რომელიც 1997 წლის 14 ნოემბერს იქნა მიღებული,[3] უფრო თანაფარდობაშია არსებულ სამართლის რეალიებთან, რაც გულისხმობს, რომ საქმეთა დროულად განხილვას, საბოლოოდ კი, ეკონომიის პრინციპისა და მხარეთა უფლებების დაცვას ემსახურება.

ნებისმიერ შემთხვევაში, ახალი საპროცესო კანონმდებლობის შექმნა ორ მიზანს უნდა ემსახურებოდეს. პირველი, თუ როგორ უნდა გახდეს სასამართლო დამოუკიდებელი სამოქალაქო პროცესის ფარგლებში, რათა სამართალწარმოება განხორციელდეს შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის საწყისებზე და მეორე, როგორ გამარტივდეს სამოქალაქო სამართლებრივი დავების განხილვის პროცედურა სამართლის სუბიექტების უფლებების ეფექტიანად დაცვის მიზნით.[4]

მიუხედავად იმისა, რომ დიდი სამუშაო ჩატარდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სრულყოფისათვის, გარკვეული ნორმები მაინც წინააღმდეგობრივი ან/და ბუნდოვანია.

1. აღსანიშნავია, რომ საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვამდე და სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე, აუცილებელია რიგი საპროცესო მოქმედებების განხორციელება, კერძოდ, საქმის მომზადება სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად და ა. შ. ამასთან, მნიშვნელოვანია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლების დაცვა. აღნიშნული მუხლების უგულებელყოფა აფერხებს სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებას. მოცემულ შემთხვევაში, აღნიშნული მუხლებიდან საჭიროა ყურადღების გამახვილება მხოლოდ 72-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმადაც, „სასამართლო უწყებასთან ერთად მოსამართლე მოპასუხეს უგზავნის სარჩელს და თანდართული დოკუმენტების ასლებს. უწყებასთან ერთად მოსამართლე მოსარჩელეს უგზავნის მოპასუხის წერილობითი განცხადების ასლს, თუ ასეთი განცხადება შემოვიდა სასამართლოში უწყების გაგზავნის მომენტისათვის. სასამართლოში შემოსული ყველა წერილობითი დოკუმენტის ასლი შეიძლება გაეგზავნოს მხარეებს უწყების გაგზავნამდე, ასევე, მას შემდეგ, რაც უწყება გაგზავნილია“.

ერთი შეხედვით, ზემოაღნიშნული მუხლი შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, იცავს მხარეთა ინტერესებს, ხელს უწყობს წერილობითი მტკიცებულებების გაცვლას და საქმის მომზადებას მთავარ სხდომაზე განსახილველად, თუმცა, ეწინააღმდეგება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მთელ რიგ მოთხოვნებს. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 184-ე მუხლის თანახმად, სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ მოსამართლე ვალდებულია გასცეს განკარგულება ამ სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მოპასუხისათვის ამ კოდექსის 201-ე მუხლით, დადგენილი წესით გადაგზავნის შესახებ. ამავე კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქმის სასამართლო განხილვისათვის მომზადების მიზნით მოსამართლე უგზავნის მოპასუხეს სარჩელისა და ამ კოდექსით გათვალისწინებული

დოკუმენტების ასლებს, დაუნიშნავს მას ვადას წარმოადგინოს შესაგებელი ან შეგებებული სარჩელი. ამასთან, განუმარტავს შესაგებლის შინაარსს და აფრთხილებს შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, მოსალოდნელი შედეგების შესახებ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლში ცვლილებების განხორციელებამდე, საქმის მომზადების ეტაპზე შესაგებლის წარმოდგენა ფორმალურ ხასიათს ატარებდა და მხარეს შეეძლო თავისი პოზიცია დაეფიქსირებინა სასამართლოს მთავარ სხდომაზეც, მაგრამ ამ შემთხვევაში, მხარეები არათანაბარ მდგომარეობაში იყვნენ, მოპასუხემ უკვე იცოდა, რას მოითხოვდა მისგან მოსარჩელე, რა საფუძველს ემყარებოდა ეს მოთხოვნა და რომელი მტკიცებულებით აპირებდა სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლის დამტკიცება-დადასტურებას. მოსარჩელემ კი, არ იცოდა რა ფაქტობრივ საფუძველს ემყარებოდა მოპასუხის პოზიცია, რა საშუალებით აპირებდა იგი თავის დაცვას და რომელი მტკიცებულებებით.[5] აღნიშნულ მუხლში 2007 წლის 28 დეკემბრის კანონით განხორციელებული ცვლილების თანახმად, სავალდებულო გახდა საქმის მომზადების ეტაპზე მოპასუხის მიერ შესაგებლის წარმოდგენა, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე და 232[1]-ე მუხლების თანახმად, სასამართლოს დაეკისრა ვალდებულება გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. როგორც აღნიშნული მუხლების ანალიზიდან ირკვევა, სასამართლოს მთავარი სხდომა ინიშნება მხარეების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების გაცვლის და საქმის მოსამზადებელი ეტაპის დამთავრების შემდეგ. ცხადია, მტკიცებულებების გაცვლამდე არ ხდება არც მოსამზადებელი სხდომის და არც სასამართლოს მთავარი სხდომის დანიშვნა და უწყების მეშვეობით მხარეთა დაბარება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის მე-2 ნაწილით შემოთავაზებული წინადადება, მხარეს უწყებასთან ერთად გადაეგზავნოს სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლები, არასწორია.

2. გამარტივებულ წარმოებაში მოპასუხე მხარე არ არის შეზღუდული, არ ილახება მისი უფლებები და შესაძლებლობა აქვს დაიცვას საკუთარი ინტერესები შესაგებლის (საჩივრის) წარდგენით. დისპოზიციურობის და შეჯიბრებითობის პრინციპი მთლიანად მოქმედებს გამარტივებული წარმოების დროს და იცავს ორივე მხარის ინტერესებს. სამოქალაქო უფლება-მოვალეობები რეალიზდება პროცესუალურ მოქმედებათა გზით, ამიტომ განუყოფელ კავშირში არიან სუბიექტების მოქმედებასთან,[6] რომლებსაც პროცესულური ნორმების გამოყენებით შეუძლიათ მოახდინონ თავიანთი უფლებების რეალიზაცია.

გამარტივებულ წარმოებასთან დაკავშირებით დისპოზიციურობის პრინციპის შესახებ უნდა ვისაუბროთ ორი მიმართულებით:[7]

პირველი, სასამართლოსადმი საქმის გამარტივებულად განხილვის მოთხოვნით მიმართვა დისპოზიციურობის გამოვლენაა მატერიალური გაგებით. ეს გამოიხატება დაინტერესებული პირის მიერ თავისი უფლების სასამართლო წესით დაცვის ფორმის არჩევაში, მისთვის უპირატესობის მინიჭებაში სხვა ფორმებთან შედარებით.

მეორე, სარჩელით (განცხადებით) მიმართვა საქმის გამარტივებულად განხილვის შესახებ, დისპოზიციურობის გამოვლენაა ფორმალურ-პროცესუალური გაგებით (უფლების დაცვის საპროცესო საშუალების განკარგვა, უფლების დაცვის საშუალებების არჩევა). ეს გამოიხატება სასარჩელო ან გამარტივებული წარმოების, როგორც საერთო იურისდიქციის სასამართლოში დავის გადაწყვეტის გზების არჩევაში. წარმოების არჩევას შეიძლება ვუწოდოთ დისპოზიცი-

ურობის გამოვლენა ფორმალურ-პროცესუალური გაგებით, რადგან ასეთი არჩევა განსაზღვრავს პროცესუალური დაცვის ამა თუ იმ საშუალებებით შემდგომ სარგებლობას, რაც განსხვავდება სასარჩელო და გამარტივებულ წარმოებაში.[8]

რაც შეეხება შეჯიბრებითობის პრინციპის არსებობას გამარტივებულ წარმოებაში, ზეპირი მოსმენის დროს ვლინდება მტკიცებულებათა წარდგენისა და ახსნა-განმარტებების ჩამორთმევის, ხოლო ზეპირი მოსმენის გარეშე მოთხოვნის განხილვისას – შესაგებლის ან საჩივრის წარდგენის დროს.

გამარტივებული წარმოების დროს აშკარა არის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნების უდავობა, რაც ნიშნავს, რომ მოსარჩელის (განმცხადებლის) მოთხოვნები დასაბუთებულია სათანადო მტკიცებულებებით, დოკუმენტებით. კერძოდ, თამასუქისა და ჩეკის თაობაზე აღძრულ სარჩელებზე სათანადო მტკიცებულებას წარმოადგენს მხოლოდ დოკუმენტები (წერილობითი მტკიცებულებები) და მხარეთა ახსნა-განმარტებები. თუმცა, მხარეთა ახსნა-განმარტებები დოკუმენტების (წერილობითი მტკიცებულებების) გარეშე არ არის საკმარისი თამასუქისა და ჩეკის თაობაზე აღძრული სარჩელების გამარტივებული წარმოებით განხილვისათვის. დავალიანების გადახდევინების შესახებ საქმის განხილვის გამარტივებული წესის დროს მტკიცებულებას წარმოადგენს დამოწმებული სახით არსებული დოკუმენტები, საიდანაც უტყუარად დასტურდება მოთხოვნის საფუძვლიანობა. სათანადო წესით დამოწმების გარეშე წარმოდგენილი დოკუმენტი ფულადი დავალიანების გადახდევინების დროს მტკიცებულებას არ წარმოადგენს. ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე საქმის განხილვის გამარტივებული წესის დროს მტკიცებულებას წარმოადგენს ლიზინგის ხელშეკრულება. ხოლო, აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ საქმის გამარტივებული წესით განხილვისას მტკიცებულებას წარმოადგენს დოკუმენტები, რომლებითაც დასტურდება სააქციო საზოგადოების ხმის უფლების მქონე აქციათა არანაკლებ 95%-ის საკუთრება.

ინგლისისა[9] და გერმანიის საპროცესო სამართლის მსგავსად,[10] საქართველოს მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გამარტივებული წარმოება სასარჩელო და უდავო წარმოებისაგან განსხვავებით ძირითადად, დოკუმენტური წარმოებაა.[11] სწორედ დოკუმენტებით შეუძლია დაამტკიცოს პირმა სარჩელის (განცხადების) საფუძვლიანობა და არადოკუმენტური მტკიცებულების გამოყენება გამარტივებულ წარმოებაში შეუძლებელია. სწორედ ამიტომ უწოდებენ იურიდიულ ლიტერატურაში გამარტივებულ წარმოებას „დოკუმენტურ წარმოებას“,[12] რაც გამარტივებული წარმოების არსიდან გამომდინარე, სავსებით სამართლიანია.

ფულადი დავალიანების გადახდევინების შესახებ საქმეები შესაძლებელია სასამართლომ განიხილოს როგორც სასარჩელო, ისე გამარტივებული წარმოებით. სასარჩელო წარმოებისაგან განსხვავებით, გამარტივებული წარმოებისას ფულადი დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადების განხილვა მიმდინარეობს მოპასუხის გარეშე. თუმცა, საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს მოპასუხის ინტერესების დაცვის სრულ შესაძლებლობას. კერძოდ, სასამართლო ვალდებულია თავისი ინიციატივით ჩააბაროს მოვალეს (მოპასუხეს) გადახდის ბრძანება (სსკ-ის 306-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ჩაბარების გარეშე გადახდის ბრძანებას იურიდიული ძალა არა აქვს და ასეთ შემთხვევაში, არ შეიძლება მისი აღსასრულებლად მიქცევა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 307-ე მუხლის პირველი წინადადების თანახმად, მოპასუხეს შეუძლია არ ცნოს გადახდის შესახებ ბრძანება მთლიანად ან ნაწილობრივ

და შეიტანოს მის წინააღმდეგ მოტივირებული შესაგებელი (პროტესტი) სასამართლოში, რომელმაც მიიღო ეს ბრძანება გადახდის ბრძანების მიღებიდან 10 დღის ვადაში.

შესაგებელი თავისი იურიდიული ბუნებიდან გამომდინარე, მოწინააღმდეგე მხარისაგან თავდაცვის საშუალების სახეს წარმოადგენს.[13] მოპასუხეს, რომლის მიმართაც იქნა გამოტანილი გადახდის ბრძანება, თავად აქვს უფლება აირჩიოს თავდაცვის საშუალების სახე და წარადგინოს პროცესუალური ან მატერიალურ სამართლებრივი შესაგებელი ან ორივე ერთად.[14]

გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ გადახდის ბრძანებაზე მოპასუხის მიერ წარდგენილ პრეტენზიას უნდა ეწოდოს არა შესაგებელი, როგორც ეს მოქმედი საპროცესო კოდექსით არის გათვალისწინებული, არამედ საჩივარი, რომლის მიზანი სწორედ გადახდის ბრძანების გაუქმებაა. ზოგადად, შესაგებელი მოპასუხის უფლებების შერბილებული დაცვაა, როცა მოპასუხე არ ეთანხმება მოწინააღმდეგე მხარის მოთხოვნებს,[15] ან პირიქით, ცნობს სარჩელს. გადახდის ბრძანების დროს შესაგებლის წარდგენით მოპასუხე არა მარტო არ ეთანხმება მოსარჩელე მხარის მოსაზრებას, არამედ იმავდროულად, ასაჩივრებს კიდეც მის წინააღმდეგ გამოტანილ გადახდის ბრძანებას, ითხოვს მის გაუქმებას და საქმის საერთო სასარჩელო წესების დაცვით განხილვას. ამდენად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მსგავსად, გადახდის ბრძანებაზე წარდგენილ შესაგებელს უნდა ეწოდოს საჩივარი.

3. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 307-ე მუხლის პირველი წინადადების თანახმად, მოპასუხეს შეუძლია არ ცნოს გადახდის შესახებ ბრძანება მთლიანად ან ნაწილობრივ და შეიტანოს მის წინააღმდეგ მოტივირებული შესაგებელი (პროტესტი) სასამართლოში, რომელმაც მიიღო ეს ბრძანება გადახდის ბრძანების მიღებიდან 10 დღის ვადაში. ამავე მუხლის მეორე წინადადების თანახმად, მოპასუხეს შეუძლია გააპროტესტოს გადახდის შესახებ ბრძანება იმ შემთხვევაშიც, როდესაც გაპროტესტების ვადის გაშვება საპატიო მიზეზით მოხდა. მტკიცების ტვირთი, თუ რამდენად არსებობს საპატიო მიზეზი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, ეკისრება მოპასუხეს. ვადის გაშვება საპატიოდ მიიჩნევა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული პირობების არსებობისას.

საპატიო მიზეზად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მიიჩნევა მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით შეუძლებელს ხდის შუამდგომლობის ან განცხადების წარდგენას. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს შუამდგომლობის ან განცხადების წარუდგენლობაზე.

საპატიო საფუძვლის არსებობის განხილვისას მიზანშეწონილია ყურადღება გამახვილდეს 2007 წლის 18 დეკემბრის კანონით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მეოთხე ნაწილში განხორციელებულ ცვლილებაზე, რომლის თანახმადაც, სასამართლო გადაწყვეტილებებისა და განჩინებების გასაჩივრების განსაზღვრული ვადების გაგრძელება ან აღდგენა დაუშვებელია.

გადახდის ბრძანება, როგორც სასამართლოს მიერ სავალდებულო შესასრულებლად მიღებული აქტი, მიეკუთვნება სასამართლოს გადაწყვეტილებათა კატეგორიას და შესაბამისად,

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მეოთხე ნაწილის მოქმედება ვრცელდება გადახდის ბრძანებაზეც. პრაქტიკულად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ვადის დარღვევით წარდგენილი შესაგებლის შემთხვევაში, ითვალისწინებს ორ ნორმას. პირველი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მესამე ნაწილი, რომლის თანახმად, სასამართლოს გადაწყვეტილებებისა და განჩინებების გასაჩივრების კანონით განსაზღვრული ვადების გაგრძელება ან აღდგენა დაუშვებელია და მეორე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 307-ე მუხლი, რომელიც გადახდის ბრძანების გასაჩივრების შესაძლებლობას ითვალისწინებს იმ შემთხვევაშიც, როდესაც გაპროტესტების ვადის გაშვება საპატიო მიზეზით მოხდა. ასეთ შემთხვევაში, როგორ უნდა მოიქცეს სასამართლო, რომელი ნორმა უნდა იქნეს გამოყენებული – საქართველოს სამოქალაქო კოდესის 59-ე მუხლის მესამე ნაწილი თუ 307-ე მუხლი? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა მოვიხმოთ 2009 წლის 22 ოქტომბრის საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ". აღნიშნული კანონის მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება უფრო გვიან მიღებულ (გამოცემულ) ნორმატიულ აქტს.

კონკრეტულ შემთხვევაში, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მესამე ნაწილი, 307-ე მუხლთან შედარებით უფრო გვიან არის მიღებული და პრაქტიკულად, ვადის აღდგენასთან დაკავშირებით აღნიშნული მუხლით გაუქმებულია 307-ე მუხლის მოქმედება, რაც არასწორია. ვინაიდან, გადახდის ბრძანება მიიღება მოპასუხისათვის შეუტყობინებლად და მისი გასაჩივრებისათვის კანონმდებლის მიერ დადგენილია მჭიდრო ვადები, ამდენად მოპასუხეს უნდა მიეცეს შესაძლებლობა გაასაჩივროს გადახდის ბრძანება საპატიო მიზეზით ვადის დარღვევის შემთხვევაშიც. სასამართლომ უპირველესად, უნდა განიხილოს საკითხი, რამდენად საპატიო მიზეზით ვერ მოხდა მოპასუხის მიერ პროტესტის შეტანა. სასურველია 59-ე მუხლის მე-4 ნაწილში განხორციელდეს ცვლილება და აღინიშნოს, „სასამართლო გადაწყვეტილებებისა და განჩინებების გასაჩივრების კანონით განსაზღვრული ვადების გაგრძელება ან აღდგენა დაუშვებელია, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა". აღნიშნული ცვლილებით, გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ, პირს იმ შემთხვევაშიც შეეძლება გადაწყვეტილების გასაჩივრება საპატიო მიზეზის არსებობისას, თუ ამის შესახებ პირდაპირ მითითებული იქნება კანონში, როგორც ეს გადახდის ბრძანებაზე შესაგებლის წარდგენისას არის გათვალისწინებული. თუ სასამართლო გაშვებულ ვადას, რომლის აღდგენის შესაძლებლობა საპროცესო კოდექსით იქნება შესაძლებელი, საპატიოდ მიიჩნევს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 65-ე მუხლის საფუძვლით აღადგენს გაშვებული ვადას, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოპასუხეს უარი უნდა ეთქვას დასაბუთებული განჩინებით გაშვებული ვადის აღდგენაზე, რაც შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით.

4. გამარტივებულ წარმოებაში მხარეებს წარმოადგენენ ის პირები (სუბიექტი), რომელთა შორის სამართალურთიერთობისას წარმოშობილ დავას უფლების შესახებ გადაწყვეტს სასამართლო. ე.ი. გამარტივებულ წარმოებაში გვაქვს დავა უფლების შესახებ. უფლების შესახებ დავა ეს არის უთანხმოება მხარეებს შორის და ურთიერთსაწინააღმდეგო მოქმედება. აღნიშნულთან დაკავშირებით, ანალოგიური მოსაზრება აქვს გ.ა. ჩერემინს, რომელიც განმარტავს, რომ უფლების შესახებ დავა სხვა არაფერია, თუ არა უთანხმოება, უფლებებისა და მოვალეობების არსებობასთან დაკავშირებით ან სამართალურთიერთობის ან მისი შინაარსის არსებობის

(არარსებობის) გამო მხარეთა შორის შეხედულებათა არათანხვედრის გარეგნული გამოვლინება და ამ არათანხვედრით გამოწვეული მათი ურთიერთსაწინააღმდეგო მოქმედება.[16]

მ.ა. გურვიჩის აზრით, უფლების შესახებ დავა განეკუთვნება მხოლოდ სამოქალაქო საპროცესო სამართლის ინსტიტუტს. მისი განმარტებით, დავის არსებობა, კერძოდ, გადაწყვიტოს იდავოს ან არა, მხოლოდ საპროცესო სამართლის სფეროს წარმოადგენს.[17]

უფლების შესახებ დავას ა. ნ. კოჟუხარი განმარტავს, როგორც უფლებებთან და ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილ მხარეთა განსხვავებულ, ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებებსა და მოქმედებებს.[18]

იარკოვის რედაქციით გამოცემულ რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო პროცესის სახელმძღვანელოში ხაზგასმულია, რომ ბრძანებით წარმოებაში არ არის დავა უფლების შესახებ და მოდავე მხარეები. აქ შენარჩუნებულია მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობის სტრუქტურა და მისი მონაწილეებიც იწოდებიან კრედიტორად და მოვალედ.[19] მატერიალურ-სამართლებრივ ინსტიტუტს მიაკუთვნებს უფლების შესახებ დავას ზაიცევიც.[20]

როგორც აღნიშნულიდან ჩანს, იურისტთა ნაწილი უფლების შესახებ დავას მიაკუთვნებს მატერიალურ-სამართლებრივ, ხოლო ნაწილი – პროცესუალურ სამართლებრივ ინსტიტუტს.

აღსანიშნავია, რომ მართალია, დავის გადაწყვეტა ხდება მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის მეშვეობით, მაგრამ მხარემ, რომლის უფლებაც დაირღვა, შესაძლებელია, საერთოდ არ მოითხოვოს დარღვეული უფლების აღდგენა. უფლების აღდგენის მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოიშობა დავა მხარეებს შორის, რომელიც პროცესუალური ნორმებით რეგულირდება. ამდენად, ჩვენი აზრით, დავა უფლების შესახებ განეკუთვნება მხოლოდ პროცესუალურ-სამართლებრივ ინსტიტუტს.

ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების შესახებ მოსამართლე გამოსცემს ბრძანებას, რომელზეც შესაძლებელია კერძო საჩივრის შეტანა. გამარტივებულ წარმოებაში, მათ შორის, ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების შესახებ საქმეებში, არსებობს უფლებრივი დავა (დავა უფლების შესახებ). გამარტივებული წარმოება სასარჩელო წარმოების ალტერნატიული პროცედურაა, როცა არსებითად წყდება მხარეთა უფლება-მოვალეობების შესახებ საკითხი. რაც შეეხება კერძო საჩივარს, მისი შეტანა მხოლოდ განჩინებებზეა შესაძლებელი, განჩინებებით კი, საქმე არ წყდება არსებითად, არამედ ისინი მიიღება ცალკეულ საპროცესო საკითხებზე. ამდენად, მიგვაჩნია, რომ უფლებრივ დავაში ყოველთვის უნდა მიეცეს მხარეს გასაჩივრების შესაძლებლობა უზენაესი სასამართლოს ჩათვლით და არ უნდა იყოს მხარე შემოფარგლული მხოლოდ კერძო საჩივრის უფლებით, რომელზეც ზემდგომი სასამართლოს მიერ მიღებული აქტი აღარ საჩივრდება. რაც ფაქტობრივად ნიშნავს, რომ პირს, ვის წინააღმდეგაც არის მიმართული ბრძანება, აღარ ეძლევა შესაძლებლობა უფლებრივ დავაში თავი დაიცვას გასაჩივრებით თვით უზენაესი სასამართლოს ჩათვლით, რაც ჩვენი აზრით, დაუშვებელია.

5. საქართველოს მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 305-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო თავისი განჩინებით უარს ეტყვის განმცხადებელს დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადების მიღებაზე, თუ:

ა) იგი არ პასუხობს 34-ე თავის 302-303-ე მუხლებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

ბ) განცხადებაში ჩამოყალიბებული მოთხოვნის საფუძველი (303-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი) ვერ ასაბუთებს ამ მოთხოვნას.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო უფლებამოსილია ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, განმცხადებელს დაუნიშნოს ვადა განცხადებაში ან თანდართულ მასალებში არსებული ხარვეზების შესავსებად (საქართველოს 2005 წლის 20 დეკემბრის კანონი – სსმ, 2005 წ, №55, მუხ. 376). ცვლილების განხორციელებამდე, თუ განცხადება არ აკმაყოფილებდა 305-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნებს, მოსამართლე განმცხადებელს ხარვეზის შესავსებად ვადას არ უნიშნავდა და პირდაპირ ეუბნებოდა უარს განცხადების წარმოებაში მიღებაზე. თუმცა, განცხადების მიღებაზე უარის შესახებ განჩინების გამოტანამდე ვალდებული იყო მოესმინა განმცხადებლისათვის.

როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვანია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 303-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტზე მითითება. კერძოდ, როცა განცხადებაში მითითებული მოთხოვნის საფუძველი ვერ ასაბუთებს მოთხოვნას. საუბარია წამოყენებულ პრეტენზიაზე, რომლის დასასაბუთებლად განცხადებაში მითითებული მტკიცებულება (დოკუმენტი) დამოწმებული სახით უნდა იყოს წარმოდგენილი.

ფულადი დავალიანების გადახდევინების საქმეების გამარტივებული წარმოებით განხილვის დროს დოკუმენტები აუცილებელია წარდგენილ იქნეს დამოწმებული სახით. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლომ უარი უნდა უთხრას გამარტივებული წარმოებით საქმის აღძვრაზე განმცხადებელს. დამოწმებული დოკუმენტების წარდგენას გამარტივებულ წარმოებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, ვინაიდან სასამართლოს მიერ არ ხდება მხარეთა დაბარება და მათგან ახსნა-განმარტებების ჩამორთმევა, ამდენად დოკუმენტის უტყუარობის გარკვევა დამოწმების გარეშე შეუძლებელია. მხოლოდ განმცხადებლის მიერ წარდგენილი დოკუმენტების კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემთხვევაში, შეუძლია მოსამართლეს მიიღოს გადახდის ბრძანება. დოკუმენტების კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობა ნიშნავს დამოწმებული და არა დადასტურებული დოკუმენტების წარდგენას. განსხვავებულად არის აღნიშნული საკითხი მოწესრიგებული საზღვარგარეთის ქვეყნების საპროცესო კანონმდებლობით. კერძოდ, რუსეთის ფედერაციაში გამარტივებული წარმოებით საქმის განხილვისას, მოთხოვნა შეიძლება ეფუძნებოდეს როგორც ნოტარიულად დამოწმებულ,[21] ისე წერილობით ფორმაში შესრულებულ გარიგებას,[22] რა დროსაც სასამართლო გასცემს ბრძანებას.[23] ანალოგიურად გამოიყენება როგორც დამოწმებული, ისე დაუმოწმებელი სახის მტკიცებულება გამარტივებული წარმოებისას ყაზახეთში,[24] ყირგიზეთში.[25] რუსეთის ფედერაციის, ყაზახეთისა და ყირგიზეთისაგან განსხვავებით, გერმანიაში დაუმოწმებელი სახით წარდგენილ მტკიცებულებას, გამარტივებული წარმოების დროს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს მტკიცებულების ძალა, თუ წარდგენილია დოკუმენტის ორიგინალი ეგზემპლარი.[26]

თანამედროვე ქართულ სამართალში ერთმანეთისაგან განასხვავებენ სანოტარო დამოწმებასა და სანოტარო დადასტურებას. სანოტარო დამოწმების დროს ნოტარიუსის მოქმედება ეხება მთელ დოკუმენტს, მის მთელ შინაარსს. ამ დროს ნოტარიუსი ამოწმებს ტექსტის შესაბამისობას მოქმედ სამართალთან და ადასტურებს მას. დოკუმენტის ტექსტი ნოტარიუსმა გარიგების მხარეებს უნდა წაუკითხოს და გააცნოს. ამის შემდეგ გარიგების მხარეები აწერენ ხელს ამ დოკუმენტს, რასაც ნოტარიუსი ადასტურებს. სანოტარო დამოწმებისაგან განსხვავდება სანოტარო დადასტურება. ამ დროს ნოტარიუსი პასუხს არ აგებს დოკუმენტის შინაარსზე და არც არის ვალდებული, რომ იგი მხარეებს წაუკითხოს. მისი მოვალეობაა გარიგების მხარეთა ხელმოწერების ნამდვილობის დადასტურება.[27]

როცა დოკუმენტზე ვსაუბრობთ, მეტად მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ რა სახის მტკიცებულება უნდა ჩაითვალოს უტყუარ დოკუმენტად, რომელზე დაყრდნობითაც სასამართლო მიიღებს გადახდის ბრძანებას. ასეთი დოკუმენტი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით პირდაპირ არ არის გათვალისწინებული. მიგვაჩნია, რომ ასეთ დოკუმენტად უნდა ჩაითვალოს ის წერილობითი მტკიცებულება, რომლითაც უტყუარად (უდავოდ) დასტურდება მოვალის მიერ კრედიტორის მიმართ ფულადი დავალიანების არსებობა. მაგალითად, ნოტარიულად დამოწმებული სესხის ხელშეკრულება, ან/და სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მოვალის მხრიდან ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობას ან გარიგების არსებობას, მხარეთა მიერ შედგენილი და სათანადო წესით დამოწმებული შედარების აქტი და ა.შ. სადავო ფაქტები, რომლებიც თავისთავად ცხადია შედიან მტკიცების საგანში,[28] გამარტივებული წარმოების დროს არ გამოიყენება.

წერილობით მტკიცებულებას ახასიათებს რამდენიმე ნიშანი, ესენია: წერილობითი მტკიცებულება იქმნება ადამიანის მიერ, წერილობით დოკუმენტში (მტკიცებულებაში) ასახული ადამიანის აზრი გადმოცემულია რაიმე ნიშნის გამოყენებით, მტკიცებულებაში გადმოცემული ნიშნები გამოხატავენ ადამიანის აზრს.[29]

მხარეთა მიერ შედგენილი შედარების აქტი, რომელიც დადასტურებულია მათივე ხელმოწერებითა და ბეჭდით, თუ არ არის დამოწმებული სათანადო წესით, გამარტივებული წარმოებისას უტყუარ მტკიცებულებად ვერ ჩაითვლება, ვინაიდან შედარების აქტი[30] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლის[31] ანალიზის საფუძველზე, არ არის ვალის აღიარების შესახებ უტყუარი დოკუმენტი, არ მიეკუთვნება უდავო ფაქტებს და შედის მტკიცების საგანში.[32] მართალია, აღნიშნული მტკიცებულებით შესაძლოა დასტურდებოდეს ვალის არსებობა და სასარჩელო წარმოების დროს სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში იგი საფუძვლადაც დაედოს სასამართლოს გადაწყვეტილებას, მაგრამ გამარტივებული წარმოების არსისა და იურიდიული ბუნებიდან გამომდინარე, არ არის საკმარისი და დამატებით საჭიროებს დამოწმებას სათანადო წესით. ამ ნაწილში ხშირია სასამართლო შეცდომებიც, ვინაიდან მხარეთა მიერ ხელმოწერილ და მათივე ბეჭდით დადასტურებულ შედარების აქტს გადახდის ბრძანების მიღების დროს უტყუარ მტკიცებულებად მიიჩნევენ, რითაც იგნორირებას უკეთებენ გამარტივებული წარმოების ფუნდამენტური საკითხის დასაშვებობის კანონიერად განხილვას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად, უნდა დადასტურდეს გარკვეული მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

ზემოაღნიშნულ მუხლში ჩამოთვლილი მტკიცებულებებიდან ფულადი დავალიანების შესახებ განცხადების განხილვისას, როდესაც მოთხოვნა გამარტივებული წარმოებით იხილება, მტკიცებულებად გამოიყენება მხოლოდ დამოწმებული სახით წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულება, რომელსაც სასამართლო შეფასების საფუძველზე უტყუარ დოკუმენტად მიიჩნევს. სხვა სახის მტკიცებულება, მათ შორის, მხარეთა მიერ შედგენილი და ბეჭდით დადასტურებული შედარების აქტი, თუ სათანადო წესით არ არის დამოწმებული სასამართლომ მტკიცებულებად არ უნდა გამოიყენოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წლის 24 აგვისტო, თბილისი, 2009 წელი;
2. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997 წლის 14 ნოემბერი, საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 1997 წელი, №47-48;
3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997 წლის 26 ივნისი, საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 1997 წელი, №31;
4. საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ", 2009 წლის 22 ოქტომბერი;
5. საქართველოს უზენაეს სასამართლოში, 2008 წლის 25 ივლისს, მოსამართლეთა შეხვედრების შედეგად შემუშავებული რეკომენდაცია;
6. ა. თაბაგარი, გამარტივებული წარმოება საქართველოს სამოქალაქო პროცესში, თბილისი, 2002 წელი;
7. მ. კოპალეიშვილი, ნ. სხირტლაძე, ე. ქარდავა, პ. ტურავა, ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2008 წელი;
8. თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში, პრაქტიკული სახელმძღვანელო, მეორე გამოცემა, თბილისი, 2001 წელი;
9. თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო პროცესის საკითხები საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში, ნაწილი პირველი, თბილისი, 2002 წელი;
10. თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2005 წელი;
11. შ. ქურდაძე, „სამოქალაქო საქმეთა გამარტივებული წესით განხილვის თავისებურებანი", დისერტაცია იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2003 წელი;
12. შ. ქურდაძე, სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში, თბილისი, 2006 წელი;
13. შ. ქურდაძე, სამოქალაქო საქმეთა განხილვა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებში, თბილისი, 2006 წელი;
14. რ. ხურცილავა, დავალიანების გადახდევინების შესახებ საქმის განხილვის გამარტივებული წესი სამოქალაქო პროცესში, თბილისი, 2008 წელი;
15. რ. ხურცილავა, გამარტივებული წარმოება საქართველოს სამოქალაქო პროცესში, თბილისი, 2009 წელი;
16. ლ. ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 1997 წელი;
17. Гражданский процессуальный кодекс Россиской Федерации, М., 2009 г.;
18. Гражданский процессуальный кодекс Республики Казахстан, http://www.minjust.kz/ru/art/гражданский_процессуальный_ кодекс_ республики_ казахстан_0
19. Гражданский процессуальный кодекс Киргизской Республики. М. 2009. г.;
20. Алехина. С. А., Давтян. А. Г., и др. Гражданский процесс зарубежных стран, М., 2008 г.;
21. Аргунов В. Н., Судебный приказ, Приказное производство, Учебник гражданского процесса, под. ред. Треушникова М. К., М., 2001 г.;
22. Гурвич М. А., Решение суда и ответственность обязанного лица. Калинин, 1977 г.;
23. Жилин Г.А., Бриков В.В., Ганичева Е. С. и другие. Комментарий к Гражданскому Процессуальному Кодексу Российской Федерации, М., 2008 г.;
24. Зайцев. И. М., Спор о праве как звено связи материального право с гражданским процессам, Калинин, 1977 г.;
25. Кожухарь А. Н., Наличие спора – как предпосылка на предъявление иска, Кишинев, 1970 г.;
26. Крашенинников П. В., Манылов И.Е., Решетникова И.В., Рузакова.О.А., Гражданский процессуальный кодекс Россиской Федерации. Комментарий, Под. ред. Крашенинникова, М., 2006 г.;
27. Черемин М.А., Приказное производство в российском гражданском процессе, М., 2001 г.;
28. Шакарян М.С., и др. Гражданское процессуальное право России, Учебник, М., 2002 г.;
29. Шак Х., Международное гражданское процессуальное право, Перевод с немецкого, М., 2001 г.;
30. Югелъсон К. С., Судебные доказательства в гражданском процессе, М., 1956 г.;
31. Zivilprozessordnung. http://www.gesetze-im-internet.de/bundesrecht/zpo/gesamt.pdf
32. Luke. W. Zivilprozeârecht. Munchen. 1999.

შენიშვნები:

1 საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წლის 24 აგვისტო, თბ., 2009 წელი.

2 მ. კოპალეიშვილი, ნ. სხირტლაძე, ე. ქარდავა, პ. ტურავა, ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბ., 2008 წელი, გვ. 36-37.

3 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997 წლის 14 ნოემბერი, საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 1997 წელი, №47-48;

4 შ. ქურდაძე, სამოქალაქო საქმეთა განხილვა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებში, თბ., 2006 წელი, წინათქმა.

5 თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო პროცესის საკითხები საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში, ნაწილი პირველი, თბ., 2002 წელი, გვ. 15-16.

6 Шакарян М.С. и др., Гражданское процессуальное право России, Учебник, М., 2002 г., გვ. 99.

7 Черемин М.А., Приказное производство в российском гражданском процессе, М.,2001 г., გვ. 76.

8 შ. ქურდაძე, „სამოქალაქო საქმეთა გამარტივებული წესით განხილვის თავისებურებანი", დისერტაცია იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2003 წელი, გვ. 113.

9 Алехина. С. А., Давтян. А. Г., и др. Гражданский процесс зарубежных стран, М., 2008 г., გვ. 407.

10 Zivilprozessordnung. http://www.gesetze-im-internet.de/bundesrecht/zpo/gesamt.pdf

11 რ. ხურცილავა, გამარტივებული წარმოება საქართველოს სამოქალაქო პროცესში, თბ., 2009 წელი, გვ. 31.

12 Аргунов В. Н., Судебный приказ, Приказное производство, Учебник гражданского процесса, под. ред. Треушникова М. К., М., 2001 г., gv. 334.

13 თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ, 2005 წელი, გვ. 306.

14 შ. ქურდაძე, სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში, თბ., 2006 წელი, გვ. 491.

15 თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2005 წელი, გვ. 37.

16 Черемин М.А., Приказное производство в российском гражданском процессе, М.,2001 г., გვ. 65.

17 Гурвич М. А., Решение суда и ответственность обязанного лица. Калинин, 1977 г., გვ. 51-52.

18 Кожухарь А. Н., Наличие спора – как предпосылка на предъявление иска, Кишинев, 1970 г., გვ. 19.

19 ა. თაბაგარი, გამარტივებული წარმოება საქართველოს სამოქალაქო პროცესში, თბ., 2002 წელი, გვ. 23.

20 Заицев. И. М., Спор о праве как звено связи материального право с гражданским процессам, Калинин, 1977 г., გვ. 44-45.

21 Жилин Г.А., Бриков В.В., Ганичева Е. С. и другие, Комментарий к Гражданскому Процессуальному Кодексу Российской Федерации, М, 2008 г., გვ. 259-265.

22 Крашенинников П. В., Манылов И.Е., Решетникова И.В., Рузакова.О.А., Гражданский процессуалъный кодекс Россиской Федерации, Комментарий, Под. ред. Крашенинникова, М., 2006 г., გვ. 299-305.

23 Гражданский процессуальный кодекс Россиской Федерации, М., 2009 г.

24 Гражданский процессуальный кодекс Республики Казахстан, http://www.minjust.kz/ru/art/гражданский_процессуальный_кодекс_республики_ казахстан_0 მუხლი 140.

25 Гражданский процессуальный кодекс Киргизской Республики, М., 2009 г., მუხლი 247.

26 Zivilprozessordnung. http://www.gesetze-im-internet.de/bundesrecht/zpo/gesamt.pdf მუხლი 703ა.

27 ლ. ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 1997 წელი. გვ. 352-353.

28 Luke. W. Zivilprozeârecht. Munchen. 1999, გვ. 209.

29 Югельсон К. С., Судебные доказательства в гражданском процессе, М., 1956 г., გვ. 191-201.

30 საქართველოს უზენაეს სასამართლოში, 2008 წლის 25 ივლისს, მოსამართლეთა შეხვედრების შედეგად შემუშავებული რეკომენდაცია.

31 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997 წლის 26 ივნისი, საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 1997 წელი, №31.

32 Шак Х., Международное гражданское процессуальное право, Перевод с немецкого, М., 2001 г., გვ. 324.

Several Opinions Regarding the Further Development of the Civil Procedure Code of Georgia

ROBIZON KHURTSILAVA
Assistant to the Judge at Khoni District Court,
Assistant Professor, Doctor of Law

The article discuses several issues in respect of further developing the Civil Procedure Code of Georgia. I consider that it is important to highlight these issues since making a correct assessment of the issues by the courts has a very significant importance from the practical point of view in order to establish a uniform approach. Besides, the opinions exposed therein will facilitate speedy and effective administration of justice.

სასამართლო სტრუქტურების ორგანიზაცია და მართლმსაჯულების ეფექტიანი განხორციელება სამოქალაქო ხასიათის საქმეებზე

ირმა მერებაშვილი
სამართლის დოქტორი, კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სასამართლო სისტემები ზოგადად, სიმრავლითა და ამასთან, მრავალრგოლიანობით ხასიათდება. სასამართლო სისტემათა სიმრავლე იმ მხრივ არის გამოხატული, რომ თითქმის ქვეყნების უმრავლესობაში, როგორც წესი, მოქმედებს საერთო იურისდიქციისა და სპეციალური იურისდიქციის სასამართლოები. საერთო იურისდიქციის სასამართლოები აღჭურვილია ფართო კომპეტენციებითა და მათ შეუძლიათ ყველა იმ საქმის განხილვა, რაც კანონის სპეციალური მითითებით არ განეკუთვნება სხვა ორგანოების კომპეტენციას. სპეციალური სასამართლოების მიერ მართლმსაჯულების განხორციელების კომპეტენცია კი, განსაზღვრულია ნორმატიული აქტებით, პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში. რაც შეეხება სასამართლო სისტემის მრავალრგოლიანობას, ის გვხვდება როგორც საერთო იურისდიქციის, ისე სპეციალური სასამართლოების სისტემებში და გულისხმობს სისტემის შიგნით რამდენიმე სასამართლო

ინსტანციის არსებობას. მრავალრგოლიანობა მიუთითებს პირველი, საშუალო და უმაღლესი ორგანოების არსებობაზე.

პირველი ინსტანციის სასამართლოები უფლებამოსილნი არიან, მიიღონ და განიხილონ სარჩელები არსებითად. ასეთი ფუნქციებით სხვადასხვა ქვეყანაში, აღჭურვილია სასამართლო სისტემის ორი, ზოგჯერ სამი რგოლიც კი. ამ სასამართლოებიდან ყველაზე დაბალი რგოლი ხშირად მოიხსენიება, როგორც შეზღუდული იურისდიქციის სასამართლოები, რამდენადაც მათი კომპეტენცია განისაზღვრება სარჩელის ღირებულებითა და საქმეთა განსაზღვრული კატეგორიებით. ისინი განიხილავენ მარტივ საქმეებს და როგორც წესი, საქმეს მოსამართლე ერთპიროვნულად განიხილავს. პირველი ინსტანციის უფრო მაღალი დონის რგოლში შემავალი სასამართლოები იხილავენ ყველა დავას, რომელიც არ განეკუთვნება ქვედა რგოლის სასამართლო ორგანოების განხილვის სფეროს. ამის გამო, ისინი მოიხსენიებიან როგორც შეუზღუდავი იურისდიქციის სასამართლოები. მათ კომპეტენციაშია რთული საქმეებისა და მნიშვნელოვანი ღირებულების სარჩელების განხილვა, კოლეგიების მეშვეობით, სამი მოსამართლის შემადგენლობით, თუმცა, არ არის გამორიცხული საქმის ერთი მოსამართლის მიერ ერთპიროვნულად წარმოება.

რიგ ქვეყნებში მოქმედებს მომრიგებელი სასამართლოები, რომლებიც ადგილობრივ სასამართლოებს წარმოადგენენ და თავიანთი რანგით პირველი ინსტანციის შეზღუდული იურისდიქციის სასამართლოების ქვემოთ იმყოფებიან. ისინი სისხლის ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა წვრილმან საქმეებს განიხილავენ და რაც ჩვენთვის საყურადღებოა, უმნიშვნელო ხასიათის კერძოსამართლებრივ დავებს. მეორე ინსტანციის სასამართლოები, რომლებიც სასამართლო სისტემაში საშუალო რგოლის სასამართლოებად გვევლინებიან, დაკავებულნი არიან პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და სხვა აქტების კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმებით. როგორც წესი, ეს სასამართლოები სააპელაციო სასამართლოებს წარმოადგენენ. უმაღლესი სასამართლო ინსტანცია, რომელიც მოქმედებს მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე, თითქმის ყველგან გვხვდება უზენაესი სასამართლოს სახით, ხოლო ფედერაციულ სახელმწიფოებში – უმაღლესი ფედერალური სასამართლოს სახით. ამ სასამართლო ორგანოს ახასიათებს ორი ყველაზე გამოკვეთილი ფუნქციის შესრულების უზრუნველყოფა. ის ახორციელებს სასამართლო აქტების კანონიერების საბოლოო შემოწმებას და ამასთან, უზრუნველყოფს მთელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე სამართლის ნორმების გამოყენებისა და განმარტების ერთგვაროვნებას.

ზოგიერთ ქვეყანაში, ვინაიდან სახეზეა რამდენიმე სრულყოფილი სასამართლო სისტემა, მოქმედებს რამდენიმე უმაღლესი სასამართლო ორგანო. ასე მაგალითად, გერმანიაში მოქმედებს რამდენიმე ფედერალური სასამართლო, რომლებიც ახორციელებენ კანონით დაკისრებულ ფუნქციებს. ასეთებია: საერთო იურისდიქციის ფედერალური უზენაესი სასამართლო, ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლო, ფედერალური საფინანსო სასამართლო, შრომითი დავების განმხილველი ფედერალური სასამართლო, სოციალურ საკითხთა ფედერალური სასამართლო.[1] რუსეთის ფედერაციაში ასევე, მოქმედებს ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი უზენაესი სასამართლო და უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლო. თუმცა, თუ შევადარებთ გერმანიის და მსგავსი ტიპის სასამართლო სისტემის ქვეყნებში მოქმედი სასამართლო სისტემების საქმიანობისა და საქმისწარმოების პრინციპებს რუსეთის ფედერაციასა და მსგავსი სასამართლო სისტემების ქვეყნებში მოქმედი სასამართლო სისტემების საქმიანობას, ადვილი მისახვედრია, რომ პირველ შემთხვევაში, საუბარია ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ სასამართლო დაწესებულე-

ბებზე, რომლებიც მართლმსაჯულებას ახორციელებენ პრინციპულად განსხვავებულ სამართალურთიერთობებთან მიმართებაში და განსხვავებულ ნორმატიულ აქტებს იყენებენ. შესაბამისად, გამორიცხულია ალბათობა, რომ ერთი და იგივე სამართლებრივი ნორმის განმარტება არსებობდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციის სახით. რაც შეეხება მეორე ვარიანტს, რამდენადაც ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა, არცთუ იშვიათად, იყენებს სამოქალაქო სამართლის ერთსა და იმავე დებულებებს, რასაკვირველია, ეს არ გამორიცხავს ამ დებულებების პრაქტიკაში გამოყენებისა და განმარტების ურთიერთსაწინააღმდეგო ხასიათს.

სასამართლო სისტემების სიმრავლე და იმავდროულად, მათი მრავალრგოლიანობა, უწყებრივი ქვემდებარეობის და განსჯადობის საპროცესო ინსტიტუტებისათვის რთულ პრობლემებს ქმნის. თუმცა, სასამართლოს არასწორად შერჩევა თავისთავად არ გულისხმობს სარჩელზე უფლების დაკარგვას. როგორც წესი, საპროცესო კანონმდებლობების უმრავლესობა ითვალისწინებს საქმეთა ერთი სასამართლოდან მეორეში გადაცემას, რაც უზრუნველყოფს დავის განხილვის შესაძლებლობას.

საზღვარგარეთის რიგ განვითარებულ ქვეყნებში მოქმედი, სამოქალაქო ხასიათის საქმეთა განმხილველი სასამართლო სისტემების უმრავლესობა, როგორც ზემოთ აღინიშნა, წარმოდგენილია საერთო და მის პარალელურად მოქმედი სპეციალური სასამართლოების სისტემის სახით, თითოეული სისტემა კი, მრავალრგოლიანობით. საზღვარგარეთის რიგი ქვეყნების მსგავსად კი, განსხვავებული პრინციპითაა დადგენილი სამოქალაქო საქმეთა განხილვა საქართველოში, რამდენადაც ეს უფლებამოსილება მხოლოდ საერთო იურისდიქციის სასამართლოებს აქვთ გადაცემული.

სასამართლო ინსტანციების ორგანიზებისა და მათთვის ფუნქციების მინიჭებისას, რასაკვირველია, მნიშვნელოვანია, სასამართლო რგოლების საქმიანობის ისე მოწყობა, რომ სასამართლო პროცედურები ტარდებოდეს საპროცესო ურთიერთობის მონაწილეთათვის მაქსიმალურად მოხერხებულად და მისაღებად. პროცესში ჩართული პირებისათვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს პროცესუალური უფლებებისა და გარანტიების დაცვა.

თითქმის ყველა ქვეყანაში, საშუალო რგოლის სასამართლოები წარმოდგენილია სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებით, რომლებიც ახორციელებენ პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმებას, საქმეთა ხელახალი, არსებითი განხილვის საფუძველზე. რაც შეეხება უზენაეს სასამართლოებს, ეს რგოლი ყველა ქვეყანაში მოქმედებს, როგორც მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე უმაღლესი სასამართლო ორგანო და ახორციელებს სასამართლო აქტების კანონიერების საბოლოო შემოწმებას. ამასთან, უზრუნველყოფს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე სამართლის ნორმების ერთგვაროვან განმარტებებსა და გამოყენებას. ზოგიერთ ქვეყანაში მოქმედებს რამდენიმე უმაღლესი სასამართლო ორგანო.

განვითარებული ქვეყნების საპროცესო კანონმდებლობების ანალიზიდან ირკვევა, რომ საფრანგეთში, გერმანიაში, ავსტრიაში, შვეიცარიაში, ინგლისში, აშშ-ში, რუსეთში კერძოსამართლებრივი დავები იხილება როგორც საერთო, ისე სპეციალური იურისდიქციის სასამართლოების მიერ. საბერძნეთში, ესპანეთში, იტალიაში, საქართველოში სამოქალაქო ხასიათის საქმეთა განხილვა შედის მხოლოდ საერთო სასამართლოების იურისდიქციაში. მიუხედავად იმისა, საქმეებს სპეციალური იურისდიქციის სასამართლოები განიხილვენ თუ საერთო სასამართლოები, ისინი გადიან იმ ინსტანციებში განხილვას, რომლებიც შექმნილია ამ სასამართლოების სისტემაში.

სასამართლო ინსტანციების საქმიანობის კომპეტენციები, ყველა ქვეყანაში დადგენილია შესაბამისი ქვეყნის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებებით. გარდა ინსტანციათა კომპეტენციებისა, მეტად საყურადღებო და მნიშვნელოვანია კონკრეტულ საქმეთა განსახილველად დაშვების საფუძვლები, როგორც პირველი, ისე მეორე და მესამე ინსტანციების სასამართლოებში. პირველი ინსტანციის სასამართლოებში, როგორც წესი, დასაშვებია ყველა საქმე, რომელიც უწყებრივი ქვემდებარეობის შესაბამისად, სასამართლოს განხილვას ექვემდებარება. თუმცა, თუ პირველი ინსტანცია ერთზე მეტი რგოლითაა წარმოდგენილი, მათ შორის, საქმეთა განხილვის უფლებამოსილების გამიჯვნა ხდება საქმეთა გვარეობითი ნიშნით ან მისი ღირებულების მიხედვით. ამის მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-14 მუხლის შესაბამისად, მაგისტრატი მოსამართლეების (რომლებიც შედიან რაიონულ სასამართლოებში) განსჯად სამოქალაქო საქმეებად მითითებულია ისეთი ქონებრივი დავები, რომელთა ღირებულება არ აღემატება 2000 ლარს; უდავო და გამარტივებული წარმოების საქმეები, გარდა, შვილად აყვანისა, აგრეთვე, გამარტივებული წესით გადახდის და ქონების უპატრონოდ ცნობის საქმეებისა, თუ მოთხოვნის ან ქონების ღირებულება აღემატება 2000 ლარს; ასევე, საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე დავები, გარდა მშობლის უფლების ჩამორთმევის, მამობის დადგენის და განქორწინების საქმეებისა, თუ მეუღლეებს შორის არსებობს ბავშვის მიკუთვნების თაობაზე დავა. რაც შეეხება რაიონული ან საქალაქო სასამართლოს სხვა მოსამართლეების განსახილველ საქმეებს, ისინი იხილავენ სხვა ყველა საქმეს, რაც მაგისტრატი მოსამართლეების განსჯადობას არ განეკუთვნება. თუმცა, კონკრეტულ სასამართლოში მაგისტრატი მოსამართლეების არარსებობის შემთხვევაში, ყველა კატეგორიის სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებულ საქმეს რაიონული ან საქალაქო სასამართლოს მოსამართლეები იხილავენ.[2]

საფრანგეთში, პირველი ინსტანციის საერთო იურისდიქციის სასამართლო ორი რგოლითაა წარმოდგენილი, რომელთაგან უფრო დაბალს – საოლქო სასამართლოს განსახილველად ექვემდებარება სანივთო სარჩელები, რომელთა ღირებულება არ აღემატება 7600 ევროს, ასევე ვალდებულებითი სამართალურთიერთობიდან გამომდინარე დავები. რაც შეეხება დიდი ინსტანციის ტრიბუნალს, ისინი, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოები, იხილავენ ყველა საქმეს, რომლებიც კანონის პირდაპირი მითითებით, სხვა სასამართლო ორგანოების განხილვას არ ექვემდებარება.[3]

გერმანიაში, საუბნო სასამართლოს, როგორც საერთო იურისდიქციის სასამართლოებში პირველი ინსტანციის ქვედა რგოლის სასამართლოს განსჯადია ყველა საქმე, რომლის ღირებულება არ აღემატება 5000 ევროს. ასევე, ღირებულებისაგან დამოუკიდებლად ვალდებულებითი ურთიერთობებიდან და საოჯახო სამართალურთიერთობებიდან გამომდინარე, რიგი საქმეებისა. რაც შეეხება მიწის სასამართლოს, რომელიც პირველ ინსტანციაში ზედა რგოლს წარმოადგენს, მის კომპეტენციას განეკუთვნება ყველა სხვა საქმე, რომლებიც არ შედის საუბნო სასამართლოების განხილვის სფეროში.[4] ავსტრიაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად, საერთო იურისდიქციის სასამართლოებში პირველი ინსტანციის ქვედა რგოლის – რაიონული სასამართლოს განხილვის კომპეტენციაშია ქონებრივი მოთხოვნები, რომელთა ღირებულება არ აღემატება 10000 ევროს, ასევე, სარჩელის ფასისაგან დამოუკიდებლად, საოჯახო და სოციალური ურთიერთობებიდან გამომდინარე საქმეები. რაც შეეხება ზედა რგოლს – მიწის სასამართლოებს, მათ კომპეტენციაშია ყველა ის საქმე, რომლებიც რაიონული სასამართლოს განსჯადობას არ ექვემდებარება.[5]

ესპანეთში პირველი ინსტანციის ქვედა რგოლის სასამართლო – მომრიგებელი სასამართლო უფლებამოსილია, განიხილოს დაახლოებით 50 ევროს ღირებულების სარჩელები. პირველი ინსტანციის სასამართლოები უფრო ფართო კომპეტენციითაა აღჭურვილი და მათი განსჯადია სამოქალაქო საქმეები როგორც მნიშვნელოვანი, ისე საშუალო და დაბალი ღირებულებით.[6]

რუსეთში უფრო რთული სისტემითაა წარმოდგენილი პირველი ინსტანციის წესით საქმეთა განხილვა. პირველი ინსტანციით სამოქალაქო საქმეებს იხილავს: მომრიგებელი მოსამართლე, რაიონული სასამართლო, რესპუბლიკების უზენაესი სასამართლოები, სამხარეო და საოლქო სასამართლოები, ფედერალური მნიშვნელობის ქალაქის სასამართლოები, ავტონომიური ოლქების სასამართლოები, ავტონომიური რეგიონების სასამართლოები და ასევე, რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლო. მათ შორის საქმეები განაწილებულია ძირითადად, გვარეობითი განსჯადობის მიხედვით.[7]

გაცილებით საყურადღებოა სააპელაციო და უმაღლესი ინსტანციის სასამართლოებში სამოქალაქო საქმეთა განსახილველად დასაშვებობის საფუძვლები, რამდენადაც თუ მხარე ვერ იღებს მისთვის სასურველ შედეგს პირველი ინსტანციის სასამართლოში, ცდილობს ეს ხარვეზი შეავსოს ზედა ინსტანციის სასამართლოებში გადაწყვეტილების გასაჩივრების გზით.

სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს როგორც საქმეში არსებული ფაქტების, ისე გამოყენებული სამართლის საკითხებზე. საქმის სააპელაციო წესით განხილვა გულისხმობს სააპელაციო სასამართლოს უფლებამოსილებას, საქმე ხელახლა და არსებითად გადასინჯოს. ძირითადად, ეს გარემოება განასხვავებს სააპელაციო სასამართლოს საკასაციო სასამართლოსაგან, რომელიც კლასიკური ფორმულის მიხედვით, ამოწმებს სასამართლო გადაწყვეტილებებს და არა სასამართლო პროცესებს. საკასაციო სასამართლომ ფაქტები ისე უნდა მიიღოს, როგორც ეს ქვედა ინსტანციის მოსამართლეებმა დამოუკიდებლად დაადგინეს, საქმის არსებითად განხილვის შედეგად და აისახა შესაბამის გადაწყვეტილებაში. საკასაციო სასამართლო ამოწმებს, სწორად გამოიყენა თუ არა, სასამართლომ სამართლებრივი ნორმა.[8]

გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 511-ე პარაგრაფის შესაბამისად, სააპელაციო წესით გასაჩივრებას ექვემდებარება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი საბოლოო გადაწყვეტილებები. ამასთან, კოდექსი იქვე უთითებს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლებს. სააპელაციო საჩივარი განსახილველად დაიშვება, თუ მისი ღირებულება აღემატება 600 ევროს ან თავად პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით ნებადართულია მისი სააპელაციო წესით გასაჩივრება. ასეთი ნებართვა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გაიცემა, თუ დავას აქვს პრინციპული მნიშვნელობა, ანდა, თუ სააპელაციო სასამართლოს დადგენილება აუცილებელია სამართლის სრულყოფისათვის ან მართლმსაჯულების ერთგვაროვნების უზრუნველყოფისათვის. პირველი ინსტანციის სასამართლომ აპელაციაზე ნებართვა, შესაძლოა, გასცეს მაშინაც, როდესაც მხარის დავალდებულება სასამართლო გადაწყვეტილების მიხედვით, არ აღემატება 600 ევროს. აპელაციაზე ასეთი ნებართვა სააპელაციო სასამართლოსათვის სავალდებულო ხასიათს ატარებს.[9]

რუსეთის ფედერაციაში აპელაციას მხოლოდ მომრიგებელ მოსამართლეთა მიერ განხილულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებები ექვემდებარება. ძირითადად, ეს საქმეები ეხება საოჯახოსამართლებრივ, შრომითი ურთიერთობებიდან გამომდინარე დავებს, ასევე, ქონებრივ დავებს, რომელთა ღირებულება არ აღემატება ფედერალური კანონით დადგენილი შრომის მინიმალური ანაზღაურების ხუთასმაგ ოდენობას.[10]

საფრანგეთში მოქმედი სააპელაციო სასამართლოები იხილავენ სააპელაციო საჩივრებს საოლქო სასამართლოების, დიდი ინსტანციის ტრიბუნალების, ასევე, სპეციალური იურისდიქციის სასამართლოების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებზე.[11] სააპელაციო სასამართლო ფრანგულ საპროცესო სამართალში, მითუმეტეს ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიღების შემდეგ, პროცესის განვითარების კარგი საშუალება გახდა. აღნიშნული კოდექსის 568-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს, თუ ის მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროდ ჩათვლის, შეუძლია განიხილოს საკითხები, რომლებიც განხილვის საგანი სასამართლოში ჯერ არ ყოფილა, ამასთან, შეუძლია, ჩაატაროს დამატებითი საპროცესო მოქმედებები.[12]

საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად, აპელაციას ექვემდებარება ყველა საქმე, რომელზეც პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება არასწორია, ასევე, კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში.[13]

საფრანგეთში, სააპელაციო გასაჩივრების ძირითადი საფუძველია, რომ პირველ ინსტანციაში, საქმის განმხილველმა მოსამართლემ დაუშვა შეცდომა. ნებისმიერი საქმე, თუკი მხარეებს აქვთ ამისი სურვილი, ექვემდებარება აპელაციას.[14]

ავსტრიაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად, საქმეთა სააპელაციო წესით გასაჩივრება ხდება კანონით გათვლილ შემთხვევებში, ასევე, როდესაც მოსამართლე, გამოტანილი გადაწყვეტილებით, შესაძლებლად უშვებს აპელაციას ამ საქმეზე.[15]

რაც შეეხება საქართველოში სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმეთა დასაშვებობის საფუძვლებს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო საჩივარი შეიტანება სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციით გამოტანილ გადაწყვეტილებებზე. ხოლო 365-ე მუხლის მიხედვით, ქონებრივ-სამართლებრივ დავებში დასაშვებია, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1000 ლარს. 366-ე მუხლის შესაბამისად კი, დასაშვებია განმეორებით დაუსწრებლობის გამო გამოტანილ დაუსწრებელ გადაწყვეტილებებზე.[16]

გარდა გვარეობითად განსაზღვრული და დავის ღირებულებაზე დამოკიდებული საფუძვლებისა, რა თქმა უნდა, ყველა ქვეყნის საპროცესო კანონმდებლობები სააპელაციო საჩივარს (ასევე, საკასაციო საჩივარს) დასაშვებად მიიჩნევენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის შეტანილია ამისათვის უფლებამოსილი პირის მიერ და ეხება ამ საქმეში მონაწილე მხარეებს ან მესამე პირების ინტერესებს. სააპელაციო საჩივარი დასაშვები ხდება იმ პირობითაც, რომ იგი განსახილველად წარდგენილია უფლებამოსილ სასამართლოში. სააპელაციო ინსტანციის სასამართლო საქმის განხილვის დროს შებოჭილია სააპელაციო საჩივრის ფარგლებით და კანონი არ ითვალისწინებს არცერთ გამონაკლის შემთხვევას, რომელიც შესაძლებლობას მისცემს სასამართლოს, გასცდეს საჩივარში აღნიშნულ ფარგლებს.[17] დისპოზიციურობის პრინციპის ეს გამოვლინება მოქმედებს თითქმის ყველა ქვეყანაში და ყველა სასამართლო ინსტანციაში.

აპელაციის ინსტიტუტი აძლიერებს პირველი ინსტანციის სასამართლოების პასუხისმგებლობას, რადგან მათი გადაწყვეტილებები სააპელაციო სასამართლოს მიერ შემოწმებას ექვემდებარება როგორც ფაქტობრივად, ისე იურიდიული თვალსაზრისით. რაც შეეხება საკასაციო სასამართლოს, მისი უმთავრესი ამოცანაა, შეამოწმოს საქმის იურიდიული მხარე, ის თუ რამდენად სწორადაა შეფარდებული და გაგებული სამართლის ნორმა თუ შინაარსი, რომელიც სასამართლომ გამოიყენა.[18]

განვითარებული ქვეყნების საპროცესო კანონმდებლობები იცნობს სამოქალაქო საქმეთა წარმოებაში საკასაციო ან სარევიზიო სასამართლოებს, როგორც საქმის განმხილველ საბოლოო სასამართლო რგოლებს. ი. ე. ენგელმანი საყურადღებო დეფინიციებზე მიუთითებს საკასაციო და სარევიზიო სასამართლოების არსთან მიმართებაში. კასაცია, რომელიც ფრანგულ სასამართლოში განვითარდა, მიზნად ისახავს, უზრუნველყოს კანონის გამოყენების ერთიანობა და სასამართლო პრაქტიკის მუდმივობა. საკასაციო სასამართლოს არა აქვს უფლება არსებითად განიხილოს საქმე, მაგრამ შეუძლია, შეცვალოს სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც კანონის დარღვევითაა გამოტანილი ან შეიცავს კანონის არასწორ გამოყენებას. ის არ ატარებს მესამე ინსტანციის სასამართლოს ხასიათს, რამდენადაც, არ შედის საქმის არსებით განხილვაში და თუ აუქმებს უკანონო გადაწყვეტილებას, საქმეს ახალი გადაწყვეტილების გამოსატანად უბრუნებს ქვედა ინსტანციის სასამართლოს. წარმოების ასეთი სახე სამოქალაქო უფლებების დაცვის ინტერესებიდან კი არა, ერთიანი სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრების ინტერესებიდან გამომდინარეობს. გერმანული სამართლის სარევიზიო წარმოებას, მართალია, იგივე მიზნები აქვს, მაგრამ გერმანიასა და ავსტრიაში სარევიზიო სასამართლოები ხელმძღვანელობენ გამორჩეულად პროცესუალური მოსაზრებებით და ქვედა ინსტანციებში დაშვებული შეცდომების გამოსწორების მიზნით, რევიზიისას დაშვებულია, აპელაციის საწყისებზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ან გადაწყვეტილების გაუქმება. ძირითადი არსიც სწორედ ის არის, რომ მხოლოდ პირველი ინსტანციის წარმოება კი არა, საბოლოო გადაწყვეტილებებში არაკანონიერების გამოსწორებაც პროცესუალურ საწყისებზე უნდა ხდებოდეს და შემჭიდროებულია საქმისწარმოებაც, რამდენადაც აღარ ხდება საქმის ქვედა ინსტანციაში დაბრუნება. [19]

ამ პრინციპებს თუ დავაკვირდებით, ადვილად შევამჩნევთ, რომ ქართული საპროცესო კანონმდებლობა შეიცავს კასაციისა და რევიზიის ნაზავს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს უფლებამოსილებებში, რამდენადაც მისი საქმიანობის მიზნები მიმართულია საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტის ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებაზე. თუმცა, ამასთან, მას უფლება აქვს, თავად გამოიტანოს გადაწყვეტილება განსახილველ საქმეზე.[20]

ყურადღებას იმსახურებს საკითხი, თუ რა შემთხვევებში ექვემდებარება სამოქალაქო საქმეები სარევიზიო თუ საკასაციო სასამართლოების იურისდიქციას. გერმანიაში, სადაც საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს სარევიზიო წარმოებას, გვარეობითი ნიშნით გამორიცხულია რიგი საქმეების რევიზია. რევიზიას არ ექვემდებარება ყადაღის დადების ან მოხსნის და უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებები, ასევე, მიწის ნაკვეთების მფლობელობასთან დაკავშირებით გამოტანილი გადაწყვეტილებები. ამასთან, გერმანიის საპროცესო კოდექსის 543-ე პარაგრაფი შეიცავს საინტერესო მითითებას, როდესაც რევიზია შესაძლებელია, თუ ეს დადგენილია გასაჩივრებული სააპელაციო გადაწყვეტილებით ან სარევიზიო სასამართლოს მიერ, რევიზიაზე სააპელაციო სასამართლოს უარის გასაჩივრების შედეგად. ამასთან, მითითებულია, რომ რევიზია უნდა გადაწყდეს, თუ დავას აქვს პრინციპული მნიშვნელობა ან სარევიზიო სასამართლოს დადგენილება საჭიროა სამართლის სრულყოფის ან მართლმსაჯულების ერთგვაროვნების უზრუნველყოფისათვის. სარევიზიო საჩივარი დაფუძნებული უნდა იყოს მხოლოდ იმაზე, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება კანონის ნორმის დარღვევის შედეგს წარმოადგენს. გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად, სარევიზიო სასამართლოსათვის, სააპელაციო სასამართლოს მიერ გარემოებების შეფასება სავალდებულო

ხასიათს ატარებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს შეფასებები დასაშვები და დასაბუთებული სარევიზიო საჩივრითაა გასაჩივრებული. ამასთან, ახალი ფაქტების სახით, რევიზიაში დასაშვებია მხოლოდ ის პროცესუალური დოკუმენტები, რომლებითაც სარევიზიო საჩივარია დასაბუთებული.[21]

ა. გ. დავტიანის მოსაზრებით, რევიზიის დანიშნულება მხარეთათვის მნიშვნელოვანია, რამდენადაც სარევიზიო საჩივრის მეშვეობით, მოსარჩელეს შესაძლებლობა ეძლევა, შეცვალოს თავის სასარგებლოდ სააპელაციო სასამართლოს უკვე შემდგარი გადაწყვეტილება. რაც შეეხება საზოგადოების ინტერესებს, სასამართლო გადაწყვეტილებების რევიზია ემსახურება უფლებათა თავისუფალი დაცვის, სამართლისა და მართლმსაჯულების განვითარებას.[22]

ავსტრიაში, სადაც ასევე სარევიზიო გასაჩივრების წესები მოქმედებს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად, რევიზია დასაშვებია, როდესაც გადაწყვეტილება გასაჩივრებულია მატერიალური საპროცესო ნორმის არასწორად გამოყენების გამო, საკითხი მნიშვნელოვანია სამართლის განვითარების ან ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის, ასევე, როდესაც საპელაციო სასამართლომ სხვაგვარად გადაწყვიტა საქმე, ანდა საერთოდ არ არსებობს ასეთ საქმეზე ზემდგომი ინსტანციის გადაწყვეტილება. გადაწყვეტილების რევიზიის შეზღუდვად საპროცესო კოდექსი ადგენს სადავო საგნის ოდენობასაც და უთითებს, რომ რევიზია არ დაიშვება 4 ათას ევროზე დაბალი ღირებულების საჩივრებზე, თუმცა, ეს კრიტერიუმი არ მოქმედებს საოჯახო დავებთან მიმართებაში. ავსტრიაში სარევიზიო საჩივრის საფუძველია სააპელაციო გადაწყვეტილების არასრულყოფილება, ასევე გარემოება, თუ ის არ ეფუძნება საქმეში არსებულ მასალებს, ანდა გადაწყვეტილება არასწორ შეფასებებზეა დაფუძნებული. საინტერესოა გარემოება, რომლის მითითებას ვხვდებით აღნიშნული კოდექსის 504-ე პარაგრაფში, რომ რევიზიაში შესაძლოა, წარდგენილ იქნას ახალი მტკიცებულებები, თუ ამით ასაბუთებენ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ნაკლს და თუ გადაწყვეტილებაში გაკეთებული შეფასება არ არის ამომწურავი.[23]

საფრანგეთში საკასაციო სასამართლო სპეციალური დეკრეტით, 1790 წელს შეიქმნა, იმ მიზნით, რომ უზრუნველეყო კანონის განმარტების ერთგვაროვნება და ძირითად როლს ასრულებს სასამართლო პრაქტიკის განვითარებაში.[24] საფრანგეთში საკასაციო სასამართლო ამოწმებს ყველა სასამართლო ორგანოს აქტებს, რაც მას განასხვავებს იმ ქვეყნებისაგან, სადაც კასაციას მხოლოდ სააპელაციო გადაწყვეტილებები ექვემდებარება. ფრანგული საპროცესო კოდექსი უშვებს იმ სასამართლო გადაწყვეტილებების კასაციასაც, რომლებიც აპელაციის წესით გადასინჯვას არ ექვემდებარება. საკასაციო სასამართლო ამოწმებს სამართლებრივი ნორმის გამოყენების სისწორეს, მათ შორის, მისი განმარტების თვალთახედვითაც. საკასაციო სასამართლო არ აკონტროლებს სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთებულობასა და ფაქტების გამოკვლევის სრულყოფილებას.

სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, სხვა ქვეყნების კანონმდებლობისაგან განსხვავებით, კასაციას აღარ ექვემდებარება. აპელაციასთან ერთად, საინტერესო სახითაა წარმოდგენილი რუსეთში საკასაციო სასამართლოც, რამდენადაც კასაციას ექვემდებარება არა სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები, არამედ რუსეთის ფედერაციის ყველა სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლებიც პირველი ინსტანციის წესითაა მიღებული. ამ გადაწყვეტილებებში არ მოიაზრება მხოლოდ მომრიგებელ მოსამართლეთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რომ-

ლებიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, მხოლოდ აპელაციას ექვემდებარება. რუსეთის საკასაციო სასამართლო, სხვა საკასაციო სასამართლოებისაგან განსხვავებით, ამოწმებს პირველი ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებების კანონიერებასა და დასაბუთებულობასაც და ამდენად, მას უფლება აქვს, შეაფასოს როგორც საქმეში არსებული, ისე ახლადწარმოდგენილი და მიღებული მტკიცებულებები. ამასთან, სხვა ქვეყნების საკასაციო სასამართლოებისაგან რუსული კოდექსი საკასაციო სასამართლოს იმითაც განასხვავებს, რომ მას უფლება აქვს, კანონიერების ინტერესებიდან გამომდინარე, შეამოწმოს პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება მთლიანად, რაც სცილდება სხვა ქვეყნებში მოქმედი სასამართლო უფლებამოსილების ფარგლებს. ამით, რუსეთის ფედერაციაში მოქმედი საკასაციო ინსტანცია აშკარად წარმოადგენს საბჭოთა პერიოდის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით მოქმედი საკასაციო სასამართლოს მემკვიდრეს.[25]

საქართველოში საკასაციო ინსტანციის სასამართლო ერთი შეხედვით, გერმანული საკასაციო ინსტანციის მსგავსი სასამართლოა. კანონმდებელი ცდილობს, კასაციაში საჩივრის დასაშვებობის საფუძვლები მაქსიმალურად მიუახლოვოს გერმანიის, საფრანგეთის, ავსტრიის საკასაციო ინსტანციებში საქმეთა დასაშვებობის საფუძვლებს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად, კასაციაში საჩივრის დასაშვებობის საფუძვლად აღარ ფიგურირებს საჩივრის ღირებულების ოდენობა, რომელიც არცთუ დიდი ხნის წინათ, თითქმის გადამწყვეტ გარემოებად ითვლებოდა. მოქმედი ნორმების მიხედვით, საკასაციო საჩივრის განსახილველად დასაშვებობის საფუძველია გვარეობითი ნიშნით განსაზღვრული სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებულ დავებზე წარდგენილი საკასაციო საჩივრები. რაც ყველაზე საყურადღებოა, ზოგადად, საკასაციო საჩივარი როგორც ქონებრივ, ისე სხვა არაქონებრივ დავებზე დასაშვებად მიიჩნევა, თუ საქმე სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვისაა მნიშვნელოვანი; თუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; თუ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო, არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; ანდა, თუ გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება, დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე.[26]

საქართველოს საპროცესო კოდექსი კლასიკური გაგებით აყალიბებს საკასაციო საჩივრის საფუძვლებს და მიუთითებს, რომ საკასაციო საჩივარი, შეიძლება, მხოლოდ სააპელაციო გადაწყვეტილების კანონის დარღვევით გამოტანას დაეფუძნოს; ასევე, გადაწყვეტილების შემოწმების ფარგლებად საკასაციო საჩივრის ფარგლებს მიიჩნევს, დასაშვებად თვლის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებებს, რომლებიც ასახულია გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში ან სხდომის ოქმში. გერმანული და ავსტრიული კოდექსების მსგავსად, ქართული კოდექსიც საკასაციო ინსტანციაში დასაშვებად მიიჩნევს იმ ფაქტებზე და მტკიცებულებებზე მითითებას, რომლებიც საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევას ადასტურებს, თუ საკასაციო საჩივარი საპროცესო ნორმების დარღვევას ემყარება. ამ მიდგომებით, მოქმედი ქართული საპროცესო კოდექსი აშკარად განსხვავებული სახით წარმოდგება მის წინამორბედ კოდექსთან შედარებით, რომლის შესაბამისადაც, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების გადასინჯვისას, ე. წ. საზედამხედველო ინსტანციაში, შესაძლებელი იყო, როგორც საქმეში არსებული, ისე დამატებით

წარმოდგენილი მასალების შეფასება და ამ საფუძვლებზე გასაჩივრებული გადაწყვეტილების შემოწმება.[27]

საყურადღებოა, სხვადასხვა ქვეყანაში თავად სასამართლო ინსტანციათა ურთიერთდამოკიდებულებების შესახებ საკითხები. ასე მაგალითად, გერმანიაში მიწის სასამართლოების გადაწყვეტილებები შესაძლოა, გასაჩივრდეს უშუალოდ ფედერალურ სასამართლოში, თუ გადაწყვეტილების გადასინჯვის საგანს წარმოადგენს მხოლოდ სამართლებრივი საკითხი და მოწინააღმდეგე მხარე თანახმაა, მოხდეს სააპელაციო წარმოების გვერდის ავლა; ინგლისში მაღალი სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოს გვერდის ავლით, შესაძლოა, გასაჩივრდეს ლორდთა პალატაში; აშშ-ში საოლქო სასამართლოს სამი მოსამართლისაგან შემდგარი კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საჩივრდება პირდაპირ აშშ-ის უზენაეს სასამართლოში, მაშინ, როდესაც საერთო წესის მიხედვით, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება განიხილება შესაბამის სააპელაციო სასამართლოში; ინდოეთში მხარეს უფლება აქვს, უზენაესი სასამართლოს წინაშე შუამდგომლობა დააყენოს სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე სპეციალური ნებართვის მისაღებად, ისე, რომ გვერდი აუაროს სააპელაციო სასამართლოსა და შტატის მაღალ სასამართლოს. რიგი ქვეყნების, როგორიცაა გერმანია, ესპანეთი, ანდორა, მალტა, პოლონეთი, ხორვატია, ჩეხეთი – საპროცესო კანონმდებლობა სასამართლო გადაწყვეტილებების გადასინჯვის სისტემაში ასევე, საკონსტიტუციო სასამართლოებსაც რთავს. მხარეებს ეძლევათ უფლება, შუამდგომლობით მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს, საბოლოო ინსტანციის უფლებამოსილებით, გააუქმონ ნებისმიერი სასამართლო დადგენილება, რომელიც არღვევს კონსტიტუციით გარანტირებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს.

საქართველოში „საკასაციო გადასინჯვა წარმოადგენს მესამე ინსტანციის სასამართლოს საქმიანობას, რომლის მიზანია კანონიერ ძალაში შეუსვლელი გასაჩივრებული გადაწყვეტილებების კანონიერების შემოწმება.“[28]

იმ ფონზე, როდესაც საკასაციო სასამართლოს განსახილველად აღარ ექვემდებარება საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმების საფუძველზე, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების გადასინჯვა, თუ ყურადღებით გავაანალიზებთ სააპელაციო და საკასაციო თუ სარევიზიო ინსტანციების სასამართლოების დანიშნულებას, საქართველოში შესაბამისი სასამართლოების საქმიანობის პრინციპებს, შეიძლება, დავასკვნათ, რომ კასაციაში საქმის განსახილველად მოსახვედრად არ უნდა წარმოადგენდეს აუცილებლობას სააპელაციო ინსტანციის გავლა. ვფიქრობთ, ზემოაღნიშნული ქვეყნების საპროცესო ნორმებით დადგენილი წესების მსგავსად, საქართველოშიც შესაძლებელი უნდა იყოს, აპელაციის გვერდის ავლით, საკასაციო სასამართლოში იქნას წარდგენილი საჩივარი, მითუმეტეს იმ შემთხვევაში, როდესაც ეს საჩივარი მხოლოდ კანონის დარღვევის ფაქტებს ეფუძნება.

შეუძლებელია, გვერდი ავუაროთ საქმეთა განხილვის ვადებს, რომელიც მნიშვნელოვანია დარღვეული ან სადავოდ გამხდარი უფლების დაცვის პროცესში. უდავოა, რომ სასამართლომ საქმე სამართლიანად უნდა გადაწყვიტოს, მაგრამ ამას უმთავრესად მაშინ აქვს ფასი, როდესაც ეს დროულად მოხდება. დიდი ხნით საქმის გაჭიანურება, თავისი პრაქტიკული შედეგის მხრივ, ხშირად უსამართლობის ტოლფასია.[29] ამ მოსაზრებაში ეჭვის შეტანაც ძნელია. ყველა ქვეყანაში, უდავოდ დიდი ყურადღება ექცევა საპროცესო ვადების ინსტიტუტს, რამდენადაც დარღვეული უფლებების დროულად დაცვა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარემოებაა.

სხვადასხვა ქვეყნის სამოქალაქო საპროცესო კოდექსები სხვადასხგვარ ვადებს აწესებენ ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულებისა თუ ზოგადად საქმის განხილვისათვის. ასეთის არარსებობის შემთხვევაში, ვადებს ადგენს თავად სასამართლო. თუმცა, ფაქტია, რომ ამ ვადების დადგენისა და მოქმედების მიზანი მხოლოდ ერთი უნდა იყოს – დარღვეული ან სადავოდ გამხდარი უფლების დროული დაცვა, რათა თავად ამ მიზნით სასამართლოში მიმართვის უფლებამ აზრი არ დაკარგოს. სასამართლოში უფლების დასაცავად მისული პირებისათვის, სამოქალაქო საქმისწარმოება მოითხოვს დიდ დროსა და სერიოზული მოთმინების უნარს, მითუმეტეს, რომ არასოდეს არ არის ცნობილი, საქმის განვითარებისა და მისი შედეგის შესახებ.

რუსეთის ფედერაციაში მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად, სამოქალაქო საქმეები სასამართლოს მიერ განიხილება და გადაწყდება, სასამართლოში განცხადების შეტანიდან 2 თვის ამოწურვამდე. მომრიგებელი მოსამართლე კი, ვალდებულია, განცხადების წარმოებაში მიღებიდან 1 თვის ამოწურვამდე გადაწყვიტოს საქმე. სამუშაოზე აღდგენისა და ალიმენტის შესახებ საქმეები განიხილება და გადაწყდება 1 თვის ამოწურვამდე. საპროცესო კოდექსი უშვებს, რომ შესაძლებელია, ცალკეული კატეგორიის საქმეებზე ფედერალური კანონით დადგინდეს უფრო შემცირებული ვადები. რუსეთის ფედერაციაში, საკასაციო ინსტანციის სხვადასხვა სასამართლოში და სხვადასხვა კატეგორიის საქმეებისათვის დადგენილია სხვადასხვა ვადა – 5 დღე, 1 თვე, 2 თვე. თუმცა, ნათელია, რომ ეს ვადები არ აჭარბებს პირველ და სააპელაციო ინსტანციაში საქმეთა განხილვისათვის დადგენილ ვადებს, პირიქით, კოდექსი უშვებს, სხვადასხვა საქმეებზე საკასაციო განხილვის უფრო შემჭიდროებული ვადების არსებობას, რაც ფედერალური კანონითაა გათვალისწინებული.[30] ნათელია, რომ რუსული საპროცესო კანონმდებლობის დებულებები აქტიურადაა მიმართული საქმეთა სწრაფად განხილვისა და გადაწყვეტისაკენ.

ავსტრიის, საფრანგეთის, გერმანიის საპროცესო კანონმდებლობები კონკრეტულად არ შეიცავს საქმეთა განხილვისათვის დადგენილ ვადებს. თუმცა, გათვალისწინებულია სხვადასხვა კატეგორიის საქმეთა განხილვის როგორც კანონით, ისე მოსამართლის მიერ ვადების დადგენის შესაძლებლობა. ასე მაგალითად, საფრანგეთის საპროცესო კოდექსის მიხედვით, დადგენილია საქმეთა განხილვისათვის მოკლე და ხანგრძლივი დრო. ეს შეიძლება იყოს 1 დღე, 1 თვე, 1 წელიც კი, საქმეთა ხასიათისა და სირთულის შესაბამისად. გასაჩივრების საგანგებო რეჟიმში – რევიზიაში (რომელიც ასევე მოქმედებს საფრანგეთში) საქმის განხილვის ვადა 2 თვეა, ხოლო თუ მოპასუხემ შესაგებელი არ წარადგინა, სასამართლო 15 დღეში ამთავრებს საქმის წარმოებას. ავსტრიაში, მოსამართლეს უფლება აქვს, თუ საქმის განხილვისათვის კანონით არაა დადგენილი ვადა, თავად განსაზღვროს იგი, კონკრეტული დავის სირთულიდან გამომდინარე.[31] ერთი რამ ცხადია, რომ დიფერენცირებული დამოკიდებულება კონკრეტული კატეგორიის საქმეებისადმი, კიდევ უფრო ზრდის მათი განხილვისა და გადაწყვეტის ეფექტურობას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, სამოქალაქო საქმეებს სასამართლოები განიხილავენ განცხადების მიღების დღიდან არა უგვიანეს 2 თვისა, ხოლო განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე, განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა, შეიძლება, გაგრძელდეს არა უმეტეს 5 თვისა. ამასთან, კოდექსი განსაზღვრავს საქმეთა კატეგორიებს, რომლებიც განხილული უნდა იქნეს არა უგვიანეს 1 თვისა. ეს ვადები მოქმედებდა ყველა ინსტანციის სასამართლოსათვის. თუმცა, 2005 წელს კოდექსში შეტანილი ცვლილე-

ბებით, საკასაციო ინსტანციაში საქმის განხილვისა და გადაწყვეტისათვის დადგინდა განსხვავებული ვადა, რომელიც 6 თვეს შეადგენს. საქართველოში მოქმედი კოდექსის ნორმებს თუ შევადარებთ მის წინამორბედს, ვნახავთ, რომ სამოქალაქო საქმის გადაწყვეტისათვის უფრო მოკლე ვადები იყო დადგენილი, ვიდრე ახლა. სამოქალაქო საქმეების განხილვისათვის, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი სასამართლოს უდგენდა არა უგვიანეს 1 თვეს, განცხადების მიღების დღიდან; კონკრეტულად განსაზღვრული საქმეების განსახილველად კი, თუ მხარეები ერთ ქალაქში ან რაიონში ცხოვრობდნენ, გათვალისწინებული იყო 10 დღის ვადა, სხვა შემთხვევებში – არა უმეტეს 20 დღისა.[32]

საქართველოში მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადებით, საქმის განხილვა, მართალია, უფრო მეტ დროს გულისხმობს, მაგრამ ადამიანი, ალბათ, ამ ვადებზეც გათვლიდა სოციალური თუ იურიდიული მნიშვნელობის პრობლემების მოგვარებას.

როგორც აღვნიშნეთ, საქმეთა განხილვის ვადები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაა დარღვეული ან სადავოდ გამხდარი უფლების დაცვის პროცესში. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში პირდაპირაა მითითებული საპროცესო მოქმედებების კანონით დადგენილ ვადაში შესრულების შესახებ და მიუხედავად ამისა, სამოქალაქო საქმეთა განხილვის სასამართლო პრაქტიკაში საპროცესო კოდექსით დადგენილი ვადების დარღვევის მაგალითები გვხვდება. ბუნებრივია, როდესაც საქმის განხილვა კანონით დადგენილ ვადას სცილდება, რთულია დარღვეული ან სადავოდ გამხდარი სამოქალაქო უფლების დაცვის გარანტიებზე საუბარი. ვფიქრობთ, მართლმსაჯულების ეფექტიანი განხორციელებისას მხარეებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის მნიშვნელოვანია ორი გარემოება – საქმის როგორც სწორად, ასევე სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ ვადებში გადაწყვეტა.

შენიშვნები:

1 Основной закон ФР Германия. 1949. статья 95 М. 2000.
2 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლები 13-14. თბ. 1997.
3 Code de l' organization judiciaire. 1958 art. R 321-1, R 311-1 _ 311-6. ed. 2002.
4 Немецкий закон о судоустройстве. 1877, 23, 71. М. 2000.
5 JN_ ZPO. 49. Wien 2002.
6 Н. Г. Елисеев, დასახ. ნაშრ., გვ. 189.
7 Комментарий к Гражданскому процессуальному кодексу РФ. Стр. 23-27 М. 2007.
8 Bora J. La cassation en matiere civil. P. 1980 2 eme partie, p. 102.
9 Гражданское процессуальное уложение Германии, 511 М. 2006.
10 Гражданский процессуальный кодекс РФ, статья 23 М. 2002.
11 Code de l' organization judiciaire. 1958 art. R 211-1. ed. 2002.
12 Catala P. et Terre F. Procedure civil et voies d' execution. P. 1982 2-eme ed. p.408.
13 Nouveau Code de procedure civil. ed. 2002 art. 543, 545.
14 Couches G. Procedure civil. 9 e ed. 1996 p. 326-327.
15 JN_ZPO. Wien 2002 P. 471.
16 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლები 364-366, თბ., 1997.
17 შ. ქურდაძე, სამოქალაქო საქმეთა განხილვა ზემდგომი ინსტანციის სასამართ-ლოებში, თბ., 2006, ჩგვ. 7.
18 თ ლილუაშვილი, სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში, II გამოცემა .თბ., 2001, გვ. 260, 302.
19 И. Е. Энгельман, Курс русского гражданскаго судопроизводства. Юрьевъ, 1912, стр. 398-399.
20 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლები 391, 411-412, თბ. 1997,
21 Гражданское процессуальное уложение Германии, М., 2006, 542-543, 545, 551, 559.
22 А. Г. Давтян, დასახ. ნაშრ., გვ. 179.
23 JN_ZPO. Wien 2002 P. 502-504.
24 Л. Жюллио де ла Морандьер, დასახ. ნაშრ., გვ. 162.
25 Гражданский процессуальный кодекс РФ, статьи 329, 336, 347. М., 2002.
26 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 391, თბ., 1997.
27 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლები 393, 404, 407, 396, თბ., 1997;
28 შ. ქურდაძე, სამოქალაქო საქმეთა განხილვა ზემდგომი ინსტანციის საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლები 331, 339, თბ., 1964, სასამართლოებში, თბ., 2006, გვ. 75.
29 შ. ქურდაძე, სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში, თბ., 2006, გვ. 249.
30 Гражданский процессуальный кодекс РФ, статьи 154, 348, М. 2002.
31 JN_ZPO. Wien 2002 $ 123. Гражданское процессуальное уложение Германии М., 2006, $ 132, 217, 274, 356, 494a. Nouveau Code de procedure civil. ed. 2002, art. 612-613, Couches G., დასახ. ნაშრ., გვ. 153.
32 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. თბ. 1997 მუხლები 59, 391 საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი. თბ. 1964 მუხლი 106.

Organization of Court Structures and Effectiveness of Justice Administration in the Civil Cases

IRMA MEREBASHVIL
Doctor of Law, Assistant Professor Scholl of Law, Caucasus University

The court systems in many countries worldwide are numerous and consist of many levels. In most of the countries the multiplicity of court systems is reflected in existence of courts of common and special jurisdictions. The scope of common courts is wide and they are authorized to hear all such cases which are not explicitly assigned to the competencies of other bodies. The competences of special courts to administer justice are determined by normative acts where specific cases are explicitly set out. As for the multi-level court system it can be found both in the common and special court systems and it envisages existence of several instances of courts within these court systems. There are first, intermediate and supreme courts.

The grounds of admissibility of civil cases in the appellate and supreme courts are important as in case a party fails to reach a desirable result in the first instance court, this party has an opportunity to fill in this gap by appealing the judgment in higher instance courts. The opportunity to appeal reinforces the responsibility of the first instance courts when they deliver judgments since both factual and legal aspects of the judgments are subject to scrutiny by the appellate court. As for the court of cassation, the main objective of it is to examine the legal aspect of the case, i.e. whether the legal norm has been correctly applied and how correctly the content of the norm has been understood by the court which applied it (See [1]).

The procedural legislation of Georgia is a mix of cassation and revision, as the goals of Supreme Court activities are to establish a uniform practice of hearing and solving the cases. However, it is also authorized to deliver its own judgment on the case (See [2])

Attention should be paid to the issue as to in which cases civil cases are subject to the jurisdictions of revision or cassation courts. Scientist A.G. Davtyan considers that the purpose of revision is important for the parties since the revision appeal allows the plaintiff to change for his/her benefit the judgment already delivered by the court. As for the public interests, revision of court judgments will serve to protect the rights and development of law and justice (see [3]). If we closely analyze the purpose of revision and appeal court instances in Georgia and the principles of operations of relevant courts it can be inferred that in order to take the case to the court of cassation it is not necessary to go to appellate court. I believe that, like it is envisaged by the procedural norms of the above referred countries, it should be also possible in Georgia to take the case to cessation court by bypassing the appellate court even more so when the claim is based on the facts of violation of law.

When discussing the effectiveness of administering justice it is impossible to bypass the issue of the timeframes for considering claims which are one of the significant circumstances in protecting a violated or disputable right. The Civil Procedure Code of Georgia explicitly indicates the timeframes for performing the pro-ce-du-ral acts. However, there are examples of violation of timeframes defined in the Procedure Code in the practice of hearing the civil cases. Definitely, it is difficult to speak about the guarantees to protect the violated or disputable civil right when the hearing of a case is not held within the timeframes established by law. We consider that for effective justice administration the following two circumstances are important for the parties and other interested persons: solving the case correctly; and within the timeframes established by the civil procedure legislation.

FOOTNOTES

1 T. Liluashvili, Proceeding of Civil Cases in Courts. 2nd Edition. Tbilisi 2001, p. 260, 302.

2 Civil Procedure Code of Georgia, Article 391, 411-412. Tbilisi 1997

3 A.G. Davtyan, the referred paper, p. 179.

მოპასუხის მიერ პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობის შედეგები

ფრიდონ გასილაია
ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232[1]-ე მუხლის მიხედვით, მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთან, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო ნიშნავს მთავარ სხდომას, რის შესახებაც მხარეებს ეცნობება ამავე კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სხდომის ჩატარების შემთხვევაში, მოპასუხისაგან მტკიცებულებათა მიღება არ ხდება და სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით.

საპროცესო კანონმდებლობით მოპასუხე ვალდებულია წარადგინოს შესაგებელი, წინააღმდეგ შემთხვევაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ პუნქტის, ამავე მუხლის მე-7 ნაწილისა და 232[1]-ე მუხლის თანახმად, სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას.

საქმის მომზადების სტადიაზე მოპასუხემ უნდა წარადგინოს შესაგებელი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტით განსაზღვრულ ვადაში. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ პუნქტის მიხედვით, შესაგებელში უნდა აღინიშნოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს მოპასუხის მიერ მითითებულ გარემოებებს, ხოლო „ზ“ პუნქტის მიხედვით – არსებობის შემთხვევაში მოპასუხის შუამდგომლობები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, მოპასუხე ვალდებულია პასუხს დაურთოს მასში მითითებული ყველა მტკიცებულება. თუ მოპასუხეს საპატიო მიზეზით არ შეუძლია პასუხთან ერთად მტკიცებულებათა წარდგენა, იგი ვალდებულია ამის შესახებ პასუხში მიუთითოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოპასუხეს ერთმევა უფლება შემდგომში წარადგინოს მტკიცებულებები. მოპასუხე უფლებამოსილია, მტკიცებულებათა წარდგენისათვის მოითხოვოს გონივრული ვადა.

„სამოქალაქო საქმისწარმოება სასამართლოში შეიძლება ორ მთავარ ეტაპად დავყოთ. პირველი ეტაპი – საქმის მომზადება სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად, რომელსაც სხვანაირად შეიძლება ეწოდოს მხარეთა წერილობითი შეჯიბრი. მეორე ეტაპი – საქმის განხილვა მთავარ სხდომაზე, რომელსაც შეიძლება ეწოდოს მხარეთა ზეპირი შეჯიბრი.

მიუხედავად სირთულისა, მომზადების ეტაპი უნდა გაიაროს უკლებლივ ყველა საქმემ, ხოლო მომზადების მიზნით უნდა შესრულდეს ყველა საპროცესო მოქმედება.

სასამართლოს მთავარ სხდომაზე იმ საპროცესო მოქმედებათა შესრულების გადატანა, რომელიც უნდა შესრულებულიყო საქმის მომზადების ეტაპზე, დაუშვებელია, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა და პირობებისა.

მომზადების ეტაპზე სასამართლომ საბოლოოდ უნდა დააზუსტოს და განსაზღვროს გარემოებები, რომლებზეც მხარეები ამყარებენ თავიანთ მოთხოვნებსა და შესაგებელს (მტკიცების საგანი), მტკიცებულებები, რომელთა საშუალებით მხარეებს სურთ ამ გარემოებების დამტკიცება (დადასტურება), მატერიალურ-სამართლებრივი ნორმა (კანონი), რომლის გამოყენებითაც უნდა მოხდეს დადასტურებული გარემოებების იურიდიული შეფასება (კვალიფიკაცია) დაბოლოს, ამ საქმეზე გადაწყვეტილების წინასწარი (არასაბოლოო) პროექტი.“[1]

„საქმის განსახილველად მომზადება არის საერთოდ სასამართლო განხილვის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, რომელიც პროცესის ცალკე სტადიად არის მიჩნეული, ვინაიდან მის გარეშე არ შეიძლება საქმის განხილვა და გადაწყვეტა.

საქმის მომზადების მთავარი მიზანია დროულად ჩატარდეს სასამართლოს მთავარი სხდომა, არ შეფერხდეს საქმის განხილვის მსვლელობა და შეიქმნას პირობები სწორი გადაწყვეტილების მიღებისათვის. საქმის მომზადების პროცესში გასათვალისწინებელია არა მარტო ის, თუ რა კატეგორიის საქმე იხილება, არამედ თვით კონკრეტული დავის ხასიათი, დავის საგანი და საფუძველი, საქმეში მონაწილე პირთა დასწრების სავალდებულოობა, მტკიცებულებათა საკმარისობა და სხვა“.[2]

სწორედ ამითაა განპირობებული, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, მოსარჩელეს სარჩელში მითითებული გარემოებებისა და მტკიცებულებების შევსების უფლება აქვს საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების დამთავრებამდე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 206-ე მუხლის მიხედვით, მხარეები ვალდებულნი არიან, საქმის მომზადების მიზნით შეასრულონ მოსამართლის მითითებები. არასაპატიო მიზეზით

წერილობითი მასალების წარუდგენლობა ან სხვა მოქმედების შეუსრულებლობა ართმევს მხარეს უფლებას, შეასრულოს ასეთი მოქმედება ამ საქმის არსებითად განხილვის დროს.

ასევე, ამავე კოდექსის 215-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, მხარეთა და მათ წარმომადგენელთა შუამდგომლობები და განცხადებები ახალ მტკიცებულებათა წარმოდგენის ან გამოთხოვის შესახებ, სასამართლომ შეიძლება განიხილოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქმის მოსამზადებელ სტადიაზე მხარეს არ შეეძლო მათი წარმოდგენა. აგრეთვე, თუ მათ შესახებ მისთვის ობიექტური მიზეზებით ვერ იქნებოდა ცნობილი და მათი წარმოდგენის საფუძველი წარმოიშვა მთავარ სხდომაზე, ან თუ მხარემ საპატიო მიზეზით ვერ უზრუნველყო შესაბამისი შუამდგომლობებისა და განცხადებების წარმოდგენა საქმის მოსამზადებელ სტადიაზე. ასეთ შემთხვევაში, საქმის განხილვა მხარეთა თხოვნით ან სასამართლოს ინიციატივით შეიძლება გადაიდოს.

სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოაქვს, ვინაიდან შესაგებელი არ იყო წარდგენილი არასაპატიო მიზეზით. შესაგებელს აუცილებლად უნდა დაერთოს მტკიცებულებები. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, მოსამზადებელ სტადიაზე მტკიცებულებათა წარუდგენლობის საპატიო მიზეზი არ არსებობს. მართალია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, საპატიო მიზეზის გამო მოპასუხეს შეუძლია მოითხოვოს მტკიცებულებათა წარდგენისათვის გონივრული ვადა, მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამავე საპატიო მიზეზით მან შესაგებელს ვერ დაურთო ეს მტკიცებულებები. თუ მოპასუხემ წარადგინა შესაგებელი, მაგრამ არ დაურთო მტკიცებულებები და შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე ამ მტკიცებულებათა წარდგენისათვის გონივრულ ვადას, რადგან ისინი საპატიო მიზეზით ვერ დაურთო შესაგებელს, სასამართლო მას ვადას მისცემს. ასეთ შემთხვევაში, საქმე მომზადებულად არ ითვლება, რადგან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 202-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს უნდა გადაეგზავნოს მოპასუხის წერილობითი პასუხისა და მასზე დართული საბუთების ასლები. ეს კი, მოპასუხის მიერ მტკიცებულებების წარდგენის შემდეგ განხორციელდება. ამასთან, რამდენადაც სარჩელზე მოპასუხემ შეადგინა და სასამართლოს ჩააბარა თავისი შესაგებელი, არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232[1]-ე მუხლით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი. შესაგებლის წარდგენით გამოირიცხა სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების ცნობის ვარაუდი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

მხარეთა მიერ თავიანთი მოთხოვნისა თუ შესაგებლის დამტკიცება პირდაპირ შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარეობს. სწორედ ამით არის განპირობებული ის გარემოება, რომ მოპასუხის მიერ შესაგებლის წარუდგენლობისას სარჩელში მითითებული გარემოებები დამტკიცებულად ითვლება. მტკიცებულების ერთ-ერთი სახეა აღიარება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 132-ე მუხლის მიხედვით, ერთი მხარის მიერ ისეთი გარემოების არსებობის ან არარსებობის დადასტურება (აღიარება), რომელზეც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნებსა თუ შესაგებელს, სასამართლომ შეიძლება საკმარის მტკიცებულებად ჩათვალოს და სასამართლო გადაწყვეტილებას საფუძვლად დაუდოს. რამდენადაც მოპასუხემ არ წარადგინა შესაგებელი, ივარაუდება, რომ მან აღიარა სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები.

მტკიცებულებათა წარდგენა მხარეთა ვალდებულებაა. ამ მტკიცებულებებს კი, სამართლებრივ შეფასებას სასამართლო აძლევს. მან უნდა გამოარკვიოს, თუ რამდენად შეუძლიათ ამ ფაქტებს მოსარჩელის მოთხოვნის დასაბუთება იურიდიულად. ამიტომ, გამორიცხული არ არის, რომ მოსარჩელის მიერ მითითებულ ფაქტებს დასაბუთებისათვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდეს. სამოქალაქო პროცესში მტკიცების საგანია მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობის ფაქტები, რომლებზედაც მიუთითებენ მხარეები თავიანთი მოთხოვნისა და შესაგებლის დასაბუთება-გამართლების მიზნით. სარჩელში მითითებული მოთხოვნა მატერიალური სამართლის ნორმიდან უნდა გამომდინარეობდეს. მოსარჩელის პრეტენზია მოპასუხის მიმართ რაიმე უფლების აღდგენის, დაცვის თუ ზიანის ანაზღაურების შესახებ მატერიალური სამართლის შესაბამისი ნორმიდან უნდა გამომდინარეობდეს.

სწორედ აღნიშნულის გამო, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232[1]-ე მუხლში მითითებულია, რომ მოსამართლე სარჩელს დააკმაყოფილებს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას. ასე რომ არ ყოფილიყო, სარჩელი ყველა შემთხვევაში დაკმაყოფილდებოდა მოპასუხის მიერ შესაგებლის წარუდგენლობის გამო, რაც უსაფუძვლო და უკანონო გადაწყვეტილების ტოლფასი იქნებოდა.

„კანონმა შემოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელზე შეპასუხების ვადის გაშვების გამო. ვინაიდან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232[1]-ე მუხლის შესაბამისად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოდის ზეპირი განხილვის გარეშე, ვსაუბრობთ წერილობით ფორმაში გამოხატულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე. საქმის განხილვაზე გამოუცხადებლობის ნაცვლად, აქ გაშვებულია ვადა სარჩელზე შეპასუხების გაცემისათვის, რაც გათვალისწინებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის მე-2 ნაწილში. ამით, უპირველესად დადგენილია, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება შეიძლება გამოტანილ იქნეს მოპასუხის მიმართ, ვინაიდან შეპასუხების ვადა ეხება მხოლოდ და მხოლოდ მოპასუხეს. ამასთან, ვადის ეს გაშვება არასაპატიო უნდა იყოს და ნიშნავს, რომ მოპასუხეს სარჩელის ჩაბარებისას, ერთმნიშვნელოვნად უნდა მიეთითოს შეპასუხების ვადის გაშვების შემთხვევაში მისი შედეგების შესახებ.

არ უნდა არსებობდეს საფუძვლები, რომელთა გათვალისწინებითაც შეიძლება ითქვას, რომ ვადის გაშვება არასაპატიოა. ავადმყოფობის გარდა საპატიო მიზეზი შეიძლება იყოს სარჩელის არსებობის შესახებ ინფორმაციის დაგვიანებით მიღება ადგილზე არყოფნის გამო. მაგალითად, როცა მოპასუხემ გონივრული მიზეზების არსებობისას მოითხოვა ვადის გაგრძელება და შეეძლო ევარაუდა, რომ სასამართლო მის ამ მოთხოვნას დააკმაყოფილებდა. თუ სასამართლო არ დააკმაყოფილებს შემდგომში ამ მოთხოვნას, მოპასუხის ქმედების გამართლება მაინც შეიძლება და მის მიმართ ამ შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა არ შეიძლება. ამასთან, უნდა შეფასდეს მისი თუნდაც, დაგვიანებით მოწოდებული ახსნა-განმარტება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 206-ე მუხლის შესაბამისად.“[3]

შესაგებლის წარუდგენლობის მიუხედავად, დაუშვებელია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა, თუ სახეზეა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული რომელიმე გარემოება. კერძოდ, თუ მოპასუხეს არ ჩაბარებია სარჩელი და მასზე დართული მასალები, ან სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომლებსაც შეეძლოთ ხელი შეეშალათ სასამართლოში შესაგებლის დროულად წარდგენისათვის, არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, ან არ არსე-

ბობს სარჩელის აღძვრის წინაპირობები. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, სასამართლომ უნდა შეწყვიტოს საქმის წარმოება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის შესაბამისად, ხოლო ზემოთ დასახელებული ერთ-ერთი სხვა გარემოების არსებობისას, სასამართლომ უნდა უზრუნველყოს მოპასუხისათვის სარჩელისა და მასზე დართული დოკუმენტების ჩაბარება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით და დროულად აცნობოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები. დაუძლეველი ძალის ან სხვა მოვლენების არსებობისას, რომელთა გამოც, შეუძლებელი გახდა შესაგებლის წარდგენა, სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის ბოლო წინადადების თანახმად, მოპასუხეს უნდა გაუგრძელოს შესაგებლის წარდგენის ვადა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232[1]-ე მუხლის პირველი წინადადების მიხედვით, მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობისას არსებობს ვარაუდი, რომ მოპასუხემ აღიარა სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები. ასეთ დროს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა ზეპირი მოსმენის გარეშე არ ეწინააღმდეგება შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპებს, რადგან მოპასუხეს სრული შესაძლებლობა ჰქონდა თანდართული მასალებით სარჩელის ჩაბარებისას, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში შესაგებლით გაექარწყლებინა მოსარჩელის მიერ მის მიმართ წაყენებული მოთხოვნები. მოპასუხეს ასევე, შეეძლო მოეთხოვა გონივრული ვადა შესაგებლისა და მტკიცებულებების წარდგენისათვის საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში.

შესაგებლის წარუდგენლობის გამო, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა განპირობებულია საპროცესო ეკონომიის პრინციპით, რაც გულისხმობს საქმის დროულად, გაჭიანურების გარეშე გადაწყვეტას. ასეთ შემთხვევაში, გადაწყვეტილება, თუ იგი არ გასაჩივრებულა, მალე შედის კანონიერ ძალაში და მისი აღსრულებაც უმოკლეს ვადაში მოხდება.

ს. დ-ძემ და ლ. მ-ძემ შეიტანეს სარჩელი და აღნიშნეს, რომ მუშაობდნენ ზესტაფონის საჯარო სკოლაში. ს. დ-ძე 1989 წლიდან, ხოლო ლ. მ-ძე 2006 წლის სექტემბრიდან. ისინი გათავისუფლდნენ შრომის კოდექსის 37-ე, 38-ე მუხლების საფუძველზე, 2007 წლის 4 დეკემბრის ბრძანებით.

მოსარჩელეებმა მოითხოვეს სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, რომელიც 2007 წლის 16 ნოემბრამდე თვეში 75 ლარს, ხოლო 2007 წლის 16 ნოემბრიდან 80 ლარს შეადგენდა.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 28 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ს. დ-ძისა და ლ. მ-ძის სარჩელი მოპასუხის მიერ შესაგებლის წარუდგენლობის გამო. საჯარო სკოლის დირექტორს დაევალა აღადგინოს მოსარჩელეები საჯარო სკოლაში დამლაგებლის შტატში და აუნაზღაურდეს თითოეულს 560 ლარი.

ამ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანა ზესტაფონის საჯარო სკოლამ, რომელიც არ დაკმაყოფილდა ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 19 ივნისის განჩინებით.

საჯარო სკოლამ შეიტანა სააპელაციო საჩივარი, რომელშიც მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების, ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ განჩინების გაუქმება და საქმის განხილვა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის მიხედვით, საქმის სასამართლო განხილვისათვის მომზადების მიზნით მოსამართლე დაუნიშნავს მოპასუხეს ვადას, რომ მან წერილობით შეადგინოს თავისი პასუხი (შესაგებელი) სარჩელსა და მასში დასმულ კითხვებზე, აგრეთვე თავისი მოსაზრებები სარჩელისათვის დართული დოკუმენტების შესახებ და ისინი სასამართლოს წარუდგინოს. დანიშნული ვადა არ უნდა აღემატებოდეს 14 დღეს, ხოლო რთული კატეგორიის საქმეებზე – 21 დღეს. ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს საპატიო მიზეზი. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 8 მაისის განჩინებით, საჯარო სკოლას შესაგებლის წარმოდგენისათვის მიეცა 6 დღის ვადა სარჩელისა და თანდართული საბუთების ჩაბარებიდან.

გზავნილი ამ განჩინების შესახებ საჯარო სკოლას ჩაბარდა 2008 წლის 15 მაისს.

მოპასუხეს შესაგებელი უნდა წარედგინა არა უგვინეს 21 მაისისა. შესაგებელი წარდგენილ იქნა 28 მაისს, როცა გამოვიდა დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232[1]-ე მუხლის მიხედვით, მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზებით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთან, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო ნიშნავს მთავარ სხდომას, რის შესახებაც ეცნობებათ მხარეებს ამ კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სხდომის ჩატარების შემთხვევაში, მოპასუხისაგან მტკიცებულებათა მიღება არ ხდება და სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით.

2008 წლის 19 ივნისის სასამართლო სხდომაზე, საჯარო სკოლის დირექტორმა ლ. კ-ძემ განმარტა, რომ გზავნილი ჩაბარდა სკოლის ბიბლიოთეკის გამგეს, რომელმაც სარჩელი თანდართული საბუთებით მას დაგვიანებით გადასცა. არჩევნების დროს იგი დაკავებული იყო წინასაარჩევნო საქმიანობით და ფიზიკურად სკოლაში არ იმყოფებოდა. ჰყავს სასწავლო ნაწილის ორი გამგე, რომლებსაც მისი არყოფნის შემთხვევაში, აქვთ მისი უფლებამოსილება. გზავნილი არც მას და არც სკოლის კანცელარიას არ ჩაბარებია. მოწმის სახით დაკითხულმა ბიბლიოთეკის გამგემ ნ. ზ-ძემ განმარტა, რომ მან გზავნილი ჩაიბარა 15 მაისს, ვერ ნახა დირექტორი, ხოლო პარასკევს თავად არ იყო სამსახურში, რადგან ბავშვი ჰყავდა წაყვანილი თბილისში, სამკურნალოდ და სამშაბათს დაბრუნდა. სასამართლო გზავნილი დირექტორს 20 მაისს ჩააბარა.

აღნიშნული განმარტებით დასტურდება, რომ საჯარო სკოლაში არ არსებობს კანცელარია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილის მეორე წინადადების მიხედვით, ორგანიზაციისათვის გაგზავნილი უწყება უნდა ჩაბარდეს კანცელარიას ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს, ან პირს, ხოლო ასეთის არყოფნის შემთხვევაში – ორგანიზაციის შესაბამის უფლებამოსილ პირს, რომელიც უწყებას ადმინისტრაციას გადასცემს.

მოცემულ შემთხვევაში, რადგან არ არსებობდა კანცელარია, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ბიბლიოთეკის გამგე არ უნდა ჩაითვალოს შესაბამის უფლებამოსილ პირად, ასეთ უფლებამოსილ პირად ითვლება დირექტორი, ან სასწავლო ნაწილის გამგე, რომელთაგან არცერთს არ ჩაბარებია გზავნილი. შესაბამისად, გზავნილი არ არის ჩაბარებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, ამიტომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტის თანახმად, არ არსებობდა დაუსწრებელი

გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი. ამასთან, შესაგებელი წარდგენილ იქნა 28 მაისს, როცა დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოვიდა. აღნიშნული გულისხმობს, რომ მოპასუხეს არ დაუკარგავს ინტერესი აღნიშნულ საკითხზე, შესაგებლის წარდგენა აღარ გულისხმობს სარჩელის ცნობის ვარაუდს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებენ სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე.

აპელანტი შესაგებელში მიუთითებს, რომ გათავისუფლებას საფუძვლად დაედო მოსარჩელეთა მიმართ შედგენილი 2007 წლის 20 ნოემბრის აქტი, რომლის მიხედვით, ისინი ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, რის გამოც დამლაგებლების საქციელი სცილდება ყოველგვარ ზნეობას და მორალს, რაც სასკოლო ცხოვრებისათვის ყოვლად დაუშვებელი და მიუღებელია.

ასეთ შემთხვევაში, სასამართლოს უნდა შეემოწმებინა, იურიდიულად რამდენად გამართლებულია მოსარჩელეთა სასარჩელო მოთხოვნები.[4]

ს/ს „საქართველოს საზღვაო ბანკმა“ სარჩელით მიმართა სასამართლოს და აღნიშნა, რომ 2002 წლის 18 აპრილს, ნ. მ-მა ბანკისაგან აიღო კრედიტი 3000 აშშ დოლარი 28 თვით, თვეში 3%. მისი დავალიანება შეადგენს 758 აშშ დოლარს.

მოსარჩელემ მოითხოვა 758 აშშ დოლარის დაბრუნება.

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 21 აგვისტოს გადაწყვეტილებით, სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობისა და ხანდაზმულობის გამო.

ამ გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა ს/ს „საქართველოს საზღვაო ბანკმა“.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ 2002 წლის 18 აპრილს ნ. მ-მა 2004 წლის 18 აგვისტომდე აიღო 28 თვის ვადით კრედიტი 3000 აშშ დოლარის 3%-ის გადახდით.

ს/ს „საქართველოს საზღვაო ბანკი“-ს სალიკვიდაციო კომისიის 2008 წლის 14 ივლისის დასკვნით, ნ. მ-მა სესხი დაფარა 2004 წლის 29 სექტემბერს. ვადიანი საპროცენტო დავალიანება 2004 წლის 27 აპრილიდან 2004 წლის 29 სექტემბრამდე შეადგენს 758 აშშ დოლარს.

ქობულეთის რაიონულ სასამართლოში ნ. მ-მა განმარტა, რომ თავდაპირველად, 3000 აშშ დოლარი გამოიტანა. შემდეგ ახალი ხელშეკრულებით დაიმატა 3000 აშშ დოლარი და გახდა 6000 აშშ დოლარი. გაცემული კრედიტის ძირი და საპროცენტო თანხა გადახდილ იქნა. ბოლო შენატანი 2006 წლის 11 სექტემბერს განახორციელა. სულ გადახდილი აქვს 10000 აშშ დოლარი. თანხის შეტანის ქვითრები არ გააჩნია. 2007 წლის მარტში აიღო ბანკში ცნობა, რომ არ ჰქონდა ბანკის დავალიანება.

ს/ს „საქართველოს საზღვაო ბანკის“ ლიკვიდატორის 2007 წლის 4 აპრილის ცნობით, ნ. მ-ლს 2007 წლის 4 აპრილის მდგომარეობით ს/ს „საქართველოს საზღვაო ბანკში“ სასესხო დავალიანება არ ერიცხება.

სამოქალაქო კოდექსის 427-ე მუხლის მიხედვით, ვალდებულებითი ურთიერთობა წყდება კრედიტორის სასარგებლოდ ვალდებულების შესრულებით. ამავე კოდექსის 429-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ვალის მიღების შესახებ შედგენილი დოკუმენტი, სადაც არაფერია ნათქვამი პროცენტის შესახებ, გულისხმობს, რომ პროცენტიც გადახდილია და ფულადი ვალდებულებაც მთლიანად შეწყვეტილია.

საზღვაო ბანკის ლიკვიდატორის მიერ გაცემული ცნობიდან გამომდინარე, იგულისხმება, რომ ვალდებულება მთლიანად შეწყვეტილია.

მართალია, პირველ ინსტანციაში მოპასუხეს შესაგებელი არ წარუდგენია, მაგრამ აღნიშნული არ გულისხმობს სარჩელის დაკმაყოფილებას, რადგან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232[1]-ე მუხლის მიხედვით, მოსამართლე შესაგებლის წარუდგენლობის გამო იმ შემთხვევაში დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას.

სამოქალაქო კოდექსის 427-ე მუხლის მიხედვით, ვალდებულებითი ურთიერთობა წყდება კრედიტორის სასარგებლოდ ვალდებულების შესრულებით, ხოლო ამავე კოდექსის 429-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ვალის მიღების შესახებ შედგენილი დოკუმენტი, სადაც არაფერია ნათქვამი პროცენტის შესახებ, გულისხმობს, რომ პროცენტიც გადახდილია და ფულადი ვალდებულებაც მთლიანად შეწყვეტილია. რამდენადაც მოსარჩელის მიერ გაცემული ცნობით მოპასუხეს სასესხო დავალიანება არ ერიცხება, კრედიტის მოთხოვნის შესახებ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად არ ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას. ასეთ შემთხვევაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232[1]-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება კი არ გამოაქვს შესაგებლის წარუდგენლობის გამო, არამედ ნიშნავს მთავარ სხდომას, რის შესახებაც ეცნობება მხარეებს ამ კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სხდომის ჩატარების შემთხვევაში, მოპასუხისაგან მტკიცებულებათა მიღება არ ხდება და სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით, სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებას.

სასამართლო სხდომაზე მოპასუხემ განმარტა, რომ მან აიღო კრედიტი, მაგრამ იგი გადაიხადა პროცენტთან ერთად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

ამავე კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები. მხარეები თავად განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა დადასტურდეს ეს ფაქტები.

ამ ნორმებიდან გამომდინარე, მოსარჩელემ თავისი მოთხოვნა შესაბამისი მტკიცებულებებით უნდა დაამტკიცოს. მოცემულ შემთხვევაში ს/ს „საქართველოს საზღვაო ბანკმა“ ვერ წარმოადგინა მტკიცებულება დავალიანების არსებობის შესახებ. ბანკმა მხოლოდ 2002 წლის 18 აპრილის №7 საკრედიტო ხელშეკრულება წარმოადგინა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, მოსარჩელეს უფლება აქვს საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის, მომზადების დამთავრებამდე შეავსოს სარჩელში მითითებული გარემოებები და მტკიცებულებები.

ამავე კოდექსის 215-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, მხარეთა და მათ წარმომადგენელთა შუამდგომლობები და განცხადებები ახალ მტკიცებულებათა წარმოდგენის ან გამოთხოვის შესახებ, სასამართლომ შეიძლება განიხილოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქმის მოსამზადებელ სტადიაზე, მხარეს არ შეეძლო მათი წარმოდგენა. აგრეთვე, თუ მათ შესახებ მისთვის

ობიექტური მიზეზებით ვერ იქნებოდა ცნობილი და მათი წარმოდგენის საფუძველი წარმოიშვა მთავარ სხდომაზე, ან მხარემ საპატიო მიზეზით ვერ უზრუნველყო შესაბამისი შუამდგომლობებისა და განცხადებების წარმოდგენა საქმის მოსამზადებელ სტადიაზე.

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელემ მთავარი სხდომის დანიშვნის შემდეგ, ე.ი. მოსამზადებელი ეტაპის შემდეგ, მთავარ სხდომაზე დააყენა შუამდგომლობა დამატებითი ხელშეკრულების წარმოდგენის შესახებ. ამ ხელშეკრულებით მოპასუხეს კიდევ აქვს დამატებით 3000 აშშ დოლარი აღებული კრედიტის სახით. მოსარჩელის მიერ არ ყოფილა დასახელებული ამ მტკიცებულების მოსამზადებელ ეტაპზე წარუდგენლობის საპატიო მიზეზი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ამ კანონის მიზნებისათვის, საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ანდა შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. ავადმყოფობა დადასტურებულ უნდა იყოს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით.

საქმის მასალებით არ დასტურდება მოსარჩელისა და მისი წარმომადგენლის ავადმყოფობა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ნათესავებად ითვლებიან: მეუღლე, დანიშნული, პირდაპირი ხაზის ნათესავები, და-ძმა, დისშვილები და ძმისშვილები, მშობლების და-ძმები, დანათესავებულები (მოყვრები), პირები, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ოჯახური ურთიერთობით არიან დაკავშირებულნი. საქმის მასალებით არ დასტურდება მოსარჩელის ან მისი წარმომადგენლის ნათესავის გარდაცვალება, ასეთი გარემოება მის მიერ არც ყოფილა დასახელებული.

2002 წლის 18 აპრილის №7 საკრედიტო ხელშეკრულების 2002 წლის 29 მაისის №1 დამატებით განსაზღვრულია კიდევ 3000 აშშ დოლარის კრედიტის გაცემა მოპასუხეზე, რაც სულაც არ ამტკიცებს მოპასუხის მიერ კრედიტის დაუბრუნებლობას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

პირველი ინსტანციის სასამართლოში მოსარჩელის წარმომადგენელმა განმარტა, რომ მოპასუხეს უნდა წარმოედგინა გადახდის ქვითრები, რადგან მტკიცების ტვირთი გარკვეული თანხის გადახდით ეკისრება მოპასუხეს. ის, რომ ვალდებულება შესრულებული აქვს, მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს. ბანკი შეტანილ თანხაზე ქვითარს არ იძლევა.

ისეთ შემთხვევაში, როცა ბანკი შეტანილ თანხაზე ქვითარს არ იძლევა, ამ თვალსაზრისით, მოპასუხეზე მტკიცების ტვირთის გადაკისრება არამართებულია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232^1-ე მუხლის ბოლო წინადადების მიხედვით, შესაგებლის წარუდგენლობის შემთხვევაში, მოპასუხისაგან მტკიცებულებათა მიღება არ ხდება და სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებას სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით. მართალია, მოპასუხის მიერ არ ყოფილა შესაგებელი წარდგენილი პირველი ინსტანციის სასამართლოში, ასევე არ ყოფილა წარდგენილი მოსარჩელის მიერ გაცემული ცნობა სასესხო დავალიანების არარსებობის შესახებ და იგი მხოლოდ სააპელაციო საჩივარზე შემოტანილ შესაგებელს დაურთო, მაგრამ, როგორც აღინიშნა, სამოქალაქო საპროცესო

კოდექსის მე-4 მუხლისა და 102-ე მუხლის პირველი ნაწილებიდან გამომდინარე, მოსარჩელის მიერ არ ყოფილა წარდგენილი მტკიცებულებები მოპასუხის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შესახებ. რამდენადაც მოსარჩელის მიერ გაცემული ცნობით დასტურდება ვალდებულების შესრულება, მართალია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232[1]-ე მუხლის ბოლო წინადადების მიხედვით, შესაგებლის წარუდგენლობის შემთხვევაში, არ ხდება მტკიცებულებათა მიღება და სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით, მაგრამ ამ ცნობის გაუთვალისწინებლობა გამოიწვევს მოპასუხისათვის უკვე გადახდილი თანხის კვლავ გადახდის დავალდებულებას, რაც ეწინააღმდეგება ევროპის კონვენციის მე 6 მუხლით განსაზღვრულ სამართლიანი სასამართლოს პრინციპს.[5]

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232[1]-ე მუხლის მიხედვით, შესაგებლის წარუდგენლობის მიუხედავად, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად არ ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სასამართლო ნიშნავს მთავარ სხდომას. ასეთ დროს მოპასუხისაგან მტკიცებულებების მიღება არ ხდება და სასამართლო მისგან მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს ისმენს.

მთავარ სხდომაზე მოპასუხის მტკიცებულებათა მიუღებლობა განპირობებულია საქმის გაჭიანურების თავიდან აცილებით. ამასთან, თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილისა, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებს. რამდენადაც, სარჩელზე დართული მტკიცებულებები შესაგებლისა და საპირისპირო მტკიცებულებების წარუდგენლობის მიუხედავად, სასარჩელო მოთხოვნას იურიდიულად არ ამართლებს, სასამართლოს გამოაქვს არა დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოპასუხის წინააღმდეგ, არამედ ჩვეულებრივი გადაწყვეტილება სარჩელის დაუკმაყოფილებლობის შესახებ, რაც შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო წესით.

მთავარ სხდომაზე მოპასუხის მტკიცებულებათა მიღება არ ხდება იმის გამოც, რომ სასარჩელო მოთხოვნა ისედაც გაუმართლებელია იურიდიულად, ანუ უსაფუძვლოა და იგი არ დაკმაყოფილდება.

შესაძლოა, სარჩელში გაერთიანებული იყოს რამდენიმე მოთხოვნა, რომელთაგან ერთი შეიძლება ამართლებდეს იურიდიულად სასარჩელო მოთხოვნას, ხოლო მეორე – არა. ასეთ დროს მაინც ჩვეულებრივი გადაწყვეტილება უნდა გამოვიდეს სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ. აღნიშნული პირდაპირ გამომდინარეობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232[1]-ე მუხლიდან, რომლის მიხედვით, არასაპატიო მიზეზით პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას მოსამართლეს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ, თუ მასში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო ნიშნავს მთავარ სხდომას.

ასეთ შემთხვევაში, მოსარჩელეს შეუძლია შეიტანოს სააპელაციო საჩივარი სარჩელის დაუკმაყოფილებლობის ნაწილში, ან მხოლოდ ერთი მხარის მიერ სააპელაციო საჩივრის შეტანის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია შეიტანოს შეგებებული სააპელაციო საჩივარი სააპელაციო საჩივრის გადაცემიდან ათი დღის ვადაში.

სასარჩელო მოთხოვნის იურიდიულად გაუმართლებლობის შემთხვევაში, კანონმდებელმა ალბათ, იმიტომ ჩათვალა საჭიროდ ზეპირი მოსმენა, რომ დავა წყდება არსებითად, მაგრამ აღნიშნული დასაბუთებულ არგუმენტად არ მიგვაჩნია, რადგან შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობისას, მოპასუხის წინააღმდეგ ზეპირი მოსმენის გარეშე მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებითაც დავა არსებითად გადაწყვეტილად ითვლება. დაუსწრებელი გადაწყვეტი-

ლების გაუსაჩივრებლობის ან საჩივრის დაუკმაყოფილებლობისას, დაუსწრებელი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ დავა მოცემულ მხარეებს შორის საბოლოოდ, დამთავრებულად ითვლება და იგი ისევე აღსრულდება სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონით დადგენილი წესით, როგორც ჩვეულებრივი გადაწყვეტილება. ამ დაუსწრებელი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 266-ე მუხლის თანახმად, მხარეებს და მათ უფლებამონაცვლეებს არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე. აგრეთვე, სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი.

შესაგებლის წარუდგენლობისას, როდესაც სასარჩელო მოთხოვნა მთლიანად ან ნაწილობრივ იურიდიულად გაუმართლებელია, საპროცესო ეკონომიის პრინციპიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სასამართლომ გადაწყვეტილება ზეპირი მოსმენის გარეშე გამოიტანოს. ასეთ გადაწყვეტილებაზე მოსარჩელეს შეუძლია შეიტანოს სააპელაციო საჩივარი, ხოლო თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ამ ნაწილში გასაჩივრების უფლება აქვს მოპასუხეს სააპელაციო წესით. სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილებისას ერთი მხარის მიერ სააპელაციო საჩივრის შეტანის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია ამ საჩივრის მიღებიდან ათ დღეში შეიტანოს შეგებებული სააპელაციო საჩივარი. ზეპირი მოსმენის გარეშე გადაწყვეტილების გამოტანა არ ეწინააღმდეგება შეჯიბრებითობის პრინციპს, რადგან დისპოზიციურობის პრინციპით, მოსარჩელემ თავად მიიღო გადაწყვეტილება სასამართლოში სარჩელის შეტანის შესახებ, ხოლო შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, თვითონ განსაზღვრა, თუ რომელი მტკიცებულებებით უნდა დადასტურებულიყო სარჩელში მითითებული ფაქტები. აღნიშნული მტკიცებულებები არ აღმოჩნდა უტყუარი ან საკმარისი, ხოლო სასარჩელო მოთხოვნა იურიდიულად გამართლებული. სწორედ ამიტომ გამოაქვს სასამართლოს არა დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოპასუხის წინააღმდეგ, არამედ ჩვეულებრივი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ. თუ საქმის გარემოებების გარკვევისათვის საჭიროა მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენა, სასამართლოს შეუძლია დაადგინოს საქმის ზეპირი მოსმენა, მაგრამ მათმა გამოუცხადებლობამ არ უნდა დააბრკოლოს საკითხის გადაწყვეტა. ზეპირი მოსმენის დროს სასამართლომ არ უნდა მიიღოს მტკიცებულებები, რადგან მოსამზადებელ ეტაპზე მოპასუხემ არ წარადგინა. ასეთ შემთხვევაში, სასამართლო მოისმენს მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს ორივე მხარისაგან სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232[1]-ე მუხლში დაშვებულია რედაქციული ხასიათის შეცდომა, რომ სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოაქვს მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილ ვადაში შესაგებლის წარუდგენლობისას. შესაგებლის წარდგენის ვადა სინამდვილეში განსაზღვრულია 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტით, მეორე ნაწილით კი განსაზღვრულია, თუ რა უნდა ეწეროს შესაგებელში.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232[1]-ე მუხლი, ჩვენი აზრით, უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 232[1]. მოპასუხის მიერ შესაგებლის წარუდგენლობის შედეგები

1. მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტით დადგენილ ვადაში შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობისას, თუ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სასამართლოს

ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ შესაგებლის წარუდგენლობის გამო.

2. შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის მიუხედავად, სასარჩელო მოთხოვნის მთლიანად ან ნაწილობრივ იურიდიულად გაუმართლებლობის შემთხვევაში, სასამართლოს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს გადაწყვეტილება სარჩელის დაუკმაყოფილებლობის ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ. სასამართლოს შეუძლია დაადგინოს საქმის ზეპირი განხილვა, თუ ეს საჭიროა და ხელს შეუწყობს საქმის გარემოებების გარკვევას, რის შესახებაც მხარეებს ეცნობებათ ამ კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა არ დააბრკოლებს სასამართლოს მიერ საკითხის გადაწყვეტას.

3. სხდომის ჩატარების შემთხვევაში, მხარეებისაგან მტკიცებულებათა მიღება აღარ ხდება და სასამართლო მოისმენს მხოლოდ მათ სამართლებრივ მოსაზრებებს სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით.

4. სარჩელის დაუკმაყოფილებლობის ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებაზე შეიძლება სააპელაციო საჩივრის შეტანა.

შენიშვნები:

[1] თენგიზ ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა „ჯი-სი-აი“, თბ., 2005, გვ. 323-324; თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „სამართალი“, თბ, 2007, გვ. 358-359.

[2] ავთანდილ კობახიძე, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბ., 2003. გვ. 305.

[3] ჰაინ ბოელინგი, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანასთან დაკავშირებული პროცესის ძირითადი პრინციპები, ბრემენი, 2008 წლის მაისი.

[4] ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 15 სექტემბრის განჩინება, №2/ბ-586-08წ., ზესტაფონის რაიონული სასამართლოს არქივი.

[5] ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 8 დეკემბრის განჩინება, №2/ბ-857-08წ., ქობულეთის რაიონული სასამართლოს არქივი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თენგიზ ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა „ჯი-სიაი“, თბ., 2005;
2. თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „სამართალი“, თბ, 2007;
3. ავთანდილ კობახიძე, სამოქალაქო საპროცესო სამართალი., გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბ., 2003;
4. ჰაინ ბოელინგი, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანასთან დაკავშირებული პროცესის ძირითადი პრინციპები, ბრემენი, 2008 წლის მაისი;
5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 15 სექტემბრის განჩინება, №2/ბ-586-08 წ., ზესტაფონის რაიონული სასამართლოს არქივი;
6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 8 დეკემბრის განჩინება, №2/ბ-857-08 წ., ქობულეთის რაიონული სასამართლოს არქივი.

Results of Not Filing the Response (Objection)

PRIDON BASILAIA
Assistant Professor at
Kutaisi Ak. Tsereteli State University

According to Article 232[1] of the Civil Procedure Code of Georgia if the failure of the defendant to file a response (objection) within the term specified in Subparagraph 2, Article 201 of this Code is due to an invalid reason the judge issues a default judgment without an oral hearing. Besides, if the facts indicated in the action justify the claim, the judge will satisfy the claim. If not, the court appoints a main session about which the parties are notified according to Article 70-78 of the Code. In case of holding the session no evidences from the defendant are received and the court will hear only the defendant's legal opinions concerning the claim.

According to the first sentence of Article 232[1] of the Civil Procedure Code of Georgia, if the failure of the defendant to file a response (objection) within the term specified in Subparagraph 2, Article 201 of this Code is due to an invalid reason the judge shall issue a default judgment without an oral hearing.

In case the objection is not filed due to an invalid reason the underlying assumption is that the defendant admits the facts indicated in the action. In such a case issuing a default judgment does not contradict the principles of adversary and equality of the parties because the defendant, when accepting the claim with the enclosed materials, is presented with all the opportunities to disproof the claims made against him by the plaintiff within the term defined

in Item B of Article 201 of the Civil Procedure Code, and given by the court. The defendant, if there is a valid reason, is also authorized to request a reasonable term in order to submit the objection and evidences.

In case of the failure to file an objection, a default judgment is issued based on the principle of procedural economy, which means that the case shall be adjudicated in a timely manner without a delay. In such a case if the default judgment is not appealed, it comes into legal force quickly and is executed in the shortest period.

Under Article 232[1] of the Civil Procedure Code, notwithstanding the failure to file an objection, if the facts indicated in the action do not legally justify the claim, the court appoints a main session. At this stage the evidences are not accepted from the defendant and the court only hears the legal opinions of the defendant.

The evidences from the defendant are not accepted at the main session in order to prevent the delay in adjudicating the case. Further, under Paragraph 1 of Article 102 of the Civil Procedure Code, each party shall prove the facts on which his/her claims and objections are based. As long as the evidences enclosed with the claim, notwithstanding the failure to file an objection and contradictory evidences, does not legally justify the claim, the court issues not a default judgment against the defendant but a regular judgment on refusal to satisfy the claim. An appeal may be filed against this judgment.

The evidences from the defendant are not also accepted at the main session because the claim is not legally justified anyway, i.e. is groundless and it will not be satisfied.

It is possible that one of the several claims be combined in one action out of which only one justifies legally the claim and the others do not. This is directly related to Article 232[1] of Civil Procedure Code according to which in case of the failure to file a response (objection) without an invalid reason, the judge issues a default judgment on satisfying the claim provided that the facts indicated therein legally justify the claim; otherwise the court appoints a main session.

In this case the plaintiff may file an appeal against the refusal to satisfy the claim, or if only one of the parties file an appeal, the other party may file a counter appeal within the ten days after the receipt of the appeal of the other party.

Perhaps, the legislator considered the appointment of the oral hearing necessary, provided that the action does not legally justify the claim, since the case is adjudicated on the merits. Though, I do not consider it to be a legitimate argument because in case of the failure to file an objection without a valid reason, the default judgment issued without an oral hearing, shall be also considered to be adjudication on the merits. If the default judgment is not appealed or if the claim is not satisfied, after the default judgment comes into legal effect, the adjudication of a matter is considered to be final and it will be executed like a regular judgment according to the procedures established by the law. After the default judgment comes into effect according to Article 266 of Civil Procedure Code, the parties and their legal successors may not submit the same claims on the same grounds to the court or contest the facts and legal relationship which were established in the other civil matter by a court judgment.

საბაჟო რეჟიმების კლასიფიკაციის სამართლებრივი ასპექტები

ია ხარაზი
საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის
სამართლის ფაკულტეტის პროგრამული მიმართულების
ხელმძღვანელი, სრული პროფესორი

ნატო უერთაშვილი
საერთაშორისო სამართლისა და მართვის
ქართულ-ბრიტანული უნივერსიტეტის მაგისტრი

თემურ გერგედავა
გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრი

საბაჟო რეჟიმების კლასიფიკაცია შესაძლებელია რამდენიმე ნიშნის მიხედვით, რომელთაგან ზოგიერთი მათგანი გვხვდება მეცნიერულ და სამეცნიერო პრაქტიკული ხასიათის შრომებში, ხოლო ზოგიერთი ნიშანი სხვადასხვა ავტორთა მიერ პირველადაა გამოყოფილი. როგორც მართებულად არის აღნიშნული ლიტერატურაში, ცალკე ჯგუფად საბაჟო რეჟიმების გამოყოფას ან ტიპებად დაყოფას იურიდიული მნიშვნელობა აქვს უწინარესად, საბაჟო რეგულირების მექანიზმში, მათი როლის გარკვევისა და სამართლებრივი რეგლამენტაციის სხვადასხვა ასპექტის უფრო დეტალურად შესწავლისათვის.

შესაძლებელია საბაჟო რეჟიმების კლასიფიკაცია შემდეგი სახით წარმოვადგინოთ, სხვადასხვა მეცნიერთა მოსაზრებებით:

პირველ ჯგუფში ავტორები აერთიანებენ რეჟიმებს, რომლებიც გამოიყენება სხვა ქვეყნებში საქართველოს ორგანი-

ზაციების მიერ საქონლის გაყიდვისა და საქართველოს მომხმარებელთა საჭიროებისათვის და საქონლის შეძენასთან დაკავშირებული საგარეო სავაჭრო ოპერაციების ძირითადი მოცულობის განხორციელებას შეუწყობს ხელს. ასეთ საბაჟო რეჟიმებს მიეკუთვნება საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება (იმპორტი), ექსპორტი, დროებითი შემოტანა.

მეორე ჯგუფს, ავტორთა აზრით, შეადგენენ საბაჟო რეჟიმები, რომლის დროსაც საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებისას მას თან ახლავს მისი გადამაადგილებელი პირებისათვის საბაჟო ორგანოების მხრიდან გარკვეული მომსახურების გაწევა. ამ საბაჟო რეჟიმის მაგალითია საბაჟო საწყობი.

განსახილველი კლასიფიკაციის მესამე ჯგუფში შესულია საბაჟო რეჟიმები, რომლებშიც თავსდება საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადასაზიდი საქონელი სხვა ქვეყნებში მისი გადამუშავებისათვის. მაგალითად, გადამუშავება საქართველოს ტერიტორიაზე და საბაჟო ტერიტორიის გარეთ.

მეოთხე ჯგუფს წარმოადგენენ საბაჟო რეჟიმები, რომელთა შესაბამისად, ხორციელდება საზღვრის გარეთ არსებული სახელმწიფოს ორგანიზაციების საჭირო მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფა. ასევე, სახელმწიფოში დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობის წევრებისათვის სამეცნიერო საწარმოო და სხვა საქმიანობისათვის განკუთვნილი საქონლის მიწოდება. მაგალითად, პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში ცალკეული საქონლის გატანის რეჟიმი (საქართველოში ასეთი საბაჟო რეჟიმი არ მოქმედებს).

მეხუთე ჯგუფს ავტორებმა მიაკუთვნეს საბაჟო რეჟიმები, რომლებიც გამოიყენება საგარეოეკონომიკური ოპერაციების შეწყვეტისას. კერძოდ, სახელწიფო საზღვარზე საქონლის რეალიზაციის შეუძლებლობასთან ან არაეფექტიანობასთან დაკავშირებით (ადრე ეს იყო საქონლის განადგურების და სახელმწიფოს სასარგებლოდ საქონელზე უარის თქმის საბაჟო რეჟიმები, რომლებიც საქართველოს დღეს მოქმედი საბაჟო კოდექსით საბაჟო რეჟიმებს აღარ განეკუთვნება, იგი საქონლის დამუშავების ოპერაციებში შედის).

დამოუკიდებელი რეჟიმის სახით, ავტორთა მიერ (რუსი ავტორები) შემოთავაზებულია ტრანსპორტის საბაჟო რეჟიმის გამოყოფა, რომლის დროსაც საქონელს არც იძენენ და არც მის რეალიზაციას ახდენენ სახელმწიფო ორგანიზაციებში, არამედ იგი გადაკვეთს სახელმწიფოს საბაჟო საზღვარს ერთი უცხო სახელმწიფოდან მეორეში საქონლის მიტანის მიზნით.

გადმოცემული კლასიფიკაცია, ჩვენი აზრით, საეჭვოა წარმატებული იყოს.

ჩვეულებრივ, კლასიფიკაციაში მოიაზრება მყარი ცოდნის სისტემატიზაცია. ლოგიკის მეცნიერების მიხედვით, კლასიფიკაცია წარმოადგენს ცნებათა დაყოფის ერთ-ერთ სახეს. ამასთან, კლასიფიკაციის განხორციელებისას, საჭიროა დაყოფის წესების დაცვა.

მიგვაჩნია, რომ ჯერ ერთი, დაყოფა უნდა მოხდეს თითოეული საფუძვლის მიხედვით. სწორედ ამ წესის დაუცველობამ გამოიწვია კლასიფიკაციაში სხვა შეცდომების დაშვებაც. საფუძველში მოიაზრება ცნების ნიშანი, რომლის თანახმად, უკანასკნელი მიეკუთვნება ამა თუ იმ ჯგუფს (დაყოფის წევრებს). მოყვანილ კლასიფიკაციაში შეიძლება დაყოფის ნიშნების განსხვავება რამდენიმე საფუძვლით, დაწყებული საგარეო-ეკონომიკური ოპერაციების განხორციელების სტადიებით, საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილების მიზნებით და საბაჟო რეჟიმის ფარგლებში საბაჟო ორგანოს მხრიდან გარკვეული მომსახურების გაწევით.

მეორე, დაყოფის წევრები ერთმანეთს არ უნდა გამორიცხავდეს, რაც კლასიფიკაციაში არ შეიმჩნევა.

მესამე, დაყოფა უწყვეტი უნდა იყოს.

ზემოთ მოცემულ კლასიფიკაციაში შეიმჩნევა დაყოფაში „ნახტომები“. ჩვენი აზრით, საბაჟო რეჟიმები ჯერ უნდა დაყოფილიყო საგარეო-ეკონომიკური ოპერაციების განხორციელებისას და მათი შეწყვეტისას გამოყენებულ რეჟიმებად, ხოლო ამის შემდეგ, გამოყოფილიყო საბაჟო რეჟიმები, რომლებიც გამოიყენება საგარეო-სავაჭრო ოპერაციების განხორციელების დროს.[1]

გარკვეულ ინტერესს იწვევს დ. ნ. ბახრახისა და ს. ვ. კივალოვის მიერ შემოთავაზებული საბაჟო რეჟიმების სისტემა, რომლებიც ერთმანეთისაგან განასხვავებენ საერთო და სპეციალურ საბაჟო რეჟიმებს. ავტორთა აზრით, საერთო საბაჟო რეჟიმი უნდა გავიგოთ როგორც იურიდიული ნორმებით დადგენილი წესების ერთობლიობა, რომლებიც საბაჟო საზღვარზე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების საქმიანობას არეგულირებს.[2]

საერთო საბაჟო რეჟიმის ნაირსახეობებს შეღავათიანი (ფიზიკური პირების მიერ არაკომერციული მიზნით საქონლის გატანა, საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციები და სხვ.), ჩვეულებრივი და გაძლიერებული (სტრატეგიული საქონლის, კულტურულ ფასეულობათა, ვალუტისა და სხვ.) რეჟიმები მიეკუთვნება. ორიენტირის ნიშნის მიხედვით, დ. ნ. ბახრახი და ს. ვ. კივალოვი საერთო საბაჟო რეჟიმს ჰყოფენ საქონლის რეჟიმებად, სატრანსპორტო საშუალებების რეჟიმებად და ვალუტისა და სავალუტო ფასეულობათა რეჟიმებად, რომელთაგან თავის მხრივ, დასაშვებია უფრო ვიწრო კატეგორიის – საქონლის გამოყოფა.

სპეციალურ საბაჟო რეჟიმებს ბახრახი და კივალოვი ჰყოფენ საექსპორტო, საიმპორტო და შერეული, ვადიანი და უვადო, ასევე, უშუალოდ მოქმედ რეჟიმებად. ისინი მხოლოდ საქონელზეა განკუთვნილი და გამოყენებულია როგორც საქონლის, ასევე სატრანსპორტო საშუალებების მიმართ.

დ. ნ. ბახრახისა და ს. ვ. კივალოვის მიერ მოტანილი საბაჟო რეჟიმების სისტემის აზრის გასარკვევად, უნდა მივმართოთ ავტორების მიერ სამართლებრივი რეჟიმის ასეთ განმარტებას: „სამართლებრივ რეჟიმში მიიჩნევა იურიდიულ ნორმებში განმტკიცებული წესების ერთობლიობა, რომელიც ადამიანთა განსაზღვრულ საქმიანობას არეგულირებს“. ამასთან, მათი აზრით, სპეციალური რეგულირება დაკავშირებულია ამ საქმიანობის ობიექტთან (ნარკოტიკული, ავტოსატრანსპორტო საშუალებების, კულტურულ ფასეულობათა და სხვა რეჟიმი), მისი განხორციელების დროსა და ადგილთან, მათი მოქმედებების სპეციფიკასთან, ხოლო უფრო ხშირად, ამ ფაქტორების შეხამებასთან. არსებითად, ავტორები სამართლებრივ რეჟიმს განსაზღვრავენ ფართო და ვიწრო გაგებით. ზოგად სამართლებრივ რეჟიმს განიხილავენ როგორც კრებსით ცნებას, რომელიც თავის თავში აერთიანებს ყველა სპეციალურ სამართლებრივ რეჟიმს, ადარებენ მათ როგორც ზოგად და კერძო რეჟიმს.

ერთი მხრივ, სამართლებრივი რეჟიმის ასეთი გაგება, ასევე ავტორების მითითება, რომ საქონელი საბაჟო რეჟიმში ხვდება სახელმწიფოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთის მომენტიდან მისი შემოტანისას, ხოლო გატანისას – საბაჟო გაფორმებიდანვე[3] ან საბაჟო კონტროლის ზონაში მოთავსების მომენტიდან – იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ თანაავტორები საერთოდ, სპეციალურ რეჟიმებს განიხილავენ როგორც საერთო საბაჟო რეჟიმს სიტყვის ფართო და ვიწრო მნიშვნელობით.

მეორე მხრივ, მოტანილი მაგალითები შესაძლებლობას იძლევა დავასკვნათ, რომ ავტორების მიერ საერთო საბაჟო რეჟიმი განიხილება რაღაც უფრო მეტი, ვიდრე საბაჟო რეჟიმი ფართო

მნიშვნელობით, რომელიც სპეციალურ საბაჟო რეჟიმთან დამოკიდებულია, როგორც ზოგადი კერძოსთან, აგრეთვე ის თავის თავში შეიცავს სხვა კომპონენტებსაც.

ამრიგად, მოცემული სისტემა წინააღმდეგობრივად გვესახება. შესაძლოა ამ წინააღმდეგობის ერთ-ერთი მიზეზი იყოს საერთო საბაჟო რეჟიმის საილუსტრაციოდ არაზუსტად მოტანილი მაგალითები. ასე, მაგალითად, ცხადია, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე, საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციების განხორციელებისას საქონლის მოთავსებასთან დაკავშირებით, შეღავათები ეძლევათ არა მარტო განსაზღვრულ საბაჟო რეჟიმში. სახელმწიფოს საბაჟო საზღვარზე კულტურული ფასეულობანი გადაადგილდება ამ კატეგორიის საქონლისათვის დადგენილი წესისა და არჩეული საბაჟო რეჟიმის შესაბამისად. თუ მაინც მოტანილი მაგალითების სისწორეს დავეთანხმებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ საერთო და სპეციალური რეჟიმები ერთი მეორისაგან დამოუკიდებლად არსებობს, რაც არ გულისხმობს ერთიანი სისტემის ფარგლებში მათ განხილვას.

დაბოლოს, კ.გ. ბორისოვი დამხმარე სახელმძღვანელოში – „საერთაშორისო საბაჟო სამართალი“,[4] აღნიშნავს, რომ „საერთაშორისო საბაჟო ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების სისტემა განიხილება როგორც საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის მონაწილეთა კომერციული საწარმოო და სატრანსპორტო საქმიანობასთან საბაჟო-ეკონომიკური რეჟიმის ერთობლიობა“.

კონკრეტული საბაჟო რეჟიმების ეკონომიკურ რეჟიმებად მიკუთვნებისას ფუძემდებლური კრიტერიუმების სახით, მიუთითებენ შემდეგ სპეციფიკურ თვისებებს:

- ეკონომიკური მნიშვნელობისა და დასაბუთების არსებობა (ეკონომიკური თვალსაზრისით და მათში საქონლის მოთავსების ნომენკლატურისაგან დამოუკიდებლად);
- შესაბამისობა სპეციფიკურ სიტუაციებთან, რომლებიც დაკავშირებულია შრომის საერთაშორისო დანაწილებასთან და ეროვნული ბაზრების გახსნასთან, მრეწველობის, ვაჭრობის და ა.შ. განვითარებისათვის დამატებითი შესაძლებლობების შექმნასთან;
- მიზნობრივი, ინდივიდუალიზებული და პირობითი ხასიათი. ეს იმით გამოიხატება, რომ საერთო წესით ეკონომიკური საბაჟო რეჟიმები, ჯერ ერთი, ნებას იძლევა მხოლოდ ზუსტად განსაზღვრული მიზნით საქონლის გამოყენებისა, ხოლო მეორეც, მისთვის სასურველი რეჟიმი სპეციალურად უნდა გამოითხოვოს პირმა, რომელსაც გადააქვს საქონელი. ამასთან, საბაჟო რეჟიმით სარგებლობის ნებართვა გაიცემა ბენეფიციარისათვის კანონმდებლობის შესაბამისად;
- ბენეფიციარისათვის საბაჟო რეჟიმის მიცემა მის მიერ ყველა გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისას, წინასწარ განსაზღვრული ეკონომიკური სარგებლობისა და უპირატესობის საბაჟო შეღავათების მიცემის გზით, ასევე, ეკონომიკური პოლიტიკის ზომების გამოუყენებლობა (რაოდენობრივი შეზღუდვების ლიცენზირების წესის და საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის არასატარიფო რეგულირების სხვა საშუალებები).

ყველა ეკონომიკური საბაჟო რეჟიმის მიზანია განსაკუთრებული ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტა და საბოლოოდ, იგი პირდაპირ თუ არაპირდაპირ დაკავშირებულია კომერციული საქმიანობის განხორციელებასთან.

ეკონიმიკური ხასიათის საბაჟო რეჟიმები მათი დანიშნულების მიხედვით დაყოფილია სამ ეტაპად:

- საწყობში მოთავსება (საქონელი ინახება უცვლელ მდგომარეობაში სხვადასხვა საბაჟო დანიშნულების მოლოდინში სამეწარმეო გამოყენების გარეშე, გარდა ზოგიერთი ოპერაციისა,

რომელიც უზრუნველყოფს ასეთ შენახვას ან შემდგომ გამოყენებას, კერძოდ, ხელახალი შეფუთვა, დახარისხება და ა.შ);

- საქონლის გამოყენება (საქონელი შეიძლება გამოყენებულ იქნეს დანიშნულებისამებრ, მაგრამ ასეთი გამოყენება ნებისმიერ შემთხვევაში, გამორიცხავს საქონლის გადამუშავებისა და დამუშავების ოპერაციას და არ უნდა გამოიწვიოს მისი მდგომარეობის შეცვლა, ბუნებრივი დანაკარგისა და ცვეთის გარდა);
- გადამუშავება (საქონელი გამოიყენება მისი დამუშავებისა და გადამუშავების განსაკუთრებული ოპერაციების ჩასატარებლად ამ საქონლის მდგომარეობის სრული ან ნაწილობრივი შეცვლის მიზნით).

ცალკეულ ჯგუფად ეკონომიკური საბაჟო რეჟიმების გამოყოფა შეიმჩნევა ევროსაბჭოს საბაჟო კანონმდებლობაშიც. დამახასიათებელია ის, რომ არც ევროსაბჭოს საბაჟო კოდექსიდან, არც მისი გამოყენების შესახებ დადგენილებიდან არ ჩანს ის კრიტერიუმები, რომლებიც საფუძველი გახდა ეკონომიკური ჯგუფისადმი კონკრეტული საბაჟო რეჟიმის მიკუთვნებისას; ევროსაბჭოს საბაჟო კანონმდებლობა არ შეიცავს ეკონომიკური საბაჟო რეჟიმის განსაზღვრებას, არამედ მხოლოდ მოაქვს მათი ჩამონათვალი.

ევროსაბჭოს საბაჟო კოდექსის შესაბამისად, ეკონომიკური მნიშვნელობის საბაჟო რეჟიმებს მიეკუთვნება საბაჟო საწყობი, აქტიური გადამუშავება, საბაჟო კონტროლით გადამუშავება,[5] პასიური გადამუშავება, დროებითი გამოყენება. „ეკონომიკური მნიშვნელობის საბაჟო რეჟიმის“ ცნებასთან ერთად ევროსაბჭოს საბაჟო კოდექსი შეიცავს ცნებას „საბაჟო გადასახადებისაგან გათავისუფლებული საბაჟო რეჟიმი“, რომელსაც ზემოთ ჩამოთვლილი რეჟიმების გარდა მიეკუთვნება ტრანზიტიც. ამ კატეგორიის საბაჟო რეჟიმების სამართლებრივ რეგლამენტაციას ეძღვნება ევროპის საბჭოს საბაჟო კოდექსის 84-160-ე მუხლები და მისი გამოყენების შესახებ დადგენილების 309-787-ე მუხლები, ასევე, საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და ჰარმონიზაციის შესახებ საერთაშორისო კონვენციის შესაბამისი დანართები (კიოტო, 1973). ეკონომიკური მნიშვნელობის საბაჟო რეჟიმების და საბაჟო გადასახადებისაგან გათავისუფლებული საბაჟო რეჟიმის ცალკეულ ჯგუფებად გამოყოფას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს მათი სამართლებრივი რეგულირებისათვის, რაც გამოიხატება ამ რეჟიმების გამოყენების შესახებ ზოგადი საბაჟო დებულებების არსებობით, კერძოდ:

- ეკონომიკური მნიშვნელობის საბაჟო რეჟიმის გამოყენება მოითხოვს საბაჟო ორგანოების ნებართვის მიღებას (ევროსაბჭოს საბაჟო კოდექსი, მუხლი 85);
- საბაჟო ორგანოებს შეუძლიათ განსაზღვრონ საბაჟო გადასახადებისაგან გათავისუფლებულ რეჟიმში საქონლის მოთავსებაზე ნებართვის გაცემა უზრუნველყოფის მიცემით, რაც გარანტიას იძლევა საბაჟო ვალის გადახდისა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მოცემული საქონლის მიმართ (ევროსაბჭოს საბაჟო კოდექსი, მუხლი 88);
- საბაჟო გადასახადებისაგან გათავისუფლებული საბაჟო რეჟიმი და ეკონომიკური მნიშვნელობის საბაჟო რეჟიმი მთავრდება, როდესაც ამ რეჟიმში მოთავსებული საქონელი ან მისი გადამუშავების პროდუქტები ფორმდება საბაჟო მიმართვაში (ევროსაბჭოს საბაჟო კოდექსი, მუხლი 89);
- ეკონომიკური საბაჟო რეჟიმის მფლობელის უფლებები და მოვალეობები შეიძლება გადაეცეს სხვა პირს, საბაჟო ორგანოს მიერ დადგენილი წინაპირობების დაცვის დროს. ამასთან, ეს პირი ვალდებული იქნება შეასრულოს მოცემული საბაჟო რეჟიმის მიმართ მოქცეული წინაპირობები (ევროსაბჭოს საბაჟო კოდექსი, მუხლი 91).[6]

ქართულ საბაჟო ლიტერატურაში ფორმალურ-იურიდიული თვალსაზრისით, გამოიყენება საბაჟო რეჟიმების მსგავსი დაყოფა, თუმცა, დადგენილია მათი ანალოგიური ტიპები, მათ შორის, ეკონომიკური ხასიათის.

საქონლის მოძრაობის მიმართულების მიხედვით საბაჟო რეჟიმები შეიძლება დაიყოს შეტანის, გატანის, გადაზიდვის და კომბინირებულად. საბაჟო რეჟიმის პირველ ჯგუფს, რომელიც გულისხმობს საქართველოში საქონლის შეტანას, შეიძლება მიეკუთვნოს თავისუფალი მიმოქცევისათვის გაშვება, საბაჟო ტერიტორიაზე გადამუშავება, დროებითი შემოტანა. მეორე ჯგუფის საბაჟო რეჟიმების მაგალითია ექსპორტი. მესამე ჯგუფს შეადგენს ტრანსპორტის საბაჟო რეჟიმი. კომბინირებულ საბაჟო რეჟიმებს მიეკუთვნება საბაჟო საწყობი.

ზოგიერთი საბაჟო რეჟიმის გამოყენება შეზღუდულია განსაზღვრული ტერიტორიით. კერძოდ, საბაჟო საწყობის ტერიტორიით. ასეთი რეჟიმის მოთხოვნებით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე საქონლის მოთავსება და არსებობა რეჟიმის მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში, აგრეთვე ამ ტერიტორიიდან საქონლის გატანა როგორც წესი, მოითხოვს საბაჟო რეჟიმის შეცვლას ან საქონლის მოთავსებას დროებითი შენახვის საწყობში, რომლის მფლობელია საბაჟო ორგანო.

საბაჟო რეჟიმში საქონლის და სატრანსპორტო საშუალებების შესაძლო ყოფნის პერიოდის მიხედვით განასხვავებენ ვადიან და უვადო საბაჟო რეჟიმებს. უვადო ხასიათის საბაჟო რეჟიმს მიეკუთვნება თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება, ექსპორტი. შეცდომა იქნებოდა ვივარაუდოთ, რომ პირს ნებისმიერ დროს უფლება აქვს შეცვალოს ერთი საბაჟო რეჟიმი მეორეთი (საბაჟო რეჟიმის თავისუფალი არჩევისა და შეცვლის პრინციპი), მაგრამ ამ შემთხვევაში, განხორციელდება პირის უფლება დაამთავროს საბაჟო რეჟიმის მოქმედება, მაგრამ არა მოვალეობა. ამ აზრით, უვადო ხასიათის რეჟიმები შეიძლება განვიხილოთ როგორც დამთავრებული 'მყარი" საბაჟო რეჟიმები. დანარჩენი საბაჟო რეჟიმების გამოყენების დრო გარკვეული პერიოდითაა შეზღუდული. ასე, მაგალითად, საერთოდ საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის ვადა არ არის შეზღუდული, მაგრამ საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ განსაზღვრულ შემთხვევაში, საბაჟო ორგანო უფლებამოსილია, მომთავსებელს განუსაზღვროს ვადა, რომლის განმავლობაშიც მან უნდა შეარჩიოს საქონლის დამუშავების ახალი ოპერაცია; ან საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის გამოყენებისას დეკლარანტი საქონლის გადამუშავების ვადას განსაზღვრავს საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებით და იგი არ უნდა აღემატებოდეს 3 წელს (მუხლი 119), ხოლო საბაჟო კოდექსის 137-ე მუხლის თანახმად, „საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის გამოყენებისას დეკლარანტი საქონლის გადამუშავების ვადას განსაზღვრავს საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებით და იგი არ უნდა აღემატებოდეს 2 წელს" და სხვ.

საბაჟო რეჟიმებს შორის საჭიროა გამოიყოს რეჟიმები, რომლებიც შესაძლებელია გამოიყენოს ფიზიკურმა პირმა. საერთოდ, საბაჟო ორგანოების პრაქტიკით საბაჟო რეჟიმები განკუთვნილი უნდა იყოს მხოლოდ იურიდიული პირების და იმპორტიორებისათვის, რომლებიც იურიდიული პირის შექმნის გარეშე ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას. ასეთი პრაქტიკა მანკიერია და ეწინააღმდეგება საქართველოს საბაჟო კოდექსს. ამასთან, ცხადი ხდება, რომ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის მონაწილეებს სჭირდებათ საბაჟო პროცედურებისა და საბაჟო რეგულირების საშუალებების უფრო მდიდარი არჩევის შესაძლებლობა, ვიდრე ფიზიკურ პირებს არაკომერციული მიზნებისათვის უამრავ გადაადგილებად საქონელში, მაგრამ საბაჟო რეჟიმის პოტენციურ მომხმარებელთაგან უკანასკნელთა სრული გამორიცხვა უსაფუძვლოა.

ჩვენი აზრით, საჭირო იქნებოდა ნორმატიულ-სამართლებრივ დონეზე განსაზღვრულიყო რიგი საბაჟო რეჟიმებისა, რომლებიც შეიძლება გამოიყენონ ფიზიკურმა პირებმა, ამასთან, კიდევ უნდა გამარტივდეს საბაჟო დამუშავების ოპერაციები.

საჭიროა განვასხვაოთ საბაჟო რეჟიმები, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ საქონლის მიმართ და გამოიყენება როგორც საქონლის, ისე სატრანსპორტო საშუალებების მიმართ. გავიხსენოთ, რომ სიტყვა „საქონელი" საბაჟო კანონმდებლობაში გამოიყენება ნებისმიერი მოძრავი ქონების, მათ შორის, ვალუტის, სავალუტო ფასეულობების, ელექტრონული, სითბური და ენერგიის სხვა სახეების აღსანიშნავად, საკუთრივ სატრანსპორტო საშუალებების გამოკლებით, რომლებშიც იგულისხმება მგზავრების საერთაშორისო გადაყვანისა და საქონლის გადაზიდვისათვის გამოყენებული ნებისმიერი საშუალება კონტეინერებისა და სხვა სატრანსპორტო მოწყობილობების ჩათვლით. ამრიგად, „საქონელში" გაგებულ უნდა იქნეს ქონება, რომელიც გადაადგილდება საქართველოს საბაჟო საზღვარზე, ხოლო სატრანსპორტო საშუალებებში – ის ქონება, რომლის მეშვეობით ასეთი საქონელი გადაადგილდება (იყო გადაადგილებული).

განასხვავებს რა, საქონელსა და სატრანსპორტო საშუალებას, ა.ნ კოზირინი წერს: „უნდა აღინიშნოს, რომ საბაჟო კანონმდებლობაში სატრანსპორტო საშუალებად ითვლება მხოლოდ ისეთი საშუალებები, რომლებიც უშუალოდ გამოიყენება საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვების ან მგზავრთა გადასაყვანად. იმ შემთხვევაში, როდესაც სატრანსპორტო საშუალება (ავტომობილი, კონტეინერი და სხვ.) შემოდის თავისუფალი მიმოქცევისთვის ან ხდება მისი ექსპორტირება, ის უნდა მიეკუთვნოს საქონლის კატეგორიას.[7]

საბაჟო კოდექსის თანახმად, შეიძლება გამოიყოს რეჟიმები, რომლებიც გამოიყენება ქართული საქონლის მიმართ. პირველი ჯგუფის მაგალითად შეიძლება მოვიტანოთ საქონლის გადამუშავება საბაჟო ტერიტორიის გარეთ, როცა საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ დროებით გატანილი საქართველოს საქონლის მიმართ გამოყენებული იქნება საქონლის გადამუშავების ერთ ან ერთზე მეტი ოპერაცია (საბაჟო კოდექსი, მუხლი 133), ხოლო მეორე ჯგუფს შეადგენს საქონლის გადამუშავება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე, როცა უცხოური საქონელი შემოტანილია საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გადასამუშავებლად (საბაჟო კოდექსი, მუხლი 115).

დასკვნა

- საბაჟო რეჟიმები წარმოადგენენ ადმინისტრაციულსამართლებრივი და საგადასახადო რეჟიმების გარკვეულ შეერთებას. თუმცა, საბაჟო რეჟიმის ადმინისტრაციულსამართლებრივი ქვესახეობის დონემდე დაყვანა არ იძლევა შესაძლებლობას გავითვალისწინოთ საბაჟო რეჟიმის ისეთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი, როგორიცაა საგადასახადო რეგულირება, რომელიც არსებითად ავიწროებს რეჟიმის მოქმედებაში მოხვედრილი საზოგადოებრივი ურთიერთობის სფეროს, განხილვის მიღმა ტოვებს საბაჟო-სატარიფო პოლიტიკის საკითხებს, განსაკუთრებული კატეგორიის სამართლებრივი შეღავათების – საგადასახადო შეღავათების მიცემის საკითხებს და სხვ.
- როგორც მრავალი სამართლებრივი ტერიტორია, საბაჟო რეჟიმის ცნებაც გამოიყენება ფართო და ვიწრო მნიშვნელობით. ფართო გაგებით, საბაჟო რეჟიმში უნდა გვესმოდეს სამართლებრივი რეჟიმი, რომელიც გამოიხატება ადმინისტრაციულსამართლებრივთან გარკვეულ შეხამებაში, რომელიც დადგენილია საბაჟო კანონმდებლობით და რომლის მიზანია საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებასთან დაკავშირებით საბაჟო ორგანოსა და მათ გადამაადგილებელ პირს შორის წარმოშობილი ურთიერთობების რეგლამენტირება.

- ყველა საბაჟო რეჟიმს აქვს ერთნაირი სტრუქტურა, რომელიც განსაზღვრულია მათი შინაარსით და პირობების, შეზღუდვების და მოთხოვნების, ასევე, საბაჟო რეჟიმის ფარგლებში შეძენილი შეღავათების ერთობლიობაა. საბაჟო რეჟიმის პირობებში მოიაზრება გარემოებები, რომლებიც წინასწარ განსაზღვრავენ მასში საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების მოთავსების შესაძლებლობას; საბაჟო რეჟიმების შეზღუდვები გამოიხატება საბაჟო რეჟიმში მოთავსებულ საქონელსა და სატრანსპორტო საშუალებებზე განსაზღვრული მოქმედებების განხორციელების პირდაპირ და არაპირდაპირ აკრძალვაში. საბაჟო რეჟიმების მოთხოვნებს წარმოადგენს მოქმედებები, რომელთა შესრულებასთან დაკავშირებულია საბაჟო კანონმდებლობის მოთხოვნები ან შესაბამისად, საბაჟო რეჟიმის დამყარების შესაძლებლობა. ამასთან, სატრანსპორტო გადაადგილებასთან დაკავშირებით საბაჟო ორგანოსა და მათ გადამაადგილებელ პირებს შორის ურთიერთობის რეგლამენტირება.
- საბაჟო რეჟიმების სამართლებრივი რეგლამენტაციით გათვალისწინებულია საგადასახადო შეღავათების მიღება საბაჟო გადასახდელებისაგან სრული გათავისუფლების, საბაჟო გადასახდელებისაგან ნაწილობრივ გათავისუფლების და ადრე გადახდილი საბაჟო გადასახადების უკან დაბრუნების სახით. აღნიშნული შეღავათები შეიძლება იყოს ძირითადი (უშუალოდ საბაჟო რეჟიმში საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების მოთავსებისას საბაჟო გადასახდელებზე შეღავათები).
- საბაჟო რეჟიმების ფარგლებში წარმოიშვება ვალდებულებანი, რომლებიც თავისი სამართლებრივი ბუნებით სამოქალაქოსამართლებრივი ხასიათის ვალდებულებების მსგავსია. რის გამოც საბაჟო რეჟიმში საქონლის მომთავსებელი პირი ვალდებულია შეასრულოს გარკვეული მოქმედებები ან უარი თქვას მათ შესრულებაზე, ხოლო საბაჟო ორგანოს უფლება აქვს მას მოსთხოვოს ამ მოვალეობების შესრულება იურიდიული პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების მუქარით.
- საბაჟო რეჟიმების პრინციპებს წარმოადგენს დებულებები, რომლებიც ახასიათებენ საბაჟო რეჟიმების ინსტიტუტის არსს და მის შინაგან აგებულებას, ასევე განსაზღვრავენ მათი გამოყენების პროცესს. საბაჟო სამართლის ზოგადსამართლებრივი და დარგობრივი პრინციპები საფუძვლად ედება საბაჟო რეჟიმების ინსტიტუტს და მათი სამართლებრივი რეგულირებისათვის ძირითადი მნიშვნელობა აქვს. უნდა გამოიყოს ასევე, ინსტიტუციური (სპეციალური) პრინციპები, რომელთა საფუძველზე იქმნება და ხორციელდება მხოლოდ საბაჟო რეჟიმების შემადგენელი ნორმები, კერძოდ: საბაჟო რეჟიმის სავალდებულოობის პრინციპი; საბაჟო რეჟიმის ნორმატიული აქტებით განმტკიცებული პრინციპი; საბაჟო რეჟიმის თავისუფალი არჩევისა და შეცვლის პრინციპი; საბაჟო რეჟიმში კონკრეტული საქონლის მოთავსების პრინციპი და საბაჟო რეჟიმისადმი დამორჩილების პრინციპი.
- ვიღებთ რა მხედველობაში, რომ საბაჟო რეჟიმების მხოლოდ ერთი ნიშნით კლასიფიკაცია იქნება ცალმხრივი და ვერ შეძლებს ამ ინსტიტუტის ყველა ასპექტის გარკვევას, საბაჟო რეჟიმების კლასიფიცირება უნდა მოხდეს რამდენიმე საფუძვლის მიხედვით: სამეურნეო საქმიანობის და ეკონომიკურ კვლავწარმოების პროცესში საბაჟო რეჟიმების სირთულისა და ადგილის, საქონლის მოძრაობის მიმართულების, მოქმედების ტერიტორიის, საბაჟო რეჟიმში საქონლის არსებობის ვადის, საქონლის გამოყენების საშუალების, საგადასახადო შეღავათების მიცემის, პირების (რომლებიც შეიძლება იყენებდნენ რეჟიმს) მოქმედების სფეროს, რეჟიმის მომხმარებლის, რეჟიმის გაცხადების იურიდიული შედეგების მიხედვით და სხვ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს 2008 წლის საბაჟო კოდექსი;
2. ი. ხარაზი, საბაჟო სამართალი, თბ., 2007;
3. ი. ხარაზი, საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმები, სამართლებრივი რეგულირება, თბ., 2006;
4. ვ. ქარუმიძე, ი. ხარაზი, გ. იმედაშვილი, დ. გეფერიძე, საერთაშორისო საბაჟო სამართალი, თბ., 2004;
5. ზ. ამილახვარი, საბაჟო სამართალი, თბ., 2007.

შენიშვნები:

[1] ი. ხარაზი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია – „გადამუშავების საბაჟო რეჟიმების სამართლებრივი რეგულირება“, თბ., 2005, გვ.16 17, 45.

[2] Бахрах Д. Н., Кивалов С.В., Таможенное право России, Екатеринбург, Диамант, 1995, г. 217-220.

[3] ქართული საბაჟო კოდექსი ამ ტერმინს დღეს არ იცნობს და არ იყენებს „საქონლის საბაჟო დამუშავების ოპერაციებს“ (ავტორის შენიშვნა).

[4] Борисов К. Г., Международное таможенное право, Учеб. пособие, М., издателство Уч-та дружбы Народов, 1997, с. 86-87.

[5] საქართველოს ახალი საბაჟო კოდექსით რეგულირებულია მხოლოდ საქონლის გადამუშავება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე და საბაჟო ტერიტორიის გარეთ.

[6] აღსანიშნავია, რომ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა არა თუ არ ითვალისწინებს მესამე პირისათვის უფლებების და მოვალეობების გადაცემის შესაძლებლობას, რომლებიც წარმოიშვა გარკვეულ საბაჟო რეჟიმში საქონლის მოთავსებასთან დაკავშირებით, არამედ პასუხისმგებლობასაც კი, აწესებს ასეთი მოქმედების შესრულებისათვის (იგულისხმება გადაცემული უფლებების შეუსრულებლობა).

[7] Козырин А. Н., Таможенное право России, Учебное пособие, М., фирма “СПАРК”, 1995, с.25.

Legal Aspect of Classification of Customs Regimes

IA KHARAZI
Full Professor, Head of the Program Direction
Legal Faculty at Aviation University of Georgia

NATO UERTASHVILI
Master's Degree,
Georgina-Britain University of International Law and Governance

TEMUR GERGEDAVA
Master's Degree, Legal Faculty at Gr. Robakidze University

The customs regimes may be classified according to several features out of which some are expounded in scientific papers, or scientific and practical papers, and still some of them are classified for the first time by authors. As it is properly mentioned in the literature, separating the customs regimes in groups or dividing them into types have a legal importance first and foremost for the customs regulation mechanism, for clarifying their roles and for a comprehensive study of various aspects of the legal regulations thereof.

As a rule, the classification means systemization of solid knowledge. As the science of logic explains the classification is a way of dividing concepts. Besides, it is important to observe the rules of classification when making the classification.

Firstly, we consider that the classification should be made according to each basis. Failure to observe this rule led to making other mistakes in the classification. The basis refers to a feature of concept according to which the latter is assigned to a relevant group (a classification member). In the given

classification the dividing features may be differentiated according to several bases starting with the stages of implementation foreign and economic operations, and the purposes of crossing the Georgian customs border and finishing with certain services provided by the customs body within the framework of the customs regime.

Secondly, the classification members should not exclude each other, which is not observable in the classification.

Thirdly, the classification should be continuous. In the classification given above some 'gaps' are observed. To our opinion the customs regimes shall be divided firstly according to the regimes used in course of performing the foreign and economic operations and according to those used in suspending them. And only after this, the customs regimes applied to performing the foreign and trade operations could be separated.

ლტოლვილის სტატუსის მინიჭებისა და სამართლის სუბიექტთა თავისებურებანი დიდ ბრიტანეთში

ქეთევან ჩახვაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის
სამართალმცოდნეობის დეპარტამენტის დოქტორანტი

დიდ ბრიტანეთში ლტოლვილის სტატუსის მინიჭების მეტად მკაცრი მექანიზმი არსებობს. ამ სფეროში წამყვანი როლს შინაგან საქმეთა სამინისტრო ასრულებს. 2001 წელს, დიდი ბრიტანეთის მთავრობამ, შინაგან საქმეთა მინისტრის საშუალებით, ევროკავშირის ქვეყნებს შესთავაზა შეემუშავებინათ ერთიანი გეგმა, რომელიც გაამკაცრებდა ქვეყანაში ლტოლვილისა და იმიგრანტის მიღების წესს.

დიდმა ბრიტანეთმა ევროპელი პარტნიორი ქვეყნებისაგან მიიღო თანხმობა „ლტოლვილის სტატუსის შესახებ“ 1951 წლის ჟენევის კონვენციაში ცვლილებების შეტანის თაობაზე. შემუშავებული ერთიანი გეგმის საფუძველზე:

1. მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს ცნებები: „ლტოლვილი“ და „ეკონომიკური იმიგრანტი“;[1]

2. უცხოელი ვალდებულია ლტოლვილის სტატუსი ეძიოს იმ პირველივე ქვეყანაში, სადაც სამშობლოდან გამოდევნილი აღმოჩნდა;

3. დიდი ბრიტანეთი მომხრეა, ევროპის ზოგიერთ ქვეყანას უფლება მიეცეს „მესამე სამყაროს“ ქვეყნებში სტიქიური უბედურებისა და მძიმე კრიზისის დროს დაადგინოს მისაღებ ლტოლვილთა კვოტა.

აქედან იწყება დიდი ბრიტანეთის ახალი პოლიტიკა, მსგავსად ევროპისა, გაამკაცროს ქვეყნის მიგრაციული კანონმდებლობა. ყოველივე ამის მიზანია, გამარტივდეს ლტოლვილის სტატუსის მინიჭება იმ პირისათვის, რომელიც თავისი მდგომარეობით მართლა საჭიროებს ამ სტატუსს და შეიზღუდოს იმ პირთა ქვეყანაში შემოსვლა, რომელთაც არა აქვთ ამის საფუძველი.

2002 წლის 20 თებერვალს, დიდმა ბრიტანეთმა მიიღო ახალი კანონი „მოქალაქეობის შესახებ“, რომლის საფუძველზე მოქალაქეობის მისაღებად სავალდებულოა ქვეყანაში ცხოვრების 5 წელი, ხოლო 3 წელი იმ პირისათვის, რომელიც არის ბრიტანეთის მოქალაქის მეუღლე. აგრეთვე, კანონით სავალდებულოა ენის, ქვეყნის კანონმდებლობის საფუძვლებისა და დიდი ბრიტანეთის კონსტიტუციური წყობის ცოდნა.[2]

ჯერ კიდევ, 1999 წელს, დიდი ბრიტანეთის მთავრობამ გაამკაცრა მიგრაციული პოლიტიკა, რაც გამოიხატებოდა თავშესაფრის მაძიებელ პირთა მიღების შეზღუდვასა და მათთვის სოციალური შეღავათების აკრძალვაში. ეს მიზნად ისახავდა დიდი ბრიტანეთის თავშესაფრის მისაღებ არასასურველ ქვეყანად გადაქცევას. აღნიშნულმა სასურველი შედეგიც გამოიღო და თავშესაფრის მიღების მსურველთა შუამდგომლობის რაოდენობამ, 1996 წელთან შედარებით, 2-ჯერ იკლო. ეს „წარმატება“[3] მიღწეულ იქნა ბრიტანეთში თავშესაფრის მაძიებელ პირთათვის სოციალური დახმარების შეწყვეტის საფუძველზე, რის შედეგადაც ისინი მეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მათ დახმარებას უწევდა მხოლოდ საქველმოქმედო ორგანიზაციები: ლტოლვილთა თემი, ეკლესია და სხვა რელიგიური ჯგუფები.

ამ სისტემის უპირატესობაა, რომ ბრიტანეთის მთავრობისაგან დიდ ხარჯებს არ ითხოვს. ლტოლვილთა დახმარება ძირითადად, განპირობებულია ქველმოქმედებით და ხშირ შემთხვევაში, იმიგრანტი ყოველგვარი დახმარების გარეშე რჩება.

ინგლისი არის უნიკალური მაგალითი, სადაც ახალი იმიგრანტების ინტეგრაციაში უდიდეს როლს ლტოლვილთა თემის ორგანიზაციები ასრულებენ. სახელმწიფო ამჯობინებს სუბსიდიები გასცეს ლტოლვილთა თემის ასოციაციებზე, რომლებიც პასუხს აგებენ ახალმიღებულთა ინტეგრირებაზე. ამ საკითხისადმი ამგვარი მიდგომის დადებითი მხარეა, რომ მიგრანტთათვის ჩვეული გარემო იქმნება, მაგრამ ეს ხელს უშლის ინგლისურ საზოგადოებაში მათ სრულ ინტეგრაციას. ამასთან, ზემოაღნიშნულმა შეიძლება გამოიწვიოს „გეტოს“ მსგავსი ფენომენი, რაც საზოგადოებისათვის უარყოფით შედეგებს იძლევა.

1968 წელს, დიდი ბრიტანეთი მიუერთდა „ლტოლვილის სტატუსის შესახებ“ 1951 წლის ჟენევის კონვენციას, 1967 წლის ოქმს და სრულად აღიარა საერთაშორისო სამართლით განსაზღვრული ლტოლვილთა უფლებები.

დიდი ბრიტანეთის მიგრაციული სამართლის ძირითადი საკანონმდებლო აქტებია:

- 1999 წლის კანონი „თავშესაფრისა და იმიგრაციის“ შესახებ;
- 1996 წლის სააპელაციო ოქმი „თავშესაფრისა და იმიგრანტის მინიჭების საკითხთა გადაჭრის თაობაზე“;
- იმიგრაციული წესები.

ამასთან, დიდ ბრიტანეთში არ არსებობს იმიგრაციის ერთიანი კონცეფცია. მაგალითად, კვოტირება, რაც მთელ რიგ ქვეყნებში მიღებულია. ამგვარად, პირველი დასკვნა, რომელიც შეიძლება გაკეთდეს ინგლისში არსებული სისტემის შესახებ – ამ ქვეყანაში არ არსებობს „მიგრანტის“ ცნება მისი საყოველთაოდ აღიარებული გაგებით.

ამასთან, **შინაგან საქმეთა სამინისტრო** წარმართავს მიგრაციულ პოლიტიკასა და კანონმდებლობას; შეიმუშავებს იმიგრაციულ წესებს; იღებს გადაწყვეტილებას პირთა დეპორტაციის თაობაზე. გარდა ამისა, სამინისტროს ევალება ისეთი საკითხების გადაჭრა როგორიცაა: სოციალური უზრუნველყოფა (სოციალური უზრუნველყოფის დეპარტამენტი), გარემოს დაცვა (გარემოს დაცვის დეპარტამენტი), ტრანსპორტი და რეგიონების განვითარება (ტრანსპორტისა და რეგიონების დეპარტამენტი); ჯანმრთელობის დაცვა (ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტი); განათლება და შრომითი მოწყობა (განათლებისა და დასაქმების დეპარტამენტი)[4].

შინაგან საქმეთა სამინისტროში ლტოლვილის სტატუსის სამართლებრივი უზრუნველყოფით დაკავებულია ორი ქვეგანყოფილება: მოქალაქეობისა და იმიგრაციის დირექტორატი (IND) და დირექტორატი თავშესაფრის საკითხებში (AD).

დიდი ბრიტანეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ძირითადი სახელმძღვანელო ნორმატიული აქტები ამ სფეროში არის:

- დიდი ბრიტანეთის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ლტოლვილთა საკითხების საბჭოს შორის დადებული 1999 წლის მემორანდუმი „თანმხლებ პირთა გარეშე დარჩენილ ლტოლვილ ბავშვთათვის მრჩეველთა კომისიის შექმნის თაობაზე“;
- „ლტოლვილთა საკითხების დეპარტამენტის საქმიანობის ხარისხისა და შსს ლტოლვილთა თემთან კავშირის დეპარტამენტის“ 1998 წლის 1 თებერვლის დებულება.[5]

სოციალური დაცვის დეპარტამენტი (DSS)

დეპარტამენტი ფართო უფლებების მქონე სახელმწიფო სტრუქტურაა, რომელიც პასუხისმგებელია დახმარებისა და შემწეობის ფართო სპექტრზე, როგორიცაა: შემწეობა შემოსავალთან დაკავშირებით და განსაკუთრებით, ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელ პირთა შემწეობები, რომელიც ცენტრალური აპარატიდან ფინანსდება. თუმცა, დეპარტამენტის ყოველდღიურ საქმიანობას ახორციელებს აღმასრულებელი სააგენტო. ერთ-ერთი ასეთ მნიშვნელოვანი რგოლია, შემწეობის საკითხთა სააგენტო.

სააგენტოს ხელმძღვანელობს მთავარი დირექტორი, რომელიც ექვემდებარება სოციალური დაცვის დეპარტამენტის სახელმწიფო მდივანს და სხვა მინისტრებს, ხოლო ისინი, თავის მხრივ, ანგარიშვალდებულნი არიან პარლამენტისა და საზოგადოებრიობის წინაშე.

სააგენტო პასუხისმგებელია შემწეობათა სტაბილურ გაცემაზე, ასევე ამ მომსახურებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე. ეს გულისხმობს იმ დახმარების გაცემასა და მომსახურებას, რისი უფლებაც აქვთ ლტოლვილებსა და თავშესაფრის მაძიებელ პირებს. ზემოაღნიშნულთან ერთად, სააგენტო პასუხისმგებელია გამოავლინოს, გამოიძიოს და აღმოფხვრას სოციალური დახმარების მიღების უკანონო შუამდგომლობები და ასევე, ამ სფეროში მოქალაქეთა თაღლითობის ფაქტები.

რაც შეეხება ლტოლვილებსა და თავშესაფრის მაძიებელ პირებს, სააგენტო, წელიწადში ორჯერ, შემწეობებთან დაკავშირებით, აწყობს ფორუმს ამ კატეგორიის პირთა ინტერესების დამცველ ორგანიზაციებთან. ამგვარ ფორუმში აქტიურად იღებენ მონაწილეობას დიდი ბრიტანეთის შსს, ლტოლვილთა საბჭო და სოციალური დაცვის დეპარტამენტის პოლიტიკის შემმუშავებელი ჯგუფი.

გარემოს დაცვის, ტრანსპორტისა და რეგიონების დეპარტამენტი (DETR)

გარემოს დაცვის, ტრანსპორტისა და რეგიონების დეპარტამენტი, მთელ რიგ სხვა ფუნქციებთან ერთად ადგილობრივი ხელისუფლებისათვის შეიმუშავებს უსახლკაროთა, მათ შორის, ლტოლვილებისა და თავშესაფრის მაძიებელი პირების, განსახლების პოლიტიკას.

ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტი პასუხისმგებელია ლტოლვილების ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის შემუშავებაზე.

განათლებისა და დასაქმების დეპარტამენტი (DFEE) ლტოლვილებსა და თავშესაფრის მაძიებელ პირებზე გასცემს მუშაობის უფლების ნებართვას, პასუხისმგებელია შსს-თან ერთად, ამ კატეგორიის პირების დასაქმების კოორდინაციაზე. აგრეთვე, შეიმუშავებს ქვეყნაში ლტოლვილთა განათლების პოლიტიკას.

მთელ რიგ უფლებებთან ერთად, **ადგილობრივი ხელისუფლების (თვითმმართველობა)** კომპეტენციაა უსახლკაროთა, მათ შორის, ლტოლვილებისა და თავშესაფრის მაძიებელი პირების საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფა.

ინგლისში არ არსებობს ლტოლვილებისა და თავშესაფრის მაძიებელი პირთა მიღებისა და განთავსების ცენტრი. თუმცა, ადგილობრივი ხელისუფლების ზოგიერთ ორგანოსა და არასამთავრობო ორგანიზაციას გახსნილი აქვს ლტოლვილებისა და თავშესაფრის მაძიებელ პირთა საერთო საცხოვრებელი ან მიღებისა და განთავსების ცენტრი.

ადგილობრივი ხელისუფლების (თვითმმართველობის) საქმიანობა ამ სფეროში განპირობებულია რეგიონის სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და გეოგრაფიული თავისებურებებით. დიდ ბრიტანეთს არ გააჩნია კანონი, რომელიც ლტოლვილებსა და თავშესაფრის მაძიებელ პირებს აიძულებს იცხოვროს კონკრეტულად რომელიმე ოლქში.

„თავშესაფრისა და იმიგრაციის“ შესახებ 1999 წლის კანონით, ლტოლვილებსა და თავშესაფრის მაძიებელ პირებს სოციალური შემწეობა სოციალური დაცვის დეპარტამენტის მეშვეობით, მხოლოდ იმ შემთხვევაში მიეცემა, თუ საცხოვრებელი ფართობის მიცემის თაობაზე შუამდგომლობა რეგისტრირებული იქნება საზღვრის გადმოკვეთის დროს. პირს შემწეობის მიღება შეუწყდება თუ უარს იტყვის საცხოვრებელზე, თუნდაც, დარჩეს დიდ ბრიტანეთში და გაასაჩივროს აღნიშნული გადაწყვეტილება.

არასამთავრობო ორგანიზაციები

არასამთავრობო ორგანიზაციათა ფართო წრე დიდ როლს ასრულებს ლტოლვილებისა და თავშესაფრის მაძიებელი პირების მიღება-განთავსებისა და მომსახურების ორგანიზებაში. აგრეთვე, მათთვის მხარდაჭერისა და კონსულტაციების გაწევის საქმეში.

ამ ორგანიზაციათა რიცხვს მიეკუთვნება:

- **ლტოლვილთა საბჭო.** ეს არის ბრიტანეთში ლტოლვილთა ინტერესების დამცველი მთავარი ორგანიზაცია. იგი ფინანსდება ბრიტანეთის შსს-ს გრანტით.
- **მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია;**
- **შემოსულ ლტოლვილთა დახმარების პროექტი.** ეს ორგანიზაცია მდებარეობს ჰიტროუს აეროპორტში. მისი მიზანია დახმარება გაუწიოს თავშესაფრის მაძიებელ პირს ბრიტანეთში შემოსვლის პირველ დღეებში. ეს ორგანიზაციაც ბრიტანეთის შსს-ს გრანტით ფინანსდება.
- **ბრიტანეთის წითელი ჯვარი.** იგი ყოველმხრივ ეხმარება ლტოლვილებსა და თავშესაფრის მაძიებელ პირებს, აგრეთვე თანამშრომლობს გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატთან ოჯახების ერთიანობის საკითხში.
- **ლტოლვილთა დახმარების ორგანიზაცია.** აღნიშნულ ორგანიზაციას აქვს 6 ტერიტორიული განყოფილება და ფინანსდება შსს-ს გრანტით. იგი ეხმარება ლტოლვილთა ადგილობრივ ორგანიზაციებს და ცდილობს შექმნას ლტოლვილთა დახმარებისა და განსახლების ადგილობრივი სისტემა. ორგანიზაცია თანამშრომლობს სხვადასხვა ქვეყნებიდან: ბოსნიიდან, სომალიდან, ირანიდან, ვიეტნამიდან, ჩილედან, სუდანიდან და სხვა დევნილ ლტოლვილებთან.

ლტოლვილთა სამართლებრივი დაცვის ცენტრი. ეს ორგანიზაციაც ნაწილობრივ ფინანსდება შსს-ს მიერ. იგი კონსულტაციას უწევს თავშესაფრის მაძიებელ პირს შუამდგომლობის აღძვრის დროს და ასევე, ეხმარება მათ შუამდგომლობის გასაჩივრებაზე უარის შემთხვევაში. შუამდგომლობა თავშესაფრის მიცემაზე არ შეიძლება წარედგინოს ბრიტანეთის საელჩოს. პირი უნდა ჩამოვიდეს ბრიტანეთში და ამის შემდგომ უნდა აღძრას შუამდგომლობა თავშესაფრის მიცემის თაობაზე.

შუამდგომლობა თავშესაფრის თაობაზე ორ კატეგორიად იყოფა: შუამდგომლობა თავშესაფრის თაობაზე, პირის, რომელიც ჩამოვიდა ბრიტანეთში და შუამდგომლობა, თავშესაფრის თაობაზე, პირის, რომელიც იმყოფება ქვეყანაში. „თავშესაფრისა და იმიგრაციის“ შესახებ 1999 წლის კანონით, ამ ორი კატეგორიის შუამდგომლობის განხილვა განსხვავებული სამართლებრივი რეჟიმით ხდება. ყოველგვარ შუამდგომლობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს დიდი ბრიტანეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს იმიგრაციისა და მოქალაქეობის დირექტორატი.

შუამდგომლობის წარდგენა ქვეყანაში შემოსვლის დროს

შუამდგომლობა ქვეყანაში შემოსვლისთანავე (აეროპორტში, ნავსადგურში საერთაშორისო ვაგზალზე) წარედგინება იმიგრაციული სამსახურის ოფიცერს ან სხვა ოფიციალურ პირს. შემოსვლიდან 24 საათის განმავლობაში პირს უტარდება ხანმოკლე გასაუბრება ძირითადი ფაქტების დასადგენად, ან ხანგრძლივი გასაუბრება ხანმოკლე პროცედურის გასავლელად.

პირს მიეცემა ან „დროებითი ყოფნის უფლება“ და უფლება ეძლევა გადაადგილდეს ბრიტანეთში, ან დაკავებულ იქნება ხელისუფლების მიერ. თუ პირს მიეცა „დროებითი ყოფნის უფლება“, მასზე გაიცემა სპეციალური დოკუმენტი, იმის დასტურად, რომ მან აღძრა შუამდგომლობა თავშესაფრის თაობაზე. პირს უფლება აქვს მიიღოს: შემოსავალზე შემწეობა(90%), დახმარება საცხოვრებელ ფართობზე, შეღავათები ადგილობრივ გადასახადებზე, უფასო სამედიცინო დახმარება, სასკოლო განათლების სრული და უმაღლესი განათლების შეზღუდული უფლება.

შუამდგომლობის წარდგენა ქვეყანაში ყოფნის დროს

შუამდგომლობა წარედგინება ბრიტანეთში სხვა მიზნით ყოფნის შემთხვევაში (სასწავლებლად, სტუმრის სტატუსით, სამუშაო ვიზიტით, ყალბი დოკუმენტების საფუძველზე);

იმიგრაციისა და მოქალაქეობის დირექტორატის განყოფილებაში;

პირს ჩაუტარდება ხანმოკლე გასაუბრება ძირითადი ფაქტების დასადგენად, ან ხანგრძლივი გასაუბრება ხანმოკლე პროცედურის გასავლელად;

პირზე გაიცემა სპეციალური დოკუმენტი;

პირს არა აქვს უფლება მიიღოს რაიმე შემწეობა ან სოციალური საცხოვრებელი ფართობი;

მას აქვს უფლება ისარგებლოს: უფასო სამედიცინო დახმარებით, სრული სასკოლო და შეზღუდული უმაღლესი განათლებით;

თავშესაფრის მაძიებელ პირთა მხოლოდ მცირე ნაწილს ეძლევა ლტოლვილის სრული სტატუსი. ვინაიდან, თავშესაფრის მაძიებელ პირთა 75% წარმოადგენს ეკონომიკურ მიგრანტს და არ განიცდიან დევნას. რის გამოც არ მიეცემათ თავშესაფარი და ექვემდებარებიან ქვეყნიდან გაძევებას. შუამდგომლობაზე უარი შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასმართლოში, ხოლო თუ სასამართლომაც უარი განაცხადა, შეიძლება გასაჩივრდეს საიმიგრაციო ტრიბუნალში.

პირი, რომელიც შუამდგომლობას წარადგენს ქვეყანაში შემოსვლის დროს ან იმყოფება ბრიტანეთში არალეგალურად, შუამდგომლობის განხილვის განმავლობაში არის დაკავებული, ხოლო თუ უარი ეთქვა შუამდგომლობაზე, დაკავებულია ქვეყნიდან გაძევებამდე.

1951 წლის კონვენციით დევნილის სტატუსის მინიჭების შემთხვევაში, პირი სრულად სარგებლობს კანონით მინიჭებული ლტოლვილის უფლებებით და შეღავათებით. ცხოვრების უფლების მქონე ლეგალური იმიგრანტები დიდი ბრიტანეთის მოქალაქის მსგავსად, სარგებლობენ შეღავათებით და საცხოვრებელის მიღების უფლებით.

დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობა ითვალისწინებს თავშესაფრის მაძიებელ პირთა ეკონომიკურ ინტეგრაციას.

მუშაობის უფლება პირს მიეცემა თავშესაფრის თაობაზე შუამდგომლობის წარდგენიდან 6 თვის შემდეგ. მუშაობის უფლება ყველა თავშესაფრის მაძიებელ პირს არ მიეცემა. ეს საკითხი წყდება შსს მიერ ინდივიდუალურად. ეს უფლება პირს შეიძლება მიეცეს 6 თვემდე, ან ჰუმანური მოსაზრებით, ან აუცილებლობის შემთხვევაში, კვლავაც ინდივიდუალურად, შსს მიერ.[6]

ლტოლვილთა სამართლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით დიდი ბრიტანეთის მიერ გატარებული პოლიტიკისა და იმიგრაციული კანონმდებლობის საფუძველზე, შეგვიძლია აღვნიშნოთ:

- მართალია, ინგლისის იმიგრაციული პოლიტიკა საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიქმება განსაკუთრებით ცივილიზებულად და წარმატებულად, მაგრამ ქვეყნის ორიენტაციაა მკაცრად შეიზღუდოს ლტოლვილთა შემოსვლა ქვეყანაში და შეიქმნას ლტოლვილის სტატუსის მინიჭების მინიმალური გარანტიები;
- გადაწყვეტილებას, ლტოლვილის სტატუსის მინიჭების პროცედურაზე, იღებს დიდი ბრიტანეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო;
- დიდ ბრიტანეთში 1951 წლის კონვენცია ლტოლვილის უფლებების დაცვის ძირითადი ნორმატიული აქტია. მაგრამ იგი არ განიხილება ფართოდ და არ იგულისხმება დევნის ახალი ფორმები;
- ლტოლვილის სტატუსი ავტომატურად არ გულისხმობს ოჯახის ერთიანობას, მუშაობის უფლებას, დახმარებებსა და შეღავათებს;
- ქვეყნის იმიგრაციული კანონმდებლობა არ ცნობს საერთაშორისო ორგანიზაციათა სარეკომენდაციო წერილებს ლტოლვილის სტატუსის მინიჭების შუამდგომლობის განხილვის საკითხთან დაკავშირებით, რაც პრაქტიკაში უარყოფითად აისახება;
- დიდი ბრიტანეთი არის უნიკალური მაგალითი ქვეყნისა, სადაც ახლადჩამოსული იმიგრანტების ინტეგრაციის საქმეში დიდ როლს ასრულებს ლტოლვილთა თემი, სადაც სახელმწიფო, უმეტესად, შსს-ს სახით, ამჯობინებს ლტოლვილთა თემის ასოციაციების სუბსიდირებას.

შენიშვნები:

1 http.//www.MIGnews.com

2 www.homeoffice.gov.uk/iaact/immigact.htm

3 www.guardian.co.uk

4 დიდი ბრიტანეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდი – Home Office/UK Border Agency/Asulym.

5 Система приема и обустройства беженцев, мигрантов и лиц, ищущих убежища в Великобритании, Франции и Дании. Проект ТАСИС по социальной защите и интеграции мигрантов в Российской Федерации. Учебный материал. М 1999

6 Harding, J., The Uninvited: Refugees at the Rich's Man's Gate, Profile/Books/ London Review of books, London, 2000

Notable Features of Conferring the Refugee Status and of Subjects of Law in the Great Britain

KETEVAN CHAKVADZE
PhD Student at Law Department
Humanitarian and Social Faculty of Georgian technical University

The article canvasses the peculiarities of conferring the status of refugee and of subjects of law on the example of the Great Britain.

The Great Britain employs a rather strict mechanism for conferring the status to refugees. The policy in place in the Great Britain, like that of the Europe, is to make stricter the migration legislation in the country. This policy aims at simplifying the process of conferring the refugee status for the persons who really qualify for it and hindering the entry of those applicants in the country who do not meet the requirements.

There is not a single institution in England which is in charge or coordinates receiving of, housing and conferring the refugee status to the applicants. Besides, there is no hierarchy of the organizations engaged in this process. A number of government departments participate in receiving and housing the persons seeking the refugee status and asylum but the Ministry of Internal Affairs (Home Office) is fully obliged to implement the migration policy.

Asylum applications are divided into 2 categories: those of the defectors who crossed the border of the Great Britain and those of the persons who are in the territory of the country. According to the 1999 Law on Refugees and Immigration different legal regimes are applied for consideration of the mentioned two categories of applications and for conferring refugee status to them.

ბავშვთა უფლებების დაცვა ჟენევის კონვენციების მიხედვით

მარიამ ჯიქია
სამართლის დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის
სამართლის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი

შესავალი

თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა საერთაშორისო თუ სხვა სახის შეიარაღებული კონფლიქტების არსებობა, რაც თავის მხრივ, უარყოფით გავლენას ახდენს არა მარტო ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, არამედ ადამიანის უფლებებზეც.

შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად დაზარალებული სამოქალაქო მოსახლეობის დაცვა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანია. ომის მსხვერპლია როგორც კომბატანტი, ასევე სამოქალაქო მოსახლეობა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სტატისტიკური მონაცემების თანახმად, შეიარაღებული კონფლიქტის დროს დაზარალებულთა 70% ყოველთვის სამოქალაქო მოსახლეობაა. ზემოაღნიშნული ორივე კატეგორიის სამართლებრივი დაცვა ხორციელდება 1949 წლის ჟენევის კონვენციებითა და მისი დამატებითი ოქმების საფუძველზე.

ჟენევის სამართალი განასხვავებს დაცვით მოსარგებლე პირთა რამდენიმე კატეგორიას, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს განსაკუთრებული დაცვის ქვეშ მყოფ პირებს, მათ

შორის არიან ბავშვები. მხოლოდ უკანასკნელი დეკადის პერიოდში 2 მილიონი ბავშვია მოკლული, 6 მილიონი დაშავებული, ხოლო ორი ამდენი უსახლკაროდ დარჩენილი. ეს უბრალო დამთხვევა არ არის, რადგანაც უმეტესწილად ბავშვები წარმოადგენენ იმ ჯგუფს, რომელთა უფლებების დარღვევა ხდება ომის პერიოდში.[1] შეიარაღებული კონფლიქტის დროს ბავშვების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს მოჰყვება ფიზიკური და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, კატასტროფული (გამანადგურებელი) შედეგები.

ბავშვთა უფლებების დარღვევის ფაქტები შეიარაღებული კონფლიქტის დროს

ბავშვები წარმოადგენენ იმ პირთა წრეს, რომელთა უფლებები განსაკუთრებით უხეშად ირღვევა შეიარაღებული კონფლიქტის დროს. დღესდღეობით, თვრამეტ წლამდე სამას ათასზე მეტი ბავშვი უშუალოდ მონაწილეობს საომარ მოქმედებებში, როგორც სახელმწიფოთა შეიარაღებულ ძალებში, ასევე სხვადასხვა დაჯგუფებებში, რაც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის უგულებელყოფას ნიშნავს.

ბავშვი-ჯარისკაცების გამოყენება ხდება მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, სადაც შეიარაღებული კონფლიქტია: იუგოსლავია, ანგოლა, ბურუნდი, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა, რუანდა, სომალი, სუდანი, უგანდა, ირანი, ისრაელი და სხვა.

კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში არსებული კონფლიქტის ერთ-ერთი მტკივნეულ თემაა ბავშვი-ჯარისკაცების სიმრავლე როგორც სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში, ასევე სხვადასხვა დაჯგუფებებში. სხვადასხვა მონაცემების მიხედვით ეს ფაქტები უმეტესად შეინიშნება კონგოს აღმოსავლეთ ნაწილში. ამ ბავშვების რაოდენობა დაახლოებით 30 000 შეადგენს, რომელთაგან 40% მდედრობითი სქესის 15 წლამდე ასაკის ბავშვები არიან. კონგოში, დღესაც სხვადასხვა შეიარაღებულ დაჯგუფებებში ხდება ბავშვი-ჯარიკაცების წვრთნა, მათი ასაკი მერყეობს 7-15 წლამდე.

2003 წლის სექტემბერში, საერთაშორისო ამნისტიამ გამოაქვეყნა მოხსენება სახელწოდებით: "DRC: Children in War", სადაც გამოხატულია დამოკიდებულება შეიარაღებულ ძალებში ბავშვების გამოყენების მიმართ. მოხსენებაში დიდი ყურადღება ეთმობა ბავშვების გამოყენების მასშტაბს, ასევე მათი სისტემატური წამების, სექსუალური ძალადობის და სასტიკად მოპყრობის ფაქტებს.

ბავშვთა უფლებების დაცვის შესახებ კონვენციის დამატებითი ოქმის ხელმოწერის შემდეგ (2002 წლის ნოემბერი), ისრაელის მთავრობამ აკრძალა 18 წლამდე ასაკის ბავშვების სამხედრო ძალებში მიღება. თუმცა, რეალურად 17 წლის მოხალისეების მიღება შეიარაღებულ ძალებში გრძელდება.

აღსანიშნავია, რომ სხვა სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, სიერა ლეონეს სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში არ დაფიქსირებულა ბავშვი-ჯარისკაცების არსებობა. თუმცა, ისინი მრავლადაა სხვადასხვა შეიარაღებულ დაჯგუფებებში.

სიერა ლეონეს სპეციალური სასამართლოს მიერ განხილული იყო რამდენიმე საქმე ბავშვი-ჯარისკაცების გამოყენების შესახებ. გაერთიანებული რევოლუციური ფრონტის ლიდერის დაქვემდებარებაში მყოფ სამ სამხედრო მეთაურს ბრალი ედებოდა ომის დანაშაულებში, რომელშიც შედიოდა ბავშვების კომბატანტებად გამოყენება.[2] ჩარლზ ტეილორს, რომელიც იყო ლიბერიის პრეზიდენტი, ბრალი ედებოდა ომის დანაშაულის ჩადენაში, მათ შორის, 15 წლამდე ასაკის ბავშვების კომბატანტებად გამოყენება.[3]

ლიბერიაში, უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე შეიარაღებულმა კონფლიქტმა ბევრი ადამიანი იმსხვერპლა. ათასობით ბავშვი იყო მკვლელობის, სექსუალური ძალადობის, წამებისა და იძულებითი მონობის მსხვერპლი. კომბატანტებს შორის უამრავი 18 წლამდე ასაკის ბავშვი იყო, რომელთა რიცხვი დაახლოებით 15 000 აღწევდა. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სამართალი კრძალავს ბავშვების კომბატანტებად გამოყენებას, ლიბერიაში შეიარაღებული კონფლიქტის დროს 9-10 წლის ასაკის ბავშვები გამოიყენებოდა საომარ მოქმედებებში. გოგო კომბატანტები იძულებულები იყვნენ სექსუალური ძალადობაც აეტანათ, ხოლო მამრობითი სქესის კომბატანტებს საომარ მოქმედებებში ჩაბმის წინ აძლევდნენ სხვადასხვა ნარკოტიკულ საშუალებებს, რათა შიშის გრძნობა დაეკარგათ და უფრო გაბედულად ჩაედინათ სხვადასხვა სასტიკი ქმედებები.

ბურუნდის მთავრობა აღიარებს, რომ მის შეიარაღებულ ძალებში არიან ბავშვი-ჯარისკაცები და ისინი ყველანაირად ცდილობენ ამ ფაქტების აღმოფხვრას. თუმცა, ბავშვი-ჯარისკაცების გამოყენება გრძელდება ბურუნდიელების მიერ კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

2003 წლის აპრილში, ბურუნდი შეუერთდა რომის სტატუტს, ასევე მოახდინა ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციის დამატებითი ოქმის რატიფიცირება და სამხედრო მოსამსახურის ასაკი 18 წლით განსაზღვრა. მიუხედავად ამისა, დღესდღეობით, ბურუნდის სახელმწიფო შეიარაღებულ ძალებში 14 000 ბავშვი-ჯარისკაცია.

ბავშვი-ჯარისკაცების არსებობა დაფიქსირებულია ავღანეთშიც. ავღანეთში ბავშვებს არა მარტო ჯარისკაცებად იყენებენ, არამედ სხვადასხვა ნარკოტიკული საშუალებების გადამზიდავებად.

ეთიოპიასა და უგანდაში ბავშვი-ჯარისკაცების მესამედ ნაწილს გოგონები შეადგენენ. უმეტესწილად ხდება ამ ბავშვების გაუპატიურება ან სამხედრო მეთაურებისათვის 'ცოლად" შერთვა. გარდა საომარ მოქმედებებში მონაწილეობისა, ბავშვებს აიძულებენ იმუშაონ მზარეულებად, მცველებად ან ჯაშუშებად.

ბავშვების მასობრივი გამოყენება შეიარაღებულ ძალებში მათი ადვილად მანიპულირებით არის განპირობებული და უმეტესად ვერ აცნობიერებენ იმ საფრთხეს, რომელიც მათ ემუქრებათ. ზოგიერთი მათგანი იძულებით არის ჩაბმული საომარ მოქმედებებში, ზოგიერთი კი, თავისი სურვილით, რათა მოიპოვონ საკვები, უსაფრთხოება, ტანსაცმელი და ფული. არსებობს სხვა მიზეზებიც: ოჯახის მხრიდან ზეწოლა, სურვილი ემსახურონ საზოგადოებას ან ეთნიკურ ჯგუფს, თავიდან აიცილონ დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი მოპყრობა და სხვა.

ბავშვთა დაცვის სამართლებრივი რეგულირება

უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის პრინციპების განვითარებამ ძალიან დიდი გავლენა მოახდინა საერთაშორისო სამართალზე, კერძოდ კი, საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალზე.

ჰუმანიტარული სამართალი, სამართლის სხვა დარგების მსგავსად, ყოველგვარ დისკრიმინაციას კრძალავს. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდა ბავშვების დაცვას. ჟენევის კონვენცია ამ საკითხთან დაკავშირებით თითქმის 560 მუხლს მოიცავს. როგორც სხვა სამოქალაქო პირები, ბავშვები დაცულნი არიან კონფლიქტში მონაწილე

მხარეთა მიერ ცუდი მოპყრობისაგან. ისინი დაცულნი არიან ჟენევის IV კონვენციით. ამ კონვენციის თანახმად, მათზე ვრცელდება ყველა ის მდგომარეობა, რომლებზეც მოქმედებს ჰუმანური მოპყრობის პრინციპი: „კონფლიქტში მონაწილე მხარეების ხელში მყოფ პირებს ყველა ჰუმანურად უნდა მოექცეს. ისინი სარგებლობენ მათთვის გათვალისწინებული დაცვით მიუხედავად მათი რასის, სქესის, ენის, რელიგიისა და აღმსარებლობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმომავლობის და ქონებრივი მდგომარეობისა".[4] „იკრძალება ტყვედ ჩავარდნილი პირების სიცოცხლისა და ღირსების ხელყოფა. კერძოდ, მათი მოკვლა ან განადგურება, წამება, ბიოლოგიური ცდების ჩატარება, წინასწარი განზრახვით სამედიცინო დახმარებისა და მოვლის გარეშე დატოვება და მათი დაავადებისათვის პირობების შექმნა. უპირატესობის მინიჭება სამედიცინო დახმარების აღმოჩენისას დაშვებულია მხოლოდ გადაუდებელი სამედიცინო მიზეზებით. ასევე, იკრძალება ადამიანის ღირსების აბუჩად აგდება, კერძოდ, დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი მოპყრობა, პროსტიტუციის იძულება ან ნებისმიერი ფორმის უღირსი ხელყოფა, მძევლად აყვანა, კოლექტიური დასჯა, აგრეთვე, ასეთი მოქმედებების ჩადენის მუქარა".[5]

საერთო დაცვის გარდა ბავშვები სარგებლობენ განსაკუთრებული დაცვის ქვეშ მყოფ პირთა სტატუსით. ეს ნორმა შემუშავებულ იქნა, რადგანაც ასეთი პრაქტიკა უკვე არსებობდა I მსოფლიო ომის დროს, სადაც ყველა ასაკის ბავშვები ძალადობის მსხვერპლნი იყვნენ. ოკუპირებულ ტერიტორიებზე გაუპატიურების, სასტიკი და დამამცირებელი მოპყრობის უამრავი ფაქტი არსებობს.

უკანასკნელ პერიოდამდე, სექსუალურ ძალადობას შესაბამისი ყურადღება არ ეთმობოდა. ნიურნბერგის ტრიბუნალის დროს სექსუალური ძალადობა არ იყო ომის დანაშაულებში მიჩნეული, მიუხედავად იმისა, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს არსებობდა სექსუალური ძალადობის უამრავი ფაქტი.

კონგოს სასამართლო სისტემამ სრული კრახი განიცადა სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში. კონგოში არსებული სამხედრო სასამართლოების იურისდიქცია ვრცელდება ყველა იმ დანაშაულზე, რომელსაც ჩადიოდნენ ეროვნული შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები. ხოლო სხვადასხვა შეიარაღებული დაჯგუფებების წევრების პასუხისმგებლობის საკითხს განიხილავს სამოქალაქო სასამართლოები. მიუხედავად ამისა, ზემოაღნიშნულ დარღვევებს რეაგირება არ მოჰყოლია.

ჟენევის IV კონვენცია და მისი დამატებითი ოქმები გაუპატიურებასა და სხვა სახის სექსუალურ ძალადობას მიიჩნევს ჰუმანიტარული სამართლის მძიმე დარღვევად. ჟენევის IV კონვენციის 147-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ „წამება ან არაადამიანური მოპყრობა" და წინასწარი განზრახვით მძიმე ტანჯვის ან სერიოზული ზიანის მიყენება სხეულის ან ჯანმრთელობისათვის" ჟენევის კონვენციების მძიმე დარღვევებს წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ 2002 წლის დეკემბერში, კონგო II დამატებით ოქმს შეუერთდა. II დამატებითი ოქმის მე-4 მუხლი კი, კრძალავს „სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის ხელყოფას. კერძოდ, მკვლელობას, ასევე ისეთ სასტიკ მოპყრობას, როგორიცაა წამება, დასახიჩრება ან სხეულებრივი სასჯელის გამოყენება, კოლექტიური დასჯა და პიროვნული ღირსების შეურაცხყოფა, კერძოდ, დამაცირებელი და შეურაცხმყოფელი მოპყრობა, გაუპატიურება, პროსტიტუციის იძულება ან ნებისმიერი ფორმის უხამსი ხელყოფა."[6]

რომის სტატუტის თანახმად, რომლის რატიფიცირებაც კონგომ მოახდინა 2002 წლის აპრილში, „გაუპატიურება, სექსუალური მონობა, იძულებითი პროსტიტუცია, იძულებითი ფეხმძიმობა"

ან სხვა სახის სექსუალური ძალადობა მიჩნეულია ომის დანაშაულად და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად.

1993 წელს, ბალკანეთში ომის დროს ჩადენილი დანაშაულების საპასუხოდ შეიქმნა საერთაშორისო სისხლის ტრიბუნალი ყოფილი იუგოსლავიისათვის.[7] ერთი წლის შემდეგ, რუანდაში განხორციელებულ გენოციდს მოჰყვა საერთაშორისო სისხლის ტრიბუნალის შექმნა.[8] ორივე ტრიბუნალი სტრუქტურით ერთმანეთს ჰგავს, თუმცა, იუგოსლავიის ტრიბუნალის იურისდიქცია ვრცელდება მხოლოდ ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე 1991 წლიდან ჩადენილ დანაშაულებზე, ხოლო რუანდის ტრიბუნალის იურისდიქცია – 1994 წლის იანვრიდან დეკემბრის ჩათვლით რუანდისა და მეზობელი ქვეყნების ტერიტორიაზე ჩადენილ დანაშაულებზე. ორივე ტრიბუნალის სტატუტი მოიცავს ისეთ დანაშაულებს, როგორიცაა გენოციდი, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული და ომის დანაშაულები. ეს ტრიბუნალები აღიარებენ გაუპატიურებას, როგორც ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად, გენოციდად და ომის დანაშაულად.

რუანდის *ad hoc* ტრიბუნალის მიერ განხილულ საქმეში The Prosecutor v. Jean-Paul Akayesu აღნიშნულია, რომ Jean-Paul Akayesu-ს ბრალი წაუყენეს გენოციდისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენაში, კერძოდ, 12–13 წლის გოგონების გაუპატიურება და შემდგომ მათი მოკვლა.[9]

იუგოსლავიის *ad hoc* ტრიბუნალის მიერ განხილული საქმის, The Prosecutor v. Dragoljob Kunarac, Radomir Kovac and Zoran Vukovic თანახმად, მათ ბრალი წაუყენეს 12 წლის გოგონების გაუპატიურებაში, შემდგომ კი, მათ სქესობრივ მონებად გამოყენებაში. Radomir Kovac დამნაშავედ ცნეს ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისა და ომის დანაშაულის ჩადენაში. ამ გადაწყვეტილებამ საფუძველი ჩაუყარა სქესობრივი მონობის ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად კვალიფიკაციას.[10]

არსებობს უამრავი სხვა ნორმა, რომელიც კრძალავს ბავშვთა უფლებების ხელყოფას. აკრძალულია სიკვდილით დასჯის გამოყენება. სიკვდილით დასჯის შეფარდება დაუშვებელია 18 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ყველა სხვა პირობა არსებობდეს ამ სასჯელის შეფარდებისათვის.

კონფლიქტის მონაწილე მხარეები ჩვეულებრივ, მთელ რიგ ღონისძიებებს ახორციელებენ განსაკუთრებული დაცვის ქვეშ მყოფი პირების სასარგებლოდ. ასეთი ზომები სხვადასხვა სფეროში მიიღება: სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა, ზოგიერთი სახის სამუშაოსაგან გათავისუფლება, სოციალური პრივილეგიების მინიჭება და სხვა.

კონფლიქტის მონაწილე მხარეებს აქვთ უფლება მიიღონ მკაცრი ზომები დაცვის ქვეშ მყოფი პირების მიმართ, თუ ეს ზომები სავალდებულო ხასიათს ატარებს. (კონფლიქტში მონაწილე მხარეს აქვს უფლება პირის ინტერნირებისა, თუ ის წარმოადგენს რომელიმე ისეთ დაჯგუფებას, რომელიც იღვწის ქაოსისა და არეულობის დამკვიდრებისთვის).

იუნესკოს ერთ-ერთი გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ საომარი მოქმედებები იმდენად უარყოფით გავლენას არ ახდენს ბავშვების ფსიქიკაზე, რაც განპირობებულია მათი სწრაფვით თავგადასავლებისაკენ, რამდენადაც ოჯახთან განშორება. კონფლიქტის მონაწილე მხარეები ვალდებულნი არიან ყველა შესაძლო შემთხვევაში, ოჯახის წევრები მოათავსონ ერთ შენობაში, სადაც სხვებისაგან განცალკევებით იცხოვრებენ. მათ ოჯახური ცხოვრების წარმართვისათვის ყველა აუცილებელი პირობა უნდა ჰქონდეთ.[11]

კონფლიქტის მონაწილე მხარეები უნდა ეცადონ, რომ საომარ მოქმედებებში 15 წლამდე ასაკის ბავშვებმა მონაწილეობა არ მიიღონ. თუ 15 წლამდე ასაკის ბავშვები მაინც ღებულობენ მონაწილეობას საომარ მოქმედებებში, მოწინააღმდეგე მხარის ხელში ჩავარდნისას, ისინი სარგებლობენ განსაკუთრებული დაცვის უფლებით, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ისინი სამხედრო ტყვეები.[12]

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბავშვი-ჯარისკაცების გამოყენება ხდება თითქმის ყველა ქვეყანაში, სადაც დღესდღეობით შეიარაღებული კონფლიქტი არსებობს. კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში საერთაშორისო ამნისტიის მიერ ჩამორთმეულ ინტერვიუებში ბავშვების უმრავლესობამ აღიარა, რომ იმ დროისათვის, როდესაც ისინი პირველად ჩაებნენ საომარ მოქმედებებში, მათი ასაკი იყო 6-7 წელი. საერთაშორისო სამართალი კრძალავს 18 წლამდე ასაკის ბავშვების წვრთნასა და გამოყენებას საომარ მოქმედებებში, ხოლო 15 წლამდე ბავშვების შეიარაღებულ ძალებში გამოყენება მიჩნეულია როგორც ომის დანაშაული.

ბავშვთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის 38-ე მუხლი ასევე, კრძალავს 15 წლამდე ბავშვების საომარ მოქმედებებში ჩაბმას. მას ამყარებს ამ კონვენციის დამატებითი ოქმი ბავშვების შეიარაღებულ კონფლიქტში ჩაბმის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2002 წლის 12 თებერვალს და განსაზღვრა ბავშვების საომარ მოქმედებებში ჩაბმის მინიმალური ასაკი – 18 წელი. მიუხედავად იმისა, რომ კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ რატიფიცირებულია ზემოაღნიშნული დამატებითი ოქმი, ბავშვი-ჯარისკაცების რიცხვი კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში არ შემცირებულა.

თუმცა, რაც შეეხება საერთო მდგომარეობას, უკანასკნელ წლებში შეიმჩნევა პროგრესი ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში. 2003 წელს 67 სახელმწიფომ მოახდინა ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციის დამატებითი ოქმის რატიფიცირება. მათ შორის, ავღანეთმა, კონგოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, ფილიპინებმა, რუანდამ, სიერა ლეონემ, შრი ლანკამ, უგანდამ და ა.შ.

გაერთიანებული ერების ბავშვთა დაცვის კომიტეტმა დაიწყო თითოეული სახელმწიფოს კონტროლი აღნიშნული ოქმის იმპლენტაციის საკითხთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ 1998 წლის რომის სტატუტის თანახმად, 15 წლამდე ბავშვების შეიარაღებულ ძალებში ჩაბმა და გამოყენება მიიჩნევა ომის დანაშაულად.

1999 წელს, გაეროს უშიშროების საბჭომ დიდი ყურადღება დაუთმო ბავშვთა უფლებების დაცვას შეიარაღებული კონფლიქტების დროს და გაეროს მიერ მიჩნეულია მშვიდობის დამყარების ერთ-ერთ ელემენტად. ასევე, გაერომ მხარი დაუჭირა ბავშვი-ჯარისკაცების დემობილიზაციასა და რეინტეგრაციის პროგრამებს.

2001 წლის ნოემბერში, უშიშროების საბჭომ უპრეცედენტო ნაბიჯი გადადგა და მიმართა თხოვნით გენერალურ მდივანს დაეკონკრეტებინა ის მხარეები, რომლებიც აიძულებდნენ ბავშვებს მიეღოთ მონაწილეობა საომარ მოქმედებებში. 2003 წლის იანვარში, მას შემდეგ რაც ოფიციალური სახით ცნობილი გახდა ამ სახელმწიფოთა ჩამონათვალი, უშიშროების საბჭომ გადაწყვიტა დამატებითი ზომების მიღება ამ მხარეების მიმართ.

არსებობს უამრავი საქმე ბავშვი-ჯარისკაცების გამოყენების შესახებ, რომელიც განიხილა სხვადასხვა სასამართლომ და სამხედრო ტრიბუნალმა.

სიერა ლეონეს სპეციალურმა სასამართლომ განიხილა რამდენიმე საქმე, სადაც სხვა დარღვევებთან ერთად იყო ბავშვების გამოყენება საომარ მოქმედებებში. საქმეში – Prosecuter v. Foday

Saybana Sankoh, Issa Hassan Sesay, Morris Kallon and Augustine Gbao ზემოაღნიშნულ პირებს ბრალი ედებოდათ ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენაში, ჟენევის კონვენციების საერთო მე-3 მუხლისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სხვა ნორმების ხელყოფაში. კერძოდ, სამოქალაქო მოსახლეობის კოლექტიური დასჯა, მკვლელობა, გაუპატიურება და სხვა სახის სექსუალური ძალადობა, არაჰუმანური მოპყრობა, ღირსების შელახვა, 15 წლამდე ასაკის ბავშვების საომარ მოქმედებებში გამოყენება და სხვა.[13]

სიერა ლეონეს სპეციალური სასამართლოს მიერ განხილული ერთ-ერთი საქმეა Prosecuter v. Charles Ghankay Taylor. ჩარლზ ტეილორს, ასევე ბრალი ედებოდა ჟენევის კონვენციების საერთო მე-3 მუხლისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სხვა ნორმების ხელყოფასა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენაში. მათ შორის, მკვლელობა, ადამიანის ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის ხელყოფა, გაუპატიურება და სხვა სახის სექსუალური ძალადობა, ბავშვი-ჯარისკაცების გამოყენება და სხვა.[14]

საერთაშორისო სისხლის სასამართლომ რამდენიმე საქმე განიხილა ზემოთ აღნიშნული დარღვევების შესახებ. ერთ-ერთი ასეთი საქმეა Prosecuter v. Thomas Lubanga Dyilo. მას ბრალი დაედო ომის დანაშაულის ჩადენაში, კერძოდ, 15 წლამდე ასაკის ბავშვების შეიარაღებულ ძალებში ჩაბმა, წვრთნა და საომარ მოქმედებებში გამოყენება.[15]

ბავშვების საომარ მოქმედებებში გამოყენების აკრძალვის გარდა, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი მოიცავს სხვა ნორმებსაც, რომლებიც უზურნველყოფენ ბავშვთა უფლებების დაცვას.

კონფლიქტის მონაწილე მხარეებს არა აქვთ უფლება მიიღონ უცხო ქვეყანაში ბავშვების ევაკუაციასთან დაკავშირებული ზომები, თუ ეს ბავშვები არ არიან მისი მოქალაქეები. თუმცა, არსებობს გამონაკლისი, როცა საქმე ეხება ბავშვების ჯანმრთელობასა და მკურნალობას, ან ბავშვების უსაფრთხოებისათვის აუცილებელია მათი ევაკუაცია. ბავშვების ევაკუაცია ხდება მშობლის ან კანონიერი მეურვის წერილობითი თანხმობით. თუ არ ხერხდება ასეთი პირების მონახვა, მაშინ აუცილებელია იმ პირთა თანხმობა, რომელსაც კანონიერად ევალება ბავშვზე ზრუნვა. ევაკუაციაში ყოფნის მთელი დროის მანძილზე შეუწყვეტლივ უზრუნველყოფილი იქნება ყოველი ბავშვის სწავლება, რელიგიური და მორალური აღზრდის ჩათვლით, მისი მშობლების სურვილის თანახმად.

ბავშვის აღზრდის დროს ძალზე მნიშვნელოვანია მისი გარემოცვა. ბავშვის ოჯახის დაცვით საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი იცავს იმ მორალურ ფასეულობებს, რელიგიას, კულტურასა და ტრადიციებს, რომელშიც ბავშვი იზრდებოდა.

კონფლიქტის მონაწილე მხარეები ვალდებულნი არიან მიიღონ აუცილებელი ზომები, რათა 15 წლამდე ასაკის დაობლებული ან ომის შედეგად ოჯახს დაცილებული ბავშვები საკუთარი თავის ანაბრად არ დარჩნენ. მათი აღზრდა უნდა დაევალოს იმავე კულტურული ტრადიციის ადამიანს. ევაკუირებული ბავშვების თავიანთ ქვეყნებსა და ოჯახებში დაბრუნების გასაადვილებლად სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები თითოეული ბავშვის სახელზე ავსებენ ბარათს სურათითურთ, რომელსაც აგზავნიან წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ცნობათა ცენტრალურ სააგენტოში. „გარდა ამისა, მხარეები შეეცდებიან დადგინდეს 12 წლამდე ასაკის ბავშვების ვინაობა, ამოსაცნობი მედალიონებით ან ნებისმიერი სხვა საშუალებებით.“[16]

I დამატებითი ოქმი ასევე, ითვალისწინებს მცირეწლოვანი ბავშვების დედების მდგომარეობას. IV კონვენციის თანახმად, „კონფლიქტის მონაწილე მხარეები ეცდებიან საომარი მოქმედებების

დროს დადონ შეთანხმებები ცალკეული კატეგორიების ინტერნირებულების გათავისუფლების, რეპატრიაციის, საცხოვრებელ ადგილას დაბრუნების ან ნეიტრალურ ქვეყანაში ჰოსპიტალიზაციის შესახებ. ეს განსაკუთრებით ეხებათ ბავშვებს, ფეხმძიმე ქალებს, ჩვილი და მცირეწლოვანი ბავშვების დედებს."[17]

ჟენევის IV კონვენცია ითვალისწინებს, რომ „ყოველი მაღალი ხელშემკვრელი მხარე თავისუფლად გაატარებს სამედიცინო და ჰოსპიტალური მასალების ან რელიგიური მსახურებისათვის აუცილებელი საგნების შემცველ ყველა გზავნილს, რომელიც სამოქალაქო მოსახლეობისთვისაა განკუთვნილი, თუნდაც, ეს უკანასკნელი მოწინააღმდეგეც იყოს. ასევე, თავისუფლად უნდა გაატაროს საკვები პროდუქტების, ტანსაცმლისა და გამაკაჟებელი საშუალებების შემცველი ყველა ამანათი, რომელიც 15 წლამდე ასაკის ბავშვების, ორსული ქალებისა და მშობიარეებისთვისაა განკუთვნილი".[18] აქ შედის ისეთი პროდუქტები, რომელიც აუცილებელია ადამიანის ნორმალური ფიზიკური და გონებრივი განვითარებისათვის.

ზემოაღნიშნული კატეგორიები სარგებლობენ უპირატესობით, პირველებმა მიიღონ დახმარება, განსაკუთრებით საკვები პროდუქტები, ტანსაცმელი და გამაკაჟებელი საშუალებები. ასევე, სარგებლობენ სხვა პრივილეგიებითაც.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი ახორციელებს ბავშვების დაცვას ფართო ასპექტში. მათზე ვრცელდება ყველა ნორმები, რომლებიც საერთო დაცვას ეხება, ამის გარდა მუხლები, რომლებიც ეხება მათ განსაკუთრებულ დაცვას.

ადამიანის უფლებათა სამართალშიც ბავშვები განსაკუთრებული დაცვით არიან უზრუნველყოფილნი და მათი უფლებები და თავისუფლებები განსაზღვრულია საერთაშორისო აქტებით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვთა უფლებების კონვენცია, რომელიც მიღებულია გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1989 წელს.

დასკვნა

მსოფლიო მასშტაბით მიმდინარე შეიარაღებულმა კონფლიქტებმა ცხადყო, რომ საომარი მოქმედებები წარიმართება ისეთი მეთოდებით, რომელიც ხელყოფს სამოქალაქო მოსახლეობის უფლებებს. დაუსჯელი ქმედებები, რომელიც მიმართულია ბავშვების წინააღმდეგ, ვნებს არა მარტო უშუალო მსხვერპლს, არამედ გარშემო მყოფ მოსახლეობასაც.

ბავშვები შემთხვევით არ წარმოადგენენ იმ პირთა წრეს, რომლებიც მუდმივად არიან შეიარაღებული კონფლიქტის მსხვერპლნი. მათი უფლებების ხელყოფა ხდება შეგნებულად, რადგან ამ ქმედებებით ხდება მთლიანად სამოქალაქო მოსახლეობის ტერორი და უფრო ადვილია მათი დამორჩილება.

გაერთიანებული ერების ბავშვთა დაცვის კომიტეტმა დაიწყო თითოეული სახელმწიფოს კონტროლი აღნიშნული ოქმის იმპლენტაციის საკითხთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ 1998 წლის რომის სტატუტის თანახმად, 15 წლამდე ბავშვების შეიარაღებულ ძალებში ჩაბმა და გამოყენება მიიჩნევა ომის დანაშაულად.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი ახორციელებს ბავშვთა დაცვას ფართო ასპექტში. მათზე ვრცელდება როგორც საერთო დაცვის ნორმები, ასევე ის მუხლები, რომლებიც ეხება მათ განსაკუთრებულ დაცვას.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი მკაცრად განსაზღვრავს კონფლიქტში მონაწილე მხარეთა მოვალეობას დაიცვან ბავშვთა უფლებები, კერძოდ, უზრუნველყონ ისინი მათთვის მინიჭებული უპირატესობებით, ასევე დაიცვან საომარი მოქმედებებისა და ამ მოქმედებებით გამოწვეული შედეგებისაგან. სწორედ ომის მსხვერპლთა უმძიმესმა მდგომარეობამ განაპირობა ამ კონვენციებისა და მათი დამატებითი ოქმების მიღება, ასევე, ad hoc ტრიბუნალებისა და საერთაშორისო სისხლის სასამართლოს შექმნა. მისასალმებელია, რომ დღესდღეობით, აქტუალურია სექსუალური ძალადობისა და ბავშვი-ჯარისკაცების გამოყენების საკითხი. ისინი ზემოაღნიშნული ad hoc ტრიბუნალებისა და საერთაშორისო სისხლის სასამართლოს მიერ განიხილება როგორც ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული და ომის დანაშაული.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, დღესდღეობით, ჯერ კიდევ, არსებობს უამრავი პრობლემა ბავშვთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებით საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში, რომელიც დახვეწას მოითხოვს.

ამ შემთხვევაში, ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯია საერთაშორისო საზოგადოების უფრო აქტიურად ჩაბმა ზემოაღნიშნული პრობლემების გადაწყვეტაში, რაც გულისხმობს ბავშვი-ჯარისკაცების რეინტეგრაციის მხარდაჭერასა და შეძლებისდაგვარად, ასეთი პროგრამების ხელშეწყობას; ექსპერტთა ჯგუფების გამოყოფას ინფორმაციის მოსაპოვებლად, მათ გასაანალიზებლად და გარკვეული რელევანტური ზომების მისაღებად, სახელმწიფოთა ინიციატივას მოახდინონ ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციებისა და ხელშეკრულებების რატიფიცირება.

შენიშვნები:

1 Women and Children in conflict Protection Act of 2003.
2 Prosecuter v. Foday Saybana Sankoh, Issa Hassan Sesay, Morris Kallon and Augustine Gbao.
3 Prosecuter v. Charles Ghankay Taylor.
4 I დამატებითი ოქმის 75-ე მუხლი.
5 1949 წლის ჟენევის კონვენციის დამატებითი ოქმი საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის მსხვერპლთა დაცვის შესახებ.
6 ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციების II დამატებითი ოქმი არასაერთა-შორისო შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვის შესახებ, მუხლი 4.
7 Security Council resolution 827 of 25 May, 1993
8 Security Council resolution 955 of 8 November 1994
9 The Prosecutor v. Jean-Paul Akayesu (Case No. ICTR-96-4-T, September 2, 1998).
10 The Prosecutor v.Dragoljob Kunarac, Radomir Kovac and Zoran Vukovic (Foca case, IT-96-23 and IT-96-23/1, 22 February 2001).
11 IV ჟენევის კონვენციის 82-ე მუხლი.
12 I დამატებითი ოქმის 77-ე მუხლი.
13 Prosecuter v. Foday Saybana Sankoh, Issa Hassan Sesay, Morris Kallon and Augustine Gbao (Case No.SCSL-2004-15-PT).
14 Prosecuter v. Charles Ghankay Taylor (Case No. SCSL-03-01-I).
15 Prosecuter v. Thomas Lubanga Dyilo.
16 IV ჟენევის კონვენციის 24-ე მუხლი.
17 IV ჟენევის კონვენციის 132-ე მუხლი.
18 23-ე მუხლი.

Protection of the Child Rights under the Geneva Conventions

MARIAM JIKIA
Doctor of Law, Assistant Professor at Humanitarian and Social Faculty Georgian technical University

The article discusses the children who are the subject of special protection of the Geneva Conventions the Protocols thereof.

The statistical data show that armed conflicts affect the civil society, especially children. This is not a sheer coincidence because mostly the children are those who comprise the group of population whose rights are violated in a war. The crimes committed against the children during the armed conflicts lead to catastrophic (devastating) physical and psychological results.

There are many cases of using minors as soldiers. And there are many cases when children are victims of sexual violence.

The article canvasses not only the facts but also the current mechanisms of child protection as well as the cases which were heard by the Military Tribunals of Rwanda and Yugoslavia. It also offers probable measures to be introduced in order to the make a certain contribution to the protection of the child rights during armed conflicts.



ადმინისტრაციული სახდელები

გამომცემლობა „მერიდიანმა“ გამოსცა პროფესორ მაკა სალხინაშვილისა და დოქტორანტ ტარიელ ჭინჭარაულის მონოგრაფია „ადმინისტრაციული სახდელები“.

წიგნი მომზადებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პროექტის, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის და სხვადასხვა სპეციალური კანონებისა თუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე. იგი შეეხება იმ საკითხებს, რომლებიც წამყვანი უმაღლესი სასწავლებლების სილაბუსებითაა გათვალისწინებული. ადმინისტრაციული სახდელი ადმინისტრაციული სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტია. ავტორები თანამედროვე მეცნიერების დონეზე განიხილავენ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისა და პასუხისმგებლობის ცნებებს, ადმინისტრაციული სახდელების ცნებას, სახეებს, სახდელების დაკისრებისა და აღსრულების საკითხებს. წიგნში თითოეულ თემას ასევე, მოსდევს საკონტროლო კითხვები, კაზუსები და სავარჯიშო ტესტები.

გამარტივებული წარმოება საქართველოს სამოქალაქო პროცესში



გამომცემლობა „მერიდიანმა“ გამოსცა სამართლის დოქტორის, რობიზონ ხურცილავას მონოგრაფია „გამარტივებული წარმოება საქართველოს სამოქალაქო პროცესში“, რომლის რედაქტორები არიან სამართლის დოქტორები, პროფესორები გია ქირია და შალვა ქურდაძე.

ნაშრომი კომპლექსური გამოკვლევაა. მონოგრაფიის თეორიულ, მეთოდოლოგიურ და წყაროთმცოდნეობის მთავარ ბაზას წარმოადგენს ზოგადსამეცნიერო მეთოდები. საკითხების შესწავლა და კვლევა განხორციელდა შედარებით-სამართლებრივი, ლოგიკური და სოციოლოგიური მეთოდების საფუძველზე. ნაშრომში გამოყენებულია თეორიული შემეცნების სპეციალური მეთოდები და ხერხები.

მონოგრაფიის ინფორმაციულ ბაზას ქმნის: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, საქართველოში მოქმედი ნორმატიული აქტები, ქართველ და უცხოელ მეცნიერთა ნაშრომები (მონოგრაფიები, სტატიები), ასევე სასამართლო პრაქტიკის მასალები.

მონოგრაფიაში გადმოცემულია გამარტივებული წარმოების არსი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალში, მისი ძირითადი ნიშნები, გამარტივებულ წარმოებაში მონაწილე პირთა სამართლებრივი მდგომარეობა, მისი განსხვავება სასარჩელო და უდავო წარმოებისაგან, ასევე, მოცემულია სასამართლო პრაქტიკის ანალიზი.

მონოგრაფიაში განხილულია გამარტივებული წარმოების წესით განსახილველი ცალკეული კატეგორიის საქმეები, როგორიცაა: თამასუქისა და ჩეკის თაობაზე, დავალიანების გადახდევინების შესახებ, ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე და 5%-იან აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ საქმეები.

საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია
JUDGES ASSOCIATION OF GEORGIA

ტელ-ფაქსი/Tel-Fax: (+995 32) 92 34 90